



მულტიკულტურალიზმის კონცეფცია და კულტურული მრავალფეროვნების იდეის
განხორციელება საქართველოში

ავტორი: ნინო ბუჯიაშვილი

თემის ხელმძღვანელი:
გიორგი სორდია

თბილისი
2018

მიმოხილვა

გლობალიზაციის პროცესმა მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან მსოფლიოს ცალკეული ნაწილები და მრავალფეროვნება უფრო თვალსაჩინო გახადა. რამდენადაც ფართო და ჰეტეროგენულია საზოგადოება, იმდენად მაღალია კულტურული მრავალსახეობის დონე. დღევანდელი საზოგადოებაც სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება.

კულტურული მრავალსახეობა გულისხმობს როგორც ცალკეულ საზოგადოებაში, ისე მთელს მსოფლიოში არსებული გაგების, დამოკიდებულებების სხვადასხვა ტიპს. დღევანდელი საზოგადოების მთავარი კითხვაც სწორედ ამაში მდგომარეობს: რამდენად ხელს უწყობს კულტურული მრავალსახეობა საზოგადოებრივი წესრიგისათვის და რამდენად ტოლერანტული უნდა იყოს საზოგადოება თანამედროვე კულტურული მრავალფეროვნების მიმართ. კვლევის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს გავიგოთ, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს ქართულ საზოგადოებას სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ, რა კეთდება ქვეყანაში ამ მიმართულებით და საბოლოოდ შესაძლებელია თუ არა კულტურული მრავალფეროვნების იდეის განხორციელება საქართველოში.

კულტურული მრავალსახეობა თანამედროვე ცხოვრების რეალობაა და მას ვერსად გავუქვევით. ამ საკითხის პრობლემატურობის ხარისხი სხვადასხვა ქვეყნისთვის განსხვავებულია. კვლევის პროცესში შევეცდები ამ საკითხზე პასუხის გაცემას ქართული რეალობიდან, ასევე შედარებითი მაგალითები იქნება მოყვანილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

საქართველო მულტიკულტურული სახელმწიფოა, სადაც ტრადიციულად ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური, ლინგვისტური თუ რელიგიური მახასიათებლების მატარებელი ეთნოსები და კულტურული ჯგუფები. (საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის სტატისტიკა იხილეთ დიაგრამა #1, გვ. 163).

მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მიხედვით, რომელიც 2014 წელს ჩატარდა მოსახლეობის საერთო რაოდენობის დაახლოებით 13.2 პროცენტი მიეკუთვნება ეთნიკური უმცირესობას. მათ შორის რაოდენობით ყველაზე მსხვილ ჯგუფებს წარმოადგენენ აზერბაიჯანელები (6.2 პროცენტი) და სომხები (4.5 პროცენტი), რომლებიც კომპაქტურად არიან წარმოდგენილი ქვეყნის სამხრეთ რეგიონებში (ქვემო-ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები), დანარჩენი ეთნიკური ჯგუფები კომპაქტურ დასახლებებს ნაკლებად ქმნიან და განსახლებულები არიან სხვადასხვა რეგიონებსა და ურბანულ

ცენტრებში. (საქართველოში ეთნიკური ჯგუფების ზუსტი განსახლების შესახებ იხილეთ დიაგრამა #2, გვ 164).

ამის პარალელურად, საქართველოში სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მულტიკულტურალიზმის, როგორც კონფეციის ცხოვრებაში გატარების საკითხი. დემოკრატიის განმტკიცება და განვითარება საქართველოს საზოგადოებისა და ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, რომლის მისაღწევად აუცილებელია ინდივიდთა შორის თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა. ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვა და მრავალფეროვნებასა და პლურალიზმზე დაფუძნებული საზოგადოების ხელშეწყობა მნიშვნელოვნად განაპირობებს დემოკრატიულობის ხარისხსა და განვითარებას.

ბოლო წლების განმავლობაში სამოქალაქო თანასწორობის თვალსაზრისით, ქვეყანაში მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი პროგრესი. შექიმნა სამართლებრივი გარანტიები და ამ სამართლებრივი ნორმების იმპლემენტაციის მექანიზმები. თუმცა არსებობს გარკვეული საჭიროებები და გამოწვევები სამოქალაქო ინტეგრაციის მიმდინარე პროცესში.

აღსანიშნავია ისიც, რომ აკადემიურ ჭრილში არ მიმდინარეობს ამ საკითხის აქტიური განხილვა. ხელისუფლების და საზოგადოების საერთო გამოწვევად და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშემშლელ ფაქტორად უნდა დასახელდეს ქართულ საზოგადოებაში ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების საკითხების მიმართ დაბალი ცნობიერება, სწორედ ესაა წინამდებარე კვლევის მთავარი მიზანიც, რომ მულტიკულტურალიზმის საკითხმა კიდევ უფრო წინ წამოიწიოს, გამოკვლეულ და განხილულ იქნას აკადემიურ ჭრილში.

მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის განვითარებასა და ხარისხის გაზომვას საქართველოს მაგალითზე ვაპირებ ცნობილი კანადელი მკვლევარის უილ კიმლიკას მიერ შემუშავებული მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის ინდექსისა და მასში გამოყენებული 8 ძირითადი ინდიკატორის მეშვეობით. აღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი პროექტით მოხდა მსოფლიოს 21 ქვეყნის მაგალითზე მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის განვითარების შესწავლა და შესაბამის შკალაზე განთავსება.

საინტერესოა თუ რა მიმართულებით მიდის ქვეყანაში მუშაობა, რა გაკეთდა, რა საერთაშორისო ვალდებულებები აქვს ქვეყანას აღებული ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დასაცავად და ზოგადად რამდენად განხორციელებადია კულტურული

მრავალფეროვნების იდეა საქართველოში. ასევე საინტერესოა, თუ რა ადგილს დაიკავებს საქართველო უილ კიმლიკას მიერ შემუშავებულ შკალაზე, დანარჩენ 21 სახელმწიფოსთან შედარებით.

სარჩევი:	
მიმოხილვა -----	2
სარჩევი -----	5
შესავალი -----	7
თავი 1. მულტიკულტურალიზმი და თეორიული ასპექტები -----	18
1.1 უნივერსალიზმი -----	18
1.2 რელატივიზმი -----	20
1.3 ლიბერალური უფლებები და კიმიკას თეორია -----	22
თავი 2. მულტიკულტურალიზმისა და ინტერკულტურალიზმის შედარება -----	31
თავი 3. საერთაშორისო კანონმდებლობაში წარმოდგენილი ინტერკულტურულ ურთიერთობათა საკითხები -----	34
თავი 4. მულტიკულტურალიზმის ინდექსი, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება -----	46
4.1 ავსტრია -----	46
4.2 კანადა -----	50
4.3 შვედეთი -----	54
4.4 ფინეთი -----	56
4.5 ახალი ზელანდია -----	60
4.6 დიდი ბრიტანეთი -----	62
4.7 ესპანეთი -----	66
4.8 ნორვეგია -----	70
4.9 პორტუგალია -----	71
4.10 აშშ -----	75
4.11 ირლანდია -----	77
4.12 გერმანია -----	80
4.13 საბერძნეთი -----	83
4.14 ნიდერლანდები -----	85
4.15 საფრანგეთი -----	87
4.16 ავსტრია -----	89
4.17 იტალია -----	91
4.18 შვეიცარია -----	94
4.19 დანია -----	96
4.20 იაპონია -----	98

თავი 5. მულტიკულტურალიზმისა და კულტურული მრავალფეროვნების საკითხისადმი მიდგომა საქართველოში -----	101
5.1 მულტიკულტურალიზმის განმტკიცება კონსტიტუციურ, ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე -----	102
5.2 ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება -----	111
5.3 მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში -----	123
5.4 ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად -----	130
5.5 ეთნიკური წარმომადგენლობების ჩართვა მედია ლიცენზირებაში -----	139
5.6 პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი -----	143
5.7 ორმაგი მოქალაქეობის დაშვება -----	148
5.8 გათავისუფლება რელიგიური სამოსის შეზღუდვებისგან -----	150
ლიტერატურის მიმოხილვა -----	152
დასკვნა -----	159
გამოყენებული ლიტერატურა -----	177
დიაგრამები, ცხრილები და რუკები	
დიაგრამა #1 -----	163
დიაგრამა #2 -----	164
ცხრილი #1 -----	165
ცხრილი #2 -----	166
ცხრილი #3 -----	167
ცხრილი #4 -----	168
ცხრილი #5 -----	169
ცხრილი #6 -----	170
ცხრილი #7 -----	171
ცხრილი #8 -----	172
ცხრილი #9 -----	173
რუკა #1 -----	174
რუკა #2 -----	174

შესავალი

თემის აქტუალობა

ინტერესი კულტურული მრავალფეროვნებისადმი სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. კულტურული მრავალფეროვნება თანამედროვე მსოფლიოს ერთ–ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი და თანამედროვე ცხოვრების რეალობაა. დღეს პრაქტიკულად წარმოუდგენელია ქვეყანა, სადაც თუნდაც ერთი კულტურული უმცირესობა არ არსებობდეს. კაციობრიობა არასდროს ყოფილა ერთგვაროვანი. დღესდღეობით კი გლობალიზაციის პროცესმა მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან მსოფლიოს ცალკეული ნაწილები და ეს მრავალფეროვნება უფრო თვალსაჩინო გახადა.

დღესდღეობით მსოფლიოში ქვეყანათა უდიდესი უმრავლესობა არის კულტურულად მრავალფეროვანი. ბოლო შეფასებების მიხედვით, მსოფლიოს დამოუკიდებელი სახელმწიფოები შეიცავს დაახლოებით 600 ცოცხალ ენათა ჯგუფს და 5000 ეთნიკურ ჯგუფს. ძალიან მცირე რაოდენობის ქვეყნებში შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოქალაქეები იზიარებენ ერთი და იმავე ენას, მიეკუთვნებიან ერთი და იმავე ეთნიკურ თუ ეროვნულ ჯგუფს. მნიშვნელოვანია, რომ მრავალფეროვნება ბადებს პოტენციურად განსხვავებულ კითხვების მთელ სერიას. უმცირესობები და უმრავლესობები სულ უფრო და უფრო მეტად უპირისპირდებიან ენობრივ უფლებებთან, რეგიონალურ ავტონომიასთან, პოლიტიკურ წარმომადგენლობასთან, სასწავლო გეგმასთან დაკავშირებულ საკითხებში.

მულტიკულტურალიზმთან დაკავშირებული პრობლემატიკა XX საუკუნის და ჩვენი თანამედროვეობის ერთ–ერთი ყველაზე აქტუალური სფეროა, რომელიც ინტერესს იმსახურებს. საერთაშორისო სისტემაზე ზედაპირული დაკვირვებაც კი საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ თანამედროვე ეპოქის სახელმწიფოთა უმრავლესობა კულტურულად ჰეტეროგენული.

თანამედროვე პოლიტიკაში და პოლიტიკურ ფილოსოფიაში მულტიკულტურალიზმის იდეა მდგომარეობს შემდეგში: გავიგოთ თუ როგორ უნდა ვუპასუხოთ იმ გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება კულტურულ და რელიგიურ მრავალფეროვნებას.

მულტიკულტურალიზმის ცენტრალურ იდეას წარმოადგენს მოსაზრება, რომ კულტურულად განსხვავებული ჯგუფები შესაბამის გარემოში აღიარებასა და პატივისცემას იმსახურებენ. მულტიკულტურული პოლიტიკის ორი ძირითადი ელემენტი: განსხვავებულობის დაფასება, ჯგფური (კოლექტიური) უფლებების დაცვა და

ამ ორ პრინციპზე აგებული სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფცია. მისი მთავარი ამოცანა კი არის დაძლიოს უმრავლესობა–უმცირესობის ურთიერთობებში გაუცხოებისა და უნდობლობის სინდრომი, გააფართოვოს თითოეული მოქალაქის ცნობიერი „კულტურული ჰორიზონტი“.

მულტიკულტურალიზმი არამარტო იწონებს და ადასტურებს კულტურულ პლურალიზმს, არამედ ცდილობს ხელი შეუწყოს სხვა ეთნიკური და კულტურული ჯგუფების აღიარებასა და პატივისცემას კონკრეტულ სახელმწიფოში. ის გულისხმობს აქტიურ მხარდაჭერას კულტურული განსხვავებულობის და ეწინააღმდეგება მათ მიმართ გამომხატურლ ყოველგვარ მტრობასა და უარყოფას, რათა მოხდეს მათი სრული ჩართვა საზოგადოებრივ სფეროში”. (Modood/მოდოდი. Multiculturalism, 2007, p.64).

მულტიკულტურალიზმის გავრცელებული მეტაფორაა ე.წ. „სასალათე ჯამი“, რომლის მიხედვითაც ისევე როგორც სალათის შემადგენელი ინგრედიენტები არიან შერეული ერთმანეთში, მაგრამ თითოეული მათგან თავის უნიკალურ თვისებებს ინარჩუნებს, ასევეა საზოგადოებაც, სადაც მიუხედავად კულტურების მრავლფეროვნობისა, თითოეული მათგანი ინარჩუნებს თავის განსხვავებულ თვისებებს და არ ქმნის ერთ ჰომოგენურ საზოგადოებას. განსხვავებით ე.წ. „მოსახარში ქვაბი“, სადაც ხდება ასიმილაცია და ეთნიკური ჯგუფები ვერ ახერხებენ საკუთარი კულტურული იდენტობის შენარჩუნებას. ასიმილაცია იყო დომინანტური მოდელი დასავლეთის ლიბერალურ დემოკრატიებში 1970–იან წლებამდე. ასიმილაციის პოლიტიკა აღიარებს სხვადასხვა ეთნოსებისა და კულტურების არსებობას და დიდად არ ცდილობს მათი მიგრაციის შეზღუდვას, თუმცა ეს პოლიტიკა აქტიურად ცდილობს ამ ეთნოსებისა და კულტურების შერწყმას დომინანტ ეროვნულ კულტურასთან. მაგალითად, ახალ ზელანდიაში ნაციონალური პოლიტიკა, რომელსაც ასიმილაციის ელფერი დაჰკრავდა წახალისებული იყო ვინსენტ პიტერსის „ახალი ზელანდიის პირველი პარტიის“ მიერ. პარტიის პილიტიკური განცხადებები იყო შემდეგნაირი: „მაშინ როცა ჩვენ ვართ ხალხი სხვადასხვა წეს–ჩვეულებებით, ენით, რელიგიითა და კულტურით, ჩვენ ვართ ერთი ქვეყანა. ჩვენ ყველა ახალი ზელანდიელები ვართ უპირველეს ყოვლისა და ამიტომ მკაფიო ვალდებულებები და მოვალეობები უნდა იქნეს დაწესებული ახალი მიგრანტებისათვის, სანამ ისინი შეძლებენ ახალი ზელანდიის მოქალაქეობის მოპოვებას, მათ შორის ერთ–ერთია ინგლისური ენისა და კულტურის ცოდნა”. (მოდოდი, მულტიკულტურალიზმი. 2007, p.69-70).

ინტეგრაცია, განსხვავებით ასიმილაციისა გულისხმობს სახელმწიფოს აქტიურ ჩარევასა და მხარდაჭერას, რათა მოხდეს უმცირესობათა შერწყმა დომინანტ კულტურასთან. ასევე

ინდივიდებს აქვთ საშუალება თავად გადაწყვიტონ რა ხარისხით შეინარჩუნონ ან გამოხატონ საკუთარი უმცირესობაში მყოფი კულტურული იდენტობა.

მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა მოიცავს შემდეგ ზომებს:

1. ორმაგი მოქალაქეობის აღიარება;
2. სპეციალური ზომები, რათა გაიზარდოს უმცირესობათა მონაწილეობა ძირითად საგანმანათლებლო თუ ეკონომიკურ ინსტიტუტებში;
3. პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობენ ადგილობრივ თუ სახელმწიფო პოლიტიკაში უმცირესობათა მონაწილეობას და წარმომადგენლობას;
4. მოქნილი სამუშაო განრიგი, რათა უმცირესობებმა შეძლონ თავიანთი რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა;
5. უმცირესობათა უფლებების დაცვა, რათა მათ საშუალება ჰქონდეთ ატარონ ტრადიციული ან რელიგიური სამოსი სკოლებში, სამუშაო ადგილებსა თუ საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში;
6. სასკოლო სასწავლო გეგმის გადახვედა, განსაკუთრებით ისტორიისა და კულტურის სწავლების მიმართულებით;
7. უმცირესობებისათვის საშუალების მიცემა, რათა მათ შეძლონ ოფიციალურ ენასთან ერთად შეძლონ მიიღონ განათლება თავიანთ პირველ სასაუბრო ენაზე;
8. სკოლის დაწყებითი განათლების საფეხურზე ბილინგვური საგანმანათლებლო პროგრამების არსებობა;
9. სახელმწიფოს დაფინანსების არსებობა, რათა მოხდეს ინფორმაციის თარგმნა უმცირესობათა ენებზე;
10. სახელმწიფოს მიერ კულტურული ფესტივალების დაფინანსება;
11. კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ტრენინგების ჩატარება საჯარო სამსახურებში (განსაკუთრებით კი პოლიციის, იმიგრაციის სამსახურში, საბაჟოსა და ჯანდაცვის სფეროებში დასაქმებული საჯარო მოხელეთათვის).

ცნობილი კანადელი პოლიტიკური ფილოსოფოსი უილ კიმლიკა, განასხვავებს ორი სახის მულტიკულტურალიზმს: მრავალეროვან სახელმწიფოებს, ესაა სახელმწიფოები, სადაც ეროვნული უმცირესობები ცხოვრობენ. ეს უმცირესობა განსხვავებული ეროვნული ჯგუფია, საკუთარი ენით, კულტურითა და ტერიტორიით. მეორე ესაა “პოლიეთნიკური

სახელმწიფოები”, ანუ ქვეყნები, რომლებიც განიცდიან იმიგრაციას. ეს იმიგრანტები არიან ეთნიკური და არა ეროვნული ჯგუფები, რადგან მათ აქვთ ენა და კულტურა, მაგრამ არ გააჩნიათ განსაზღვრული ტერიტორია და არც აქვთ ამ საკითხზე პრეტენზია. ეთნიკური ჯგუფები როგორც წესი ინტეგრირდებიან ფართო საზოგადოებაში და ეს ინტეგრაცია ხდება მათი სურვილის შესაბამისად. ბევრი სახელმწიფო ერთდროულად მრავალეროვნაცაა და პოლიეთნიკურიც, როგორცაა მაგალითად: კანადა – ფრანგი და ინლისელი იმიგრანტებითა და ინუიტი ეროვნული ჯგუფით. როგორც წესი ამგვარ ჯგუფებს აქვთ განსხვავებული მოთხოვნები. მაგალითად: ეროვნულ ჯგუფებს ხშირად აქვთ თვითგამორკვევისა და ავტონომიის პრეტენზია. ეთნიკურ ჯგუფებს აქვთ საკუთარი ენისა და კულტურის დაცვის პრეტენზია, ისე რომ დიდ კულტურაში ინტეგრაციამ ზიანი არ მიაყენოს ზემოთხსენებულ მოთხოვნებს. თუმცა ორივე ჯგუფმა შეიძლება მოითხოვოს სპეციალური წარმომადგენლობა ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში, რათა უკეთ დაიცვან საკუთარი უფლებები.

უილ კიმლიკა გამოყოფს რამდენიმე ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობს ან პირიქით ხელს უშლის მულტიკულტურალიზმის წარმატებულ განხორციელებას:

1. ეთნიკური ურთიერთობების დაყვანა უსაფრთხოების საკითხების მიღმა – მულტიკულტურალიზმი საუკეთესოდ ვითარდება თუკი ურთიერთობები სახელმწიფოსა და უმცირესობას შორის აღქმულია არა როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხი, არამედ როგორც სოციალური პოლიტიკის საკითხი. თუკი სახელმწიფო აღიქვამს იმიგრანტებს, როგორც უსაფრთხოების საფრთხედ მაშინ მულტიკულტურალიზმის მხარდაჭერა საგრძნობლად შემცირდება;
2. ადამიანის უფლებები – მულტიკულტურალიზმის მხარდაჭერა ეფუძნება ვარაუდს, რომ არსებობს საერთო სწრაფვა ადამიანის უფლებებისაკენ, კერძოდ ეთნიკური და რელიგიური უფლებებისაკენ. თუკი სახელმწიფოები აღიქვამენ გარკვეულ ჯგუფებს არ აქვთ სურვილი პატივი სცენ ადამიანის უფლებების ნორმებს, ნაკლებ სავარაუდოა სახელმწიფოებმა მიანიჭონ მათ მულტიკულტურული უფლებები;
3. სასაზღვრო კონტროლი – მულტიკულტურალიზმი უფრო მეტად სადავო ხდება, თუკი მოქალაქეებს აქვთ შიში იმისა, რომ განიცდიან სასაზღვრო კონტროლის ნაკლებობას;

4. იმიგრანტების მრავალფეროვნება – მულტიკულტურალიზმი უფრო მეტად ვითარდება, თუკი ნამდვილად კულტურათა მრავალფეროვნებაა წარმოდგენილი სახლმწიფოში და როდესაც იმიგრანტები სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები არიან, ვიდრე მაშინ როდესაც იმიგრანტების წყარო მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული ქვეყანაა (რომელსაც საბოლოოდ მივყავართ პოლარიზებულ ურთიერთობასთან უმრავლესობასთან);
5. ეკონომიკური წვლილი – მულტიკულტურალიზმისადმი მხარდაჭერა ხშირად დამოკიდებულია აღქმაზე, თუ რამდენად დიდი ეკონომიკური სარგებელი მოაქვთ იმიგრანტებს იმ საზოგადოებისათვის, სადაც ცხოვრობენ. (Kymlicka/კიმლიკა Contemporary Political Philosophy; 2002.)

მულტიკულტურალიზმი, როგორც პოლიტიკური ხედვა, წარმოადგენს ერთ-ერთ პასუხს კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნების გამოწვევაზე, რომლის წინაშე დადგნენ დასავლეთის ქვეყნები კოლონიალიზმის ეპოქის დასრულების შემდეგ. ეს ქვეყნები თავის დროზე მეტ-ნაკლები ეთნიკური ერთგვაროვნებით ხასიათდებოდა, პოსტ-კოლონიურ პერიოდში კი იმიგრანტთა ტალღებმა ყოფილი კოლონიებიდან, შემდეგ - ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან შეცვალა დემოგრაფიული სურათი, რომელიც კულტურათა მოზაიკის სახით ყალიბდებოდა.

1960-იანი წლებიდან მულტიკულტურალიზმი წამყვანი პარადიგმა იყო დასავლეთისათვის. ეს კონცეფცია გავლენას ახდენდა პოლიტიკაზე - საერთაშორისო ურთიერთობებით დაწყებული, იმიგრაციის პოლიტიკითა და დემოკრატიული პროცესებით დამთავრებული. 1970-იანი წლებიდან მულტიკულტურალიზმი დასავლეთის არაერთი ქვეყნის ოფიციალურ პოლიტიკად იქცა, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტულ ქვეყანაში სხვადასხვა სახით ხორციელდებოდა და მჭიდროდ უკავშირდებოდა იდენტობის პოლიტიკას. მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა გულისხმობდა უმცირესობათა დაცვასა და მათი უფლებების აღიარებას, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას. მართალია, ცნება მოიცავს ყველა სახის უმცირესობებს, მაგრამ ძირითადად იგი კონცენტრირებულია ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებზე, უპირველეს ყოვლისა - იმიგრანტებზე.

21-ე საუკუნის დასაწყისიდან მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა სერიოზული პოლიტიკური გამოწვევის წინაშე დადგა. ეს ნაკლებად შეეხო ადგილობრივ ეთნიკურ ჯგუფებს, რომლებიც უმცირესობას წარმოადგენენ ამა თუ იმ ქვეყანაში.

მულტიკულტურალიზმიდან უკან დახევა უცხოელი „სხვის“ მიმართ შიშმა განაპირობა.

გაჩნდა წარმოსახვითი წარსულის ნოსტალგია, როცა ყველას საერთო იდენტობა და სოლიდარობა აერთიანებდა. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედება მაშინ, როცა ეკონომიკური სიტუაცია რთულდება (სამუშაო ადგილები და სხვა.), ან კითხვის ნიშნის ქვეშ დგება უსაფრთხოება - როგორც მოქალაქეების, ასევე ქვეყნის. დასავლეთის ქვეყნებმა აღიარეს, რომ უცხოელთა ინტეგრაციისა და მათთვის რეალური ეკონომიკური შესაძლებლობების უზრუნველყოფის პოლიტიკა წარუმატებელი აღმოჩნდა.

მულტიკულტურალიზმთან დაკავშირებული საკითხები იმდენად მრავალფეროვანია, რამდენადაც მრავალგვარია სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფების სპეციფიკური ინტერესები და მოთხოვნები. მაგალითად, დასავლეთ ევროპაში (საფრანგეთი, ბრიტანეთი...), სადაც ადგილობრივმა საზოგადოებებმა ყოფილი კოლონიებიდან დიდი რაოდენობით წამოსულ ემიგრანტთა მომძლავრება იგრძნეს, მულტიკულტურალიზმი ძირითადად რასასთან და თანასწორობასთან დაკავშირებულ ასპექტს უკავშირდება: მთავარ ამოცანად იქცა ინსტიტუციურ დონეზე რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრა და, ამავე დროს, ყველა მოქალაქისათვის თანასწორუფლებრივი გარემოს უზრუნველყოფა. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, ბუნებრივია, ცენტრალური პრობლემა ასევე რასობრივი დისკრიმინაცია იყო, თუმცა საკითხი სხვაგვარად გამოიკვეთა : უკვე 1980-იან წლებში ბევრმა შავკანიანმა ინტელექტუალმა აღიარა სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის (civil rights movement, 60-70-იანი წლები) შეზღუდული წარმატება – უთანასწორობა შავკანიან და თეთრკანიან მოსახლეობას შორის ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი. ამის საფუძველზე გამოიკვეთა

მულტიკულტურალიზმის სპეციფიკური ფორმა, რომელიც ძირითადად აფირმაციულ ქმედებაზე შემუშავებულ სპეცპროგრამებს ითვალისწინებდა. მის მიზანს ამერიკული საზოგადოების ცხოვრებაში შავკანიანთა გაცილებით აქტიურად ჩართვა-მონაწილეობის სტიმულირება წარმოადგენდა. 1990-იანი წლებისათვის მთავარი აქცენტი განათლების სისტემის სისუსტეებზე გაკეთდა: ბევრის აზრით, საუნივერსიტეტო კურიკულუმები ადეკვატურად არ ასახავდა უმცირესობათა ინტერესებს. ამის საფუძველზე განვითარდა შავი და აფრიკული კვლევების მიმართულებები (ე.წ. Black studies) და შესაბამისი პროგრამები. 1996 წელს პიკს მიაღწია დავამ სასწავლებლებში აფრიკულ-ამერიკული („არასტანდარტული“) ინგლისური დიალექტის შემოდების მიზანშეწონილობაზე.

მულტიკულტურალიზმი, როგორც კონცეფცია გაზიარებულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მიერ, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სამოქალაქო თანხმობისა და ინტეგრაციის მიზნით. მათ შორისაა შემდეგი ქვეყნები: დიდი ბრიტანეთი, კანადა,

გერმანია, ახალი ზელანდია და სხვ. მიუხედავად ამისა, უკანასკნელი კვლევები და შეფასებები გვიჩვენებს, რომ მულტიკულტურალიზმის კონცეფციამ ბევრ ქვეყანაში დეგრადაცია განიცადა. ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე ეთნიკურ და რელიგიურ ექსტრემიზმს სწორედ მულტიკულტურალიზმს მიაწერს. ცხარე კამათი მიმდინარეობს ევროპასა და ამერიკაში მულტიკულტურალიზმის რელევანტურობის შესახებ.

დღესდღეობით მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის განვითარება და ხარისხის გაზომვა ხდება მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის ინდექსის (MPI) მეშვეობით. აღნიშნული ინდექსი წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი პროექტს, რომელიც აკვირდება მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის განვითარებას 21 სახელმწიფოში. აღნიშნული ინდექსი იყენებს რვა ინდიკატორს, რომლითაც ხდება შეფასება თუ როგორი ურთიერთობა არსებობს სახელმწიფოსა და უმცირესობებს შორის:

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე;
2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში;
3. ეთნიკური წარმომადგენლობების ჩართვა მედია ლიცენზირებაში;
4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისგან;
5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება;
6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად;
7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება;
8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი ემიგრაციული ჯგუფებისადმი.

აღნიშნული ინდექსი შექმნილია, რათა მოგავწოდოს ინფორმაცია მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის მდგომარეობის შესახებ, რომელიც საბოლოოდ გვეხმარება შედარებით კვლევებსა და სახელმწიფოსა და უმცირესობებს შორის ურთიერთობის გასაგებად. პროექტი გვაწვდის ინფორმაციას სამი პერიოდის შესახებ, ესენია: 1980, 2000 და 2010 წლები და სამი ტიპის უმცირესობების შესახებ: პირველი დაკავშირებულია ემიგრანტთა ჯგუფებთან, მეორე ისტორიულ ეროვნულ უმცირესობებთან და ბოლო ადგილობრივ მოსახლეობასთან.

მიუხედავად კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის ღირებულების ფართოდ გავრცელებისა, საკუთრივ მულტიკულტურალიზმი, როგორც პოლიტიკა, კრიტიკოსების ნაკლებობას არც ადრე უჩიოდა და, განსაკუთრებით, არც დღეს უჩივის. მოსაზრება, რომ კულტურული მრავალფეროვნების მხარდაჭერა და წახალისება სოციო-

პოლიტიკურ კონსოლიდაციასა და მდგრადობას საფრთხეს უქმნის, მხოლოდ მემარჯვენე კონსერვატორებს არ ეკუთვნის; ასეთ აზრს იზიარებს, მაგალითად, ცნობილი მემარცხენე ამერიკელი სოციოლოგი ტოდ გიტლინიც (1995). სიუზან მოლერ ოკინი (1999), ფემინისტთა უმრავლესობის მსგავსად, მიუღებლად მიიჩნევს მულტიკულტურალიზმის სახელით იმის დაშვებას, რომ ტრადიციულ, პატრიარქალურ და ჩაკეტილ საზოგადოებებში ინდივიდი მარტო დარჩეს სექსიზმისა და შიდაჯგუფური დისკრიმინაციის პირისპირ. ამრიგად, მულტიკულტურული პოლიტიკის კრიტიკოსები როგორც მემარჯვენეები, ასევე მემარცხენეები არიან (Kukathas/კუკათას 2004: 15-20). თუმცა, საერთო ჯამში, მულტიკულტურალიზმი მაინც მემარცხენე ლიბერალთა იდეოლოგიურ-პოლიტიკურ მემკვიდრეობად ითვლება და ამ თეორიის მთავარ კრიტიკოსებად მემარჯვენეები გვევლინებიან. ეს უკანასკნელნი ოპონენტებს ხშირად ამხელენ ანტიკაპიტალისტური შეხედულებების გავლენით არადასავლური კულტურების იდეალიზაციასა და, ზოგჯერ, ანტივესტერნიზმში (Dewiel/დევიელ 2005: 116). მემარცხენე კრიტიკოსების მთავარი პრეტენზია თანასწორობის პრინციპის ირიბი შელახვაა; მათი აზრით, ამა თუ იმ ქვეყანაში წარმოდგენილი კულტურის (ქვე-ჯგუფის) ჩაგრულად გამოცხადება და, რაც მთავარია, მის მიმართ პრეფერენციული ზომების გატარება, გარკვეულწილად, დაღს ასვამს მის წევრებს, უღვივებს განსხვავებულობის შეგრძნებას, იწვევს ამ ჯგუფის გეტოიზაციას. ერთი მხრივ, ჩაგრული ჯგუფი ზოგადად შეიძლება იმსახურებდეს წარსულის ზარალისა და ჩაგვრის შედეგების აღმოფხვრისკენ მიმართულ საგანგებო პრივილეგიებს (ისტორიული სამართლიანობის აღდგენის კონცეფცია, რომლის რაციონალურ ბუნებაზე კამათი ასევე შესაძლებელია), და, საბოლოოდ, ასეთი პოლიტიკა ხელს უწყობდეს გარკვეულ ჯგუფში ჩაგრულობისა და უსამართლობის მსხვერპლად თვითაქმის ხარისხის შესუსტებას ან სულაც გაქრობას.

მეორეს მხრივ, ჩნდება პრობლემა ინდივიდთან, მოქალაქესთან მიმართებაში: უმცირესობის წარმომადგენელი პირადი გამოცდილებით გრძნობს უსამართლობის და მისი „მემკვიდრეობის“ დასასრულს, მაგრამ წარსულში არსებული უთანასწორობისა და ჩაგვრის (რომელიც, შეიძლება, უშუალოდ მხოლოდ მის ახლო წინაპრებს შეეხო) მუდმივი აქცენტირებითა და მისი მეხსიერების გაძლიერებით, უმყარდება „განსხვავებულის“ იდენტობაც, რაც აფერხებს უმრავლესობაში მის ინტეგრირებას.

კვლევის მიზნები

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გამოიკვლიოს თუ რამდენად ხორციელდება საქართველოში მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა და რამდენად თანხვედრაში მოდის ის მულტიკულტურალიზმის ზოგად კონცეფციასთან. შესწავლილ იქნას თუ რამდენად განხორციელდება კულტურული მრავალფეროვნების იდეა საქართველოში.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს დადგინდეს თუ რა მიღწევები და პრობლემები აქვს საქართველოს ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის მიმართულებით და საინტერესოა რა საერთაშორისო ვალდებულებები აქვს აღებული ქვეყანას ამ მიმართულებებით, რა საკანონმდებლო ცვლილებებს ახორციელებს და ზოგადად რამდენად ხდება ამა თუ იმ ცვლილებებისა თუ აღებული ვალდებულებების იმპლემენტაცია და რამდენად შედეგის მომტანია ეს ყველაფერი იმისათვის, რომ მოხდეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების საზოგადოებაში ინტეგრაცია.

ნაშრომში განხილული პერიოდი მოიცავს საქართველოს მიერ განხორციელებულ პოლიტიკას 2005 წლიდან დღემდე. 2005 წელი მიჩნეულია ათვლის წერტილად, რადგან სწორედ ამ წლიდან დაიწყო თანამედროვე ეტაპზე უმცირესობათა მართვის სფეროში ინსტიტუციური ცვლილებები და სწორედ 2005 წელს მოახდინა საქართველოს პარლამენტმა ევროსაბჭოს ევროპული ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება და პასუხისმგებლობის აღება სამოქალაქო ინტეგრაციის განხორციელებაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ აკადემიურ ჭრილში არ მიმდინარეობს ამ საკითხის აქტიური განხილვა. ხელისუფლების და საზოგადოების საერთო გამოწვევად და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშემშლელ ფაქტორად უნდა დასახელდეს ქართულ საზოგადოებაში ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების საკითხების მიმართ დაბალი ცნობიერება, სწორედ ესაა წინამდებარე კვლევის მთავარი მიზანიც, რომ მულტიკულტურალიზმის საკითხმა კიდევ უფრო წინ წამოიწიოს, გამოკვლეულ და განხილულ იქნას აკადემიურ ჭრილში.

კვლევის ამოცანები

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად კვლევა მოიცავს შემდეგ ამოცანებს: შესწავლილ იქნას ქვეყნის იმ სამინისტროების მუშაობის სპეციფიკა, განხორციელებული და დაგეგმილი პროექტები, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის საკითხები: კერძოდ: შერიგებისა და სამოქალაქო

თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სხვა სამთავრობო სტრუქტურების საქმიანობა და მათი ბიუჯეტი.

კვლევის ამოცანას ასევე წარმოადგენს მულტიკულტურალიზმის ინდექსის მიერ შემუშავებული 8 ინდიკატორის გამოკვლევა რომლებიც მოიცავს შემდეგს:

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე;
2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში;
3. ეთნიკური წარმომადგენლობების ჩართვა მედია ლიცენზირებაში;
4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისგან;
5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება;
6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად;
7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება;
8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი ემიგრაციული ჯგუფებისადმი.

აღნიშნული ინდიკატორებით მოხდება მოხდება საქართველოსთვის შესაბამისი 0-დან 8-ქულამდე მინიჭება და მულტიკულტურალიზმის შკალაზე მისი განთავსება.

კომპოტეზა

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციაზე ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკა ითვალისწინებს უფლებების აღიარებას და კულტურული მრავალფეროვნების მხარდაჭერას, რითაც ეს პოლიტიკა უახლოვდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დამკვიდრებულ მულტიკულტურალიზმის კონცეფციას, თუმცა საქართველოს მაგალითზე მულტიკულტურალიზმის პრაქტიკული რეალიზება და ცხოვრებაში გატარება მხოლოდ ფრაგმენტულად, შერჩეულ მიმართულებებში ხორციელდება.

მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაანალიზდა მეორეული წყაროები, როგორებიცაა სხვადასხვა ექსპერტების ნაშრომები, სტატიები და წიგნები, რათა შექმნილიყო მეცნიერული საფუძველი კვლევის გასაგრძელებლად.

აღსანიშნავია აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი, რომელიც კარგ სურათს იძლევა თუ რა ვალდებულებები აქვს აღებული საქართველოს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, რათა დაიცვას ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები და ხელი შეუწყოს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში და რამდენად თანხვედრაშია ქართული კანონმდებლობა აღნიშნულთან.

შემდეგ ეტაპზე კვლევის თვისობრივი მეთოდის გამოყენებით, სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა დარგის ექსპერტებთან და შესაბამის საკითხებზე მომუშავე სამინისტროების თუ სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან, რომლის მეშვეობითაც მოხდა ანალიზი თუ რამდენად ასრულებს პრაქტიკაში ქვეყანა იმ ვალდებულებებს რაც კანონმდებლობით აქვს აღებული. ასევე საინტერესო სურათი მოგვცა კვლევისას შესაბამის საკითხებზე მომუშავე სამინისტროების ბოლო წლების ბიუჯეტის ანალიზმაც.

1. მულტიკულტურალიზმი და თეორიული ასპექტები

1.1 უნივერსალიზმი

ეთიკური უნივერსალიზმი არის მოსაზრება, რომ გარკვეული მორალური წესები ერთმანეთთან აკავშირებს ყველა ადამიანს ნებისმიერ დროსა თუ ადგილას. მორალურობის უნივერსალური წარმოდგენები გაბატონებული იყო არამართო დასავლეთში, არამედ მსოფლიოს უამრავ ადგილას. ყველაზე ცნობილი თანამედროვე გამოხატულება ეთიკური უნივერსალიზმისა არის ადამიანის უფლებების ცნება; იდეა, რომ ყველა ადამიანს აქვს თანაბარი უფლებები. ეს მოზარება დაკავშირებულია მე-17 მე-18 საუკუნის ბუნებრივი უფლებების ცნებასთან, რომლის დამცველებიც იყვნენ ისეთი მოაზროვნეები როგორებიცაა ჯონ ლოკი, ტომ პენი და ტომას ჯეფერსონი.

ბუნებრივი უფლებების იდეა თავის მხრივ დაკავშირებულია ბუნებითი სამართლის ცნებასთან, რომელიც უფრო სისტემატიური სახით განავითარა წმინდა თომა აქვინელმა მისი ფესვები კი უძველეს ბერძენ ფილოსოფოსებთან არის დაკავშირებული. ბუნებითი სამართლის თეორია თავისი არსებობის სათავეს ანტიკური ეპოქიდან იღებს. სწორედ ბუნებით მდგომარეობაში მოქმედებს ბუნებითი სამართალი, რომლის ძალითაც ადამიანები თავისუფალნი და თანასწორნი არიან.

უნივერსალურობა და საყოველთაობა ქმნის თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს და დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირების საფუძვლებს. დემოკრატიის იდეალს წარმოადგენს მოქალაქეთა პოლიტიკური თანასწორობის აღიარება. ამ თანასწორობის საფუძველი კი ადამიანთა საყოველთაო, თანდაყოლილი ბუნებრივი უფლებებია. ჰობსის თეზისი, რომელსაც ის ბუნებრივი მდგომარეობის გასაცნობად გვთავაზობს კი ლიბერალიზმის ქვაკუთხედად ითვლება. ჰობსი ბუნებრივი მდგომარეობის აღწერისას წერს: „ბუნებამ ადამიანები ფიზიკური და გონებრივი უნარების მიხედვით თანასწორნი შექმნა. მართალია ზოგჯერ ჩვენ ვაკვირდებით, რომ ერთი ადამიანი მეორეზე უფრო ღონიერი ან ჭკვიანია, მაგრამ თუ მათ ყველას ერთიანობაში განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ განსხვავება მათ შორის არ არის ისეთი დიდი, რომ რომელიმე მათგანს ამ განსხვავების საფუძველზე შესძლებოდა მოეთხოვა თავისთვის რაიმე სასიკეთო იმგვარად რომ სხვა ადამიანს არ ჰქონდეს იგივეს მოთხოვნის ანალოგიური უფლება”. (Hobbes/ჰობსი, State of Nature, 1999).

ჰობსის ამ მოსაზრებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის არ ფიქრობს თითქოსადამიანები ერთმანეთის სრულიად იდენტურები არიან, ის მხოლოდ ამბობს,

რომ მათ შორის უმნიშვნელო სხვაობიდან არ გამომდინარეობს რომელიმე მათგანის გამორჩეული უფლება აკეთებდეს ან ფლობდეს რაიმეს.

თავდაპირველად ეთიკურმა უნივერსალიზმმა წამოჭრა საკმაოდ მნიშვნელოვანი კითხვა, კონკრეტულად რა არის ეს წესები, რომლებიც არის უნივერსალური? უფრო მეტიც, ბუნებითი კანონის ტრადიციის შემთხვევაში რა არის კონკრეტულად ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელი თვისებები, რომელიც გულისხმობს უნივერსალურ წესებს? საუკუნეების მანძილზე ამ კითხვებმა მიიღო უამრავი ერთმანეთის საპირისპირო პასუხი. მაგალითად, არისტოტელეს მოსაზრება, რომ მონობა იყო ეთიკურად დასაშვები, გამართლებული ადამიანებს შორის არსებული ბუნებრივი სხვაობით იყო მტკიცე წინააღმდეგობაში ქრისტიანული სწავლების მორალურ ეგალიტარიანიზმთან, რომელმაც კულმინაციას მიაღწია ბუნებრივ უფლებებში, რომელსაც იცავდა ლოკი და მისი მემკვიდრეები. ლოკისეული ინტერპრეტაცია ადამიანური ბუნებისა არის მეტად ოპტიმისტური და შედეგად მთავრობის მოვალეობაც მისი მოსაზრებით არის უფრო მეტად შეზღუდული, ვიდრე ტომას ჰობსისა, რომელიც ადამიანის ბუნებას ხედავს, როგორც ფუნდამენტურად ეგოისტს, აგრესიულს, რომელსაც სჭირდება მკაცრი პოლიტიკური კონტროლი, იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს მუდმივი კონფლიქტი. ამგვარ წინააღმდეგობებს ბევრჯერ ჰქონდა ადგილი ეთიკური უნივერსალიზმის ისტორიაში. უფრო მეტიც, ის გამწვავებული იყო დასავლეთის თანამედროვე იდეების ისტორიაში განვითარებული მთელი სერია მოვლენებით, რომლებმაც შედეგად განავითარა მორალური სკეპტიციზმი და რელატივიზმი. ეს ცვლილებები დაიწყო XV-XVI საუკუნეების რეფორმაციით, რომელიც გამოიხატებოდა დასავლეთის ქრისტიანობის დაყოფაში კათოლიკურ და პროტესტანტულ ბანაკებად, რომლებიც სხვადასხვაგვარად ხსნიდნენ ღვთის ჭეშმარიტებას. ამ მოვლენებს მოჰყვა XVI-XVII საუკუნეების სამეცნიერო რევოლუცია და ბოლოს XVIII საუკუნის განმანათლებლობის საუკუნე, რომლის პერიოდშიც მეცნიერული მეთოდებით იქნა ახსნილი სამყაროს შექმნა.

ამ ყველაფრის შემდეგ ეთიკური უნივერსალიზმი სრულიად იქნა მიტოვებული. თანამედროვე ადამიანის უფლებების კონცეფციამ დღესდღეობით გადაფარა უნივერსალიზმი ყველა წინათ არსებული ფორმა. შესაბამისად რელატივიზმი არის განსაკუთრებით პოპულარული თანამედროვე აკადემიურ მსოფლიოში. ამგვარ განვითარებაში კი წვლილი შეიტანა რეფორმაციამ, მეცნიერულმა რევოლუციამ, განმანათლებლობის ეპოქამ და მარქსიზმმა. თუმცა შეიძლება ასევე ითქვას, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ამ ცვლილებებისა იყო თანამედროვე დროის სხვადასხვა

კულტურების გაძლიერებული ინტერაქცია და საჭიროება კულტურული რელატივიზმის აღმოცენებისა.

1.2 რელატივიზმი

კულტურული რელატივიზმის თანახმად, კულტურა შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ მისი საკუთარი ღირებულებებისა და ნორმების მისივე კონტექსტში ანალიზის საფუძველზე. არ არსებობს ე.წ. "სანიშნულო" კულტურა, ან უნივერსალური ღირებულებები, რომელთა საფუძველზეც გაიზომება ამა თუ იმ კულტურის ვარგისიანობა. შეუძლებელია კულტურათა შეფასება, როგორც უფრო პროგრესული. კულტურები უბრალოდ განსხვავდება ერთმანეთისგან, ყველა მათგანი უნიკალური და შეუცვლელი ღირებულებების მქონეა.

ბევრი მულტიკულტურალისტი ავითარებს სწორედ კულტურული რელატივიზმის იდეას, რომ თითოეულ კულტურას აქვს თანაბარი უფლებები და ფასეულობა და რომ ისინი არ უნდა იქნენ განხილული სხვა კულტურის პერსპექტივიდან გამომდინარე. თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელი რიგი მიზეზების გამო კულტურული რელატივიზმი განიცდის რიგ პრობლემებს.

ყველაზე აშკარა კრიტიკა კულტურული რელატივიზმისა ესაა, რომ ის არ იძლევა სანდო მხარდაჭერას პოლიტიკისა და ფასეულობების. მაგალითად, თუკი ჩვენ მივიღებთ კულტურულ რელატივიზმს, მაშინ ჩვენ მოგვიწევს მივიღოთ ნებისმიერი წესი თუ ჩვეულება, რომელსაც აქვს კულტურული მხარდაჭერა. ეს მოიცავს უამრავ ჩვეულებას, რომელიც შეიძლება იქნეს გაკრიტიკებული. მაგალითად შეიძლება მოიცავდეს შემდეგს: ძალადობრივ ქორწინებებს, მკვლევობას, რომლის მიზანია ოჯახის ღირსების აღდგენა, ქალთა წინადაცვეთა, ძალით შრამებისა და ჭრილობების მიყენება სხეულზე გარკვეული სიმბოლოების ამოსაკვეთად და მრავალი სხვა.

რელატივიზმისეული დასკვნა არის ის, რომ თუკი სხვა კულტურა არის ჰომოფობური, სექსისტური ან იმპერიალისტური ჩვენ ის უნდა მივიღოთ თავისი დამკვიდრებული წესებითა თუ ნორმებით.

კულტურული რელატივიზმის პრობლემების მეორე ნაწილი დაკავშირებულია მისი როგორც აღწერილობითი თეორიის სისუსტესთან. ის დაფუძნებულია კულტურებისა და კულტურათა შორის კავშირის არასწორ დახასიათებაზე, კერძოდ კი კულტურათა შორის არსებული სხვაობის გაზვიადებაზე. მაგალითად, რაც ერთი

კულტურისათვის არის მიუღებელი, მეორე კულტურისათვის შესაძლებელია იყოს მისაღები და სასურველი. თუმცა მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კულტურები შეიძლება ვერ შეთანხმდნენ გარკვეულ საკითხებზე, არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ყველა სხვა საკითხზეც ვერ შეთანხმდებიან. თუკი ორი კულტურა ვერ თანხმდება X საკითხზე, ისინი თანხმდებიან Y და Z საკითხებზე.

სხვადასხვა კულტურები შეიძლება გამოხატავდნენ და მიყვებოდნენ ერთი და იმავე უნივერსალურ წესებს სხვადასხვა გზით. მაგალითად, ინუიტები მიყვებოდნენ ე.წ. “ინფანტისიდის” ბავშვთა მკვლელობის ტრადიციას, რაც სხვა კულტურებისათვის მიუღებელი იყო. მაგრამ აქვე შეიძლება ითქვას, რომ ინუიტების ეს ტრადიცია გამომდინარეობდა არქტიკული კლიმატის გარემო პირობების სიმკაცრის გამო. ამ წეს-ჩვეულების თანახმად, ხანდახან ბავშვებს ხოცავდნენ იმ მიზეზის გამო, რომ ისინი ჯგუფს აფერხებენ და ხელს უშლიან ერთი ლოკაციიდან მეორე ლოკაციაზე გადასადგილებლად, რაც საბოლოოდ სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთლიან ჯგუფს. ეს ყველაფერი არ ნიშნავს იმას, რომ ისინი არ აფასებენ თავიანთი ბავშვების სიცოცხლეს, არამედ ესაა ტრაგიკული არჩევანი გარკვეული ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებასა და მთელი ჯგუფის გადარჩენას შორის. ინუიტებიც სხვა საზოგადოებების თუ კულტურების მსგავსად აფასებენ სიცოცხლეს, უბრალოდ მათი ეს არჩევანი განპირობებულია იმ რთული გარემო პირობების გამო, სადაც მათ უწევდათ ცხოვრება. განსხვავება ინუიტებსა და სხვა კულტურებს შორის არის განსხვავება გარემო პირობებსა და არა ფასეულობებს შორის.

დავუშვათ, რომ კულტურები მართლაც რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ისე როგორც ამას რელატივიზმის მომხრეები ამტკიცებენ. შემდგომი პრობლემა მდგომარეობს შემდეგში, რომ მაინც რჩება უზარმაზარი გარღვევა კულტურული სხვაობის ფაქტსა და იმ დასკვნებს შორის, რაც რელატივიზმის მომხრეებს გამოაქვთ ამ ფაქტებიდან. ერთ-ერთი ასეთი დასკვნა არის ის, რომ თითოეული კულტურა არის მორალურად სწორი საკუთარ სფეროში. მაგალითად ის ფაქტი, რომ არსებობს უთანხმოება მხარეებს შორის გარკვეულ საკითხზე არ ნიშნავს იმას, რომ უთანხმოების ყველა მხარე არის თანაბრად მართალი. ხალხი, რომელიც ფიქრობს, რომ დედამიწა ბრტყელია არ ეთანხმება მათ, ვისი წარმოდგენითაც დედამიწა არის მრგვალი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ორივე მოსაზრება რის სწორი. ასევეა თუკი სხვადასხვა კულტურას აქვს განსხვავებული მოსაზრება და წარმოდგენები არ ნიშნავს, რომ ამგვარი მოსაზრება და წარმოდგენები უნდა მივიჩნიოთ სწორად.

1.3 ლიბერალური უფლებები და კიმლიკას თეორია

თავად ლიბერალიზმის მიმდევრები შეიძლება ბევრ საკითხზე ვერ თანხმდებიან ერთმანეთში, თუმცა ინდივიდუალური თავისუფლება ესაა საკითხი, რომელზეც ისინი უდავოდ თანხმდებიან. მიზეზი რატომაც ლიბერალები თვლიან, რომ ინდივიდუალური თავისუფლება არის მნიშვნელოვანი, ესაა შესაძლებლობა იმისა, რომ ადამიანებმა გადაწყვიტონ თავიანთი ცხოვრება ისე, როგორც მათ სწორად მიაჩნიათ და ყველა ადამიანს თანაბრად გააჩნია ეს უფლება.

კიდევ ერთი ფუნდამენტური პრინციპი ესაა "შეზღუდული მთავრობა". თუკი ადამიანთა მორალური სტატუსი გაგებულ უნდა იქნეს როგორც მათი თავისუფლების პატივისცემა, მაშინ მთავრობა მიუხედავად იმისა, რომ შუძლია წესრიგის დამყარება არ შეიძლება ახორციელებდეს აბსოლუტურ ძალაუფლებას, რადგან სახელმწიფოს ძალაუფლება შეზღუდულ უნდა იქნეს და პატივი უნდა სცეს ხალხის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

მესამე პრინციპი ესაა კერძო საკუთრების უფლება, რომელსაც ყველა ლიბერალი აღიარებს, რომ ის წარმოადგენს ინდივიდუალური თავისუფლების ლეგიტიმურ გამოხატულებას.

რა კავშირია ლიბერალიზმსა და კულტურას შორის? უფრო კონკრეტულად კი რა ხარისხით ერგება ლიბერალური საზოგადოება მრავალრიცხოვან კულტურებს და აკმაყოფილებს თუ არა ის მულტიკულტურალიზმის მოთხოვნებს? არსებობს უამრავი მიზეზი იმისა, რის გამოც ლიბერალიზმი კარგად ერგება ამ ზემოთ აღნიშნულ დავალებას. ისტორიულად, ლიბერალური აზროვნება წარმოიშვა ევროპაში, როგორც XVI-XVII საუკუნეების რელიგიური ომების პასუხი, სადაც კათოლიკეები და პროტესტანტები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ. ამ რელიგიური კონფლიქტების შემდეგ მოაზროვნეებმა როგორებიც იყვნენ პიერ ზეილი და ჯონ ლოკი, დაიწყეს რელიგიური ტოლერანტობის ქადაგება. ლიბერალური ტოლერანტობა რელიის მიმართ მალე სხვა მორალურ სფეროებზეც გავრცელდა, მაგალითად მე-XIX საუკუნეში ჯ. მილი იცავდა პრინციპს, რომ სახელმწიფო არ უნდა ჩარეულიყო ინდივიდთა საქმიანობაში, გარდა იმ შემთხვევისა თუკი მათი საქმიანობა იყო ზიანის მომტანი სხვებისათვის. რელიგიური და ინდივიდების მიმართ არსებული ტოლერანტობის გარდა ამ კატეგორიაში უნდა შევიდეს კულტურული განსხვავებულობის მიმართ ტოლერანტობაც. ლიბერალური ტოლერანტობა განკუთვნილია უმცირესობაში მყოფი კულტურების მიმართ.

ლიბერალური თეორია მხარს უჭერს ე.წ. სახელმწიფოს ნეიტრალიზაციის იდეას, რომელიც თავის მხრივ მოიაზრებს სახელმწიფოს მიუკერძოებლობას სხვადასხვა კულტურების მიმართ და ჩაურევლობას იმ საკითხში რომ თითოეულმა ინდივიდმა გადაწყვიტოს თუ როგორ სურს ცხოვრება, რომელ რელიგიურ კონფესიას მიეკუთვნებოდეს და სხვა.

ლიბერალური ნეიტრალიტეტი კიდევ უფრო შორს მიდის, ვიდრე ტოლერანტობა. ტოლერანტობა გულისხმობს უმრავლესობის ჩაურევლობას უმცირესობაში მყოფი კულტურების საქმეში. მაშინ როცა ნეიტრალიტეტი გულისხმობს, რომ არცერთი კულტურა არ უნდა იყოს პოლიტიკურად დომინანტი. აქ შეიძლება დაისვას შემდეგი კითხვები: შეიძლება მივიჩნიოთ თუ არა, რომ ლიბერალური ნეიტრალიტეტი იგივეა რაც მულტიკულტურალიზმი? განხორციელებადია თუ არა ლიბერალური ნეიტრალიტეტი, ანუ რამდენად შეესაბამება მისი ცხოვრებაში გატარება რეალობას?

ლიბერალიზმის ბევრი კრიტიკოსი მარტივად სცემს ამ კითხვებს პასუხს. ზოგიერთი კულტურა საერთოდ ვერ ერგება ლიბერალიზმის ვერცერთ ფორმას და საერთოდაც უარყოფს ლიბერალურ ფასეულობებს. თუკი ადამიანებს თანაბრად უნდა ვცეთ პატივი ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია მათ თანასწორად მოექცეს. უფრო მეტიც, თანასწორი მოპყრობა იგივეა რაც იდენტური მოპყრობა. მაგალითისთვის თავის წიგნში ჯორჯ კროუდერს მოჰყავს შემდეგი: “შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს, რომელიც ინდავილდის ეტლით გადაადგილდება, სურს რომ ისარგებლოს საჯარო ბიბლიოთეკით. თანასწორი მოპყრობა გულისხმობს თუ არა, რომ მან უნდა ისარგებლოს იმავე კიბით, რომელიც სხვებისთვისაა განკუთვნილი? რა თქმა უნდა – არა. ადამიანთა თანაბარი მოპყრობა არ ნიშნავს მათდამი იდენტურ მოპყრობას, შეიძლება მათ მოვეპყრათ განსხვავებულად თუ ამის საჭიროება და გარემოება მოითხოვს. ასევე არ შეიძლება განსხვავებული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანს დაუწესო იგივე სახელმწიფო გადასახადი”. (G. Crowder/კროუდერი, *Theories of Multiculturalism*. 2013; p. 39).

ეს მიდგომა არის ე.წ. ეგალიტარული ლიბერალიზმი, რომლის ერთ–ერთ აქტიური მხარდამჭერად გვევლინება უილ კიმლიკა. კიმლიკა როგორც ყველა ლიბერალი ხაზს უსვამს უნივერსალური ფასეულობების მნიშვნელობას, როგორებიცაა: ადამიანის უფლებები, შეზღუდული მთავრობა, თანასწორობა და კერძო საკუთრება. კიმლიკა მომხრეა სახელმწიფოს მხრიდან უმცირესობათა კულტურების დაცვის როლის გაზრდისა. ტრადიციული ლიბერალური პოლიტიკისგან განსხვავებით, რომელიც პასიურ

ტოლერანტობას ემხრობა, კიმლიკა ხაზს უსვამს აქტიური პოლიტიკის მნიშვნელობას, რაც სახელმწიფოს მხრიდან უმცირესობათა კულტურული ჯგუფების აღიარებასა და მათთვის დახმარების გაწევას გულისხმობს.

ტრადიციული ლიბერალიზმი, თვით მისი ეგალიტარული მიმართულებაც ნეგატიურადაა განწყობილი კულტურული ჯგუფების განსხვავებულად მოპყრობისადმი და ამ ყველაფერს ორი მიზეზით ხსნიან.

პირველი, ლიბერალები ჯგუფურ უფლებებს აიგივებენ კოლექტიურ უფლებებთან, რაც საფრთხეს უქმნის ინდივიდუალურ უფლებებს.

მეორეს მხრივ, ლიბერალური ტრადიცია სიფრთხილითაა განწყობილი კულტურული და ეთნიკური განსხვავებულობის პოლიტიკურ თემად გარდაქმნის, რადგან ეს ხშირად დაკავშირებულია არარაციონალურ და არასამართლიან დისკრიმინაციასთან, როგორცაა რასობრივი სეგრეგაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამხრეთ ამერიკაში და სახმრეთ აფრიკაში. კიმლიკა ამტკიცებს, რომ ჯგუფი ან საზოგადოება ფასეულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი მას სარგებელი მოაქვს მისი წევრებისათვის. ჯგუფს, როგორც ასეთი არ აქვს უფლებები, ესაა მისი შემადგენელი ინდივიდები, რომელთაც გააჩნიათ ეს უფლებები. კიმლიკასთვის ჯგუფის უფლებები იგივეა, რაც ინდივიდთა უფლებები და ამრიგად შეთავსებადია ტრადიციულ ლიბერალურ მოსაზრებებთან.

კიდევ ერთი ფუნდამენტური ლიბერალური მოსაზრება, რომელსაც კიმლიკა უკეთებს ინტერპრეტაციას ესაა ინდივიდუალური თავისუფლება. ლიბერალური ეგალიტარიანიზმი თავისუფლების ეკონომიკურ პირობებს ამტკიცებს, ხოლო კიმლიკა განსაკუთრებულ ყურადღებას თავისუფლების კულტურულ პირობებს უთმობს. მისთვის ინდივიდუალური თავისუფლება უმეტესად ნიშნავს ინდივიდის მიერ საკუთარი ცხოვრების წესის არჩევის თავისუფლებას. ესაა თავისუფლების უძლიერესი შეგრძნება, რომელსაც “პირადი ავტონომია” შეგვიძლია ვუწოდოთ. ამგვარ ინდივიდებს შეუძლიათ ამოირჩიონ ის ცხოვრების წესი, რაც მათ სწორად მიაჩნიათ ან თუნდაც კრიტიკულად განეწყონ მის მიმართ და შემდგომში შეცვალონ კიდევ. რატომ არის ამგვარი თავისუფლება უფრო ფასეული? კიმლიკა თვლის, რომ ინდივიდებისათვის საჭიროა თვლიდნენ, რომ ისინი სწორად ცხოვრობენ, ეს ცხოვრების წესი კი მათი შინაგანი გადაწყვეტილებაა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ექვემდებარება გადახედვას, რადგანერთხელ შეიძლება დავუშვათ შეცდომა, მაგრამ, სეგვიძლია მისი გამოსწორება განსხვავებული ცხოვრების წესის არჩევით. იმისათვის, რომ კარგად ვიცხოვროთ ჩვენ

გვჭირდება თავისუფლება. თავისუფლება იმგვარი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავაკეთოთ არჩევანი ან/და გადავხედოთ ჩვენს არჩევანს და სურვილის შემთხვევაში შევცვალოთ ის.

აღსანიშნავია ასევე, რომ კიმლიკა დიდად არ ემხრობა ლიბერალი მულტიკულტურალისტების არგუმენტს, რომ მრავალი კულტურის არსებობა ერთ საზოგადოებაში არის უდიდესი ფასეულობა და ზოგადად კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენს ფასეულობას. ამგვარი მოსაზრება განპირობებულია შემდეგი ფაქტით, რომ მრავალი კულტურის არსებობა ერთ საზოგადოებაში საშუალებას გვაძლევს გავამდიდროთ ჩვენი ცხოვრება თითოეული მათგანისგან გადმოღებული წეს-ჩვეულებებით. თუმცა კიმლიკას მოსაზრებით „კულტურა არ უნდა აღვიქვათ, როგორც ბაზარსა თუ მაღაზიაში შეძენილი ნივთების ერთობლიობა, რომელთაგანაც შეგვიძლია ჩვენი სურვილისამებრ შევარჩიოთ ჩვენთვის მოსაწონი ნივთი“. ის ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გაკვეთილი სიმართლის მარცვლი კულტურული მრავალფეროვნების ფასეულობად აღქმის მოსაზრებაში, მაინც შეცდომაა თუკი ამ მოსაზრებას მივანიჭებდით დიდ მნიშვნელობას.

სტანდარტული ეგალიტარულ-ლიბერალური მოსაზრებით, სახელმწიფოს აქვს მოვალეობა რომ შექმნას შესაფერისი ეკონომიკური პირობები რეალური ინდივიდუალური თავისუფლების უზრუნველსაყოფად. კიმლიკა კი თვლის, რომ ეკონომიკური პირობების გარდა აუცილებელია კულტურული პირობების შექმნაც. დაუშვებელია სახელმწიფომ დაუცველი დატოვოს ხალხი და მისცეს ნება მიიღონ გადაწყვეტილებები თავიანთი შეხედულებებისამებრ. ეს მიდგომა საზიანოა პირველ რიგში კულტურული უმცირესობებისათვის, როგორებიცაა ვთქვათ ადგილობრივი/მკვიდრი მოსახლეობა. უსამართლობა იქნებოდა არ მოხდეს მათი სხვა ჯგუფებთან შედარებით არამომგებიან პირობებში არსებობის გათვალისწინება. დომინანტი კულტურის წევრები ბუნებრივად და თავისთავად იღებენ თავიანთი კულტურას, რომელიც დომინანტურ პოზიციაშია. მკვიდრი მოსახლეობის არაუპირატეს პოზიციაში არსებობა არის არა მათი არჩევანის შედეგი, არამედ იმ გარემო პირობებისა, რომელიც თავად არ აურჩევიათ. რა სახის დახმარება შეიძლება გაუწიოს ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მათ პირდაპირ არის დკავშირებული იმ პირობებთან, რა პირობებშიც იმყოფება კონკრეტული უმცირესობათა ჯგუფი. ეს შეიძლება იყოს ფულადი კომპენსაცია, ენობრივი უფლებების მინიჭება, ტერიტორიული ავტონომია, გარანტირებული წარმომადგენლობა ცენტრალურ ინსტიტუტებში და სხვა.

მნიშვნელოვანი გარდატეხა და განვითარება კიმლიკას მოსაზრებებში მოხდა 1995 წელს, როდესაც გამოსცა ახალი წიგნი “Multicultural Citizenship”. წინა ნაშრომებში კიმლიკა თვლიდა, რომ ყველა კულტურული უმცირესობა ერთი და იმავე პირობებში იყო და შედეგად ყველას მსგავსი უფლებები უნდა ჰქონოდა. თუმცა მისი ეს პოზიცია ხშირად იყო კრიტიკის ობიექტი, რადგან სწორად ვერ ითვალისწინებდა უმცირესობაში მყოფი ადგილობრივი-მკვიდრი მოსახლეობის უფლებებს, იმიგრანტი ჯგუფების უფლებებთან შედარებით. შედეგად მის შემდგომ ნაშრომებში ის წარმოგვიდგენს განსხვავებას ორი ტიპის კულტურულ უმცირესობას შორის, ესენია ეთნიკური და ეროვნული უმცირესობები. ეროვნული უმცირესობები მოიცავს ადგილობრივ/მკვიდრ მოსახლეობას და რეგიონალურ ჯგუფებს როგორებიცაა მაგალითად კვებეკელები ან ბასკები. ამგვარი უმცირესობები გაერთიანდნენ თანამედროვე სახელმწიფოებში დაპყრობის და კოლონიზაციის შედეგად. ისინი იბრძოდნენ რათა შეენარჩუნებინათ თავიანთი განსხვავებული მყოფადობა. მათგან განსხვავებით ეთნიკური უმცირესობები ესაა იმიგრანტთა ჯგუფები რომელთა წევრებმაც თავად აარჩიეს რომ გამხდარიყვნენ ახალი საზოგადოების წევრები. ამ პროცესში მათ მოაქვთ საკუთარი რწმენა, ფასეულობები, ტრადიციები და სხვა.

ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს სხვადასხვა ტიპის უფლებები აქვთ. ეროვნულ უმცირესობების ანუ მკვიდრი მოსახლეობის უფლებები გაცილებით ძლიერია, ეს გულისხმობს კულტურის და წეს-ჩვეულებების შენარჩუნებას, ასევე ხშირად მოიცავს თვითგამორკვევის უფლებებსაც.

ეთნიკური უმცირესობებს ანუ იმიგრანტთა ჯგუფებს გაცილებით სუსტი უფლებები აქვთ, როგორც მათ კიმლიკა უწოდებს ე.წ. „პოლიეთნიკური უფლებები”. ესაა უფლებები, რომლებიც მათ ეხმარება ინტეგრაციაში. ეს უფლებები არ არის უმნიშვნელო, რადგან მოიცავს ანტი-დისკრიმინაციულ ზომებს, ტოლერანტობისათვის და ასევე კანონისთვის თავის არიდებაზე (მაგ: ებრაელთათვის და მუსულმანთათვის ე.წ. „ლურჯი კანონი”, როდესაც მათ კვირა დღე წმინდად აქვთ გამოცხადებული.) მხარის დაჭერას, განათლების მიღებას საკუთარ მშობლიურ ენაზე და სხვა. თუმცა კიმლიკას „პოლიეთნიკური უფლებები” მაინც სხვა რამეა, ვიდრე თვითგამორკვევის უფლებები.

აქ შეიძლება დაისვას კითხვა რა მოხდება მაშინ, თუკი ამ ჯგუფების ფასეულობები არ არის ლიბერალური? ტრადიციულ კულტურებში როგორებიცაა ვთქვათ მკვიდრი მოსახლეობა, ლიბერალური იდეალები, როგორებიცაა ინდივიდუალური თავისუფლება და მორალი არ არის დიდად დაფასებული. ასევე, ამგვარი დამოკიდებულება არც თუ ისე

იშვიათად შეიძლება იყოს არ მარტო მკვიდრ მოსახლეობაში, არამედ იმ კულტურებშიც, რომლებიც ღრმად იცავენ ადგილობრივ ტრადიციებს. უილ კიმლიკას პასუხი ამ პრობლემაზე არის შემდეგი: „ლიბერალებმა არ უნდა აუკრძალონ უმცირესობაში მყოფ კულტურებს თავიანთი არალიბერალური ტრადიციების არსებობა, პირიქით, მათ უნდა სცადონ ამ კულტურების ლიბერალიზაციის ხელშეწყობა“. ამით როგორც ის ფიქრობს მოხდება ჯგუფის წევრების ძირითადი ფასეულობების დაცვა და ხელი შეეწყობა მათ ავტონომიას. დღევანდელი ლიბერალური საზოგადოებები ყოველთვის არ იყვნენ ლიბერალურები ამიტომ კიმლიკა თვის, რომ არასწორია მსოფლიოს დაყოფა ლიბერალურ და არალიბერალურ საზოგადოებებად. ლიბერალური რეფორმის იდეა რჩება დაუსრულებელი თითოეულ საზოგადოებაში. (Kymlicka/კიმლიკა. Liberalism, Community, and Culture. 1989: p. 94).

2. მულტიკულტურალიზმისა და ინტერკულტურალიზმის შედარება

დებატები მულტიკულტურალიზმის შესახებ გვიან იმე-20 საუკუნიდან დაიწყო. ძირითადი კითხვები ფოკუსირებული იყო საჯარო სფეროში კულტურული უფლებების აღიარებაზე და იმ საკითხზე თუ როგორ უნდა მომხდარიყო იმ მოქალაქეების კულტურული უფლებების დაცვა, რომლებიც არ იყვნენ ამ კონკრეტულ სახელმწიფოში მცხოვრები ერის წარმომადგენლები და რომელთაც ჰქონდათ განსხვავებული ენა და კულტურა. ამ კითხვების ფონზე 21-ე საუკუნის მეორე ათწლეულში აღმოცენდა ახალი პარადიგმა, რომელიც ინტერკულტურალიზმის სახელითაა ცნობილი.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ კი მსოფლიო გაცილებით კრიტიკულად განეწყო მულტიკულტურალიზმის წინააღმდეგ. კრიტიკოსები აცხადებდნენ, რომ მულტიკულტურალიზმის პოლიტიკამ ხელი შეუწყო გარკვეული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების რადიკალიზაციას და გაზარდა ე.წ. „საშინაო ტერორიზმის“ საფრთხე.

ზოგიერთი ექსპერტი უფრო შორს წავიდა ამტკიცებდნენ რა რომ „მულტიკულტურულმა ექსპერიმენტმა“ არ გაამართლა და საჭირო იყო ახალი პროგრამებისა და პოლიტიკის მიღება, რომელიც გააძლიერებდა ინტეგრაციასა და ერთობას. აკადემიური წრის გარეთ იყო არაერთი მაგალითი, რომელიც გაშუქდა მასმედიის საშუალებებით და რომლებმაც ხელი შეუწყო მულტიკულტურალიზმის თანმიმდევრულ კრიტიკას.

ჰოლანდიელი პოლიტიკოსის პიმ ფორტიანისა და 2004 წელს ჰოლანდიელი რეჟისორის ტეო ვან გოგის მკვლევლობა, არეულობა პარიზში, ლონდონსა და სტოქჰოლმში.. ყველა ეს მოვლენა დაბრალდა მულტიკულტურალიზმის პოლიტიკას. შვედეთის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები აცხადებდნენ, რომ 2013 წლის გაზაფხულზე მომხდარი არეულობები იყო აშკარა შედეგი შვედეთში 80-90 წლიან წლებში მიღებული მულტიკულტურალიზმის პოლიტიკისა.

ამგვარი რიტორიკა გავრცელდა ევროპის ლიდერების გამოსვლებში. 2010 წელს გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა თავის განცხადებაში თქვა, რომ მულტიკულტურალიზმი სრულად დამარცხდა. ამას მოჰყვა საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის განცხადება, რომ მულტიკულტურალიზმი იყო წარუმატებელი. 2011 წლის თებერვალში კი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერუნმა საკმაოდ ყურადღების მიმპყრობი განცხადება გააკეთა, დააკავშირა რა მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის მარცხი ისლამური ექსტრემიზმის ზრდასთან და განაცხადა:

„მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის დოქტრინით ჩვენ წავახალისეთ სხვადასხვა კულტურები, რომ ეცხოვრათ განცალკევებული ცხოვრებით, ერთმანეთისა და ძირითადი ნაკადის გარეშე. მულტიკულტურალიზმის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება იწვევს ნეო-ასიმილაციური მიდგომის განვითარების საფრთხეს, რომელიც პირდაპირ უწყობს ხელს ჯგუფების განცალკევებას.“

როგორც უილ კიმლიკა წერს, „ეს ახალი ევროპული ტრენდი ნაწილობრივ წახალისებულია ევროპის საბჭოს მიერ 2008 წლიდან და მას შემდეგ აქტიურად ხდება დებატებისა და განხილვის საგანი პოლიტიკურ წრეებში“. ინტერკულტურალისტების მოსაზრებით მულტიკულტურალიზმმა ვერ უპასუხა კითხვებს, რომელიც დაკავშირებულია მთელ რიგ თემებთან, როგორებიცაა: სეგრეგაცია, ეთნიკური კონფლიქტები და სხვა. ცნობილი პოლიტიკური ლიდერებიც როგორებიცაა ანგელა მერკელი, დევიდ კამერუნი, ნიკოლა სარკოზი აქტიურად საუბრობდნენ ამ თემაზე და ავითარებდნენ მოსაზრებას, რომ მულტიკულტურალიზმის პარადიგმა დასამარდა, რადგან მან მოიტანა მეტი კრიზისი, შეჯახება და დაყოფა. ამ დებატების ეპიცენტრი ევროპაში არის შემდეგი, რომ მულტიკულტურალიზმი უარყოფს სხვადასხვა წარმოშობისა და კულტურის ჯგუფებს შორის ურთიერთობებს და პიროვნებათაშორის კონტაქტს. სწორედ ესაა ინტერკულტურალიზმის მამოძრავებელი ძალა, რომ სხვადასხვა წარმომავლობისა და კულტურის ხალხებს შორის ინტერაქცია არის აუცილებელი. მულტიკულტურალიზმი ფოკუსირებულია ხალხის კულტურულ უფლებებზე და ცდილობს მოახდინოს შედარება და აღმოაჩინოს თუ რა არის განსხვავება სხვადასხვა კულტურის ხალხებს შორის. ინტერკულტურალიზმი კი ორიენტირებულია სხვადასხვა წარმოშობის ხალხებს შორის საერთოს აღმოჩენით, ვიდრე იმ ფაქტით, რომ იპოვოს განსხვავებები და შემდეგ ორიენტაცია ჰქონდეს ამ განსხვავებების პატივისცემაზე. ინტერკულტურალიზმი არა მარტო იცავს თანაბარი უფლებების, ფასეულობებისა და შესაძლებლობების პრინციპებს, ასევე მხარს უჭერს პოლიტიკის გატარებას, რომელიც წახალისებს ინტერაქციას, თანამშრომლობას სხვადასხვა კულტურის, ეთნოსის, რელიგიის თუ ენობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს შორის, რომლებიც ცხოვრობენ ერთი და იმავე ტერიტორიაზე. უფრო მეტიც, ინტერკულტურალიზმი არის მიდგომა, რომელიც განსხვავებებს აღიქვამს როგორც პოზიტიურ რესურსს, რომელსაც შეუძლია საზოგადოების გამდიდრება.

„ინტერკულტურალიზმი არის ტექნიკა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ერთმანეთისგან განსხვავებულ ხალხს. ხელს უწყობს სოციალური კაპიტალის

წახალისებას ხალხის ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (სამეზობლო, სკოლები, სავაჭრო ადგილები, სათამაშო მოედნები, საჯარო ბიბლიოთეკები და სხვა საჯარო ინტერაქციის ადგილები). ის ხელს უწყობს საურთიერთო ზონების ჩამოყალიბებას განსხვავებული რელიგიის, ენის, კულტურის მქონე ხალხებს შორის.” (Gruescu and Menne/გრუესკუ, მენე. Bridging Differences, 2010; p.10). მაშინ როცა მულტიკულტურალიზმი იღწვის კულტურული უფლებების აღიარებისთვის, ხოლო ინტერკულტურალიზმი ცდილობს აღმოფხვრას ყველა ის დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის ინტერაქციას. ინტერკულტურალიზმის შესახებ არსებული ლიტერატურა ფოკუსირებულია სამ ძირითად საკითხზე:

1. (პოზიტიური) ინტერაქცია – ეს გულისხმობს არა მარტო პიროვნებათაშორის კონტაქტს როგორც ასეთი, არამედ უფრო შედეგის მომტან მიდგომას, რომელიც აღმოფხვრის სტერეოტიპებს და შეამცირებს ყოველგვარ ცრუწმენებს “სხვების” მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეს მიდგომა გულისხმობს ხალხთა შორის არსებული ე.წ. ურთიერთობის ზონები არის უფრო მეტად (პოზიტიური) ინტერაქციის ზონა, ვიდრე კონფლიქტის.
2. ანტი–დისკრიმინაცია – ინტერკულტურული მოქალაქეობის ფუნდამენტური ელემენტია – ანტი–დისკრიმინაცია, რომელშიც იგულისხმება სამართლებრივი ჩარჩოები, როგორებიცაა ხმის მიცემის უფლება უცხოელთათვის, ნატურალიზაციის პოლიტიკა და მოქალაქეთა სოციალურ–ეკონომიკურ შესაძლებლობებს შორის არსებული ცარიელი ადგილი, როდესაც განსხვავება სოციალურ–ეკონომიკური პირობებისა ხდება ფაქტორი შემცირებული კონტაქტისა და ინტერაქციის.
3. მრავალფეროვნება როგორც უპირატესობა – არის მესამე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც ინტერკულტურალიზმი აკეთებს ძირითად აქცენტს.

აღსანიშნავია ჟერარ ბუმარის სტატია “Quebec Interculturalism and Canadian Multiculturalism”, განსაზღვრავს ინტერკულტურალიზმს და მულტიკულტურალიზმს როგორც პლურალიზმის ორ განსხვავებულ განსახიერებას. მისი წარმოდგენით ინტერკულტურალიზმის მოდელი ხელს უწყობს:

1. სამოქალაქო უფლებების დაცვას; განსაკუთრებით უმცირესობათა უფლებების და მათთვის შესაფერისი საცხოვრებელი პირობების მინიჭებას;

2. უმცირესობაში მყოფი კულტურების წარმოდგენას, მათ აქვთ უფლება აირჩიონ კულტურა, რომელსაც სურთ რომ მიეკუთვნებოდნენ;
3. საჯარო ადგილებში რელიგიის თავისუფალ გამოხატულებას;
4. უმცირესობების მხარდაჭერის საჭიროებას.

აკადემიურ დებატებში არაერთხელ არის ხაზგასმული ის ფაქტი, რომ ინტერკულტურალიზმი ესაა ახალი, ინოვაციური, რეალისტური ხედვა, რომელიც მიმართულია მულტიკულტურალიზმის, როგორც გადაღლილი, დისკრედიტებული მიდგომის წინააღმდეგ.

საკმაოდ პოპულარულ სტატიაში “Interculturalism, Multiculturalism and Citizenship” (2012), ნასარ მეერი (ედნიზურგის უნივერსიტეტის მკვლევარი) და თარიქ მოდოდი (ბრისტოლის უნივერსიტეტის სოციოლოგიის, პოლიტიკისა და საჯარო პოლიტიკის პროფესორი) ამტკიცებენ, რომ ინტელექტუალური თვალსაზრისით საკმაოდ მწირი და უსაფუძვლოა ამგვარი ტენდენცია. როგორც სტატიაში ვკითხულობთ, ეს ორი მიდგომა დაფუძნებულია განსხვავებულ ვარაუდებზე, რომელიც ეხება ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის ბუნებას, სოციალური კავშირის სათავეს, დემოკრატიული მოქალაქეობის პრაქტიკასა და სამართლის ნორმებს. რეალურად კი ეს კონტრასტი დაფუძნებულია მულტიკულტურალიზმის თეორიისა და მიდგომის არასწორად წარმოდგენასა და კარიკატურულად გამოსახვაზე. ასევე ეს ტენდენცია არ არის დაფუძნებული სისტემურ ემპირიულ შედარებაზე, რადგან ინტერკულტურალიზმის დამცველები ხშირად აკეთებენ ახსნას თუ რით განსხვავდება მათი პოლიტიკური რეკომენდაციები მულტიკულტურალიზმის რეკომენდაციებისგან. შესაბამისად მეერი და მოდოდი თვლიან, რომ ლიტერატურა, რომელიც დაფუძნებულია ე.წ. „კარგი ინტერკულტურალიზმი, ცუდი მულტიკულტურალიზმი წინააღმდეგ“ არის მეტად რიტორიკული ხასიათის, ვიდრე ანალიტიკური.

უილ კიმლიკა იზიარებს მათ მოსაზრებებს და თვლის, რომ ამგვარი ანალიტიკას მოკლებული დასკვნები მულტიკულტურალიზმისა და ინტერკულტურალიზმის შედარებისას ემსახურება პოლიტიკურ მიზნებს. მას მოჰყავს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2008 წლის გამოცემული “White Paper” ინტერკულტურული დიალოგის შესახებ. ამ მოხსენებაში წერია, რომ ინტერკულტურალიზმი უნდა იყოს უპირატესი მოდელი ევროპისათვის, რადგან მულტიკულტურალიზმმა მარცხი განიცადა. თუმცა მასში არ არის მაგალითები მოყვანილი. კიმლიკა განსაკუთრებულად უსმევს იმ ფაქტს ხაზს, რომ დოკუმენტი მიღებულ იქნა 2008 წელს. 2011 წელს როდესაც სამი

კონსერვატიული პოლიტიკოსი კამერუნი, მერკელი და სარკოზი ამგვარ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ ეს თემა მეტად აქტუალური და მედია ყურადღების ცენტრში იყო. თუმცა ამგვარი მოსაზრებები ჯერ კიდევ 2008 წელს იყო გაჟღერებული და მოწონებული ევროსაბჭოს ყველა წევრი ქვეყნის მიერ, იქნებოდა ეს მემარცხენე თუ მემარჯვენე პარტიების მიერ მართული, პრო-მულტიკულტურული (ბრიტანეთი, ნიდერლანდები) თუ ანტი-მულტიკულტურული (საფრანგეთი, საბერძნეთი) ქვეყნების მიერ. დოკუმენტში მკაფიოდ იყო დაფიქსირებული პოლიტიკური კონსენსუსი, რომ საჭირო იყო პოსტ-მულტიკულტურული ალტერნატივა, რომელსაც ინტერკულტურალიზმი ქვია. თუმცა ეს არ არის მარტო ევროპული ფენომენი. იუნესკოს მიერ 2008 წელს მომზადებული ანგარიში კულტურული მრავალფეროვნების შესახებ, ასევე აცხადებდა რომ არსებობდა მკაფიო თანხმობა, რომ გლობალურ დონეზე პოსტ-მულტიკულტურული ალტერნატივა იყო საჭირო. (UNESCO, 2008). ორივე მათგანი ევროსაბჭოცა და იუნესკოც იყვნენ მულტიკულტურალიზმის დამცველები და 2008 წელს მათ გამოაცხადეს გადასვლა მულტიკულტურალიზმიდან ინტერკულტურალიზმზე.

კომლიკა სვამს კითხვას, თუ როგორ უნდა ვუპასუხოთ ამგვარ დოკუმენტებს. ერთ-ერთი პასუხი ამგვარ დოკუმენტში გაჟღერებული მოსაზრებებზე არის ის, რომ გავანალიზოთ რამდენად შეიცავს ეს დოკუმენტები არგუმენტებს ან საფუძველს, იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ ინტერკულტურალიზმი უკეთესია, ვიდრე მულტიკულტურალიზმი. მაგალითად: ევროსაბჭოს “White Paper” აცხადებს, რომ ომისშემდგომმა დასავლეთ ევროპამ მიიღო რელატივისტური, სეგრეგაციული მულტიკულტურალიზმი.

კომლიკა საინტერესოდ ხსნის მულტიკულტურალიზმის ამგვარი კრიტიკის მიზეზს. როგორც ის ამბობს ინტერკულტურალური რიტორიკა ერთგვარად საინტერესოც კი არის. ესაა მცდელობა, რომ გადმოგვცეს ნარატივი იმის შესახებ, რომ მრავალფეროვანი იდეის გარშემო არსებული პოპულარული პოლემიკა სულაც არ არის მრავალფეროვნების იდეის გამო, არამედ ესაა მცდარი მულტიკულტურალიზმის გამო. ამ პოპულარული პოლემიკის პასუხად მულტიკულტურალიზმია წარმოდგენილი, როგორც „განტევის ვაცი” იმ იმედით, რომ ეს ბოლოს მოუღებს პოპულისტური, ანტი-იმიგრაციული და ქსენოფობური პარტიების მხარდაჭერას. ნარატივი გვეუბნება, რომ იმედის გაცრუებით არ უნდა შევხედოთ უმცირესობებს, არც მრავალფეროვნების იდეას, არამედ ამგვარად უნდა შევხედოთ მულტიკულტურალიზმის იდეოლოგიას, რომელიც საბედნიეროდ უკან მოვიტოვეთ.

კიმლიკა ნათლად მიუთითებს ამგვარი რიტორიკის სახიფათო მხარეზეც. ამ რიტორიკის მთავარი აზრი მდგომარეობს შემდეგში, რომ ის ემსახურება არამარტო ახალი მიდგომის – ინტერკულტურალიზმის შემოტანას, არამედ იმ მოსაზრებას, რომ მულტიკულტურალიზმმა მარცხი განიცადა და ინტერკულტურალიზმმა უნდა გვიხსნას ამ მარცხის შედეგებისაგან. კიმლიკა სვამს კითხვას: ეს რიტორიკა ნამდვილად იმ იდეას ემსახურება, რომ ბოლო მოუღოს პოპულისტური პარტიების მხარდაჭერას? როგორც ევროსაბჭოს მოხსენებაში ნათქვამი. თუ უფრო მეტად ემსახურება ამგვარი პარტიებისა და მათი ხედვების ლეგიტიმაციას?

კიმლიკა წერს, რომ თუკი ევროსაბჭოს 2008 წლის განცხადება იმის შესახებ რომ ინტერკულტურალიზმს შეუძლია გვიხსნას მორალური რელატივიზმისაგან, რომელსაც მულტიკულტურალიზმი იცავს სწორია, გამოდის, რომ 20 წელიწადი ევროპის ძირითადი პოლიტიკური ელიტები ინდიფერენტულები ყოფილან ლიბერალური დემოკრატიული და ადამიანის უფლებების ფუნდამენტური პრინციპების მიმართ და მულტიკულტურალიზმის სახით აღიარებდნენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა ამ პრინციპებთან.

3. საერთაშორისო კანონმდებლობაში წარმოდგენილი ინტერკულტურულ ურთიერთობათა საკითხები

საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა უმცირესობათა მონაწილეობისა და უმცირესობათა უფლებებთან დაკავშირებით II მსოფლიო ომიდან მოყოლებული ყალიბდებოდა. ეს ბაზა მოიცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის საბჭოსა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ მიღებულ სამართლებრივ დოკუმენტებსა და საკონსულტაციო ხასიათის რეკომენდაციებს.

ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ (ECHR) იყო ევროპის საბჭოს მიერ 1950 წელს მიღებული პირველი სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელშიც აღიარებული იქნა დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი.

1965 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო კონვენცია „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის“ შესახებ. აღნიშნული კონვენცია საქართველოში 1999 წლის 2 ივლისს შევიდა ძალაში და ის ხელმძღვანელი სახელმწიფოსგან მოითხოვს მათ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირისათვის, რასის, კანის ფერის, ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის ნიადაგზე რაიმე განსხვავების გარეშე, უზრუნველყონ კანონის წინაშე თანასწორობის უფლება. საქართველომ რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს ანგარიში წარუდგინა 2011, 2004, 2011 და 2014 წლებში.

1966 წელს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლში გაერომ შემოიღო პირველი სამართლებრივი დებულება, რომელიც საგანგებოდ ეხება უმცირესობებს, კერძოდ 27-ე მუხლში ვკითხულობთ:

„იმ სახელმწიფოებში, სადარც არსებობენ ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური უმცირესობები, პირებს, რომლებიც ასეთ უმცირესობებს განეკუთვნებიან, არ შეიძლება უარი ეთქვას უფლებაზე თავისი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ საკუთარი კულტურით, აღიარონ საკუთარი რელიგია და დაიცვან წესები, ან გამოიყენონ თავიანთი მშობლიური ენა.“ (International Covenant on Civil and Political Right. 1966.)

1992 წელს, ცივი ომის დასრულების და უმცირესობათა კონფლიქტების მიმართ ყურადღების გააქტიურების პასუხად, გაერომ მიიღო საკმაოდ მრავალმხრივი დოკუმენტი უმცირესობათა უფლებებთან დაკავშირებით, კერძოდ დოკუმენტში ვკითხულობთ:

„სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან საკუთარ ტერიტორიებზე მცხოვრები უმცირესობების არსებობა და ეროვნული ან ეთნიკური, კულტურული რელიგიური და ლინგვისტური

თვითმყოფადობა და მხარი დაუჭირონ მათი თვითმყოფადობის ხელშემწყობი პირობების დაარსებას. სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ შესატყვისი საკანონმდებლო და სხვა ზომები ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად.” (United Nations Declaration on the Rights of Persons Belonging to National or Ethnic, Religious and Linguistic Minorities. 1992).

ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია ასევე 1992 წელს, ევროპის საბჭოს რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია. ის მიზნად ისახავს ევროპის ისტორიული რეგიონული ან უმცირესობათა ენების დაცვასა და ხელშეწყობას.

ქარტიაში გაცხადებულია ის მიზნები და პრინციპები, რომელთა მიღწევისა და დაცვის ვალდებულებას კისრულობენ ხელმომწერი სახელმწიფოები იმ რეგიონული ან უმცირესობათა ენების მიმართ, რომლებზეც ლაპარაკობენ მათ ტერიტორიაზე.

ქარტიაში ასევე ჩამოყალიბებულია რიგი კონკრეტული ზომებისა საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში რეგიონული ან უმცირესობათა ენების გამოყენების ხელშესაწყობად. ეს ზომები მოიცავს შემდეგ სფეროებს: განათლება, მართლმსაჯულება, ადმინისტრაციული ხელისუფლება და საჯარო სექტორი, მედია, კულტურული საქმიანობა და დაწესებულებები, ეკონომიკური და სოციალური საქმიანობა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან გაცვლა.

1994 წელს მიღებულ იქნა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩოკონვენცია (FCNM). ის მრავალმხრივი ინსტრუმენტია, რომელიც იურიდიულ ვალდებულებებს აწესებს და ეხება ზოგადად ეროვნულ უმცირესობათა დაცვას. მისი მიზანია, დაიცვას კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოების ტერიტორიებზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლებები. კონვენციის მიზანია, აგრეთვე, ხელი შეუწყოს ეროვნულ უმცირესობათა სრულ და რეალურ თანასწორობას ისეთი პირობების შექმნის გზით, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ, შეინარჩუნონ და განავითარონ საკუთარი კულტურა და თვითმყოფადობა.

ჩარჩოკონვენციის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს საკონსულტაციო კომიტეტი, რომელიც იღებს ქვეყნების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს და გამოსცემს დასკვნებსა და რეკომენდაციებს მინისტრთა კომიტეტისათვის წარსადგენად. კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები ამზადებენ ქვეყნის ანგარიშებს იმ მონახაზის გათვალისწინებით, რომელიც გამოცემულია საკონსულტაციო კომიტეტის მიერ სამოქალაქო საზოგადოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან გასაუბრების შემდეგ. ბევრ სახელმწიფოში ასევე ამზადებენ ე.წ. „ჩრდილოვან ანგარიშებს”. ეს ანგარიშებიც

ეყრდნობა საკონსულტაციო კომიტეტის მიერ გამოცემულ მონახაზებს. მონიტორინგის ციკლი ხუთ წელიწადს მოიცავს.

კონვენციის ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი და სხვა სახელმწიფოები ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა იმ იდეალებისა და პრინციპების დაცვის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას; რომ ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მოდელს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და მისი შემდგომი რეალიზაცია.

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების მიერ ვენაში 1993 წლის 9 ოქტომბერს მიღებული დეკლარაციის შესრულების მიზნით გადაწყდა მათ ტერიტორიებზე ეროვნული უმცირესობების არსებობის დაცვა; ასევე გადაწყვიტეს, რომ ამ ჩარჩო კონვენციაში განსაზღვრული პრინციპები განხორციელდეს მხარეთა ეროვნული კანონმდებლობისა და სათანადო სამთავრობო პოლიტიკის მეშვეობით. ჩარჩოკონვენცია შედგება ხუთი ნაწილისაგან. რომელთაგან პირველ ნაწილში შესულია მუხლები რომელთაგან მნიშვნელოვანია: ეროვნული უმცირესობებისა და იმ პირების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, რომლებიც მიეკუთვნებიან ამგვარ უმცირესობებს, წარმოადგენს ადამიანის უფლებების საერთაშორისო მასშტაბით დაცვის შემადგენელ ნაწილს და როგორც ასეთი, არის საერთაშორისო თანამშრომლობის სფერო. ამ ჩარჩო კონვენციის დებულებების გამოყენება მოხდება კეთილი განზრახვით, ურთიერთგაგებისა და ტოლერანტობის სულისკვეთებით და სახელმწიფოთა შორის კეთილმეზობლობის, მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის პრინციპებთან შესაბამისობაში. პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, შეუძლიათ ინდივიდუალურად, ისევე როგორც სხვებთან ერთად კავშირში, განახორციელონ ის უფლებები და ისარგებლონ იმ თავისუფლებებით, რომლებიც გამომდინარეობენ წინამდებარე ჩარჩო კონვენციით უზრუნველყოფილი პრინციპებიდან.

მეორე ნაწილი ძირითადად ეხება იმ ვალდებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული უმცირესობების კანონის წინაშე თანასწორობასა და კანონის მიერ მათ თანაბარ დაცვას. ამ მიმართებით აკრძალულია ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილებაზე დაფუძნებული ნებისმიერი დისკრიმინაცია. ასევე აუცილებლობის შემთხვევაში, მხარეები იღებენ ვალდებულებას მიიღონ

ადეკვატური ზომები იმისათვის, რომ ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში ხელი შეუწყონ მთლიანი და ეფექტური თანასწორობის დამკვიდრებას იმ პირებს შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას და იმათ შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან უმრავლესობას. ამ მხრივ, ისინი სათანადოდ გაითვალისწინებენ იმ პირების სპეციფიკურ მდგომარეობას, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

მხარეები იღებენ ვალდებულებას შეუქმნან აუცილებელი პირობები იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მათი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის.

მხარეები წახალისებენ ტოლერანტობისა და კულტურათშორისი დიალოგის სულისკვეთებას და მიიღებენ ეფექტურ ზომებს მათ ტერიტორიებზე მცხოვრებ ყველა პირს შორის ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მხარდასაჭერად, კერძოდ, განათლების, კულტურისა და მასმედიის სფეროში, მიუხედავად ამ პირების ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილებისა. შესაბამისად, მიიღებენ ზომებს იმ პირების დასაცავად, რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ მუქარას ან დისკრიმინაციას, მტრულ დამოკიდებულებას ან ძალადობას მათი ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილების გამო.

მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ თითოეულ პირს, ვინც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება გამომამჟღავნოს მისი რელიგია ან რწმენა და შექმნას რელიგიური დაწესებულებები, ორგანიზაციები და ასოციაციები; ასევე აღიარებენ თითოეული იმ პირის გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას. მხარეები ხელს არ შეუშლიან იმ პირების მიერ ბეჭდვითი მასმედიის საშუალებების შექმნას და გამოყენებას, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს. რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის სამართლებრივ ჩარჩოებში ისინი მაქსიმალურად უზრუნველყოფენ მასმედიის საშუალებების შექმნისა და გამოყენების უფლებას იმ პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირები ცხოვროვებენ, თუკი ეს პირები მოითხო-

ვენ და სადაც ეს მოთხოვნა პასუხობს რეალურ საჭიროებას, მხარეები ეცდებიან მაქსიმალურად უზრუნველყონ ისეთი პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან უმცირესობის ენის გამოყენებას ამ პირების და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ურთიერთობებში; ასევე უზრუნველყოფენ უმცირესობის ენობრივი ნიშნების, წარწერების და სხვა პირადი ხასიათის ინფორმაციის გამოყენებას, რომელიც შესაძენვეი იქნება საზოგადოებისათვის.

მიიღებენ ზომებს განათლებისა და მეცნიერული კვლევის სფეროში თავიანთი ეროვნული უმცირესობებისა და უმრავლესობის კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის ცოდნის გასაღრმავებლად. ამ კონტექსტში, მხარეები უზრუნველყოფენ მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და სახელმძღვანელოებისადმი ხელმისაწვდომობის ადეკვატურ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობენ კოტაქტებს სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის.

მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ ყველა დონის განათლებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა იმ პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

მხარეები შექმნიან აუცილებელ პირობებს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობისათვის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებასა და იმ საზოგადოებრივ საქმეებში, რომლებიც კერძოდ მათ ეხებათ.

ჩარჩო კონვენციის მესამე ნაწილში, კონვენციის პრინციპებიდან გამომდინარე, მოცემულია ეროვნული უმცირესობების უფლებები და თავისუფლებები იმ ზომით, რითაც ისინი წარმოადგენენ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის შესაბამისი დებულების საგანს.

მეოთხე ნაწილი ძირითადად მოიცავს ორგანიზაციულ საკითხებს, რომლის მიხედვით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ზედამხედველობას გაუწევს მხარეების მიერ ამ ჩარჩო კონვენციის განხორციელებას. მხარეები, რომლებიც არ არიან ევროპის საბჭოს წევრები, მონაწილეობას მიიღებენ განხორციელების მექანიზმში, განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

მეხუთე ნაწილი ეძღვნება ჩარჩო კონვენციის განხორციელების იურიდიულ საკითხებს, რაც დაკავშირებულია მისი ძალაში შესვლისა თუ ცალკეული ტერიტორიებზე მისი გავრცელების საკითხებთან

საქართველომ ანგარიში 2007 წლის 16 ივლისის წარმოადგინა, ხოლო საკონსულტაციო კომიტეტის პირველი დასკვნა 2009 წლის 19 მარტს მიიღეს. შემდეგ, 2009 წლის 16 ნოემბერს, საქართველოს ხელისუფლებამ წარმოადგინა სახელმწიფოს კომენტარები. შემდეგი ანგარიში კი საქართველომ 2012 და 2015 წლებში წარმოადგინა.

ეუთო პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია იყო, რომელმაც ჯერ კიდევ 1989 წელს საგანგებო ყურადღება დაუთმო ეროვნულ უმცირესობათა უფლებებისა და მონაწილეობის საკითხს. 1990 წელს კოპენჰაგენში გამართული „ჰუმანური განზომილების“ შესახებ კონფერენციის დასკვნითი დოკუმენტის სახით ორგანიზაციამ მიიღო ე.წ. „კოპენჰაგენის დოკუმენტი“, რომლის IV ნაწილში (მუხლები 30–40) ჩამოყალიბებულია რიგი პირობებისა და მოთხოვნებისა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ხელშეწყობისათვის.

1992 წელს, ჰელსინკში გამართულ შეხვედრაზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ინსტიტუტის დაარსების თაობაზე. ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის მანდატი მხოლოდ დიპლომატიურია. მისი ფუნქციაა, იმუშაოს კონფლიქტების თავიდან აცილებასა და ადრეულ გაფრთხილებაზე.

ეროვნულ უმცირესობათა პირველი კომისარი ეუთომ 1992 წელს დანიშნა უშიშროების მხრივ არსებული სიტუაციის მონიტორინგის მიზნით ეუთო–ს იმ წევრ ქვეყნებში, რომლებშიც ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები საფრთხეს უქმნიდა მშვიდობასა და სტაბილურობას როგორც თავად სახელმწიფოსა და მეზობელ ქვეყნებში, ისე მთლიანად რეგიონში. ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარი მუშაობს კონფიდენციალურობის პირობით, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ერთვება პრობლემებში გაუხმაურებელი დიპლომატიის მეშვეობით, შესაბამისად, ამ თანამდებობის პირი არ გამოსცემს სამართლებრივ დოკუმენტებს ან დასკვნებს და არ აქვეყნებს რაიმე დეტალებს ამა თუ იმ ქვეყნების შესახებ. კომისარს უფლება აქვს, გაუგზავნოს შეშფოთების გამომხატველი წერილები წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს და გასცეს რეკომენდაციები ქვეყნებისათვის, ასევე თემატური რეკომენდაციები უმცირესობათა საკითხებში ექსპერტების მიერ მომზადებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით.

ეროვნულ უმცირესობათა უმაღლეს კომისარს შემდეგი თემატური რეკომენდაციები აქვს გაცემული:

1. ჰააგის რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლებებთან დაკავშირებით (1996).
2. ოსლოს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით (1998).
3. ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნულ უმცირესობათა ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით (1999).
4. ვარშავის სახელმძღვანელო პრინციპები საარჩევნო პროცესში ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობის ხელშეწყობასთან დაკავშირებით (2001).
5. სახელმძღვანელო პრინციპები სამაუწყებლო მედიაში ეროვნულ უმცირესობათა ენების გამოყენებასთან დაკავშირებით (2003).
6. რეკომენდაციები მულტიეთნიკურ საზოგადოებაში უმიშროების ზომებთან დაკავშირებით (2006).
7. ბოლზაბოს/ბოზენის რეკომენდაციები სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით (2008).

ჰააგის რეკომენდაციები (1996) ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლებებთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ჰააგის რეკომენდაციების მიზანია ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლებების გათვინობიერებისა და მათ მიმართ მიდგომის გაუმჯობესების დახმარება. კერძოდ, პირველ პუნქტში ყურადღება გამახვილებულია საკუთარ ენაზე განათლების მიღების და ამავდროულად, ფართო საზოგადოებაში ინტეგრირების მეშვეობით თვითმყოფადობის შენარჩუნების მნიშვნელობაზე. ეროვნულ უმცირესობათა უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო მოთხოვნებისა და ზომების დაკმაყოფილების მნიშვნელობის აღიარებასთან ერთად, ჰააგის რეკომენდაციები ყურადღებას ამახვილებს დეცენტრალიზაციასა და მონაწილეობაზე, საჯარო და კერძო დაწესებულებებზე, ასევე უმცირესობათა განათლებაზე დაწყებით და საშუალო დონეებზე, პროფესიული განათლების სკოლებსა და მესამე ეტაპის განათლებაზე. განათლების პროცესი აღქმულია პროცესად, რომელსაც აქვს სახელმწიფოში არსებულ სხვადასხვა თემს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის წარმატებით განმტკიცების პოტენციალი.

ოსლოს რეკომენდაციებში ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით მოცემულია მცდელობა, განიმარტოს უმცირესობათა ენობრივი უფლებების არსი, რომლებსაც ზოგადად ეხება საქმე იმ სიტუაციებში, რომლებშიც ჩართულია ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარი. გარდა ამისა, სტანდარტები

იმგვარად არის განმარტებული, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მათი თანმიმდევრული მოქმედება. ეს რეკომენდაციები დაყოფილია ქვეთავებად, რომლებიც ეხება ენასთან დაკავშირებულ იმ საკითხებს, რომლებიც თავს იჩენს ხოლმე პრაქტიკაში. რეკომენდაციები დეტალურად არის განმარტებული თანდართულ განმარტებით დოკუმენტში, რომელშიც მოცემულია მკაფიო მითითება შესატყვის საერთაშორისო სტანდარტებზე.

ლუნდის რეკომენდაციები (1999) საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნულ უმცირესობათა ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით ასევე განსაკუთრებით საინტერესოა. ლუნდის რეკომენდაციების მიზანია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნულ უმცირესობათა ქმედითი მონაწილეობის გაძლიერების მიზნით საგანგებო ღონისძიებების დამკვიდრების წახალისება და ხელშეწყობა.

ვარშავის სახელმძღვანელო პრინციპები საარჩევნო პროცესში ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობის ხელშეწყობასთან დაკავშირებით (2001)

ამ სახელმძღვანელო პრინციპების მიზნებია:

გადაწყვეტილებათა მიმდებ სახელმწიფო დაწესებულებებში ეროვნულ უმცირესობათა ქმედითი მონაწილეობის უზრუნველყოფა გაფართოებული წარმომადგენლობითობის მეშვეობით;

ყველა დაინტერესებული მხარის ინფორმირება:

რეკომენდაციების ამოქმედების მხრივ სახელმწიფოსთვის არსებული ვარიანტების შესახებ;

სხვადასხვა ვარიანტის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ;

აღნიშნული ვარიანტების რეალიზებისათვის კონსტიტუციური, საკანონმდებლო და ინსტიტუციური საშუალებების შესახებ რჩევების მიცემა;

ეუთოს წევრი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევა იმ სტანდარტების პრაქტიკული გამოყენების თანმიმდევრულობის უზრუნველყოფაში, რომლებზე დაყრდნობითაც შემუშავდა ლუნდის რეკომენდაციები.

სახელმძღვანელო პრინციპები სამაუწყებლო მედიაში ეროვნულ უმცირესობათა ენების გამოყენებასთან დაკავშირებით (2003).

უმცირესობათა ენების გამოყენება კომუნიკაციის საშუალების სახით სამაუწყებლო მედიაში ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. რიგ ქვეყნებს მიღებული აქვთ ზომები ამ გამოყენების შესაზღუდად, ჩვეულებრივ ისეთი კანონმდებლობის შემოღების გზით, რომელიც ადგენს კვოტებს გარკვეულ ენაზე მაუწყებლობის დროისათვის – ამ პრაქტიკამ

რიგ ქვეყნებში ნეგატიური რეაქცია გამოიწვია უმცირესობებს შორის, ვინაიდან მაუწყებლობის შესაძლებლობები შეზღუდულია. აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპების მიზანია, წახალისოს და ხელი შეუწყოს სახელმწიფოებს საგანგებო ზომების შემოღებაში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული დაძაბულობის შესამსუბუქებლად. სახელმძღვანელო პრინციპები მიზნად ისახავს, უზრუნველყოს სახელმწიფოებისათვის გარკვეული პრაქტიკული ხელმძღვანელობა ისეთი პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებაში, როლებიც პატივისცემით მოეპყრობა და გაითვალისწინებს საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული სტანდარტების არსს და სულისკვეთებას და შეეძლება დააბალანსოს და დააკმაყოფილოს მოსახლეობის ყველა სექტორის, მათ შორის ენობრივი უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების, საჭიროებები და ინტერესები.

რეკომენდაციები მულტიეთნიკურ საზოგადოებაში უშიშროების ზომებთან დაკავშირებით (2006)

ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესმა კომისარმა აღმოაჩინა, რომ რიგ სახელმწიფოებში არ არსებობს ინსტიტუციური მექანიზმები პოლიციასა და ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილ პირებს შორის ურთიერთქმედებისა და თანამშრომლობის ხელშესაწყობად. მულტიეთნიკურ საზოგადოებაში მუშაობისათვის შესაფერისი ტრენინგის არარსებობის, პოლიციის მონოეთნიკური შემადგენლობისა და დისკრიმინაციული პრაქტიკის პირობებში ეროვნულ უმცირესობათა თემებში რიგ სიტუაციებში პოლიციის მიმართ ნეგატიური რეაქცია შეინიშნება, რაც ხშირად კონფლიქტის კატალიზატორიც კი გამხდარა. ამის საპირისპიროდ, ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესმა კომისარმა შენიშნა, რომ სხვა სახელმწიფოებში მცდელობებს, რომ პოლიცია ქვეულიყო იმ საზოგადოების უფრო წარმომადგენლობით ორგანოდ, რომელსაც ემსახურება, ასევე პოლიციასა და ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილ პირებს შორის ურთიერთობის ხელშემწყობ მცდელობებს არა მარტო განუმტკიცებიათ ინტერეთნიკური ურთიერთობები, არამედ, ასევე, გაუზრდიათ პოლიციის საოპერაციო ეფექტიანობა. ამ რეკომენდაციების ძირითადი საკითხია, რომ პოლიციის სათანადო მუშაობა მულტიეთნიკურ საზოგადოებაში დამოკიდებულია პოლიციასა და უმცირესობებს შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე, რეგულარულ კომუნიკაციასა და პრაქტიკულ თანამშრომლობაზე.

ბოლზაბოს/ბოზენის რეკომენდაციები სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით (2008).

რეკომენდაციები სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს, რომ საერთაშორისო სამართლისმიხედვით, უმცირესობის უფლებების მიმართ პატივისცემა და მათი დაცვა იმ სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა, რომელშიც უმცირესობა ცხოვრობს. მეორე: სხვა სახელმწიფოები შეიძლება დაინტერესებულნი იყვნენ უცხოეთში მცხოვრებ უმცირესობათა ჯგუფების კეთილდღეობით, განსაკუთრებით იმ ჯგუფებისა, რომლებთანაც ისინი დაკავშირებულნი არიან ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური იდენტურობით ან საერთო კულტურული მემკვიდრეობით. მაგრამ ეს, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, არ ანიჭებს და არ გულისხმობს მათ უფლებას, განახორციელონ იურისდიქცია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხზე.

საინტერესოა ასევე საერთაშორისო კანონმდებლობაში ინტერკულტურული განათლების მიმართულებით არსებული საკითხები. ინტერკულტურული განათლების დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს მთელი რიგი დეკლარაციები, დადგენილებები, გადაწყვეტილებები თუ სხვადასხვა დოკუმენტაცია, რომლებიც ქმნიან მულტიკულტურული საზოგადოების არსებობისა და განვითარების საკანონმდებლო ბაზას.

1948 წელს გენერალური გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, დეკლარაციის 26.2 მუხლი პირდაპირ ინტერკულტურულ ფასეულობებსა და განათლების საკითხებს ეხება. მასში ვკითხულობთ, რომ განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისკენ და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემისაკენ.

კიდევ ერთი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც აღიარებს ღირებულებებისა და კულტურული თვითგამოხატვის აუცილებლობას, მიღებულ იქნა 2005 წლის ოქტომბერში, იუნესკოს 32-ე გენერალური კონფერენციის მიერ. ეს იყო კონვენცია „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვა და ხელშეწყობა“-ს შესახებ.

2007 წელს, ის ძალაში შევიდა ორმოცდათექვსმეტ ქვეყანასა და ევროპის რეგიონში. მომდევნო წელს ქვეყნების რიცხვი ოთხმოცამდე გაიზარდა, რაც მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს წარმოადგენს. აღნიშნული კონვენცია განამტკიცებს კავშირს კულტურას, განვითარებასა და დიალოგს

შორის, ამასთანავე, ქმნის კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მექანიზმებს. ამ მხრივ, იგი ადასტურებს სახელმწიფოს სუვერენულ უფლებას შეიმუშაოს კულტურის პოლიტიკა „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის“ მიზნით, რათა შექმნან, აწარმოონ, გაავრცელონ, გაანაწილონ და ხელმისაწვდომი გახადონ კულტურული თვითგამოხატვის საკუთარი ფორმები, ამასთან სათანადო ყურადღება დაუთმონ ქალების, ასევე სხვადასხვა სოციალური ჯგუფების განსაკუთრებულ პირობებსა და მოთხოვნილებებს, იმ პირთა ჩათვლით, რომლებიც უმცირესობებსა და მკვიდრ ხალხებს განეკუთვნებიან (მუხლი7). კონვენცია ასევე ხაზს უსვამს კულტურის როლს მდგრადი განვითარების პროცესში (მე-13 მუხლი), მხარს უჭერს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას მიზნების მიღწევის საკითხში (მე-11 მუხლი), ცენტრალურ ადგილს უთმობს საერთაშორისო თანამშრომლობისა და სოლიდარობის განმტკიცებას (მე-12-მე-19 მუხლები). დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია „ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მნიშვნელობა კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების მხარდასაჭერად“ და დადასტურებულია, რომ „აზრის, შეხედულებათა გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლება, ისევე როგორც მედიის მრავალფეროვნება, ხელშემწყობ პირობებს უქმნის კულტურულ თვითგამოხატვას საზოგადოებაში“ (პრეამბულა). „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ კონვენციის მიღების შემდგომ, იუნესკოს ხელთ არის კულტურის სფეროში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების კომპლექსური კრებული, რომლებიც არეგულირებენ კულტურული მრავალფეროვნების დაცვასა და ხელშეწყობას (უძრავი, მოძრავი და არამატერიალური, მათ შორის კულტურული თვითგამოხატვის ტრადიციული ფორმები). კულტურის სფეროს სამი ძირითადი კონვენცია – „მსოფლიო ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ (1972 წელი), „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ (2003 წელი) და „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ (2005 წელი) – წარმოადგენენ იუნესკოს მოღვაწეობის კომპლექსურ სამართლებრივ ბაზას კულტურული მრავალფეროვნების დაცვის სფეროში. იუნესკოს გააჩნია ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული ისეთი მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი ნორმატიული ბაზა, როგორცაა, „კულ-

ტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება“ და „ზეპირი და გამომსახველობითი გზით იდეების თავისუფალი გავრცელების ხელშეწყობა“.

4. მულტიკულტურალიზმის ინდექსი, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება

კანადელი მეცნიერის უილ კიმლიკას მიერ შემუშავებული

მულტიკულტურალიზმის ინდექსი სწავლობს მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის განვითარებას მსოფლიოს 21 ქვეყნის მაგალითზე.

თითოეულ საკვლევ ქვეყანაში გამოიყენება 8 ინდიკატორი, რომლითაც ხდება მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის ხარისხის გაზომვა და შესაბამისად ენიჭება მათ 0 დან 8 ქულამდე.

საინტერესოა რომელი მათგანი გამოირჩევა მულტიკულტურალიზმის მაღალი ხარისხით და რომელ მათგანს აქვს მაღალი კოეფიციენტი და პირიქით.

4.1 ავსტრალია - 8.0 ქულა

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე

1977 წელს ავსტრალიის მთავრობამ მიიღო რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც ქვეყანას უნდა მიეღო მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა ოფიციალურად. პირველი ამგვარი დოკუმენტი ავსტრალიაში, რომელიც ოფიციალურად ამკვიდრებდა მულტიკულტურალიზმის პოლიტიკას მიღებულ იქნა 1978 წელს. ამ დოკუმენტის მიღებიდან შემდგომ მისი შესრულების ანგარიშებში ჩანს, რომ ქვეყანამ აშკარად მიაღწია წარმატებას ამ მიმართულებით. 2003 წელს კი ავსტრალიის მთავრობამ მიიღო დოკუმენტი: „მულტიკულტურული ავსტრალია“, რომელიც აწესებდა სტრატეგიულ მიმართულებას მომდევნო 3 წლის პერიოდში.

ქვეყანაში ასევე შექმნილია სპეციალური იმიგრაციისა და მოქალაქეობის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია მულტიკულტურალიზმის შესახებ არსებული დოკუმენტების იმპლემენტაციის მიმართულებით. შექმნილია ასევე ავსტრალიის მულტიკულტურალიზმის მრჩეველთა საბჭო, რომლის უმთავრესი ფუნქცია არის მთავრობისათვის რჩევების მიცემა იმიგრანტთა სოციალური და სამოქალაქო მონაწილეობის საკითხების შესახებ.

ავსტრალიაში მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა განმტკიცებულია ცენტრალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე.

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში

განათლების საკითხზე ავსტრალიაში პასუხისმგებელია თითოეული შტატი. გარდა იმისა, რომ ქვეყნის კონსტიტუციაში კულტურათა შორის გაგებასა და ენის საკითხებზე არის ყურადღება გამახვილებული, მისი განსაკუთრებული ელემენტია ანტი-რასიზმზე დაფუძნებული განათლების აუცილებლობის შესახებ ხაზგასმა.

1978 წელს ავსტრალიის მთავრობამ დაანერგა მულტიკულტურალიზმის კონცეფცია განათლების სფეროში და დამტკიცებულ იქნა მულტიკულტურალიზმზე დაფუძნებული სასკოლო სასწავლო გეგმა. ამ გეგმის ნაწილი იყო არაერთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებიც რასიზმისა და სხვადასხვა კულტურების მიმართ არსებული სტერეოტიპების წინააღმდეგ იყო მიმართული. 1980-იან წლებში ქვეყანაში ამ მიმართულებით იყო გარღვევა, რადგან ფედერალურმა მთავრობამ შეწყვიტა მულტიკულტურული განათლების პროგრამის დაფინანსება, მაგრამ მომდევნო წლებში საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნით ეს დაფინანსება იქნა აღდგენილი.

ქვეყანაში მულტიკულტურალიზმის კონცეფცია ინტეგრირებულია სასკოლო პროგრამებში შტატების დონეზე. მაგალითად: ვიქტორიას შტატში, ვიქტორიას მულტიკულტურული აქტი ითხოვს, რომ სასკოლო განრიგმა განამტკიცოს და წახალისოს მულტიკულტურალიზმი; ახალ სამხრეთ უელსის შტატში სასკოლო სასწავლო გეგმა ორიენტირებულია რასიზმის წინააღმდეგ და მასში გაერთიანებულია ლტოლვილთა მხარდაჭერის პროგრამები. ასევე აღსანიშნავია, რომ ავსტრალიის მთავრობამ შექმნა ონლაინ პორტალი - „გავხადოთ ავსტრალია მულტიკულტურული“, რომელზეც განთავსებულია მულტიკულტურული განათლების რესურსები.

3. ეთნიკური წარმომადგენლების ჩართვა მედია ლიცენზირებაში

ავსტრალიის სამაუწყებლო კორპორაცია იმართება ავსტრალიის 1983 წლის სამაუწყებლო აქტით. ამ აქტის მე-6 ნაწილში ვკითხულობთ, რომ სამაუწყებლო სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს იმგვარი პროგრამების არსებობას, რომლებიც გააძლიერებს ეროვნულ იდენტობას და ასახავს ავსტრალიის საზოგადოების კულტურულ მრავალფეროვნებას. ასევე ამ აქტით გარანტირებულია ანტი-დისკრიმინაციული მიდგომა, როდესაც სამაუწყებლო კომპანია ახდენს ახალი თანამშრომლების მიღებას.

ავსტრალიის მთავრობა აფინანსებს სპეციალურ სამაუწყებლო მომსახურებების სააგენტოს, რომელიც ქვეყნის მთავარი მულტიკულტურული და მულტილინგვური მაუწყებელია. ის მოიცავს სამაუწყებლო, რადიო და ონლაინ კომპონენტებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სამაუწყებლო სააგენტომ 1975 წელს დაიწყო ფუნქციონირება მხოლოდ ორი

რადიო სადგურით. დღესდღეობით კი ეს რადიო არის ყველაზე მულტილინგვური მსოფლიოში, რომელიც ახალ ამბებს 68 ენაზე გადმოსცემს.

სააგენტოს სატელევიზიო გადმოცემა წლების მანძილზე გაფართოვდა და ამჟამად რამდენიმე სატელევიზიო სადგურს მოიცავს, რომლებიც ახალ ამბებს 60 ენაზე გადმოსცემენ. სააგენტოს დაფინანსების 80% სამთავრობო წყაროდან მოდის.

1986 წელს ავსტრალიის მთავრობამ გამოთქვა სურვილი სპეციალური სამაუწყებლო სისტემისა და ავსტრალიის სამაუწყებლო სისტემის შერწყმის შესახებ, მაგრამ ეს გეგმა მიტოვებულ იქნა მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ეთნიკურმა უმცირესობებმა გააპროტესტეს აღნიშნული გადაწყვეტილება.

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან
გათავისუფლება რელიგიური სამოსის შეზღუდვების ტარებისგან ბოლო რამდენიმე ათწლეულია ნელ-ნელა აღმოცენდა, რაც ძირითადად საზოგადოებიდან წამოსული მოთხოვნის შესაბამისად მოხდა. თუმცა ცალკეულ შტატებში არსებულ სკოლებში კვლავ რჩება ტრადიციული სამოსით სიარული პრობლემად.

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება

2009 წლამდე ავსტრალიის მოქალაქეები, რომლებიც მიიღებდნენ სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, ავტომატურად კარგავდნენ ავსტრალიის მოქალაქეობას.

2009 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს ორმაგი მოქალაქეობის პრინციპი.

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

1960-1970 იან წლებში ავსტრალიაში მოქმედებდა საგრანტო და დახმარების პროგრამები, რომლებიც იმიგრანტებისა და ლტოლვილებისათვის იყო განკუთვნილი.

1998 წელს კიდევ ერთი პროგრამა „ჰარმონიული ცხოვრება“ ამოქმედდა, რომელიც ასევე დახმარებას ითვალისწინებდა იმიგრანტებისა და ლტოლვილთა ჯგუფებისათვის. ეს პროგრამა კი წარმატებით იქნა კიდევ ერთხელ გაგრძელებული ახალი პროგრამით, რომელიც 2007 წლიდან მოქმედებს.

აღსანიშნავია ასევე, რომ ავსტრალიის იმიგრაციისა და მოქალაქეობის დეპარტამენტი ახორციელებს პროგრამას „მრავალფეროვანი ავსტრალია“. ამ პროექტით ხდება როგორც პატარა პროექტების (სპორტული ღონისძიებები, ვორქშოპები, ახალგაზრდული ჩართულობის აქტივობები). გარდა ზემოაღნიშნული მცირე პროექტებისა, პროგრამა ითვალისწინებს დიდი თანხების გამოყოფას უფრო მასშტაბური და გრძელვადიანი პროექტებისათვის. ამ გრანტის სუსტი მხარე არის ის, რომ ეთნიკური

ჯგუფების გარდა მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სხვადასხვა ორგანიზაციებს. ასევე დაფინანსება ხდება სხვადასხვა მიმართულებით და არამარტო კულტურული აქტივობების.

ქვეყანაში ასევე არის იმიგრაციისა და მოქალაქეობის დეპარტამენტის კიდევ ერთი პროგრამა, რომლის უშუალო მიზანს წარმოადგენს იმ ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომლებსაც ორიენტაცია ავსტრალიაში ახალჩამოსულთა ინტეგრაციის ხელშეწყობისაკენ აქვთ აღებული.

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება

ენების ეროვნული პოლიტიკა ქვეყანაში 1987 წელს იქნა წარმოდგენილი. 1990-იან წლებში კი ქვეყანაში იყო განსაკუთრებული მცდელობა ენების ცოდნის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულ იქნა ე.წ. „სავაჭრო ენებზე“. ეს მიდგომა ასახულ იქნა 1991 წელს მიღებულ ავსტრალიის ენისა და წერა-კითხვის პოლიტიკის დოკუმენტში.

ავსტრალიის სკოლებში განათლების შესახებ 2005 წელს მიღებული ეროვნული დოკუმენტიც განსაკუთრებულად უსვამს ხაზს ინგლისურის გარდა სხვა ენების შესწავლის მნიშვნელობას. ზოგიერთი ამ პროგრამათაგანი საშუალო სკოლებში ისწავლება, მაშინ როცა სხვები მხოლოდ ეთნიკურ სკოლებშია წარმოდგენილი. ეს პროგრამები მოიცავს არა მარტო ენის სწავლებას, არამედ კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასაც.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ენობრივი განათლება არის სახელმწიფოს და ადგილობრივი მთავრობების უშუალო პასუხისმგებლობა, ენების სასკოლო პროგრამის მეშვეობით ფედერალურმა მთავრობამ 2005-2008 წლებში გამოყო 110 მილიონი ამერიკული დოლარი, რათა დახმარებოდა შტატებს აზიური, ევროპული და ადგილობრივი ავსტრალიური ენის პროგრამების სკოლებში დანერგვაში.

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი

ავსტრალიას აქვს კანონმდებლობა, რომელიც იცავს სხვადასხვა რასის, უმცირესობათა წარმომადგენლებს დისკრიმინაციისაგან, ესაა 1975 წლის რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ აქტი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეთნოკულტურული ჯგუფებისათვის პოზიტიური ქმედებები და შეღავათები პირველად წარმოდგენილ იქნა 1980-იანი წლების ბოლოს ფედერალურ დონეზე. 1987 წლის თანაბარი დასაქმების შესაძლებლობათა აქტი ავსტრალიის საჯარო სექტორისაგან მოითხოვს, რომ დანერგონ თანაბარი დასაქმების შესაძლებლობების პოლიტიკა ქალებისათვის და

უმცირესობებისათვის, რომლებშიც იგულისხმება არა-ინგლისურად მოლაპარაკე იმიგრანტები.

4.2 კანადა - 7.5 ქულა

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე.

აღნიშნული ინდექსის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყნის მაგალითია - კანადა. ამ ქვეყნის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ ის არის ემიგრანტების ქვეყანა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს. კოლონიალური პერიოდის განმავლობაში ის წარმოდგენილი იყო სამი ძირითადი ეთნიკური ჯგუფისაგან: ადგილობრივი მოსახლეობა, ინგლისელები და ფრანგები. მომდევნო წლებში საემიგრაციო ტალღა მოიცავდა ემიგრანტებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სკანდინავიის ქვეყნებიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან.

1900-იანი წლებიდან კანადის პოლიტიკა ახალ საემიგრაციო ეთნიკური ჯგუფების მიმართ მნიშვნელოვნად შეიცვალა. 1963 წელს შეიქმნა ბილინგვიზმისა და ბიკულტურალიზმის ცენტრი. თავდაპირველად კომისიის მანდატი შემოიფარგლებოდა რეკომენდაციებით, როლებიც ეხებოდა მხოლოდ ინგლისური და ფრანგული ენისა და კულტურის საკითხებს. თუმცა სხვა ეთნიკური ჯგუფების უკმაყოფილების შემდგომ ამ რეკომენდაციებმა მიიღო უფრო ფართო ხასიათი. ამავე პერიოდში გადახედილ იქნა კანადის საემიგრაციო აქტი, საიდანაც აღმოიფხვრა თეთრკანიანებისთვის უპირატესობის მინიჭება. შესაბამისად კანადაში გარდა ევროპისა და ამერიკისა, ემიგრანტებს მსოფლიოს სხვა ნაწილებიდან მიეცათ გაცილებით უკეთესი შანსი კანადაში ემიგრაციისათვის. საბოლოოდ 1988 წელს ქვეყანამ მიიღო მულტიკულტურალიზმის აქტი, რომლის მთავარი მიზანია მულტიკულტურალიზმის ხელშეწყობა და უწყვეტობა ქვეყანაში. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დღესდღეობით საკმაოდ მწვავე დებატები მიმდინარეობს მულტიკულტურალიზმის რელევანტურობის თაობაზე.

მულტიკულტურალიზმის შესახებ ჩანაწერს ქვეყნის კონსტიტუციაში ვხვდებით. კანადის უფლებებისა და თავისუფლებების ქარტიის 27-ე მუხლში ვკითხულობთ, რომ ქარტიის მთავარი მიზანია კანადელების მულტიკულტურული მემკვიდრეობის ხელის შეწყობა და შენარჩუნება. (Canadian Charter of Rights and Freedoms, Section 27).

კანადის მულტიკულტურალიზმის აქტი 1988 წელს იქნა მიღებული, რომელიც მულტიკულტურალიზმს ოფიციალურ პოლიტიკად აღიარებს ფედერალურ დონეზე. ის ასევე უზრუნველყოფს სპეციალური პროგრამების შექმნას, რომლებიც მხარს დაუჭერენ ამ აქტს.

2008 წლის 30 ოქტომბერს მულტიკულტურალიზმის პროგრამაზე პასუხისმგებლობა გადაეხარა კანადის მოქალაქეობისა და იმიგრაციის დეპარტამენტს, რომელიც არის მოქალაქეობის, იმიგრაციისა და მულტიკულტურალიზმის სამინისტროს მანდატის ქვეშ.

ადგილობრივ დონეზე არის სხვადასხვა ვარიაციები. მაგალითად კვებეკსა და ონტარიოს აქვთ მულტიკულტურალიზმთან დაკავშირებული განცხადებები და შესაბამისი სტრატეგიები შემუშავებული. ადგილობრივ დონეზე მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის ნორმების დანერგვა და მულტიკულტურალიზმის პოლიტიკაში მონაწილეობა ხარისხობრივად განსხვავდება.

1980-2000 წლებთან შედარებით, მიმდევრო ათწლეულის განმავლობაში ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ფონი თითქმის უცვლელია.

1971 წლიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ რაც ქვეყანამ ოფიციალურად მიიღო მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა მისი მხარდაჭერა აქტიურად ხორციელდება.

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში

მულტიკულტურალიზმი შეტანილია ქვეყნის ეროვნულ სასწავლო გეგმაში. ეს პროცესი 1980-იანი წლებიდან 2000 წლამდე ეტაპობრივად მიმდინარეობდა და უცვლელი დარჩა 2000-დან 2010 წლამდეც.

როგორც ქვეყნის ეროვნულ სასწავლო გეგმაში წერია, იმიგრანტი ბავშვების ჩართვა საგანმანათლებლო სისტემის პროცესში ხელს უწყობს მრავალფეროვნებაზე, თანასწორობასა და მულტიკულტურალიზმზე დაფუძნებული პოლიტიკის ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში გადატანას.

1993 წელს ონტარიოს განათლების სამინისტრომ მიიღო სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც ეხებოდა ანტი-რასიზმსა და ეთნოკულტურულ თანასწორობას კანადის სკოლებში. მოთხოვნებს შორის უმთავრესია ის, რომ სკოლის სასწავლო გეგმა უნდა ასახავდეს საზოგადოების რასობრივ და კულტურულ მრავალფეროვნებას. 1993 წელს მიღებული ეს სახელმძღვანელო პრინციპები დღესაც ძალაშია.

3. ეთნიკური წარმომადგენლების ჩართვა მედია ლიცენზირებაში

მაუწყებლობის შესახებ აქტი წარმართავს კანადის სამაუწყებლო კორპორაციის საქმიანობას, რომელიც არის კანადის მთავარი ეროვნული მაუწყებელი. ამ აქტის მესამე ნაწილით კანადის სამაუწყებლო კორპორაცია ვალდებულია ასახოს თავის პროგრამებში კანადის საზოგადოების მულტიკულტურული ბუნება.

კანადის რადიო-სატელევიზიო, სატელეკომუნიკაციო კომისია (CRTC) არეგულირებს კანადაში მაუწყებლობის საკითხებს, რომელიც მოიცავს სამაუწყებლო ლიცენზიების გაცემასაც. კანადის რადიო-სატელევიზიო და ტელეკომუნიკაციების კომისიამ უნდა დაიცვას მაუწყებლობის შესახებ აქტის მოთხოვნები, ანუ მაუწყებლობამ უნდა ასახოს კანადის მოსახლეობის მრავალფეროვნება. კომისიამ გასცა 6 ლიცენზია ეთნიკური უმცირესობების სატელევიზიო სადგურებზე და 25 ლიცენზია ეთნიკური უმცირესობების რადიო სადგურებისათვის.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ რადიო, სატელევიზიო, სატელეკომუნიკაციო კომისია შეიქმნა 1968 წელს, ანუ მას შემდეგ რაც გატარდა მაუწყებლობის შესახებ აქტი. 1990-იან წლებამდე ქვეყანაში კულტურული მრავალფეროვნება არ ყოფილა მედია-გაშუქებისათვის მნიშვნელოვანი საკითხი.

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან

1980 წლიდან ქვეყანაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ამ მიმართულებით. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება 1990 წელს განხორციელდა კანადის პოლიციამ, როდესაც გამოსცა ახალი აქტი კანადის პოლიციის ფორმების შესახებ, რომლითაც სიქებს ნება დართო ეტარებინათ თავიანთი ტრადიციული ჩალმები.

კანადის ზოგიერთ მიწაზე იკრძალება ჩალმების ტარება. 2007 წელს კი რამდენიმე ინციდენტს ჰქონდა ადგილი. სწორედ ამ ინციდენტების შემდეგ, როდესაც სპორტული ღონისძიებებისას სპორტსმენები ატარებდნენ ჰიჯაბს, დაწესდა აკრძალვა, რომ სპორტული ღონისძიებებისას სპორტსმენებს აკრძალვოთ ჰიჯაბის ტარება.

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება

მოქალაქეობის შესახებ აქტი არ კრძალავს ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის და ორმაგ მოქალაქეობას. კანადის მოქალაქე, რომელიც მოიპოვებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, აქვს უფლება, რომ შეინარჩუნოს კანადის მოქალაქეობაც. ისევე როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც კანადის მოქალაქეობას მიიღებს არ არის ვალდებული, რომ დათმოს პირვანდელი მოქალაქეობა.

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული
ღონისძიებების მხარდასაჭერად

მულტიკულტურალიზმის ოფიციალური პოლიტიკა, რომელიც 1971 წელს იქნა მიღებული, მოიცავდა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას სპეციალური ფონდების შექმნის დახმარებით, რომლებიც სპეციალურად ეთნიკური ორგანიზაციების საქმიანობის დაფინანსებისათვის იყო მიმართული.

1988 წელს, მას შემდეგ რაც მიღებულ იქნა კანადის მულტიკულტურალიზმის აქტი, სამიზნე შეიცვალა ყველა კანადელის მიმართულებით და აღარ იყო კონკრეტულად მიმართული ეთნიკურ უმცირესობებზე. 1995 წლის მულტიკულტურალიზმის შესახებ პროგრამით კი ეთნიკური უმცირესობების აქტივობების დაფინანსებაზე გამოყოფილი თანხები მიმართული იქნა ინსტიტუციური ცვლილებების დანერგვისაკენ.

მულტიკულტურალიზმის პროგრამა დღესდღეობით აგრძელებს კანადაში ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის მხარდაჭერასა და დაფინანსებას. აპლიკანტები უნდა აკმაყოფილებდნენ სპეციალურ მოთხოვნებს, რათა მოხდეს მათზე დაფინანსების გაცემა. ეს დაფინანსება ასევე გაიცემა ეთნოკულტურულ ჯგუფებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ კანადაში ახალჩამოსულთა დასახლების ხელშეწყობას. ორივე შემთხვევაში დაფინანსება გაიცემა იმ მიზნით, რომ მოხდეს უცმირესობებისათვის სოციალური მომსახურების მიწოდება.

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება

ქვეყანაში ნაწილობრივ ხდება ბილინგვური პროგრამების დაფინანსება, თუმცა განსხვავებებია ცალკეული პროვინციების მიხედვით.

მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ხორციელდება კანადის ოფიციალური ენებისა და აბორიგენული ენების მიმართ. 2009 წელს ფედერალურმა და პროვინციულმა მთავრობებმა ხელი მოაწერეს პროტოკოლს ოფიციალური ენებზე განათლებისა და ეთნიკური უმცირესობებისათვის ოფიციალურ ენებზე პროგრამების მიწოდების შესახებ.

რაც შეეხება სხვა ენებზე განათლების მიღების დაფინანსებას, კანადის მულტიკულტურალიზმის აქტი აცხადებს, რომ კანადის მთავრობა ვალდებულია, რომ დაიცვას და ხელი შეუწყოს ინგლისურისა და ფრანგულის გარდა სხვა ენების გამოყენებას. ზოგადად ქვეყანაში განათლების საკითხი პროვინციულ დონეზე წყდება და თითოეული პროვინციის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხია. ამიტომ სიტუაცია ამ მხრივ თითოეული პროვინციის მიხედვით განსხვავდება. უნდა აღინიშნოს

ისიც, რომ თითქმის ყველა პროვინციაში სკოლების სასწავლო პროგრამები მოიცავს საერთაშორისო ენის კურსებს.

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი კანადის ადამიანის უფლებათა აქტი კრძალავს ყოველგვარ დისკრიმინაციას, რომელიც შეიძლება აღმოცენდეს რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ და ენობრივ ნიადაგზე.

აღსანიშნავია ასევე აქტი დასაქმების თანასწორობის შესახებ, რომელიც იცავს ეთნიკურ უმცირესობებს დასაქმებისას ყოველგვარი უთანასწორობისა და არასამართლიანობისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ კანადის ადამიანის უფლებათა აქტი 1977 წელს იქნა მიღებული, მნიშვნელოვანი ცვლილებები მან მხოლოდ 1990-იან წლებში მოიტანა.

4.3 შვედეთი - 7.0 ქულა

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე

შვედეთის 1974 წლის კონსტიტუცია შედგება ოთხი ნაწილისგან და აქედან ერთ-ერთი ნაწილში ჩამოყალიბებულია პრინციპები, რომლებიც დაკავშირებულია მულტიკულტურალიზმთან. კონსტიტუციის პირველი თავის მესამე მუხლით ყველა საჯარო ინსტიტუტმა ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების თანაბარი პირობებისა და თანასწორუფლებიანობის შექმნას.

კონსტიტუციაში ასევე წერია, რომ საჯარო ინსტიტუტებმა უნდა იბრძოლონ პირთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ეროვნულ, ეთნიკურ, გენდერულ და ლინგვისტურ ნიადაგზე. შესაძლებლობები უნდა მიეცეთ ეთნიკურ, ლინგვისტურ და რელიგიურ უმცირესობებს, რომ დაიცვან და განავითარონ საკუთარი კულტურა.

1975 წელს მიღებული ემიგრანტთა და უმცირესობათა აქტიც უფრო მეტ უფლებებს ანიჭებდა ახლადჩამოსულებს. უფლებებს, რომლებიც დაფუძნებული იყო თანასწორობის, თავისუფლების, კულტურული არჩევანისა და პარტნიორობის თავისუფლების პრინციპებზე. ამ აქტის მიზანი იყო იგივე პირობები და ცხოვრების სტანდარტი შეეთავაზებინა ახლადჩამოსულებისათვის, როგორც ჰქონდათ ადგილობრივებს.

1997 წელს ქვეყანამ მიიღო ინტეგრაციის აქტი. აქტით შეიქმნა ეთნიკური დისკრიმინაციის ომბუცმენის სამსახური.

ქვეყანას არ აქვს სამინისტრო, რომელიც უშუალოდ მულტიკულტურალიზმის საკითხებით იქნება დაკავებული, თუმცა ინტეგრაციისა და გენდერული თანასწორობის სამინისტრო ითავსებს ინტეგრაციისა და ანტი-დისკრიმინაციის საკითხებს. სამინისტროს დებულებაში წერია, რომ მისი მიზანია ყველასათვის თანაბარი პირობების, ვალდებულებების და შესაძლებლობების შექმნა, განურჩევლად ეთნიკური და კულტურული წარმომავლობისა.

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში

ქვეყანაში ხდება ორენოვანი განათლების დაფინანსება. შვედეთის სასკოლო გეგმაში ინტეგრირებულია მულტიკულტურული პრინციპები. გეგმაში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ინტერკულტურალიზმზე და უმცირესობათა ენების სწავლებისა და შენარჩუნების საკითხებზე.

აღსანიშნავია, რომ თითოეულ მუნიციპალიტეტს აქვს პასუხისმგებლობა საკუთარ იურისდიქციაზე და თავად შეუძლია განსაზღვროს სასწავლო პოლიტიკა და პროგრამები. ეს შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა სწავლების მეთოდებს.

3. ეთნიკური წარმომადგენლების ჩართვა მედია ლიცენზირებაში

1996 წელს მიღებულ კანონში მაუწყებლობის შესახებ წერია, რომ ტელევიზიებმა და რადიოებმა შეიძლება აწარმოონ გადმოცემა მთავრობის მიერ გაცემული სპეციალური ლიცენზიის მიღების შემდეგ. ლიცენზია გაიცემა თუკი პროგრამები ასახავს დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ პრინციპებს, რომ ყველა პირი თანასწორუფლებიანია და პიროვნების თავისუფლება და ღირსება არ უნდა იყოს შელახული. ეს აქტი მოიცავს მაუწყებლობის ქარტიასაც, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელს ავალდებულებს ასახოს შვედეთში წარმოდგენილი სხვადასხვა კულტურათა ინტერესები.

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან

2005 წელს შვედეთის სამხედრო სამსახურმა მოხსნა აკრძალვა უნიფორმის ტარებაზე და ნება დართო სამხედრო სამსახურში მომსახურე პირებს თავშლისა წვერის ტარებაზე.

2006 წელს შვედეთის პოლიციამ ასევე თავშლის ტარების ნება დართო პოლიციაში მომუშავე თანამშრომლებს.

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება

2001 წლის შემდეგ შვედეთში დაშვებულია ორმაგი მოქალაქეობა.

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

შვედეთის მთავრობა გამოყოფს გრანტებს იმიგრანტებისა და უმცირესობათა ორგანიზაციების დასაფინანსებლად. ეს მოიცავს სუბსიდიებს ეთნიკური პრესისათვის, ეთნიკური ორგანიზაციებისათვის, ინტეგრაციის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისათვის.

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება

1977-1978 წლების ენის შესახებ კანონში გაწერილია ის ზომები, რომლებიც ქვეყანამ უნდა გაატაროს მშობლიური ენის სწავლების მიმართულებით.

2009 წელს შვედეთში ახალი კანონი იქნა მიღებული ენის შესახებ. მასში წერია, რომ მათ, ვისთვისაც შვედური არ არის მშობლიური ენა, უნდა მიეცეთ საკუთარი ენის შენარჩუნებისა და გამოყენების შესაძლებლობა. ამავ კანონით შვედური არის ქვეყნის ოფიციალური ენა და საჭიროა მისი სწავლების ხელშეწყობა.

ეროვნული სასწავლო გეგმის სახელმძღვანელო პრინციპებში გაწერილია, რომ სკოლები ვალდებული არიან უზრუნველყონ ყველა მოსწავლის მიერ უცხოურ ენაზე კომუნიკაციის სწავლება. ასევე განათლების ეროვნული სააგენტო მშობლიური ენის შესწავლას სავალდებულოდ თვლის ყველა სკოლაში.

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი

2008 წელს შვედეთში მიიღეს ახალი ანტი-დისკრიმინაციული აქტი. ამ ახალმა აქტმა ჩაანაცვლა თანაბარი შესაძლებლობების აქტი. ამ კანონით იკრძალება დისკრიმინაცია, რომელიც შეიძლება აღმოცენდეს გენდერულ, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, ფიზიკური შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე.

კანონი მხოლოდ პირდაპირი და არაპირდაპირი გზით დისკრიმინაციისაგან იცავს მიგრანტებს და უმცირესობებს, მაგრამ მასში არაფერია ნათქვამი არც კვოტირების ან რაიმე სხვა შეღავათების შემოღებაზე.

4.4 ფინეთი - 6.0 ქულა

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე

2003 წლის ფინეთის მთავრობის ეროვნულ პროგრამაში ეწერა, რომ მულტიკულტურალიზმი და სხვადასხვა ენობრივი ჯგუფების საჭიროებები იქნებოდა მთავრობის პოლიტიკის უმთავრესი ნაწილი.

2007 წლის ახალ სამთავრობო პროგრამაში აღნიშნულია, რომ ფინეთი ეკუთვნის ყველას, განურჩევლად მათი საცხოვრებლისა, მშობლიური ენისა და ეთნიკური წარმომავლობისა.

მუნიციპალურ დონეზე ქალაქმა ჰელსინკმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები იმიგრაციის პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით ჯერ კიდევ 1991 წელს. როგორც ჰელსინკის იმიგრაციის პოლიტიკის აქტში ვკითხულობთ, აქტის მიზანია დედაქალაქი გადაიქცეს ნამდვილ საერთაშორისო მულტიკულტურულ ცენტრად, სადაც უცხოელებს ექნებათ თანაბარი უფლებები მუნიციპალურ მომსახურებაზე და ამავდროულად ისინი შეინარჩუნებენ საკუთარ ენასა და კულტურას.

ფინეთის კონსტიტუციის მე-17 მუხლი შეიცავს ჩანაწერს, რომელიც ენისა და კულტურულ უფლებებს ეხება. კონსტიტუცია შვედურსა და ფინურს აღიარებს, როგორც ქვეყნის ორ ოფიციალურ ენას. ასევე ის აცხადებს, რომ სამი და რომას და სხვა ჯგუფებსაც აქვთ საკუთარი ენისა და კულტურის შენარჩუნების უფლება. კონსტიტუციაში არ არის ნახსენები კონკრეტულად იმიგრანტი უმცირესობები. ჩანაწერი „სხვა ჯგუფები“ ღიად ტოვებს საკითხს და შესაძლოა მასზე მრავალი ინტერპრეტაციის გაკეთება.

მიუხედავად იმ ფაქტის, რომ ქვეყანას 2007 წლიდან ჰყავს იმიგრაციის საკითხთა მინისტრი, შინაგან საქმეთა სამინისტრო არის პასუხისმგებელი იმიგრანტთა ინტეგრაციის საკითხებზე. ეთნიკურ საკითხთა მრჩეველთა საბჭო არის შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული ერთ-ერთი სააგენტო. ის მუშაობს, რათა გაუმჯობესდეს ეთნიკური ურთიერთობები, უზრუნველყოფილ იქნეს რეკომენდაციებისა და რჩევების შემუშავება საიმიგრაციო პოლიტიკასთან დაკავშირებით, ხელი შეეწყოს იმიგრანტთა საორგანიზაციო აქტივობებს. სააგენტოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე და 29 წევრი ინიშნება მთავრობის მიერ სამი წლის ვადით. წევრები წარმოადგენენ პროვინციებს, მუნიციპალიტეტებს, დასაქმებისა და ეკონომიკური განვითარების ცენტრებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ბიზნესისა და ინდუსტრიის სექტორს, პოლიტიკურ პარტიებს, იმიგრანტებსა და ეთნიკურ უმცირესობებს.

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში

ეროვნული გეგმის სახელმძღვანელო პრინციპებს ადგენს ფინეთის განათლების ეროვნული საბჭო, რომელსაც საბოლოოდ ახორციელებს ფინეთის განათლების

სამინისტრო. ეროვნულ სასწავლო გეგმაში წერია, რომ მულტიკულტურალიზმი არის უმთავრესი ფასეულობა განათლების სისტემის, თანასწორობის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და მრავალფეროვანი გარემოს დაფასების პრინციპებთან ერთად. მასში ასევე ნათლად არის ხაზგასული ის ფაქტიც, რომ მოსწავლემ უნდა შეძლოს ქვეყანაში არსებული კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და მორგებული უნდა იყოს დღევანდელი მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებს.

3. ეთნიკური წარმომადგენლობების ჩართვა მედია ლიცენზირებაში

1998 წლის სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობის შესახებ აქტში გაწერილია ის პირობები, რომლებიც საჭიროა მედია ლიცენზიების გაცემისათვის. ამ პირობებიდან ერთ-ერთია ის, რომ პროგრამებისა და ზოგადად მედიის მიზანი უნდა იყოს სიტყვის თავისუფლებისა და კულტურული მრავალფეროვნების ასახვა.

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან

ამ საკითხის შესახებ ქვეყანაში ცოტა ინფორმაცია თუ მოიპოვება, თუმცა არ ფიქსირდება მნიშვნელოვანი გამოწვევები ან მოთხოვნები რელიგიური სამოსის აკრძალვებთან დაკავშირებით.

ერთადერთი შემთხვევა, რომელიც ფიქსირდება ამ მიმართულებით, ესაა 2010 წელს ფინეთის ერთ-ერთი ქალაქის რაასეპორის მიერ მიღებული სპეციალური აქტი, რომლითაც იკრძალებოდა რელიგიური სამოსისა და სიმბოლოების ტარება საჯარო სკოლებში. თუმცა საზოგადოების პროტესტის შემდეგ, ფინეთის მთავრობამ აღნიშნული აკრძალვა და აქტი არაკონსტიტუციურად გამოაცხადა და გააუქმა.

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება

ფინეთის მოქალაქეობის შესახებ კანონით, რომელიც 2003 წელს იქნა მიღებული, დაშვებულია ორმაგი მოქალაქეობა.

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

ქვეყნის 2001 წლის ეთნიკური და რასიზმის ნიადაგზე წარმოშობილი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ იმიგრანტებისა და ეთნიკურ უმცირესობათა მხარდამჭერი ორგანიზაციების არსებობის მნიშვნელობა. ამავე სამოქმედო გეგმაში ვკითხულობთ, რომ განათლების სამინისტრომ უნდა შექმნას შესაბამისი პროგრამა, რომელიც ეთნიკურ და იმიგრანტ ჯგუფებს დაეხმარება.

ფინეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო გასცემს გრანტებს ეთნიკურ უმცირესობათა ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მხარს უჭერენ მულტიკულტურალიზმს, იმიგრანტების ინტეგრაციას ხელოვნებისა და კულტურის მეშვეობით.

საგრანტო პროგრამების მიზანი უნდა იყოს იმიგრანტებისა და ეროვნული უმცირესობების მიერ ორგანიზებული იმგვარი კულტურული აქტივობების მხარდაჭერა, რომლებიც წახალისებენ ეთნიკური უმცირესობების იდენტობის შენარჩუნებას ან ეთნიკურ უმცირესობებსა და დომინანტ კულტურას შორის კომუნიკაციის ხელშეწყობას.

2009 წელს ხელოვნების საბჭოს შემადგენლობაში ჩამოყალიბდა მულტიკულტურალიზმის ქვეკომიტეტი, რომელიც გასცემს გრანტებს იმიგრანტი ხელოვანთათვის.

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება

ქვეყანა აქტიურად მიყვება ბილინგვური განათლების პოლიტიკას. მუნიციპალიტეტები ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რათა მშობლიური ენის სწავლება მოხდეს მუნიციპალიტეტების სკოლებში.

ფინეთის განათლების ეროვნული საბჭოს ძირითად მიზნად დასახელებული აქვს იმიგრანტთა მომზადება მეტი ინტეგრაციისათვის, მათი კულტურული იდენტობის დაცვა და ფინურისა და შვედურის გარდა საკუთარი მშობლიური ენის ცოდნის გაუმჯობესება.

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი

ფინეთში არსებობს უმცირესობების უფლებათა დამცველი მრავალი ორგანიზაცია, რომლებიც რასიზმისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრისკენაა მიმართული. თუმცა აქტიური მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი არ ხორციელდება.

მთავრობის სამოქმედო გეგმაში, რომელიც რასიზმისა და ეთნიკურ ნიადაგზე დისკრიმინაციას ეხება, აღნიშნულია, რომ სამინისტროებმა დასაქმების პროცესში უპირატესობა უნდა მიანიჭონ ისეთ კადრს, რომელსაც ექნება ქვეყანაში არსებული ეთნიკური ჯგუფების შესახებ ინფორმაცია, ექნება მულტიკულტურული უნარები და ტოლერანტული დამოკიდებულება უცხო კულტურების წარმომადგენელთა მიმართ. ამავდროულად, ქვეყანაში არსებობს კვოტირების სისტემა. დადგენილია ასევე შესაბამისი რაოდენობის ადგილები შვედურად მოლაპარაკე სამინისტროებში, საუნივერსიტეტო პროგრამებზე და სხვა.

5.5 ახალი ზელანდია - 5.5 ქულა

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე

ვაიტანგის ხელშეკრულება არის ახალი ზელანდიის დამფუძნებელი დოკუმენტი. ის 1840 წელს იქნა ხელმოწერილი ბრიტანელებისა და ახალი ზელანდიის ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის მათორის ხალხის მიერ. დოკუმენტი დაფუძნებულია ბი-კულტურალიზმის პრინციპებზე.

ქვეყანაში იმიგრაციული ტალღების ზრდასთან ერთად, მეტად გამახვილდა ყურადღება მულტიკულტურალიზმის საკითხზე. შესაბამისად, ახალ ზელანდიაში არსებობს სამთავრობო ორგანო - ეთნიკურ საქმეთა სამსახური, რომელიც 2001 წელს ჩამოყალიბდა და გასცემს რეკომენდაციებს ეთნიკურ საკითხებზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ეთნიკური სექტორის გაძლიერებას და ეთნიკური მრავალფეროვნების უპირატესობების გამოყენების შესაძლებლობას ქვეყნის საკეთილდღეოდ. ის ეხმარება არა-ინგლისურად მოსაუბრე მოსახლეობას, რომ ჰქონდეთ კავშირი სამთავრობო სერვისებთან, ხელს უწყობს ინტერკულტურული დიალოგის განვითარებას და გამოყოფს დაფინანსებას ეთნიკური ჯგუფების მხარდაჭერისათვის.

ახალი ზელანდიის კანონებიდან და სტატუტებიდან მხოლოდ ერთ აქტში არის ნახსენები მულტიკულტურალიზმის შესახებ, ესაა 1985 წლის აქტი კანონის აღსრულების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ მულტიკულტურალიზმის ტერმინი აქტიურად გამოიყენება და ქვეყანაში ბევრი რამ კეთდება მულტიკულტურალიზმის კონცეფციის გათვალისწინებით, ის მაინც არ არის განმტკიცებული კონსტიტუციურად და ზოგადად კანონმდებლობით.

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში

ახალი ზელანდიის ეროვნული სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს ვაიტანგის ხელშეკრულების პრინციპების - ქვეყნის ორმაგი კულტურისა და საზოგადოების მულტიკულტურული ბუნების მნიშვნელობის წინ წამოწევასა და დაცვას.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სკოლები ინდივიდუალურად ადგენენ საკუთარ სასწავლო გეგმებს, მულტიკულტურალიზმი არის ყველა სასწავლო პროგრამის ამომავალი წერტილი და ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის განუყოფელი ნაწილი.

3. ეთნიკური წარმომადგენლების ჩართვა მედია ლიცენზირებაში

ქვეყანაში არსებობს სამაუწყებლო კომისია. ესაა დამოუკიდებელი სააგენტო, რომელიც 1989 წელს შეიქმნა და რომელიც ფინანსდება მთავრობის მიერ. კომისიის ძირითადი ფუნქციაა შეამოწმოს ადგილობრივი სამაუწყებლო კომპანიების პროგრამები რამდენად ასახავს საზოგადოების მრავალფეროვნებას და რამდენადაა ზოგადად მოსახლეობის ინტერესებსა და კულტურულ მრავალფეროვნებაზე მორგებული და ორიენტირებული. კომისიის შექმნის მანდატი გაწერილია 1989 წლის ქვეყნის სამაუწყებლო აქტში. აღანიშნავია, რომ ამ აქტით სამაუწყებლო კომპანიები ვალდებულია იღებენ ხელი შეუწყონ ადგილობრივი მაორის კულტურისა და ენის განვითარებას და შენარჩუნებას.

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან
ახალი ზელანდიის სასამართლო დარბაზებში იკრძალება რელიგიური სამოსის ტარება, თუმცა დაშვებულია ე.წ. ჩალმები.

რაც შეეხება ქვეყნის პოლიციას, მათაც აქვთ სპეციალური სამოსი და იკრძალება რელიგიური სამოსის ტარება.

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება

1977 წლის მოქალაქეობის შესახებ აქტში არ არის ჩანაწერი, რომელიც კრძალავს ორმაგ მოქალაქეობას. შესაბამისად თუკი მეორე ქვეყანას თავად არ აქვს დაწესებული რაიმე აკრძალვა, ახალ ზელანდიაში დაშვებულია ორმაგი მოქალაქეობა.

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

2007 წლიდან ქვეყანაში არსებობს სპეციალური სამთავრობო პროგრამა, რომელიც კულტურული მრავალფეროვნების დაცვას და ქვეყანაში არსებული ეთნიკურ და რელიგიურ საზოგადოებებს შორის ურთიერთობის გაძლიერებას ემსახურება.

ახალ ზელანდიაში არის ასევე ეთნიკური თემების განვითარების ფონდი. ფონდი აფინანსებს პროექტებს, რომელიც აერთიანებს მრავალფეროვან თემებს და ხელს უწყობს ჩართულობისა და თემებს შორის მეგობრული ურთიერთობების წახალისებას.

აღსანიშნავია აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი მთავრობისა და თემების დეპარტამენტი, რომელიც გასცემს გრანტებს. ის მხარს უჭერს სხვადასხვა თემებისა და უმცირესობების ორგანიზაციებს.

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება

ახალი ზელანდიის სასწავლო გეგმა მოიცავს ინგლისურის გარდა სხვა უცხო ენების შესწავლის ვალდებულებას. სკოლებმა უნდა შესთავაზონ მოსწავლეებს მეორე ენის

შესწავლა. დღესდღეობით აღნიშნული ენის პროგრამები მოიცავს ჩინურს, ფრანგულს, გერმანულს, იაპონურს, მაორის ენას, ესპანურს, კორეულსა და ინდონეზიურს.

ახალი ზელანდიის მთავრობა ასევე მხარს უჭერს მასწავლებელთა ენისა და გადამზადების კურსებს.

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი

ახალ ზელანდიას არ აქვს გამოიზნულად ჩამოყალიბებული მხარდამჭერი პოლიტიკა ემიგრაციული ჯგუფებისადმი. თუმცა ქვეყანაში საჯარო სექტორს მოეთხოვება დანერგოს თანაბარი დასაქმების შესაძლებლობები. ეს არ გულისხმობს კვოტებს ან უპირატესობის მინიჭების პოლიტიკას. ესაა სამუშაო ადგილებზე და დასაქმებისას დისკრიმინაციის აღმოფხვრა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას რასობრივ, გენდერულ, ეთნიკურ და ასაკობრივ ნიადაგზე.

ქვეყანაში ასევე არსებობს ადამიანის უფლებათა კომისია, რომელიც მუშაობს სამუშაო ადგილებზე აღმოცენებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების აღმოჩენა, შესწავლა და აღმოფხვრაზე.

4.6 დიდი ბრიტანეთი - 5.5 ქულა

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ბრიტანეთი აღიარებს მულტიკულტურალიზმს, როგორც დემოგრაფიულ ფაქტს, ის ფორმალურად არ არის გამყარებული არც კონსტიტუციურ და არც საკანონმდებლო დონეზე. ბრიტანეთში მულტიკულტურალიზმის ტერმინის ნაცვლად იყენებენ ინტეგრაციის ტერმინს.

2001 წელს ქვეყანაში რამდენიმე რასობრივ ნიადაგზე აღმოცენებულ ინციდენტს ჰქონდა ადგილი. ამას მოჰყვა 2005 წლის 7 ივლისის ლონდონი ტერორისტული აქტი. ამავე წელს ბრიტანეთის მთავრობამ წამოიწყო სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავდა რასობრივი თანასწორობისა და სხვადასხვა წარმომავლობის ხალხის დახმარების პროგრამის შექმნას. თუმცა აღნიშნული სტრატეგია დასრულდა 2009 წელს. ამავე წელს მთავრობამ გამოაცხადა ახალი პროგრამის დაწყების შესახებ, რომლითაც უნდა აღმოფხვრილიყო რასობრივი უთანასწორობა.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე სამთავრობო სააგენტოს აქვს მანდატი მულტიკულტურალიზმთან დაკავშირებით, ადგილობრივი თემების დეპარტამენტი

ყველაზე მეტად არის ჩართული ანტი-სოციალური დამოკიდებულებისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამავდროულად 2007 წელს შეიქმნა თანასწორობისა და ადამიანის უფლებათა კომისია, რომლის მიზანია თანასწორობის უზრუნველყოფა.

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში

განათლების სისტემაში მულტიკულტურალიზმის დანერგვის შესახებ საუბარი ბრიტანეთში 1970-იანი წლებიდან მოყოლებული მიმდინარეობს. ეროვნული სასწავლო გეგმების საბჭო, რომელიც 1988 წელს განათლების რეფორმის აქტის შედეგად შეიქმნა და ითხოვდა, რომ მულტიკულტურული განათლება შესულიყო სასკოლო სასწავლო გეგმებში.

აღსანიშნავია, რომ მულტიკულტურალიზმის ცნება არსადაა ნახსენები ქვეყნის ოფიციალურ დოკუმენტებში. დღესდღეობით განათლების მიწოდება და ეროვნული სასწავლო გეგმების შედგენა ადგილობრივი ხელისუფლების პრეროგატივაა და მას ბავშვთა, სკოლებისა და ოჯახების დეპარტამენტი ახორციელებს, რომელიც 2007 წელს შეიქმნა. აღნიშნული დეპარტამენტი ხელმძღვანელობს გეგმით „ნათელი მომავლის შენება“, რომელიც ავალდებულებს სკოლებს, რომ წახალისონ საზოგადოების ერთობა, მრავალფეროვნება, ადამიანის უფლებები და თანასწორობა. ამ გეგმით ნათლად ჩანს, რომ სამოქალაქო განათლება არის სტრატეგიის ცენტრალური ნაწილი.

აღსანიშნავია ასევე რასობრივი ურთიერთობების აქტი, რომელიც მოითხოვს დისკრიმინაციის აღმოფხვრას და თანასწორობის წახალისებას.

3. ეთნიკური წარმომადგენლების ჩართვა მედია ლიცენზირებაში

1980-იან წლებამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა მედიაში ეთნიკური წარმომადგენლების ჩართვას. მხოლოდ მწვავე კრიტიკის პასუხად დაიწყო რამდენიმე ინიციატივის დანერგვა. კერძოდ, ფოკუსი გაკეთდა ჟურნალისტებისა და პროდუსერების ტრენინგებსა და გადამზადებაზე. ასევე მედიის სექტორში უმცირესობათა წარმომადგენლების დასაქმების გაზრდის კუთხით. 1983 წელს რასობრივი თანასწორობის კომისიამ გამოსცა მოხსენება: „ეთნიკური უმცირესობების მაუწყებლობა“, რომელიც ავალდებულებდა სატელევიზიო მაუწყებლებს, რომ უფრო სერიოზულად მიდგომოდნენ მედიის შინაარსის საკითხს, რათა გადაცემებში მეტად ასახულიყო საზოგადოების მულტიეთნიკური და მულტირასობრივი სახე.

დღესდღეობით 2003 წლის კომუნიკაციის აქტი ავალდებულებს კომუნიკაციების ოფისს, რომ მოახდინოს კონტროლი თუ რამდენად ხდება სატელევიზიო არხების მიერ

სხვადასხვა მოქალაქეთა და სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის წევრების ინტერესების ასახვა საკუთარ პროგრამებში. კომუნიკაციების ოფისი ატარებს შესაბამის კვლევებს ამ მიმართულებით.

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან

ბრიტანეთში რელიგიური სამოსის აკრძალვებისგან გათავისუფლებას გრძელი ისტორია აქვს. ეს დაახლოებით 1976 წლის რასობრივი ურთიერთობების აქტის მიღებიდან მოდის, რომელმაც აკრძალა არაპირდაპირი დისკრიმინაცია. შედეგად რამდენიმე შეღავათი მიეცათ მაგალითად სიქებს, რომ მოტოციკლეტის მართვისას ჩაფხუტის ნაცვლად ეტარებინათ თავშალი.

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება

ბრიტანეთში საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე იყო დაშვებული ორმაგი მოქალაქეობა. დღესდღეობით პირი, რომელიც მიიღებს ბრიტანეთის მოქალაქეობას, აქვს უფლება დაიტოვოს მისი პირვანდელი მოქალაქეობაც. ასევე ბრიტანეთის მოქალაქე, რომელიც მიიღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, ის ინარჩუნებს ამავდროულად ბრიტანეთის მოქალაქეობასაც.

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

ეთნიკური ორგანიზაციებისა და მათი აქტივობების დაფინანსება პირველად 1980-იანი წლების შუა პერიოდიდან იქნა ინიცირებული ბრიტანეთის საბჭოს მიერ, რომელმაც გამოყო რესურსი ეთნიკური თემებისათვის. მსგავსი შესაძლებლობები შემცირდა 1990-იან წლებში. 1992 წელს, ეთნიკურ უმცირესობათა საგრანტო პროგრამა შევიდა ძალაში, რომელმაც გამოყო დაფინანსება ეთნიკური ჯგუფებისათვის.

ამავდროულად რასობრივი თანასწორობის კომისიამ გამოყო დაფინანსება ეთნოკულტურული ჯგუფებისათვის, თუმცა პროექტი შეწყდა 2007 წელს, მას შემდეგ, რაც რასობრივი თანასწორობის კომისია გადაკეთდა თანასწორობისა და ადამიანის უფლებათა კომისიად. ახალი კომისიის ძირითადი მიზანია საკანონმდებლო შესაბამისობაზე მუშაობა და ნაკლებად არის ორიენტირებული ეთნო-კულტურული ჯგუფების მხარდაჭერასა და დაფინანსებაზე.

ამჟამად ბრიტანეთის ლატარიის ფონდი, რომელიც 2006 წელს შეიქმნა პარლამენტის მიერ, გამოყოფს დაფინანსებას ეთნიკური ორგანიზაციებისათვის ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული თანხიდან. მრავალი პროექტი იქნა დაფინანსებული ბრიტანეთის ლატარიის ფონდის მიერ. მათ შორის პატარა პროექტებიც,

რომლებიც მოიცავს სხვადასხვა კულტურული აქტივობების წახალისებასა და სკოლების მხარდაჭერას. გრანტის გაცემის კრიტერიუმი არის საკმაოდ ფართო და გრანტის მიღების მსურველ ორგანიზაციებს თხოვს ორიენტირებულნი იყვნენ ძლიერი თემების ჩამოყალიბების ხელშეწყობაზე, აქტიური მოქალაქეების მხარდაჭერაზე.

ამჟამად მიმდინარე პროექტები მოიცავს შემდეგს: პროექტი „Reaching Communities England” გამოყოფს 10, 000 გირვანქა სტერლინგს და მისი კრიტერიუმებია თემებში და თემებს შორის ძლიერი ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, ხალხთა შორის ნდობის ამაღლებას.

შემდეგი პროექტი “Empowering Young People” გასცემს 30,000 დან 50, 000 გირვანქა სტერლინგს. დაფინანსებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, რომ პროექტმა ხელი შეუწყოს სხვა თემების წარმომადგენელ ახალგაზრდებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას. www.biglotteryfund.org.uk

გარდა ზემოაღნიშნული ფონდებისა, ბრიტანეთის მთავრობამ არაერთი გრანტი გამოყო ეთნიკური ჯგუფების მხარდასაჭერად. მაგალითად: 2009 წელს ბრიტანეთის მთავრობამ შექმნა 2 წლიანი პროგრამა რასობრივი უთანასწორობის აღმოფხვრის ფონდი, რომელიც გამოყოფს დაფინანსებას ორგანიზაციებისათვის, რომელთა უშუალო მიზანია რასობრივი უთანასწორობის აღმოფხვრა.

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება

ბრიტანეთის საგანმანათლებლო სისტემაში არ არის ბილინგვური ან მულტილინგვური განათლების პროგრამები. ძირითადი აქცენტი უმცირესობათა მიერ ინგლისური ენის შესწავლის გაძლიერებაზეა გაკეთებული და არა მათ მიერ მშობლიურ ენაზე განათლების მიღებაზე.

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი

ბრიტანეთის პირველი აქტი რასობრივი ურთიერთობების შესახებ მიღებულ იქნა 1965 წელს, თუმცა 1967 წლამდე ის არ ვრცელდებოდა დისკრიმინაციის ორივე, პირდაპირ და არაპირდაპირ ფორმაზე.

1976 წლის აქტი ავალდებულებს ბრიტანეთის მთავრობას, სკოლებსა და პოლიციას, რომ ხელი შეუწყონ რასობრივ თანასწორობას. საჯარო დაწესებულებებმა უნდა აღმოფხვრან უკანონო რასობრივი დისკრიმინაცია, ხელი უნდა შეუწყონ სხვადასხვა რასობრივი ჯგუფების წარმომადგენლებს შორის კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბებას და თანაბარი შესაძლებლობების შექმნას.

4.7 ესპანეთი - 3.5 ქულა

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე

ეროვნულ დონეზე, ანუ კონსტიტუციური აღიარება მულტიკულტურალიზმს ესპანეთში არ აქვს, მაგრამ 2003 წლიდან მოყოლებული მთავრობამ დაიწყო საზოგადოების კულტურული მრავალფეროვნების რეალობის აღიარება და განსაკუთრებული აქცენტი გაამახვილა სოციალურ ინტეგრაციაზე და იმიგრანტებისა და უმცირესობების ჩართულობაზე. ეს ყველაფერი კი სოციალური ჩართულობის შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელდა.

მთავრობის 2008-2010 წლების სოციალური ჩართულობის ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების საფუძველზე შეიქმნა, მიზნად ისახავდა იმიგრანტების გაძლიერებას და სოციალურ ინტეგრაციას.

იმიგრანტების სოციალური ინტეგრაციის სამსახური, რომელიც ფორმალურად 2006 წელს შეიქმნა, მიმაგრებულია დასაქმების სამინისტროს და გასცემს ინფორმაციას და რჩევებს მთავრობისათვის ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2007-2010 წლების მოქალაქეობისა და ინტეგრაციის სტრატეგიული გეგმა აღიარებს ესპანეთს, როგორც იმიგრაციისა და პლურალური საზოგადოების ქვეყნას, სადაც სხვადასხვა წარმომავლობისა და კულტურის იმიგრანტებს შევხვდებით. ამ გეგმაში ინტეგრაცია განიხილება, როგორც ორმხრივი პროცესი, რომელიც ძალისხმევას საჭიროებს, როგორც იმიგრანტების ასევე მასპინძელი ქვეყნის მხრიდან.

2000 წელს ესპანეთის მთავრობამ შექმნა იმიგრაციის სამდივნო, რომელიც მიზნულია სოციალური ქმედებისა და მოქალაქეობის დეპარტამენტს, რომელიც იმიგრაციის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი. 2005 წლიდან მან ასევე შეიმუშავა რეგიონის იმიგრაციისა და მოქალაქეობის სამოქმედო გეგმა.

2009-2012 წლების გეგმა მოწოდებულია წახალისოს იმიგრანტთა ინტეგრაცია და პლურალიზმზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბება.

2008 წელს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობით შეიქმნა მოქალაქეობისა და იმიგრაციის ცენტრი, რომელიც მთავრობისათვის გასცემს რეკომენდაციებს იმიგრაციისა და მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ის შედგება არასამთავრობო ორგანიზაციების, იმიგრანტებისა და უმცირესობების წარმომადგენლებისაგან.

მუნიციპალურ დონეზე 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ქალაქი ბარსელონა აქტიურად მუშაობს ინტერკულტურული ინიციატივების წახალისების მიმართულებით. 1997 წელს ბარსელონამ მიიღო მუნიციპალური გეგმა ინტერკულტურალიზმის შესახებ და იმიგრაციის დღის წესრიგი. 2008 წელს ქალაქმა ახალი გეგმა მიიღო ინტერკულტურალიზმის შესახებ. ბარსელონას ასევე აქვს მუნიციპალური იმიგრაციის საბჭო. ესაა საკონსულტაციო ორგანო, რომელიც შედგება მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. 2008 წელს მუნიციპალურმა იმიგრაციის საბჭომ დაამტკიცა 3 წლიანი იმიგრაციის გეგმა, რომელიც მიზანზე არის პლურალური ქალაქის დაფუძნება. ინტეგრაციის, როგორც საზოგადოების გაერთიანების უმნიშვნელოვანესი საშუალების წახალისება.

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში

2007 წელს მთავრობის მიერ მიღებული სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმაში წერია, რომ მნიშვნელოვანია იმიგრანტებმა ისწავლონ ევროკავშირის ძირითადი ფასეულობები, ესპანეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი ნორმები და ჩვევები, ასევე ქვეყნის ოფიციალური ენები. აქვე ნახსენებია, რომ ამ ყველაფრის მიზანი არის კულტურათაშორისი ურთიერთგაგების ჩამოყალიბება, მრავალფეროვნების დაფასება, იმიგრანტთა კულტურის შენარჩუნება და მხარდაჭერა. გეგმაში ასევე წერია, რომ მთავრობამ უნდა დანერგოს ინტერკულტურული განათლების ელემენტები სკოლებში, რათა მოსწავლეებს ადრეული ასაკიდანვე განუვითარდეთ მრავალფეროვნების დაფასებისა და მათ მიმართ ტოლერანტობის გრძნობა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, განათლების სამინისტრომ ჩამოაყალიბა რესურს ცენტრი, რომელიც ყურადღებას აქცევს განათლების სფეროში კულტურული მრავალფეროვნების იდეის დანერგვის პროცესს. ეს ითვალისწინებს ინფორმაციის გაცემასა და სკოლებში ტრენინგების ჩატარებას კულტურული მრავალფეროვნების შესახებ.

3. ეთნიკური წარმომადგენლების ჩართვა მედია ლიცენზირებაში

უმცირესობათა მედიაში ჩართულობა განსხვავდება რეგიონების მიხედვით. იმიგრაციის ზრდასთან ერთად ესპანეთის მედია ცდილობს გაითვალისწინოს კულტურულად მრავალფეროვანი საზოგადოება და შესაბამისად მათ მოარგოს საკუთარი პროგრამების ნაწილი, რათა გაადვილდეს მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია.

კატალონიის საზოგადოებრივი მაუწყებელი იყო პირველი ესპანეთში, რომელმაც შექმნა მრავალფეროვნების კომიტეტი და წამოიწყო მულტილინგვური სუბტიტრებიანი

პროგრამების გაშვება. ამით საკუთარი პროგრამები მოარგო იმიგრანტების და უმცირესობების ინტერესებს.

მაუწყებლობის შესახებ ქვეყნის კანონში არის ჩანაწერიც, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა პატივი უნდა სცეს ესპანეთის პოლიტიკურ, რელიგიურ, სოციალურ, კულტურულ და ლინგვისტურ მრავალფეროვნებას.

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან თავშლის ტარებაზე ქვეყანაში არანაირი დებატები არ მიმდინარეობს. ყველა რეგიონს აქვს უფლება თავად გადაწყვიტოს აწესებს თუ არა აკრძალვებს რელიგიური სამოსის ტარებაზე. რაც შეეხება ჰიჯაბს, ქვეყანაში იყო რამდენიმე მაგალითი, როდესაც მუსულმანი გოგონები სკოლიდან ჰიჯაბის ტარების გამო გარიცხეს ქვეყნის ზოგიერთი რეგიონის სკოლებიდან.

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება

ზოგადად ესპანეთში არ არის დაშვებული ორმაგი მოქალაქეობა, თუმცა ქვეყნის კონსტიტუციით და სამოქალაქო კოდექსით სახელმწიფოს აქვს უფლება მოლაპარაკება აწარმოოს ორმაგი მოქალაქეობის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებით. ამგვარი შეთანხმება დღესდღეობით ესპანეთს აქვს შემდეგ ქვეყნებთან: არგენტინა, ბოლივია, ჩილე, კოსტა რიკა, დომინიკის რესპუბლიკა, ეკვადორი, გვატემალა, ჰონდურასი, ნიკარაგუა, პარაგვაი, ჩილე, ანდორა, ფილიპინები, ეკვატორული გვინეა და პორტუგალია.

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

2007 წლის სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიული გეგმით, სახელმწიფო ვალდებულია დახმარება გაუწიოს იმიგრანტებს.

რეგიონულ დონეზე, კატალონიის მთავრობა გამოყოფს გრანტებს ადგილობრივი ხელისუფლებისა და ორგანიზაციებისათვის, რათა ამით ხელი შეუწყოს იმიგრანტთა ინტეგრაციას, ინტერკულტურალიზმსა და მრავალფეროვნებას.

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება

მშობლიური ენის სწავლება და დაცვა ესპანეთის მთავრობის გრძელვადიანი მიზანია. 2007 წლის სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ ნაწილში, რომელიც განათლების საკითხებს ეხება წერია, რომ მშობლიური ენისა და კულტურული მრავალფეროვნების დაცვა არის მთავრობის პრიორიტეტი.

2008 წელს ქვეყანაში გატარდა სოციალური ჩართულობის ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც ესპანეთის მთავრობას ავალდებულებს, რომ გააძლიეროს უცხო ენების სკოლაში დაწყებითი კლასებიდანვე. მისი მიზანია აგრეთვე ხელი შეუწყოს შეთანხმებების გაფორმებას ავტონომიურ რეგიონებთან, რათა განვითარდეს ბილინგვური პროგრამები.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული მთავრობა მხარს უჭერს არაბული ენისა და მაროკოული კულტურის შესწავლის პროგრამას. აგრეთვე ქვეყანაში არსებობს პორტუგალიური ენისა და კულტურის შესწავლის პროგრამები. აღნიშნული პროგრამები გარდა ენის შესწავლისა, მოიცავს სხვადასხვა კულტურულ აქტივობებსაც.

2004 წელს კულტურის სამინისტრომ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად წამოიწყო კამპანია მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის შესწავლის განსავითარებლად, რომელიც იმიგრანტებისათვის იყო გათვლილი.

ასევე აღსანიშნავია კატალონიის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები. კერძოდ, კატალონიის მთავრობა ბეჭდავს სახელმძღვანელოებს და მასალებს, რომლებიც ეხმარება იმიგრანტებს ესპანური ენის შესწავლაში.

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი

სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიული გეგმა ავალდებულებს ქვეყანას ებრძოლოს დისკრიმინაციას, შეუქმნას თანაბარი პირობები იმიგრანტებს, მისცეს მათ თანაბარი შესაძლებლობები, ხელი შეუწყოს საზოგადოების მრავალფეროვნებას, ხელი შეუშალოს დასაქმებისას დისკრიმინაცია, რომელიც შეიძლება წარმოიშვას რასობრივ და ეთნიკურ ნიადაგზე.

2003 წელს თანასწორი მოპყრობისა და რასობრივი და ეთნიკური დისკრიმინაციის აღმოფხვრის საბჭო, რომელიც დახმარებას უწევს დისკრიმინაციის მსხვერპლ იმიგრანტებს. ამავე საბჭოს დებულებით, დახმარება უნდა აღმოუჩინონ იმ უმუშევარ პირებს, ვისაც ხელახლა სურთ დასაქმება და დასაქმებისას აწყდებიან სირთულეებს. აღსანიშნავია, რომ საბჭოს დებულება და სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებს კვოტებსა და უპირატესობის მინიჭების პოლიტიკას. დასაქმების ხელშეწყობაში იგულისხმება მათი პროფესიული გადამზადება და მათთვის ტრენინგების ჩატარება.

ესპანეთის კანონი დასაქმების შესახებ უზრუნველყოფს თანასწორუფლებიანობას დასაქმების დროს და კრძალავს ნებისმიერ დისკრიმინაციას, რომელიც შეიძლება აღმოცენდეს რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ ნიადაგზე. აქვე წერია, რომ ნებისმიერი ფორმა, რომელიც ეწინააღმდეგება დისკრიმინაციას და უზრუნველყოფს

თანასწორუფლებიანობას არის სახელმწიფოს მხრიდან დასაშვები, მათ შორის კვოტირების სისტემა.

4.8 ნორვეგია - 3.5 ქულა

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე

ნორვეგიას ოფიციალურად არ მიუღია მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა და ეს ტერმინი იშვიათად გამოიყენება ნორვეგიის პოლიტიკურ წრეებსა და საზოგადოებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის რამდენიმე ოფიციალურ დოკუმენტში ჩამოყალიბებული პრინციპები აშკარად დაკავშირებულია მულტიკულტურალიზმთან.

ბავშვთა უფლებების, თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის სამინისტროში არსებობს ინტეგრაციისა და მრავალფეროვნების დირექტორაი, რომელსაც თავის სამოქმედო გეგმაში უწერია, რომ მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ტოლერანტული და მულტიკულტურული საზოგადოების შექმნას და აქტიურად უნდა იბრძოდოს რასიზმის წინააღმდეგ.

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში

1998 წლის განათლების შესახებ აქტში ვკითხულობთ, რომ განათლების სისტემამ უნდა ასახოს კულტურული მრავალფეროვნება და ორიენტირებული უნდა იყოს ინდივიდის უფლებების პატივისცემაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მასში ამავდროულად არსებობს ჩანაწერი, რომ განათლება დაფუძნებული უნდა იყოს ქრისტიანულ ტრადიციებზე და მის ფუნდამენტურ ფასეულობებზე.

განათლების სამინისტროს 2004 და 2007 წლების სამოქმედო გეგმებში მნიშვნელოვანი აქცენტია გაკეთებული ეთნიკური უმცირესობების განათლებაზე. მასში წერია, რომ მულტიკულტურალიზმი ინტეგრირებული უნდა იყოს სკოლის სასწავლო გეგმაში და სასწავლო მასალამ უნდა ასახოს ქვეყნის მულტიკულტურული რეალობა.

3. ეთნიკური წარმომადგენლების ჩართვა მედია ლიცენზირებაში

1992 წლის აქტი მაუწყებლობის შესახებ და 1997 წლის აქტი მედია მფლობელობის შესახებ, არცერთი არ შეიცავს ჩანაწერს მედიაში ან მედია ლიცენზირების საქმეში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ჩართვის შესახებ.

ქვეყნის პოლიტიკის ნაწილია, რომ რაც შეიძლება მეტად გაიზარდოს სატელევიზიო პროგრამების რაოდენობა ნორვეგიულ ენაზე.

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან საზოგადოებაში ნაკლებად მიმდინარეობს დებატები რელიგიური სამოსის აკრძალვების შესახებ.

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება

ნორვეგიის კანონმდებლობის მიხედვით პირი, ორმელიც მიიღებს ნორვეგიის მოქალაქეობას ვალდებულია დათმოს თავისი პირვანდელი მოქალაქეობა.

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

ნორვეგიის მთავრობა გასცემს გრანტებს იმიგრანტთა ორგანიზაციებისათვის; მათ შორის იმიგრანტთა საზოგადოებაში სრული მონაწილეობისა და თანასწორუფლებიანობის წახალისებისათვის. გრანტები გაიცემა ასევე იმიგრანტთა ორგანიზაციებზე, რომლებიც მუშაობენ დიალოგის, თანამშრომლობისა და მრავალფეროვნების განვითარების მიმართულებით.

2008 წელს მთავრობამ დაიწყო მოხალისე ორგანიზაციების დაფინანსება, რომლებიც გასცემენ ინფორმაციას და უწყვენ დახმარებას ახალ იმიგრანტებს.

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება

1998 წლის განათლების შესახებ აქტით, ყველა მოსწავლეს აქვს თანაბარი უფლება განათლებაზე.

ამავე აქტით საშუალო სკოლებში მოსწავლეებისათვის, რომელთათვისაც ნორვეგიული არ არის მშობლიური ენა აქვთ უფლება მიიღონ განათლება საკუთარ მშობლიურ ენაზე და ჩაირიცხონ სპეციალურ კლასებში. ამავდროულად კი გაიარონ ნორვეგიული ენის კურსები, მანამ სანამ შესაბამის ენის ცოდნის დონეს არ მიაღწევენ, რომ გადავიდნენ ზოგად კლასებში, სადაც სწავლება ნორვეგიულ ენაზე მიმდინარეობს.

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი

2007 წელს ნორვეგიის მთავრობამ მიიღო ახალი პროგრამა ე.წ. კვოტირების შესახებ, რომლითაც იმიგრანტებს, რომელთაც აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია აქვთ უფლება შეიტანონ განაცხადი სხვადასხვა სამინისტროებში გამოცხადებულ ვაკანსიებზე.

4.9 პორტუგალია - 3.5 ქულა

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე

პორტუგალიაში მულტიკულტურალიზმი არ არის კონსტიტუციურად აღიარებული, თუმცა ქვეყნის კანონმდებლობაში ვხვდებით ჩანაწერებს ინტერკულტურალიზმის შესახებ, ასევე ინსტიტუციური ორგანოების აქტებშიც.

2001 წელს პორტუგალიის ხელისუფლებამ მიიღო აქტი სოციო-კულტურული ურთიერთობების შესახებ, რომლის მთავარი მოზანიც ინტერკულტურული დიალოგის ხელშეწყობა, უმცირესობების ჩართულობის გაძლიერება და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის გაძლიერება იყო. ამავე აქტით შეიქმნა მედიატორთა საბჭო. მედიატორები ძირითადად არიან ეთნიკური თემების წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ მოვალეობებს ახორციელებენ სკოლებში, სოციალური მომსახურების სააგენტოებში (მათ შორის იმიგრანტთა მხარდაჭერის ცენტრებში) და სხვა საჯარო დაწესებულებებში.

ინსტიტუციურ დონეზე 1996 წელს შექმნა ეთნიკურ უმცირესობათა და იმიგრანტთა უმაღლესი კომისრის პოსტი. 2003 წელს ის გადაკეთდა უმაღლეს საბჭოდ და მისი მოვალეობები გაფართოვდა. 2007 წელს მას სახელი კიდევ გადაერქვა და ეწოდა იმიგრაციისა და ინტერკულტურული დიალოგის უმაღლესი საბჭო. დღესდღეობით საბჭო პასუხისმგებელია იმიგრანტთა ინტეგრაციაზე და ოპერირებს სხვადასხვა იმიგრანტთა მხარდაჭერის ეროვნულ ცენტრებში. ეს მხარდაჭერი ცენტრები მოქმედებენ ე.წ. „ერთი ფანჯრის“ პრინციპით და აწვდიან სხვადასხვა მომსახურებას ახლად ჩამოსულებს. ეს მოიცავს განათლებასთან, ჯანდაცვასთან, ბანკებთან, დასაქმების ბაზართან და მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

იმიგრაციისა და ინტერკულტურული დიალოგის უმაღლესი საბჭო მუშაობს რასიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ და თანამშრომლობს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და იმიგრაციის ასოციაციებთან.

1998 წელს ქვეყანაში ასევე შეიქმნა იმიგრაციის საკითხთა საკონსულტაციო კომიტეტი. 2002 წელს შეიქმნა მისი სტრუქტურა და გახდა უფრო მეტად სამთავრობო სააგენტო. დღესდღეობით სააგენტო მუშაობს მთავრობას, იმიგრანტთა და ეთნიკურ უმცირესობათა ორგანიზაციებს შორის კონსულტაციისა და დიალოგის გაძლიერებაზე. საბჭო აგრეთვე აქვეყნებს განცხადებებს, რომლებიც დაკავშირებულია იმიგრანტთა უფლებებთან და მათ ინტეგრაციასთან.

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში პორტუგალიის კონსტიტუცია შეიცავს ჩანაწერს სკოლებში თანასწორობისა და კულტურულ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით. კონსტიტუციის 73-ე უხლში წერია,

რომ ყველას აქვს განათლების მიღების უფლება და სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს განათლების დემოკრატიზაციას და ისეთი პირობების შექმნას, რომელიც განათლების მიღებისათვის თანაბარ პირობებს შეუქმნის ყველას. სახელმწიფო ვალდებულის განუვითაროს ინდივიდებს ტოლერანტობის გრძნობა, სოლიდარობა და ურთიერთგაგება.

1991 წელს პორტუგალიის მთავრობამ შექმნა მულტიკულტურული განათლების პროგრამების საკოორდინაციო ოფისი, 2001 წელს ის ჩანაცვლებულ იქნა კულტურათათმორისი ოფისის მიერ.

2001 წლიდან ინტერკულტურული სასწავლო გეგმა და საგანმანათლებლო პროგრამები შეიქმნა და დაინერგა სკოლებში. შესაბამისად კულტურათათმორისი ოფისი განათლების სამინისტროს დაქვემდებარებიდან გადავიდა იმიგრაციისა და ეთნიკური უმცირესობების უმაღლესი კომისრის დაქვემდებარებაში.

3. ეთნიკური წარმომადგენლების ჩართვა მედია ლიცენზირებაში

2007 წელს პორტუგალიაში მიიღეს ახალი კანონი მაუწყებლობის შესახებ, რომელშიც რამდენჯერმე იქნა ცვლილებები შეტანილი. კანონი პირდაპირ არ ახსენებს ეთნიკურ ან კულტურულ უმცირესობებს, თუმცა მე-6 მუხლში წერია, რომ სახელმწიფო, საჯარო სატელევიზიო კომპანიები და სატელევიზიო ოპერატორები შეთანხმებულად უნდა მოქმედებდნენ, რათა მიღწეულ იქნას ადამიანის ღირსების დაცვა, კანონის უზენაესობა, დემოკრატიული საზოგადოების განვითარება და პორტუგალიური ენისა და კულტურის წახალისება. მათ უნდა გაითვალისწინონ აგრეთვე მაყურებელთა მრავალფეროვნება.

ამავე კანონში წერია, რომ სატელევიზიო პროგრამების მიზნები უნდა იყოს საზოგადოების ინფორმირება, განათლება და გართობა. პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ მიუკერძოებელი ინფორმაციის გამუქება და ხელი უნდა შეუწყონ პორტუგალიური კულტურის განვითარებას. აქვე ნახსენებია, რომ არაპორტუგალიური პროგრამების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 25%-ს.

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან პორტუგალიის კანონმდებლობა კრძალავს დისკრიმინაციას რასობრივ და ეთნიკურ ნიადაგზე, თუმცა კანონებში არ არის ჩანაწერი, რომელიც აუკრძალავს საჯარო სამსახურებს რაიმე შეზღუდვები დააწესონ რელიგიური სამოსისა და სიმბოლოების ტარებაზე. შესაბამისად, დამსაქმებლებს აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება.

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება

1981 წელს მიღებული კანონის თანახმად მოქალაქე თუ მიიღებდა უცხო ქვეყნის მოქალაქეობას ავტომატურად კარგავდა პორტუგალიის მოქალაქეობას.

2006 წელს პორტუგალიამ მიიღო ახალი კანონი მოქალაქეობის შესახებ. ახალი კანონით გაფართოვდა პორტუგალიის მოქალაქეობის მიღების წესი. კერძოდ, ე.წ. მესამე-თაობის მიგრანტებს ნება მიეცა პორტუგალიის მოქალაქეობის მოპოვების (მესამე თაობის მიგრანტებში იგულისხმება ის პირები, რომლებიც დაიბადნენ პორტუგალიაში და რომლის ერთ-ერთი მშობელი მაინც პორტუგალიაში იყო ასევე დაბადებული, მაგრამ არ არის ეროვნებით პორტუგალიელი).

დღესდღეობით პორტუგალიაში დაშვებულია ორმაგი მოქალაქეობა, მაგრამ ნატურალიზაცია არის საკმაოდ რთული და დაწესებულია ძალიან მკაცრი შეზღუდვები.

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

2000 წლიდან მოყოლებული პორტუგალიაში საგრძნობლად გაიზარდა იმიგრანტთა და ეთნიკურ უმცირესობათა ასოციაციების რიცხვი. ეს ყველაფერი კი ახალი დაფინანსების ინიციატივების მიღებამ გამოიწვია. კერძოდ, ასოციაციებს აქვთ შესაძლებლობა გააკეთონ საგრანტო განაცხადი ტექნიკური მხარდაჭერის შესახებ.

ქვეყანაში არსებობს რამდენიმე პროგრამა, რომელიც გასცემს დაფინანსებას და ხარს უჭერს იმიგრანტებს დასაქმების პროცესში.

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება

2000 წელს პორტუგალიის იმიგრაციის კანონებში რამდენიმე ცვლილება შევიდა. სკოლებში იმიგრანტი ბავშვების ზრდის შესაბამისად შეიქმნა სპეციალური კლასები, სადაც პორტუგალიურ ენას ასწავლიან.

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი პორტუგალიის კანონმდებლობა კრძალავს დისკრიმინაციას რასობრივ, ეროვნულ ეთნიკურ ნიადაგზე.

2003 წელს მიღებული შრომის კოდექსი იცავს ინდივიდებს პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციისაგან, რომელიც შეიძლება აღმოცენდეს ეთნიკურ, ეროვნულ რასობრივ, გენდერულ, რელიგიურ, პოლიტიკურ, ოჯახური მდგომარეობის, პიროვნების შესაძლებლობების ნიადაგზე.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ იგივე კოდექსი მოუწოდებს მთავრობას, რომ შეიქმნას ე.წ. საშელავათო პოლიტიკა იმიგრანტთათვის, თუკი ეს არსებული უთანასწორობას აღმოფხვრის საზოგადოებაში.

4.10 ამერიკის შეერთებული შტატები - 3.5 ქულა

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე

ამერიკის შეერთებული შტატები ოფიციალურად არ ცნობს მულტიკულტურალიზმის პოლიტიკას, თუმცა ქვეყანაში არის საზოგადოებრივი სამართლიანობის ურთიერთობათა სამსახური, რომელიც თამაშობს ე.წ. „მშვიდობისმყოფელის“ როლს თმებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტების და რასობრივ და ეორვნულ ნიადაგზე წარმოშობილი დაპირისპირებების საწინააღმდეგოდ. აღნიშნული სამსახური შეიქმნა 1964 წელს სამოქალაქო უფლებათა აქტის შედეგად. ესაა ერთადერთი ფედერალური სააგენტო ქვეყანაში, რომელიც მოუწოდებს სამთავრობო, კერძო თუ საჯარო ორგანიზაციებს რასობრივი და ეთნიკური დაპირისპირებების აღმოსაფხვრელად. აღნიშნული სამსახური პირდაპირი ფუნქცია არ არის მულტიკულტურალიზმის წახალისება.

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში

მულტიკულტურული პრინციპები შტატების უმეტესობის სასკოლო სასწავლო გეგმებში არის ასახული. განსაკუთრებით კი იმ შტატებში, რომლებიც მოსახლეობის მრავალფეროვნებითა და იმიგრანტების დიდი რაოდენობით გამოირჩევიან.

ფედერალურ დონეზე არ არის გამოხატული მხარდაჭერა

მულტიკულტურალიზმის პრინციპების მიმართ საგანმანათლებლო სისტემაში დანერგვის მიმართულებით. ამერიკის განათლების დეპარტამენტს აქვს პასუხისმგებლობათა სია, რომელშიც ერთ-ერთია დისკრიმინაციის აღმოფხვრა და განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა. თუმცა ეს სახელმძღვანელო პრინციპი ძირითადად სამოქალაქო უფლებებსა და რასობრივ, ასაკობრივ, შესაძლებლობათა და გენდერულ საფუძველზე წარმოშობილი დისკრიმინაციის აღმოფხვრას გულისხმობს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მიმართულებით ქვეყანაში ძირითადი აქცენტი კეთდება სასკოლო სასწავლო გეგმაზე და არა მასწავლებელთა გადამზადებასა და ტრენინგებზე, რომელთაც უნდა დანერგონ მულტიკულტურალიზმის კონცეფციაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამები სკოლებში.

3. ეთნიკური წარმომადგენლების ჩართვა მედია ლიცენზირებაში

1967 წლის საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ აქტში წერია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიზანი უნდა იყოს სხვადასხვა პროგრამების შექმნა,

რომლებიც ასახავენ სხვადასხვა ჯგუფების, მათ შორის ბავშვებისა და უმცირესობების ინტერესებს.

აღსანიშნავია აგრეთვე 1988 წლის საჯარო ტელეკომუნიკაციების აქტი, რომელშიც ასევე ხაზგასმულია მრავალფეროვანი პროგრამების არსებობის საჭიროება, რომლებიც მიმართულნი იქნებიან კულტურული მრავალფეროვნების ასახვაზე.

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან

1984 წლამდე აშშ-ის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები ნებას რთავდნენ სიქებს, რომ ეტარებინათ თავშალი და გრძელი წვერი, თუმცა აღნიშნული გაუქმებულ იქნა 2009 წელს. აქვე 1986 წელს აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში რელიგიური სამოსის გამოყენებას იმ შემთხვევაში თუკი ისინი სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებაში არ შეუშლიდა ჯარისკაცებს ხელს.

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება

აშშ-ის შეერთებული შტატების მოქალაქეებს შესაძლოა ქონდეთ პარალელურად სხვა ქვეყნის მოქალაქეობაც, თუმცა კანონში არ არის ჩანაწერი ორმაგი მოქალაქეობის შესახებ. აშშ-ის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ მთავრობა ცნობს ორმაგი მოქალაქეობის არსებობას, თუმცა ხელს არ უწყობს მისი, როგორც პოლიტიკის დანერგვას, რადგან ის უამრავ გამოწვევასთან არის დაკავშირებული. აქვე დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ უცხოური მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში თუკი ეს საკუთარი სურვილით ხდება, შესაძლოა ამან გამოიწვიოს პირის მიერ აშშ-ის მოქალაქეობის დაკარგვა.

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული

ღონისძიებების მხარდასაჭერად

ქვეყანაში არ ხდება უმცირესობათა ან ეთნიკური ორგანიზაციების დაფინანსება. აშშ-ში არის რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ცნობილი არიან, როგორც ორმხრივი მხარდაჭერის ასოციაციები. მათ სახელმწიფო აძლევს დაფინანსებას ლტოლვილთა მხარდასაჭერად. თუმცა აღნიშნული ასოციაციები ინტეგრაციის მხარდაჭერაზე არიან ორიენტირებულნი და არა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობაზე.

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება

ნიუ-იორკის შტატში 1969 წლიდან ფუნქციონირებს ბილინგვური განათლებისა და უცხო ენების შესწავლის ოფისი, რომლის მანდატია სკოლებისა და საგნმანათლებლო

ინსტიტუტების მხარდაჭერის უზრუნველყოფა მეორე ენის შესწავლის მიმართულებით. სკოლებმა უნდა გამოავლინონ ინგლისური ენის ნაკლებად მცოდნე მოსწავლეები და მიიღონ შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მოსწავლეების მიერ ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებას. ინგლისური ენის შესწავლის პროგრამები ფინანსდება ადგილობრივი მთავრობების ბიუჯეტიდან.

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი ამერიკის შეერთებული შტატების დასაქმების დეპარტამენტის მიხედვით, ქვეყანაში უნდა არსებობდეს მსგავსი მხარდაჭერი პროგრამები, რომლებიც დაეხმარება უმცირესობებს დასაქმების პროცესში. აღნიშნული პროგრამები შეიძლება მოიცავდეს მენტორობას, ტრენინგებსა და გადამზადების კურსებს.

აღსანიშნავია აგრეთვე 1964 წლის სამოქალაქო უფლებათა აქტი, რომელიც უკრძალავს დამსაქმებლებს დასაქმებისას დისკრიმინაციას რასობრივ, გენდერულ რელიგიურ, ეროვნულ და ეთნიკურ ნიადაგზე.

4.11 ირლანდია - 3.0 ქულა

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე

ირლანდიამ არცთუ ისე დიდი ხანია რაც ე.წ. იმიგრაციის ქვეყნად აღიარა თავი, შესაბამისად ამ მიმართულებით განხორციელებული პოლიტიკაც არ არის დიდად გამოხატული.

1999 წელს ირლანდიის მთავრობამ გამოსცა მოხსენება თემაზე: „ინტეგრაცია-ორმხრივი პროცესი“. ეს მოხსენება ეხებოდა მხოლოდ ლტოლვილებს, მაგრამ ქვეყანაში პირველი ოფიციალური განცხადება იყო ინტეგრაციის პოლიტიკის შესახებ. მასში ეწერა, რომ ინტეგრაცია ესაა შესაძლებლობა, როდესაც პიროვნებას აქვს შესაძლებლობა თავისი სურვილის შემთხვევაში იღებდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას იმ დოზით რა დოზითაც თავად თვლის საჭიროდ და ამავდროულად ინარჩუნებს საკუთარ კულტურულ იდენტობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2010 წლამდე ქვეყანას არ ჰქონდა ოფიციალური ინტეგრაციის პოლიტიკა. დღესდღეობით კი ირლანდიას აქვს მიგრანტთა ინტეგრაციის სტრატეგია 2020. სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ ირლანდიის საზოგადოება დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, შესაბამისად მთავრობა ვალდებულია ხელი შეუწყოს

მიგრანტების ინტეგრაციის პროცესს. ინტეგრაციის წარმატებით განხორციელებისათვის კი გამოყოფილია რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზანი, კერძოდ: სპორტული ღონისძიებების ჩატარება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ჩართულობით, რელიგიური და კულტურული ორგანიზაციების დაფუძნება რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ინტეგრაციის პროცესს.

ქვეყანას აქვს მოქალაქეთა უფლებების დაცვის სამინისტრო და ასევე მიგრანტთა ინტეგრაციის ხელშეწყობის სამსახური, რომლის ძირითადი ფუნქციებია სამთავრობო დეპარტამენტების, სააგენტოებისა და სამსახურების მიერ გატარებული მიგრანტთა ინტეგრაციის პოლიტიკის კოორდინაცია.

მიგრანტთა ინტეგრაციის ხელშეწყობის სამსახურს აქვს შესაბამისი მიგრანტთა ინტეგრაციის სტრატეგიის მონიტორინგის კომიტეტი და ასევე ის მუშაობს რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტზე, კერძოდ: ირლანდიელ ლტოლვილთა დაცვის პროგრამასა და რასიზმისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის პროგრამაზე.

მუნიციპალურ დონეზე აღსანიშნავია, რომ ქალაქმა დუბლინმა 2000 წელს შექმნა ინტეგრაციის სამსახური, რომელმაც შეიმუშავა ინტეგრაციისა და ინტერკულტურალიზმის პოლიტიკა. მათ შორის ინტეგრაციის ქარტია. პროგრამები მოიცავს თანასწორობისა და მრავალფეროვნების შესახებ ტრენინგებს, ენის კურსებს, კულტურული ღონისძიებების აღნიშვნებს და სხვა. ინტეგრაციის სამსახურმა ასევე დახმარება გაუწია მიგრანტებსა და კულტურულ ჯგუფებს საკუთარი კულტურული პროექტების განხორციელებაში.

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში

2008 წელს დაიწყო კონსულტაციები ეროვნული ინტერკულტურული განათლების სტრატეგიის შემუშავების თაობაზე.

აღნიშნული სტრატეგიით გაწერილია ის მიზნები, რომლებსაც ქვეყანამ უნდა მიაღწიოს ინტერკულტურული განათლების სისტემის დანერგვის მიმართულებით. აღნიშნული სტრატეგიით 100 მილიონი ევრო არის გამოყოფილი იმისათვის, რომ მოხდეს ინგლისურის, როგორც მეორე ენის შესწავლა საშუალო სკოლებში. დამატებით 10 მილიონი ევრო კი გამოყოფილია უშუალოდ მიგრანტი ბავშვებისათვის ინგლისურის ენის შესწავლის მიმართულებით.

აღსანიშნავია ასევე 1998 წლის აქტი განათლების შესახებ, რომელშიც წერია, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს განათლების მიწოდება კულტურული მრავალფეროვნების, ენის, ფასეულობებისა და ტრადიციების გათვალისწინებით.

3. ეთნიკური წარმომადგენლების ჩართვა მედია ლიცენზირებაში

2009 წელს ქვეყანამ მიიღო ახალი კანონი მაუწყებლობის შესახებ, რომელიც ორიენტირებულია ასახოს მსმენელთა და მაყურებელთა მოთხოვნები, მათი ტრადიციები, რელიგია, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება.

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან აქტი დასაქმების თანასწორობის შესახებ იცავს ყველა ინდივიდს დისკრიმინაციისაგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას რასობრივ, ეროვნულ ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე. ჰიჯაბის ტარების აკრძალვის მოთხოვნით ქვეყანაში ზოგიერთი მემარჯვენე პარტია გამოდის, თუმცა არცერთ საჯარო სკოლაში და დაწესებულებაში არ იკრძალება მისი ტარება.

2007 წელს ირლანდიის პოლიციამ მოსთხოვა თავიანთ ოფიცრებს თავშლის ნაცვლად გამოეყენებინათ პოლიციის ოფიცერთა სტანდარტული ჩაფხუტი და ეს აკრძალვა დღემდე გრძელდება.

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება

ქვეყანა ნებას რთავს უცხოელ მოქალაქეებს, რომ მოხდეს მათი ნატურალიზაცია და ამავდროულად შეინარჩუნონ თავდაპირველი მოქალაქეობა.

2005 წლამდე ირლანდიაში დაბადებული ბავშვი ავტომატურად იღებდა ირლანდიის მოქალაქეობას. თუმცა ეს წესი 2005 წლიდან შეიცვალა და ახალი კანონით ირლანდიაში დაბადებული ბავშვი ხდება ირლანდიის მოქალაქე, თუკი მისი ერთ-ერთი მშობელი მინც არის ირლანდიის მოქალაქე, ანუ თუკი უცხოელები არიან, მაგრამ მათი ირლანდიაში ცხოვრების პერიოდი ბავშვის დაბადების მომენტისათვის არ არის სამ წელზე ნაკლები.

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

2008 წლამდე ეთნიკური ორგანიზაციებისა და აქტივობების დაფინანსებას რასიზმისა და ინტერკულტურალიზმის ეროვნული საკონსულტაციო კომიტეტი ახორციელებდა. მისი დაშლის შემდეგ ეს ფუნქცია შეითავსა ინტეგრაციის სამინისტრომ, თუმცა დაფინანსების ბიუჯეტი შემცირდა 26%-ით.

2008 წლიდან მოყოლებული ინტეგრაციის სამინისტრომ გამოყო თანხები ადგილობრივი მთავრობებისათვის, რათა მათ თავის მხრივ დაეფინანსებინათ ადგილობრივი ეთნიკური და უმცირესობათა ორგანიზაციები.

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება

ირლანდიაში ბილინგვური განათლება არ არის სასწავლო განრიგში გათვალისწინებული, ასევე არ ხდება უმცირესობებისათვის მშობლიური ენის შესწავლა.

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი

1998-2004 წლების დასაქმების თანასწორობის აქტითა და 2000-2004 წლების თანაბარი სტატუსის შესახებ აქტით იკრძალება დისკრიმინაცია რელიგიურ, რასობრივ, ეროვნული და ეთნიკური წარმომავლობის ნიადაგზე.

4.12 გერმანია - 2.5 ქულა

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე

2005 წელს გერმანიაში მიიღეს ახალი აქტი იმიგრაციის შესახებ, რომელიც მოიცავდა ინტეგრაციის პოლიტიკას. გერმანიაში არია ორგვარი მიდგომა მიგრაციის საკითხების მიმართ, ნაწილი მიგრანტებისა განხილულია ქვეყანაში ინტეგრაციისათვის, ხოლო ნაწილი სამშობლოში დაბრუნების პერსპექტივით.

2005 წელს გერმანიაში მიიღეს ახალი კანონი იმიგრაციის შესახებ, თუმცა ეროვნულ დონეზე მას არასდროს მოიხსენიებდნენ, როგორც მულტიკულტურალიზმის პოლიტიკას. მიგრაციისა და ლტოლვილთა ფედერალური ოფისი არის დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ არის პასუხისმგებელი იმიგრაციისა და ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე.

მთავრობას ვალდებულება იმიგრანტების ინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებით 2004 წელს მიღებული ბინადრობის შესახებ აქტით აქვს აღებული. მასში წერია, რომ ინტეგრაცია არის ორმაგი პასუხისმგებლობა, როგორც სახელმწიფოსი, ასევე თავად იმიგრანტების. უცხოელებმა უნდა ისწავლონ გერმანიაში იმდენი, რომ შეძლონ დახმარების გარეშე ცხოვრება. ამ ყველაფერში კი სახელმწიფო უნდა დაეხმაროს მათ სხვადასხვა ინტეგრაციის კურსებისა და პროგრამების შეთავაზებით.

ზემოხსენებული აქტი ასევე მოითხოვს, რომ მთავრობამ შეიმუშაოს ინტეგრაციის გეგმა. შესაბამისად, 2007 წელს გერმანიის მთავრობამ გამოაქვეყნა ეროვნული ინტეგრაციის გეგმა. გეგმაში არის რამდენიმე პრინციპი, რომელიც მულტიკულტურალიზმის კონცეფციასთან შეგვიძლია დავაკავშიროთ, თუმცა პირდაპირ არსად არაა მასში ნახსენები მულტიკულტურალიზმის ცნება. ეროვნული ინტეგრაციის გეგმაშიც წერია, რომ ინტეგრაცია არის კომბინაცია, სადაც მთავრობის გარდა

მიგრანტების სურვილი არის უმნიშვნელოვანესი. სწორედ მიგრანტების სურვილზე, რომ მოხდეს მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია უპირობოდ მიიღონ ქვეყანაში არსებული სამართლებრივი სისტემა და ისწავლონ გერმანული ენა წარმოადგენს ინტეგრაციის პროცესის წარმატების ფორმულას.

გარდა ზემოხსენებულისა, ინტეგრაციის გეგმა ითვალისწინებს მთავრობის მიერ დაფინანსების გამოყოფას მუნიციპალური მთავრობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რათა მათ შეძლონ ინტეგრაციის პროგრამების განხორციელება. ზოგიერთი გერმანული ქალაქი ძალიან აქტიურად იყო ამ მიმართულებით. მათ გახსნეს მულტიკულტურულ საქმეთა ოფისები, მაგალითად ქალაქმა ფრანკფურტმა. ეს ქალაქი ერთადერთი გერმანული ქალაქია, რომელიც იყენებს ტერმინს „მულტიკულტურალიზმი“.

ქალაქ შტუტგარტსაც აქვს მუნიციპალური ინტეგრაციის დეპარტამენტი, რომელსაც 13 წევრი ჰყავს ქალაქის საბჭოდან და 12 წევრი სამოქალაქო სექტორიდან.

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში

1996 წელს განათლებისა და კულტურულ საქმეთა მუდმივმოქმედმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია ინტერკულტურული განათლების შესახებ. არნიშნული რეზოლუცია ინტერკულტურული განათლებას უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევდა უმცირესობებისა და იმიგრანტების ადგილობრივ კულტურასთან ინტეგრაციის პროცესში.

ზოგიერთი იდეა ამ რეზოლუციიდან გათვალისწინებულ იქნა 2007 წელს მიღებულ ეროვნული ინტეგრაციის გეგმაში, თუმცა მათავარი ფოკუსი მაინც არ იყო გაკეთებული მულტიკულტურალიზმზე და ინტეგრაციაზე.

3. ეთნიკური წარმომადგენლების ჩართვა მედია ლიცენზირებაში

1991 წელს მიღებული სამაუწყებლო აქტი კრძალავს მედიაში ყოველგვარ პროგრამას, რომელიც შეიცავს სიძულვილის სეგმენტს ეროვნული, რასობრივი, რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების მიმართ.

2007 წლის ეროვნული ინტეგრაციის გეგმაში წერია, რომ საგამომცემლო დაწესებულებებმა მნიშვნელოვნად უნდა ჩართონ უცხოელი ჟურნალისტები თავიანთ საქმიანობაში.

გერმანიის ბევრი დიდი ქალაქი მაუწყებლობას ახორციელებს რამდენიმე უცხოურ ენაზე. ეროვნული სამაუწყებლო კომპანია კი მოსახლეობას სთავაზობს რამდენიმე პროგრამას, რომელიც უშუალოდ ეთნიკურ უმცირესობებს ეხებათ.

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან

2003 წელს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც მუსულმან ქალებს მიეცათ ჰიჯაბის ტარების უფლება.

გერმანიაში თითოეულ მიწას თავად აქვს უფლება დააწესოს შეზღუდვები რელიგიური სამოსის ტარებაზე. შესაბამისად ქვეყანაში სხვადასხვა სიტუაციაა ამ მიმართულებით. თითოეულმა ადგილობრივმა მთავრობამ საკუთარი წესები შემოიღო და უმრავლესობამ აუკრძალა მუსულმან მასწავლებლებს ჰიჯაბის ტარება სკოლებში.

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება

2000 წელს გერმანიამ მოახდინა მოქალაქეობის პოლიტიკის ლიბერალიზაცია, რომლითაც მოქალაქეობის მინიჭება ხდება დაბადებით და არა წარმოშობის მიხედვით. თუმცა ნატურალიზაციის მოთხოვნები ამავდროულად უფრო რთული აღმოჩნდა, რაც მოიცავდა გერმანული ენის ტესტის ჩაბარებას, ქვეყნის კულტურისა და ფასეულობების ცოდნის დემონსტრირებას, ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობას აღიარებას. ასევე პირი ვალდებულია დათმოს თავისი პირვანდელი მოქალაქეობა. 2005 წელს გერმანიაში საბოლოოდ აიკრძალა ორმაგი მოქალაქეობის მინიჭება.

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

სოციალური პროგრამების მიწოდებისას გერმანია იყენებს ე.წ. სუბსიდიის პრინციპს, რომელშიც ასოციაციები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს. ამასთან ერთად, იმიგრანტთა ასოციაციები, ძირითადად თურქული წარმოშობის კიდევ უფრო აქტიურები ხდებიან. ისინი იღებენ დაფინანსებას, რათა უზრუნველყონ სახელმწიფო ინტეგრაციის პროგრამები.

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება

გერმანიის ინტეგრაციის პოლიტიკაში უდიდესი ადგილი უჭირავს გერმანული ენის შესწავლას. ახალი იმიგრანტებისათვის დაახლოებით 600-900 საათიანი გერმანული ენის კურსებია შეთავაზებული. ეს კურსები ნაწილობრივ ფინანსდება მთავრობის მიერ, მაგრამ თავად იმიგრანტებმაც უნდა გაიღონ ხარჯის გარკვეული ნაწილი.

გერმანიაში 2005 წლამდე ჩამოსულ იმიგრანტებს არ აქვთ უფლება ისარგებლონ ამ კურსებით, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ კურსებზე დარჩა ადგილი ან ეს იმიგრანტები არიან უმუშევრები, მათ შეუძლიათ გააკეთონ განაცხადი.

გერმანიის სკოლებში მოსწავლეებს ყოფენ ჯგუფებად იმის და მიხედვით თუ ვისთვის არის გერმანული მშობლიური ენა და პირიქით. არაგერმანულენოვანი

მოსწავლეები სხვა ჯგუფებში ხვდებიან, რომელთაც გაკვეთილებს იმიგრანტი მასწავლებლები უტარებენ თავიანთ მშობლიურ ენებზე. ეს ჯგუფები არის მოსამზადებელი იმისათვის, რომ მოსწავლემ უკეთ აითვისოს გერმანული ენა და საბოლოოდ გადავიდეს მეორე ჯგუფში, სადაც გერმანულენოვანი მოსწავლეები სწავლობენ.

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი

გერმანიის აქტი თანასწორობის შესახებ 2006 წლის აგვისტოში შევიდა ძალაში. როგორც ევროპის ყველა ქვეყანაში არსებული ყველა მსგავსი აქტი, ისიც იცავს დასაქმების მამიებლებს რასობრივი, ეთნიკური, ეროვნული და რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი დისკრიმინაციისაგან.

აღსანიშნავია, რომ პოზიტიური ქმედებები და გარკვეული შეღავათები ქვეყანაში ვრცელდება მხოლოდ ქალებზე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, სხვა ჯგუფებზე ამგვარი შეღავათები არ ვრცელდება.

4.13 საბერძნეთი - 2.5 ქულა

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე

ქვეყნის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს მიგრანტებს ინტეგრაციაში. საბერძნეთის ენის, კულტურის, ისტორიისა და ტრადიციების შესწავლით. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყანა ამ მიზნის მისაღწევად დიდ ინვესტიციას არ იღებს. უფრო მეტიც, საბერძნეთს ძალიან ცოტა პროგრამა აქვს ისეთი, რომელიც იმიგრანტებს საკუთარი კულტურის შენარჩუნებაში და ინტეგრაციაში დაეხმარება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო არის იმიგრაციულ საკითხებზე პასუხისმგებელი. სამინისტრო ასევე განიხილავს მოთხოვნებს ბინადრობის ნებართვასთან დაკავშირებით.

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში

1996 წელს განათლების სამინისტროს მიერ შექმნილი იქნა ინტერკულტურული განათლების სამდივნო, რომელმაც ჩამოაყალიბა რამდენიმე პროგრამა ინტერკულტურული განათლების შესახებ. ეს პროგრამები განკუთვნილია როგორც იმიგრანტი, ასევე არაიმიგრანტი მოსწავლეებისათვის და გარდა ბერძნული ენისა და კულტურის შესწავლისა გამიზნულია იმიგრანტი ბავშვების ბერძნულ საზოგადოებაში ინტეგრაციაზე.

საბერძნეთის ეროვნული სასწავლო გეგმის სახელმძღვანელო პრინციპები მოიცავს სამოქალაქო სწავლებისა და უცხო ენების სავალდებულო კურსებს, რომელთა მიზანია მოსწავლეთა ცნობადობის ამაღლება ისეთ საკითხებზე როგორებიცაა: კულტურული მრავალფეროვნება, რელიგიური განსხვავებულობა, გენდერული თანასწორობა, მშვიდობიანი თანაცხოვრება, მულტიეთნიკური საზოგადოებები და იმირანტების საკითხები.

კურსები სამოქალაქო და სოციალური განათლების შესახებ მიზნად ისახავს აგრეთვე სხვადასხვა კულტურების პატივისცემას, ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპების დანერგვას როგორებიცაა: ადამიანის უფლებები, თანაცხოვრება, მულტილინგვიზმი, მულტიკულტურალიზმი, დემოკრატია და მშვიდობა.

3. ეთნიკური წარმომადგენლების ჩართვა მედია ლიცენზირებაში

საბერძნეთის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, როგორც კანონში წერია უნდა უზრუნველყოს მაღალი ხარისხის, მიუკერძოებელი ინფორმაცია, ასახოს საზოგადოების მრავალფეროვნება. პროგრამების უნდა იყოს ქსენოფობიისა და რასიზმის წინააღმდეგ მიმართული. თუმცა კანონში პირდაპირ არაფერია ნათქვამი ეთნიკური უმცირესობების შესახებ.

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან

მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლური ეკლესია უდიდესია საბერძნეთში, ისლამი ოფიციალურად აღიარებულია, როგორც უმცირესობათა რელიგია. მუსულმანთა უდიდესი ნაწილი თავმოყრილია ქვეყნის თრაკიის რეგიონში.

რელიგიური სამოსისა და სიმბოლოების ტარება არ არის აქტუალური განხილვის საგანი საბერძნეთის საზოგადოებაში.

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება

2001 წელს მიღებული კანონი საბერძნეთის ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლის, დარჩენის, საბერძნეთის მოქალაქეობის მიღებისა და ნატურალიზაციის შესახებ არ შეიცავს ჩანაწერს, რომელიც კრძალავს ორმაგ მოქალაქეობას. შესაბამისად, უცხოელები, რომლებიც მიიღებენ საბერძნეთის მოქალაქეობას სურვილის შემთხვევაში იტოვებენ თავიანთ პირვანდელ მოქალაქეობას.

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

ქვეყანაში რამდენიმე იმიგრანტთა და უმცირესობათა ასოციაცია არსებობს, თუმცა მათი წილი საკმაოდ დაბალია.

იმიგრანთა დაუცველი სტატუსი, დაფინანსებისა და რესურსების სიმცირე არის ამგვარი ორგანიზაციების ნაკლებობის მიზეზი. მთავრობა არანაირ ფინანსურ დახმარებას არ წევს უმცირესობათა და იმირანტთა ასოციაციების დასაფინანსებლად.

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება

მთავრობა აშკარად უწყობს ხელს იმიგრანტი ბავშვების მიერ ბერძნული ენის შესწავლას. 2008-2011 წლების სოციალური დაცვისა და სოციალური ჩართულობის ეროვნული სტრატეგიის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ბერძნული ენის შესწავლი პროექტი დამტკიცდა და 2007-2013 წლებზე ამ პროექტისთვის გამოყოფილი იყო 14 მილიონი ევრო და გათვლილი იყო 3670 ინდივიდზე. პროექტის მთავარი მიზანი იყო ბერძნული ენის შესწავლა იმიგრანტთათვის, ლტოლვილთათვის და უმუშევარი, სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ბერძნული ენის სწავლებისა, ბილინგვური განათლების შესახებ ჩანაწერს სასკოლო სასწავლო გეგმებში ვერ ვხედავთ.

თრაკიის მუსულმანებით დასახლებულ რეგიონში 200 უმცირესობათა სკოლაა, სადაც სწავლება წარმოებს თურქულ და ბერძნულ ენებზე, ესაა 1993 წლის ორმხრივი ლოსანოს ხელშეკრულების შედეგი და არა მთავრობის ინიციატივა ან რაიმე მულტიკულტურული პოლიტიკის ნაწილი.

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი

ანტიდისკრიმინაციული ზომები გარდა, ქვეყანაში არსებობს რამდენიმე პოზიტიური ქმედება დაუცველი იმიგრაციული ჯგუფების მიმართ. მისი სამიზნეა ქალები და მუსულმანი უმცირესობები თრაკიის რეგიონში. ეს უკანასკნელი ლორანის ხელშეკრულების შედეგია, კერძოდ 0,5%-იანი კვოტა საბერძნეთის უნივერსიტეტებში, რომლებიც განკუთვნილია მუსულმანი სტუდენტებისათვის.

აღსანიშნავია, რომ საბერძნეთის კონსტიტუცია შეიცავს ჩანაწერს, სადაც ვკითხულობთ, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა პოზიტიური ქმედებებით აღმოფხვრას ყველა სახის უთანასწორობა, ამ ზოგადი ფრაზით შეგვიძლია მოვიაზროთ უთანასწორობის აღმოფხვრა ეთნიკურ და რასობრივ ნიადაგზე.

4.14 ნიდერლანდები - 2.0 ქულა

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე

ქვეყნის უმცირესობათა ინტეგრაციის პოლიტიკა 1990-იან წლებში შემუშავდა, თუმცა მულტიკულტურალიზმი არაა მასში ნახსენები. არც რომელიმე სამინისტრო ან სააგენტოა ქვეყანაში დაკავებული იმით, რომ გაატაროს მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა.

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში

ნიდერლანდების თითოეულ საჯარო სკოლას აქვს ავტონომია მინიჭებული და შესაბამისად თავად წყვეტს თითოეული თუ რა დოზით ან სულაც შეიტანოს თუ არა თავიანთ სასწავლო გეგმებში მულტიკულტურალიზმის ელემენტები. ზოგადად კი ნიდერლანდების საჯარო სკოლების უმეტესობა უფრო მეტად ინტეგრაციაზეა ორიენტირებული, ვიდრე მულტიკულტურალიზმზე. ჰოლანდიური ენის შემსწავლელი პროგრამების მიზანიც სწორედ ესაა, რომ ხელი შეუწყოს იმიგრანტი ბავშვების ინტეგრაციას.

1970-იანი წლებიდან მოყოლებული რეგულაციები თხოვენ მასწავლებლებს, რომ ყურადღება გაამახვილონ ინტერკულტურულ განათლებაზე. თუმცა ინტერკულტურული სწავლების მეთოდები ოფიციალურად არ არის გაწერილი.

3. ეთნიკური წარმომადგენლების ჩართვა მედია ლიცენზირებაში

1983 წელს მიღებულ ორ დოკუმენტში კანონში უმცირესობების შესახებ და კანონში მედიის შესახებ წარმოჩენილია მედიაში უმცირესობათა წარმომადგენლების ნაკლებობის საკითხი.

ნიდერლანდების მედიაში არ კეთდება აქცენტი მულტიკულტურალიზმის საკითხზე, არც სპეციალური სატელევიზიო პროგრამები არ არის უმცირესობათა ენებზე.

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან

რელიგიურ სამოსთან დაკავშირებული პოლიტიკა თავად წყდება სკოლების, დამსაქმებლების, კერძო თუ საჯარო დაწესებულებების მიერ.

ზოგადად რელიგიური სამოსისა და თავშლის ტარება ნებადართულია ქვეყანაში, თუმცა ზოგიერთმა სკოლამ აკრძალა ე.წ. ნიქაბის ტარება, რაც მათი ხედვით უსაფრთხოების ზომებიდანაა გამოწვეული.

დებატები მიმდინარეობდა საზოგადოებაში ბურკას ტარებასთან დაკავშირებითაც. 2005 წელს ნიდერლანდების პარლამენტმა მიიღო კანონი ბურკის საზოგადოებრივ ადგილებში ტარების აკრძალვასთან დაკავშირებით.

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება

1992 წლის კანონით მოქალაქე, რომელიც მიიღბდა ნიდერლანდების მოქალაქეობას შეეძლო ძველი მოქალაქეობის შენარჩუნებაც. დღესდღეობით კი პირი, რომელიც ნატურალიზაციით მოიპოვებს ჰოლანდიის მოქალაქეობას ვალდებულია დათმოს თავისი პირვანდელი მოქალაქეობა. თუმცა აქ რამდენიმე გამონაკლისი მოქმედებს. ეს გამონაკლისი ეხებათ მიგრანტებსა და ლტოლვილებს, რომლებიც დაქორწინდებიან ჰოლანდიის მოქალაქეზე.

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

1970-80 იან წლებში ეთნიკურ უმცირესობათა დაფინანსება აქტიურად ხდებოდა, თუმცა ბოლო ათწლეულებია დაფინანსებამ იკლო.

1980-90იან წლებში ნიდერლანდების უდიდესმა ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებმა მიიღეს სახელმწიფო დაფინანსება, რათა ჩამოეყალიბებინათ საკონსულტაციო საბჭოები. მთავრობა კი ვალდებულია გაითვალისწინოს მათი რეკომენდაციები, თუმცა მიუხედავად ამისა მათ არ აქვთ ქვეყანაში დიდი გავლენა.

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება

მშობლიური ენის სწავლება იყო ერთ-ერთი პრიორიტეტი ქვეყნის უმცირესობათა პოლიტიკისა, რომელიც ადრეულ 1980-იან წლებში გატარდა.

1985 წელს კი იმიგრანტებისათვის დაწყებითი განათლების შესახებ აქტით მათთვის მშობლიური ენის შესწავლას სავალდებულო სამართლებრივი სტატუსი მიენიჭა.

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი

1980-იან წლებში უმცირესობათა პოლიტიკის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა დასაქმების პროგრამები, რომლებიც გამიზნული იყო იმიგრანტებისათვის.

1994 წელს კი ეს პროექტები მოექცა სამუშაო ბაზარზე უმცირესობათა ჯგუფების ხელშეწყობის აქტის ქვეშ, რომლითაც დამსაქმებლებს დაევალებათ მოხსენებების წარმოდგენა სამუშაო ადგილზე უმცირესობებში მყოფი იმიგრანტი ჯგუფების მდგომარეობის შესახებ. თუმცა ეს კანონი 2004 წელს გაუქმდა.

4.15 საფრანგეთი - 2.0 ქულა

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე

საფრანგეთის კონსტიტუციის პირველ მუხლში ვკითხულობთ, რომ ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს ყველა მოქალაქის თანასწორობა კანონის წინაშე განურჩევლად, რასისა, წარმოშობისა თუ აღმსარებლობისა. ქვეყანამ, პატივი უნდა სცეს აგრეთვე ყველა აღმსარებლობის ადამიანს.

საფრანგეთი არ ცნობს უმცირესობებს, იქნება ეს ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური თუ სხვა. საფრანგეთში კანონის წინაშე ყველა მოქალაქეს თანასწორი უფლებები აქვს და კანონიც არ არის მოწოდებული გამოყოს გარკვეული ჯგუფები მათი წარმომავლობის, კულტურის, აღმსარებლობის, ენისა თუ ეთნიკურობის მიხედვით.

ქვეყანაში არსებობს იმიგრაციის, ინტეგრაციისა და ეროვნული იდენტობის სამინისტრო, რომლის ძირითადი ფუნქციაა მიგრაციული ნაკადების კონტროლი და მიგრანტების ინტეგრაციის ხელშეწყობა. აღნიშნული სამინისტრო ქვეყანაში 2007 წელს შეიქმნა.

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის სასწავლო განრიგი მოიცავს სხვა კულტურების აღიარებასა და პატივისცემას, სასწავლო სახელმძღვანელო პრინციპები არ მოიცავს მულტიკულტურალიზმს ან ინტერკულტურალიზმის სხვა ელემენტს.

3. ეთნიკური წარმომადგენლების ჩართვა მედია ლიცენზირებაში

რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობას ზედამხედველობას უწევს აუდიო-ვიზუალურ საკითხებზე მომუშავე უმაღლესი საბჭო, რომელიც 1989 წელს შეიქმნა.

1986 წლის კანონი კომუნიკაციის თავისუფლების შესახებ არის კანონი, რომლითაც ხელმძღვანელობს აღნიშნული საბჭო. საბჭოს მოვალეობაა მედია სივრცეში უზრუნველყოს ადამიანური ღირსების დაცვა, პლურალიზმისა და ობიექტურობის პრინციპის დანერგვა. ასევე ის ავალდებულებს მედიას, რომ წარმოაჩინოს ფრანგული საზოგადოების მრავალფეროვნება და მიმართული იყოს დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან

ქვეყანაში არც სამხედრო და არც პოლიციის სამსახურში არ არის რელიგიური სამოსით სიარული ნებადართული. ასეთივე სიტუაციაა სკოლებში, სადაც მიუხედავად იმისა, რომ კვების რაციონი გათვლილია მუსულმან მოსწავლეებზეც (ამოღებულია მენიუდან მაგალითად ღორის ხორცი), რელიგიური სამოსის ტარება არ არის ნებადართული.

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება

საფრანგეთის კანონი კრძალავს ორმაგ მოქალაქეობას.

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

1981 წელს საფრანგეთის კანონი ასოციაციების შესახებ, რომელიც 1901 წელს იყო მიღებული, გავრცელდა იმიგრანტებსა და უცხოეთში დაბადებულ პირებზეც. ამ ყველაფერმა კი ხელი შეუწყო ძალიან აქტიური ეთნიკური უმცირესობების ორგანიზაციების დაარსებას.

2006 წელს შეიქმნა სოციალური დახმარებისა და თანასწორი შესაძლებლობების სააგენტო, რომელც მუშაობს მრავალფეროვნების დაცვის, სამოქალაქო მონაწილეობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ. მან უკვე არაერთი პროექტი დააფინანსა, მათ შორის ინტეგრაციის პროგრამების, ენის კურსები, დასაქმების ხელშეწყობის პროექტები და სხვ.

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება

1975 წლიდან მოყოლებული საფრანგეთში მოქმედებს სხვადასხვა ენებისა და კულტურის შემსწავლელი კურსები, თუმცა ისინი სხვადასხვა ქვეყნებთან დადებული ორმხრივი ხელშეკრულებების შედეგია და არა საფრანგეთის მთავრობის ინიციატივა.

ვინაიდან ქვეყანაში არ ხდება მოქალაქეთა კატეგორიზაცია ეთნიკურ და რასობრივ ნიადაგზე, რთულია რაიმე პროგრამები არსებობდეს უმცირესობათა ბავშვების ხელშეწყობისათვის.

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი

ქვეყანაში არ არის სახელმწიფო მიერ დაფინანსებული პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნება დაუცველი იმიგრაციული ჯგუფების მხარდაჭერისაკენ.

4.16 ავსტრია - 1.5 ქულა

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე

ავსტრიის აქტი ეთნიკური ჯგუფების შესახებ, რომელიც 1976 წელს იქნა გატარებული ოფიციალურად აღიარებს სლოვენელებს, ხორვატებს, უნგრელებს, ჩეხებსა და სლოვაკებს, როგორც ქვეყნის ეთნიკურ უმცირესობებს და გარკვეულ უფლებებს ავრცელებს მათზე. თუმცა ეს უფლებები არ ვრცელდება სხვა უმცირესობათა ჯგუფებზე.

ქვეყნის ახალი საიმიგრაციო კანონმდებლობა, რომელიც 2005 წელს იქნა გატარებული ორიენტირებულია იმიგრანტებზე დაწესებული კვოტის შენარჩუნებაზე.

მუნიციპალურ დონეზე ქალაქი ვენა 2003 წლიდან აქტიურად მიყვება იმიგრაციის თემის ფართო გაგების პოლიტიკას. ქალაქში 2004 წელს დაარსდა ინტეგრაციისა და მრავალფეროვნების პოლიტიკის დეპარტამენტი. ქალაქი ვენა ხელს უწყობს სხვადასხვა კულტურების მშვიდობიან და ტოლერანტულ თანაარსებობას.

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში

მულტიკულტურალიზმი არის წამყვანი პრინციპი, თუმცა არ ჩანს აშკარა მოთხოვნა იმისა, რომ მულტიკულტურული პროგრამა შეტანილი იყოს სასკოლო განრიგში.

2009 წელს განათლების, ხელოვნებისა და კულტურის ფედერალურმა სამინისტრომ წარმოადგინა პროექტი სახელად „ინტერკულტურალიზმი და მულტილინგვიზმი - შანსი“, რომელიც ორიენტირებულია ინტერკულტურული განათლების განვითარებაზე და ორენოვან განათლებაზე, კერძოდ მშობლიური ენისა და ასევე გერმანულის, როგორც მეორე ენის სწავლებაზე.

3. ეთნიკური წარმომადგენლების ჩართვა მედია ლიცენზირებაში

2001 წელს ავსტრიამ მიიღო ახალი აქტი მაუწყებლობის შესახებ. ის ავალდებულებს ავსტრიის ეროვნულ საჯარო სამაუწყებლო კომპანიას, რომ უზრუნველყოს დემოკრატიული ცხოვრების ყველა ასპექტი და ზოგიერთი პროგრამა ხელმისაწვდომი გახადოს ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან

რელიგიური სამოსის აკრძალვა არ ხდება ქვეყანაში. ისლამის რელიგიის მიმდევრებს თავისუფლად შეუძლიათ ატარონ ჰიჯაბი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, რაც გამყარებულია 1992 წლის კანონით ისლამის შესახებ, რომელმაც მიანიჭა მუსულმანებს გარკვეული ავტონომია რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება

ავსტრიაში მოქალაქეობის საკითხი რეგულირდება 1985 წელს მიღებული აქტით მოქალაქეობის შესახებ.

ორმაგი მოქალაქეობის პრინციპი არ არის ქვეყანაში აღიარებული. მხოლოდ ერთადერთი გამონაკლისის გარდა: თუკი ადამიანი, რომელსაც ავსტრიელი მშობლები ჰყავს და დაიბადება უცხო ქვეყანაში და ავტომატურად მიიღებს იმ ქვეყნის მოქალაქეობას, სადაც დაიბადა და ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც დაინიშნება პროფესორ-მასწავლებლად ავსტრიის უნივერსიტეტში.

აღსანიშნავია ისიც, რომ თუკი ბავშვი ქორწინების გარეშე დაიბადება (რომლის მამა ასვტრიის მოქალაქეა და დედა უცხი ქვეყნის) ის ავტომატურად დედის მხრიდან იღებს მოქალაქეობას, მანამ სანამ ოფიციალურად არ გაფორმდება მშობლების ქორწინება.

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

ეთნიკური ჯგუფების შესახებ აქტივით ყოველწლიურად მთავრობა გამოყოფს დაფინანსებას ეთნიკური უმცირესობების ფონდებისა და ასოციაციებისათვის. თუმცა ეს დაფინანსება მხოლოდ ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობათა ჯგუფებისთვისაა და არ ვრცელდება იმიგრანტ უმცირესობათა ჯგუფებზე, რომელთაც არ ცნობენ ოფიციალურად, როგორც უმცირესობებს.

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება

მშობლიური ენის სწავლება ზოგად საჯარო სკოლებში 1992 წლიდან მიმდინარეობს. 2006 წლიდან მშობლიური ენის სესწავლა 20 ენაზე იქნა შეთავაზებული სკოლებში. მოსწავლეებს შეეძლოთ აერჩიათ ის ენა, რომლის შესწავლაც სურდათ.

ავსტრიაში ასევე მოქმედებს სპეციალური ენის პროგრამები, რომლებიც ორიენტირებულია ქვეყანაში აღიარებულ ეთნიკურ უმცირესობებზე. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია საშუალო განათლების მიწოდება სლოვენურ ენაზე.

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი

ფედერალურ და მუნიციპალურ დონეზე დისკრიმინაცია აკრძალულია ეროვნულ ეთნიკურ და რელიგიურ საფუძველზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ქვეყანაში არ არის რაიმე სახის საშეღავათო პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიმართ.

4.17 იტალია - 1.0 ქულა

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე

იტალიამ იმიგრაციასთან დაკავშირებული პირველი კანონი 1986 წელს მიიღო, რომელიც განსაზღვრავდა პრინციპებს, რაც მიგრანტთა სამუშაოს დაწყებასთან იყო დაკავშირებული. ეს იყო ასევე პირველი კანონი, რომელიც არეგულირებდა ქვეყანაში უკანონო იმიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

1998 წელს მიღებულ კანონში იმგრაციის შესახებ გამოყოფილია მნიშვნელოვანი ელემენტები მიგრაციის მიდგომისა, ესენია: არალეგალური მიგრაციის აღმოფხვრა; ლეგალური მიგრაციის რეგულაცია; იმიგრანტთა ინტეგრაცია. მიუხედავად იმისა, რომ კანონში საუბარია ინტეგრაციაზე, იტალიაში ეს პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ ინტეგრაციასთან.

2002 წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი იმიგრაციის შესახებ, რომელმაც გაამკაცრა სასაზღვრო კონტროლი, ასევე ნატურალიზაცია გახდა კიდევ უფრო რთული.

ქვეყანაში არის რამდენიმე რეგიონი და მუნიციპალიტეტი, რომლებიც უმცირესობათა წევრების გააქტიურებაზე მუშაობენ. მაგალითად ტოსკანაში არის რამდენიმე ინტერკულტურული ცენტრი, ასევე რეგიონში გატარდა კანონმდებლობა, რომელიც ცნობდა ოფიციალურად ინტერკულტურალიზმს. ზოგიერთმა ქალაქმა კი სპეციალური საკონსულტაციო ორგანოებიც შექმნა, რომლებიც იმიგრანტთა სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობაზე და ეთნიკური, რელიგიური და კულტურული პლურალიზმის განსავითარებლად მუშაობენ.

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში

სკოლის სასწავლო გეგმა თითოეული რეგიონის მიხედვით განსხვავდება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ დონეზე 1990-იანი წლების შუა პერიოდამდე საკმაოდ ნაკლები ყურადღება ექცეოდათ იმიგრანტ მოსწავლეებს, 1994 წელს კი მიღებულ იქნა მემორანდუმი „ინტერკულტურული დიალოგი და დემოკრატიული თანაცხოვრება: სკოლის ჩართულობის გეგმა“. აღნიშნულ მემორანდუმში წერია, რომ ინტერკულტურული განათლება მიჩნეულ უნდა იყოს, როგორც პედაგოგიური პასუხი კულტურული პლურალიზმის მიმართ. ეს უნდა შეეხოს ყველა მოსწავლეს და უნდა დაეხმაროს მათ გამოუმუშავდეთ უნარები, რომლებიც მათ დაეხმარება სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში და დიალოგის დამყარებაში.

აღნიშნულ მემორანდუმში ასევე საუბარია უმცირესობათა ენებისა და კულტურების დაცვის აუცილებლობაზე. თუმცა ამ ყველაფერმა რეალური პრაქტიკული შედეგი არ მოიტანა. სკოლებს დღემდე აქვთ მრავალფეროვნების პატივისცემის საკითხების შეტანის პრობლემა თავიანთ სასწავლო პროგრამებში.

2004 წელს განათლების სამინისტროში შეიქმნა უცხელ სტუდენტთა ინტეგრაციის განყოფილება, მაგრამ მულტიკულტურალიზმის შესახებ არანაირი ხსენება არ ყოფილა.

2007 წელს ქვეყანამ მიიღო ჩარჩო-დოკუმენტი უცხოელ სტუდენტთა ინტეგრაციისა და ინტერკულტურული განათლების შესახებ. სწორედ ამ დოკუმენტის

მიღების შემდეგ დაიწყო ინტერკულტურული განათლების სისტემის დანერგვა იტალიის სკოლებში, მაგრამ მისი ხარისხი განსხვავდება სკოლების მიხედვით.

3. ეთნიკური წარმომადგენლების ჩართვა მედია ლიცენზირებაში

ქვეყანაში რამდენიმე რადიო სადგური გადმოსცემს ახალ ამბებს რამდენიმე უცხო ენაზე, თუმცა უმცირესობებს არ აქვთ საშუალება საკუთარ ენაზე მიიღონ ინფორმაცია, ასევე მაუწყებლობის შესახებ კანონში არ არის ჩანაწერი, რომელიც დაავალდებულებდა საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომ ასახოს ქვეყნის საზოგადოების მრავალფეროვნება და გადმოსცეს პროგრამები უმცირესობათა ენებზე.

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან

მწვავე დებატები გამოიწვია იმ ფაქტმა დაეტოვებინათ თუ არა ჯვრები საჯარო ინსტიტუტების შენობებზე, განსაკუთრებით კი სკოლის შენობებზე. განხილვის თემა იყო აგრეთვე ის ფაქტიც, მიეცათ თუ არა მუსულმანი ქალებისათვის თავშლის ტარების უფლება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. მაგალითად, ზოგიერთმა ქალაქმა აკრძალა ბურკისა და ჰიჯაბის ტარება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება

1992 წლიდან მოყოლებული იტალიაში მოქმედებს ორმაგი მოქალაქეობის პრინციპი, თუმცა მოქალაქეობის მიღების მოთხოვნები არის ძალიან მკაცრი.

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

1998 წელს იტალიამ გამოყო 40 მილიონი ევრო ე.წ. ეროვნული დაფინანსება იმიგრაციისათვის, რომელიც გამოეყო ადგილობრივ ხელისუფლებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს სოციალური მომსახურებისა და იმიგრანტების პროგრამების დასაფინანსებლად.

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება

1990-იან წლებში განათლების სამინისტრომ მიიღო რამდენიმე სახელმძღვანელო პრინციპი იტალიურის, როგორც მეორე ენის შესწავლის საკითხთან დაკავშირებით. თუმცა ამისათვის არ გამოიყო არანაირი ფინანსური რესურსი. სესაბამისად ქვეყანაში არ კეთდება აქცენტი უმცირესობათა ენების შენარჩუნებაზე. არცერთი მთავარი სასაუბრო ენა იტალიაში მცხოვრები უცხოელების მიერ არ არის ოფიციალურად აღიარებული და ისინოი არც სკოლებში არ ისწავლება.

ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე იყო რამდენიმე მცდელობა მიგრანტებისათვის თავიანთი მშობლიური ენის კურსების შეთავაზების შესახებ, მაგრამ მათ არ ჰქონდა ოფიციალური სახე და არც საკმარისი დაფინანსება.

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ქვეყნის პრიორიტეტია იმიგრანტთა დასაქმების საკითხი ეს მაინც ინდივიდუალური პასუხისმგებლობაა და სახელმწიფო არ ინაწილებს მასზე პასუხისმგებლობას.

1998 წელს იტალიაში გატარდა ანტი-დისკრიმინაციული ზომები და მიღებულ იქნა კანონი იმიგრაციის შესახებ. 2003 წელს კი შეიქმნა თანასწორი მოპყრობისა და რასობრივი და ეთნიკური დისკრიმინაციის აღმოფხვრის ეროვნული სამსახური, რომლის ფუნქციაა გამოიძიოს დისკრიმინაციის საქმეები.

ზოგადად კი შეიძლება შეიძლება შეფასდეს, რომ იტალიას არ აქვს არანაირი პოლიტიკა და ზომები მიმართული დაუცველი იმიგრაციული ჯგუფების მიმართ.

4.18 შვეიცარია - 1.0 ქულა

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე

შვეიცარიის კონსტიტუციაში წერია, რომ შვეიცარელმა ხალხმა და ქვეყნის კანტონებმა უნდა იცხოვრონ ურთიერთგაგებითა და მრავალფეროვნების პატივისცემის პრინციპებით. მასში ასევე წერია, რომ კონსტიტუციამ ხელი უნდა შეუწყოს კეთილდღეობის, მდგრადი განვითარებისა და კულტურული მრავალფეროვნების წახალისებას.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ შვეიცარიის არცერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ არის მულტიკულტურალიზმი ნახსენები.

შვეიცარია ტრადიციულად მიგრაციის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა, თუმცა ბევრია დოკუმენტების გარეშე მყოფი იმიგრანტების რაოდენობა. ქვეყანაში იმიგრანტების თემა განიხილება, როგორც პრობლემა და არაპირდაპირ მათი არსებობა დაკავშირებულია დანაშაულთან და დასაქმების პრობლემებთან.

ადგილობრივი ორგანოები და ქვეყნის კანტონები არიან ძირითადად ინტეგრაციაზე პასუხისმგებელნი, თუმცა ბოლო პერიოდში ფედერალური მთავრობაც აქტიურად ერევა ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებში.

2004 წელს ქვეყანამ მიიღო კანონი უცხოელი მოსახლეობის შესახებ, რომელიც მოიცავს ინტეგრაციასთან დაკავშირებულ რეგულაციებსაც.

2007 წელს შვეიცარიის მთავრობამ მიიღო გაკარგულება, რომელიც განსაზღვრავს მიგრანტების პასუხისმგებლობას, რომელთაც უნდა ისწავლონ შვეიცარული ენა, შეიძინონ ცოდნა ქვეყნის საზოგადოებაზე, კულტურაზე, ფასეულობებსა და სამართლებრივ სისტემაზე. ის დაფუძნებულია ე.წ. „წახალისება-მოთხოვნის“ პრინციპზე, რაც გულისხმობს იმიგრანტების მხრიდან ინტეგრაციის მოთხოვნების შესრულებას. მასში არაფერია ნახსენები იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც შვეიცარიის მოქალაქეებმა უნდა აიღონ და ზოგადად მასპინძელმა ქვეყანამ უნდა აიღოს ახალჩამოსულთა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნების საქმეში.

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში

შვეიცარიაში საგანმანათლებლო სისტემა განსხვავდება თითოეული კანტონის მიხედვით, რადგან 26 კანტონი თავად არის ჩართული საკუთარი სასწავლო გეგმების შემუშავების საკითხში. სასწავლო გეგმების უმეტესობა ცდილობს ინტერკულტურული განათლების ასპექტების დანერგვას სკოლებში სხვადასხვა ენის კურსების შეთავაზებით, თუმცა შვეიცარიის საგანმანათლებლო სისტემა არ ითვალისწინებს მულტიკულტურალიზმის კონცეფციას სასკოლო სასწავლო გეგმებში.

3. ეთნიკური წარმომადგენლობების ჩართვა მედია ლიცენზირებაში

შვეიცარიის საზოგადოებრივი მაუწყებელი ახორციელებს სატელევიზიო გადმოცემას ოთხ ენაზე: გერმანულად, ფრანგულად, იტალიურად და რეტორომანულად.

ქვეყნის კონსტიტუცია შეიცავს რადიო და სატელევიზიო გადმოცემასთან დაკავშირებულ წესებსა და მოთხოვნებს. მასში წერია, რომ რადიომ და ტელევიზიამ თავისი წვლილი უნდა შეიტანონ ქვეყნის განათლებისა და კულტურის განვითარებაში. მათ მხედველობაში უნდა იქონიონ კანტონების თავისებურებები და საჭიროებები.

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან

ქვეყანაში იყო რამდენიმე შემთხვევა რელიგიური სამოსის შეზღუდვასთან დაკავშირებით. მაგალითად, სასამართლოს საქმე, როდესაც ერთ-ერთი კანტონის სკოლაში მასწავლებელი დაითხოვეს სამსახურიდან ჰიჯაბის ტარების გამო. სასამართლოს გადაწყვეტილებითაც ჰიჯაბის ტარება ზღუდავდა სხვების უფლებებსა და არ იყო საზოგადოებრივი წესრიგისათვის უსაფრთხო.

ზოგადად კი ქვეყანაში არ იკრძალება რელიგიური სამოსის ტარება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება

1992 წელს შვეიცარიამ ნება დართო მიგრანტებს საკუთარი მოქალაქეობის დათმობის გარეშე მოეპოვებინათ შვეიცარიის მოქალაქეობა. თუმცა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვება არის საკმაოდ რთული, ნატურალიზაციისათვის საჭიროა, როგორც ფედერალურ ასევე კანტონების დონეზე მთელი რიგი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

2001 წლიდან მოყოლებული ფედერალური მთავრობა გამოყოფს დაფინანსებას 10-დან 14 მილიონ შვეიცარიული ფრანკის ოდენობით, რათა მხარი დაუჭიროს ინტეგრაციის პროექტებს.

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება

შვეიცარიას აქვს ოტხი ეროვნული და სამი ოფიციალური ენა. შესაბამისად, ენობრივ საკითხებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში. სასკოლო პროცესი მიმდინარეობს კანტონის ენაზე, სადაც ესა თუ ის სკოლა მდებარეობს და ენის კურსებიც სასკოლო სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტია. ეს ძირითადად გულისხმობს შვეიცარიის ერთ-ერთი ოფიციალური ენის შესწავლასა და ინგლისური ენის კურსებს.

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი

ქვეყნის კონსტიტუცია კრძალავს დისკრიმინაციას სხვადასხვა ნიადაგზე მათ შორისაა რასობრივ და ეთნიკურ ნიადაგზე. ამავ კონსტიტუციაში საუბარია თანასწორობაზე, ოღონდ გენდერული მიმართულებით. ხსენება არ არის ეთნიკურ და რასობრივ უმცირესობებზე. შესაბამისად საშეღავათო კვოტებსაც ვხვდებით ქალებისათვის და არა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის.

4.19 დანია - 0 ქულა

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე

დანიის კონსტიტუცია არ შეიცავს არანაირ ჩანაწერს, რომელიც პირდაპირ ეხება კულტურას ან კულტურულ უფლებებს.

1999 წელს დანიის მთავრობამ მიიღო აქტი ინტეგრაციის შესახებ, რომელშიც 2003 და 2005 წლებში შევიდა შესწორებები. აქტი ფოკუსირებულია, რომ ქვეყანაში ახალჩამოსულებმა მიიღონ დანიური ფასეულობები და კულტურა და დასაქმდნენ რაც შეიძლება მალე. ქვეყანაში არსებობს იმიგრაციის, ლტოლვილთა და ინტეგრაციის სამინისტრო, თუმცა მისი მანდატი ძირითადად ვრცელდება სამუშაო ბაზარზე ინტეგრაციაზე, დანიური ენის შესწავლასა და ახალგაზრდა ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების გამოწვევების გადაჭრაზე.

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში
დანიის განათლების სამინისტრო იღებს ეროვნულ სასკოლო სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლითაც განისაზღვრება სკოლებში სავალდებულო სასწავლო საგნების ნუსხა. ამ ნუსხაში შედის საგანი ქრისტიანული სწავლებაც. სასწავლო გეგმაში არაა საუბარი სხვა რელიგიების ან ზოგადად რელიგიათმცოდნეობის სწავლების შესახებ.

3. ეთნიკური წარმომადგენლების ჩართვა მედია ლიცენზირებაში
მიუხედავად 2001 წელს გატარებული იმიგრაციის რეფორმების შემდეგ ქვეყანაში შეიქმნა რამდენიმე რადიო პროგრამა უმცირესობათა ენებზე. ბოლო წლებში მათი რიცხვი საგრძნობლად შემცირდა.

დანიის კანონმდებლობაში არ არის ჩანაწერი, რომლითაც სამაუწყებლო კომპანიებს დაევალებათ უმცირესობათა ენებზე სატელევიზიო პროგრამების გადმოცემა ან თუნდაც კულტურული მრავალფეროვნების ასახვა.

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან
დანიის სამხედრო სამსახური კრძალავს სამხედრო სამსახურში მომსახურე პირების მიერ რელიგიური სამოსის ტარებას.

რაც შეეხება პარლამენტს, აქ განსაზღვრულია, რომ რელიგიური სამოსი დასაშვებია, თუ დეპუტატის ამოცნობა იქნება შესაძლებელი და სრულად არ დაუფარავს რელიგიური სამოსი მას სახეს.

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება
დანიაში არ არის დაშვებული ორმაგი მოქალაქეობა.

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

2002 წლამდე უმნიშვნელოდ, თუმცა ქვეყანაში მაინც ხდებოდა ეთნიკურ უმცირესობათა მხარდამჭერი ანტი-რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციების დაფინანსება, ხოლო 2002 წლიდან ამგვარი დაფინანსება ქვეყანაში აღარ ხდება.

1999 წელს მიღებულმა ინტეგრაციის აქტმა ჩამოაყალიბა ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო, რომლის უშუალო მიზანია მიაწოდოს რეკომენდაციები ლტოლვილთა, იმიგრაციისა და ინტეგრაციის საკითხთა სამინისტროს ლტოლვილებისა და მიგრანტების საკითხებზე.

ამ საბჭომ გარკვეული შედეგი მოიტანა შექმნა რა სიცუალური ორგანიზაციები, რომლებც კულტურულ მრავალფეროვნების წახალისების ხელშეწყობას ემსახურებიან, თუმცა კულტურული მრავალფეროვნების წარმატება მაინც სამთავრობო პოლიტიკაზე დაფუძნებული.

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება
დანის მთავრობა აქტიურადაა დაკავებული, რომ დანიური ენა აქტიურად ისწავლებოდეს ქვეყანაში.

2001 წლიდან ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა მოწოდებულია, რომ აღმოფხვრას სკოლებიდან უმცირესობათა მშობლიური ენის შესწავლა.

2007 წელს დანიაში დაიწყო ბილინგვური განათლების პროგრამა, თუმცა ის მხოლოდ ევროპული ქვეყნებიდან შემოსული იმიგრანტებისათვის იყო განკუთვნილი და ძირითადი აქცენტი მაინც დანიური ენის შესწავლაზე კეთდებოდა და არა იმიგრანტების მშობლიური ენის. დანიის ბილინგვური განათლების პროგრამას ნაკლებად ჰქონდა მიზნად დასახული უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი

2003 წელს ქვეყანაში მიღებულ იქნა ეთნიკური თანასწორობის შესახებ აქტი. ის კრძალავს ეთნიკურ ნიადაგზე წარმოჩენილ დისკრიმინაციას.

გარდა ამ აქტისა ქვეყანაში არ არის რაიმე სახის შეღავათები, რომლებიც შეიძლება ეთნიკურ უმცირესობებს ან იმიგრაციულ ჯგუფებზე შეიძლება გავრცელდეს.

4.20 იაპონია - 0 ქულა

1. მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე

იაპონიას ხშირად ეთნიკურად და რასობრივად ჰომოგენურ ქვეყნად აღიქვამენ, თუმცა ქვეყანაში არის იმიგრანტი მოსახლეობა და ასევე უმცირესობები - კორეელი მოსახლეობის სახით, რომლებიც იაპონიის მიერ კორეის კოლონიზაციის პერიოდიდან არიან ქვეყანაში.

ინსტიტუციურ დონეზე იაპონიაში არის იმიგრაციის ბიურო, რომელიც არეგულირებს ქვეყანაში არსებულ იმიგრაციას. იაპონიის ქალაქებში კი დაარსებულია საინფორმაციო ცენტრები, რომლებიც გასცემენ ინორმაციასა და რჩევებს იმიგრანტებზე.

განათლების სამინისტროში არის შესაბამისი კულტურულ საქმეთა დეპარტამენტი, რომელიც კულტურის საკითხებზეა პასუხისმგებელი. ის ასევე არეგულირებს ქვეყანაში რელიგიასთან და ენის საკითხებს.

2. მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში

იაპონიის სასკოლო სასწავლო გეგმაში წერია, რომ სკოლა უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს განუვითარდეთ სხვა კულტურების მიმართ პატივისცემა. გეგმაში არაფერია ნახსენები მულტიკულტურალიზმისა და კულტურული მრავალფეროვნების შესახებ.

მთავრობის კულტურულ საქმეთა ეროვნულ გეგმაში საუბარია მოსწავლეთა კულტურისა და ხელოვნების აქტივობებზე. განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული იაპონური ფოლკლორისა და კულტურის სწავლების მნიშვნელობაზე, თუმცა მასში არაფერია ნახსენები ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ტრადიციების ხელშეწყობაზე.

3. ეთნიკური წარმომადგენლების ჩართვა მედია ლიცენზირებაში

იაპონიის საზოგადოებრივი მაუწყებელთა ახალ ამბებს რამდენიმე უცხოურ ენაზე გადმოსცემს. აღნიშნული პროგრამები ინტერკულტურული დიალოგის განვითარებისაკენ არის მიმართული.

მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილია ის დტანდარტები, რომლეთაც უნდა აკმაყოფილებდეს სამაუწყებლო კომპანიების მიერ შემოთავაზებული პროგრამები. ამ მოთხოვნებს შორის ვხვდებით შემდეგს: საზოგადოებრივი მაუწყებელმა უნდა ასახოს უმცირესობათა მოთხოვნები საკუთარ პროგრამებში.

4. გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან ქვეყანაში არ ვხვდებით რაიმე სახის რელიგიური სამოსის აკრძალვის ფაქტს.

5. ორმაგი მოქალაქეობის დაშვება

იაპონიაში ორმაგი მოქალაქეობა არ არის დაშვებული. თუკი ინდივიდი მიიღებს ორმაგ მოქალაქეობს იმ მიზეზით, რომ დაბადების მომენტისათვის ის უცხოეთში იმყოფებდა და მისი მშობლები არიან იაპონელები, 22 წლის ასაკში მან ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეობა უნდა დაიტოვოს.

6. ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს ეთნიკური უმცირესობათა ორგანიზაციები, რადგან მთავრობა მათ დასაფინანსებლად არ ყოფს არანაირ თანხას. აღსანიშნავია ისიც, რომ არ ხდება უმცირესობათა ფესტივალებისა და დღესასწაულების დაფინანსება.

7. ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება

1991 წელს იაპონიასა და სამხრეთ კორეას შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც კორეელი მოსწავლეებისათვის უნდა შექმნილიყო ეთნიკური კლასები, რაც მათ საშუალებას მისცემდათ შეესწავლათ ესწავლათ კორეულ ენაზე და ამავდროულად შეესწავლათ იაპონური ენა. თუმცა ამგვარი კლასები სხვა უმცირესობებისათვის არ არსებობს.

კულტურულ საქმეთა ადმინისტრაციას 2009 წლის სამთავრობო გეგმაში ხაზგასმულია უცხოელებისათვის იაპონური ენის შესწავლის წახალისების მნიშვნელობაზე, თუმცა არანაირი ჩანაწერი არ არის ბილინგვური განათლების საჭიროებაზე.

8. პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი

არანაირი პოზიტიური ქმედება დაუცველი იმიგრაციული ჯგუფების მიმართ ქვეყანაში არ ხორციელდება. 1990-იან წლებამდე კი აკრძალული იყო მასწავლებლად, საჯარო მოხელეებად და სამედიცინო დაწესებულებებში უცხოელების დასაქმება.

5. მულტიკულტურალიზმისა და კულტურული მრავალფეროვნების საკითხისადმი მიდგომა საქართველოში

საქართველოსთვის მულტიკულტურალიზმის საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია. ჩვენს ქვეყანას სხვა კულტურებთან თანაარსებობის დიდი გამოცდილება ოდითგანვე აქვს. საქართველოში კულტურული მრავალფეროვნება პირველ რიგში საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით იყო განპირობებული. მოგეხსენებათ უძველესი აბრეშუმის გზის ერთ–ერთი განშტოება საქართველოზე გადიოდა, რაც სხვადასხვა კულტურათა თავმოყრას იწვევდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი დიდ ქალაქებში. ამის გამო, თბილისი ოდითგანვე მულტიკულტურული იყო. ისტორიის განმავლობაში, ქართულ კულტურას ერწყმოდა არაბული, ბერძნული, რუსული, იტალიური და სხვა კულტურები. ეს ყველაფერი ზოგჯერ საქართველოს დაპყრობით იყო განპირობებული, როდესაც დამპყრობლები ძალით ცდილობდნენ ქართული კულტურის მოსპობას, ქართველთა ანექსიას და საქართველოს ტერიტორიაზე თავიანთ ხალხებს ასახლებდნენ. ჩამოსახლებული მოსახლეობის ადათები ეთვისებოდა ადგილობრივ კულტურას და დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა სახეცვლილი წეს–ჩვეულებები საქართველოში მართლმადიდებლური რელიგიის გვერდით ღვთისმსახურება აღესრულება მუსლიმთა, კათოლიკეთა, გრეგორიანთა და სხვათა მიერ. ასევე საქართველოში არსებობს სხვადასხვა სექტა.

ჩვენი ქვეყანა ლინგვისტური მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. საქართველოს სახელმწიფო ენებია ქართული და აფხაზური (აფხაზეთის ავტონომიურ ტერიტორიაზე). ქართულად, საქართველოს ოფიციალურ ენაზე, საუბრობს მოსახლეობის 71%, რუსულად–9%, სომხურად–7%, აზერბაიჯანულად–6%, ხოლო 7% სხვა ენებზე.

საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნება ასახულია საქართველოს განათლების სისტემაშიც. ჩვენს ქვეყანაში დაახლოებით 72 ათასი ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეა, რომელთაგან 67 953 მოსწავლე, ანუ, დაახლოებით 94%, არაქართულენოვან სკოლებში (წმინდა ან შერეულ ენობრივ სექტორებში) სწავლობს. ანალოგიური ვითარებაა მასწავლებლებთან მიმართებითაც. არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა 95%-ზე მეტი მოსახლეობის კომპაქტურად განსახლების ადგილებში ეთნიკურად არაქართველია და პირიქით, ქართულენოვანი სკოლის მასწავლებელთა უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, www.mes.gov.ge)

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეთნიკურმა, რელიგიურმა და კულტურულმა მრავალფეროვნებამ, რომელიც საქართველოსთვის, თავისი მდებარეობიდან გამომდინარე, ისტორიულად დამახასიათებელი რეალობა იყო, ახლებური გააზრება მოითხოვა. ჯერ კიდევ „პერესტროიკის“ წლებში „საბჭოთა ხალხთა ძმობისა და მეგობრობის“ რიტორიკამ თანდათან ადგილი დაუთმო ეთნიკურ დაპირისპირებებსა და წინააღმდეგობებს, რომლებმაც თავი იჩინა მაშინვე, როგორც კი სახელმწიფოს სადამსჯელო ფუნქცია შესუსტდა. კავკასიაში ვითარება გაართულა ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებულმა ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა, რომელთაგან ორი საქართველოში - აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარეობდა. კონფლიქტურმა მეხსიერებამ გადაფარა თანაარსებობის, დიალოგისა და საერთო წარსულის ხანგრძლივი გამოცდილება.

ახალი ვითარების გააზრებას გარკვეული დრო დასჭირდა. თანდათან გაცნობიერდა ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმზე გადასვლის, სამოქალაქო ინტეგრაციის აუცილებლობა, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ყველა მოქალაქის თანასწორობასა და ერთიანობას, მიუხედავად მათი ეთნიკური, რელიგიური და კულტურული იდენტობისა. 2000-იანი წლების დასაწყისში პოლიტიკური ელიტის მიერ წარმოდგენილ იქნა „მრავალ-ეთნიკური ქართველი ერის“ ცნება, ხოლო ლოზუნგი „მრავალფეროვნება ჩვენი სიმდიდრეა“ საზოგადოებისადმი მიმართულ გზავნილად იქცა.

წლების განმავლობაში საქართველოში ხორციელდება არაერთი პროგრამა და პროექტი, რომელიც მიმართულია ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა ინტეგრაციისაკენ. მიუხედავად ამისა უამრავი პრობლემა არსებობს განათლების, კულტურის, დასაქამების, უმცირესობათა პოლიტიკურ და სამოქალაქო პროცესებში ჩართულობის კუთხით და ასევე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ ტოლერანტობის თვალსაზრისით.

5.1 მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე

საქართველოში ამ მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად შეგვიძლია უპირველეს ყოვლისა მივიჩნიოთ 2006 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის“ რატიფიცირება, რომლითაც ქვეყანამ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აიღო

ვალდებულება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა დაცვის, მათი იდენტობის შენარჩუნებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის. 2017 წელს საქართველომ კონცეფციის 25-ე მუხლის შესაბამისად წარადგინა მესამე ანგარიში „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ.“

ამ ანგარიშში დეტალურადაა მოცემული საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ქმედებები უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო კონვენციის ოპერატიული ნაწილის მუხლების მიხედვით. ამ მუხლებიდან განსაკუთრებით საინტერესოა მუხლი 5 – „*მხარეები იღებენ ვალდებულებას შეუქმნან აუცილებელი პირობები იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას, მათი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის. იმ ზომებისათვის ზიანის მიუყენებლად, რომელთა მიღებაც ხდება მათი ზოგადი ინტეგრაციული პოლიტიკის შესაბამისად. მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკის განხორციელებისაგან, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების ასიმილაციას მათი სურვილის წინააღმდეგ და უნდა დაიცვან ეს პირები ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც მიზნად ისახავს ამგვარ ასიმილაციას*“ (საქართველოს მესამე ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის 25-ე მუხლის 2 პარაგრაფის შესაბამისად. 2017 წლის 30 მარტი).

2005 წელს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, დაწყებულ იქნა მუშაობა „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციაზე“, რომლის მუშაობაშიც ჩართულნი იყვნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, სახალხო დამცველი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციები. აღნიშნული კონცეფცია 2009 წლის 8 მაისს იქნა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული. კონცეფცია განსაზღვრავდა სახელმწიფო სტრატეგიას და ამოცანებს ექვსი მიმართულებით: კანონის უზენაესობა, განათლება და სახელმწიფო ენა, მედია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა, სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია, კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

ამავე კონცეფციაში ვკითხულობთ, რომ მის ძირითად მიზნებს წარმოადგენს: „ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოს შექმნა საქართველოში მცხოვრებ ყველა პირს შორის; ეროვნული უმცირესობებისათვის განათლების ყველა საფეხურის

თანაბარი ხელმისაწვდომობისა და ზოგადი განათლების სფეროში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების უზრუნველყოფა; აუცილებელი პირობების შექმნა ეროვნული უმცირესობების კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის”. (შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფცია. 2005 წელი).

2009 წელს მთავრობამ მიიღო პირველი ყოვლისმომცველი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებდა უმცირესობათა მიმართ პოლიტიკას და განსაზღვრავდა სახელმწიფოს ინსტიტუციურ ჩარჩოს, აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მთავრობის დადგენილებას სახელმწიფოებში „ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია“, სადაც გაწერილი იყოს ზოგადი სამთავრობო მიზნები და ამოცანები უმცირესობათა დაცვის და ინტეგრაციის მიმართულებით, და ასევე რაც ყველაზე მნიშვნელოვანია შემუშავებულ იქნა ხუთწიანი სამთავრობო სამოქმედო გეგმა, რომელშიც სხვადასხვა უწყებების მიხედვით გადანაწილდა შესაბამისი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. ამას გარდა, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით და კოორდინირებით ჩამოყალიბდა უწყებათაშორისი სამთავრობო კომისია, რომელიც აერთიანებს ყველა რელევანტურ სამინისტროსა და უწყებას იმ მიზნით რათა უზრუნველყოფილი იქნას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ეფექტური შესრულება.

საქართველოს ამჟამინდელი მთავრობის ფუნქციონირების დროს უმცირესობათა ინსტიტუციური მართვის სფეროში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყოს პოლიტიკის გამიჯვნა ეთნიკურ უმცირესობებსა და რელიგიურ უმცირესობებს შორის. ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის კომპონენტს როგორც აღნიშნეთ კოორდინაციას უწევს სახელმწიფო მინისტრის აპარატი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, მთავრობის სხვა სტრუქტურებიც სწორედ ამ უწყების კოორდინაციის ქვეშ მოქმედებენ. რაც შეეხება რელიგიური მრავალფეროვნებას და რელიგიურ უმცირესობათა პრობლემატიკას, ამ სფეროს კურირებას და კოორდინაციას უწევს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რომელიც მთავრობის განკარგულებით 2014 წელს შეიქმნა და ევალუა სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის მართვა. 2015 წლის მანძილზე სააგენტოს ძირითადი საქმიანობა მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ინტერრელიგიური ჩართულობის უზრუნველყოფა, რელიგიური უმცირესობებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივი და სიმბოლური ანაზღაურების მიზნით

ფინანსური მხარდაჭერის განხორციელება, რელიგიური უმცირესობებისათვის საკულტო ნაგებობების გადაცემის საკითხების შესწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებული პირების კულტურული თვითმყოფადობის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით შეგვიძლია გამოვყოთ საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 1 ივლისს დამტკიცებული „კულტურის სტრატეგია 2025“, რომელიც შემუშავებულ იქნა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ. დოკუმენტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა „კულტურაზე წვდომა და კულტურული მრავალფეროვნება“. მიზნის მისაღწევად კი დაისახა ისეთი ამოცანები, როგორცაა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული და შემოქმედებითი ინიციატივების მხარდაჭერა და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება მათი ჩართულობით.

აღსანიშნავია ასევე სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც 2015 წელს იქნა დამტკიცებული საქართველოს მთავრობის მიერ. სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფა, რათა საქართველოს მოქალაქეებმა, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, თავიანთი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დემოკრატიულად განვითარების პროცესში. დოკუმენტის გრძელვადიანი მიზნებია: „ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები თანაბრად და სრულფასოვნად მონაწილეობენ სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის შექმნილია თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობები და შესაძლებლობები; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომია ხარისხიანი განათლება ყველა დონეზე და გაუმჯობესებულია სახელმწიფო ენის ცოდნა; შენარჩუნებულია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურა და წახალისებულია ტოლერანტული გარემო.“ დოკუმენტის განახლებული ვერსია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა 2015 წელს, სტრატეგიის კონცეპტუალური ნაწილის გარდა მოქმედებს ასევე ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა. აღნიშნული დოკუმენტი უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ 2009 წელს ინიცირებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა. დოკუმენტის შემუშავება და ახალი სამოქმედო გეგმის დასახვა ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურად იქნა შეფასებული როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ექსპერტების მიერ. სახელმწიფო სტრატეგიაში წარმოდგენილია სახელმწიფოს ზოგადი ხედვა სამოქალაქო

თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით, დოკუმენტის ზოგადი მიზანი კი გულისხმობს საზოგადოების თითოეული წევრის კულტურული ფასეულობების და იდენტობის დაცვას. სამოქალაქო ინტეგრაცია კი აღქმულია როგორც ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლისათვის სრულფასოვანი მონაწილეობისათვის სათანადო პირობების შექმნა.

სახელმწიფოს ახალი ხედვით სტრატეგიული მიზნები ოთხი ძირითადი მიმართულების გარშემოა გაერთიანებული. ეს სტრატეგიული მიმართულებებია: თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში; თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობების და შესაძლებლობების შექმნა; ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება; ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა. სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში კი გაწერილია ხუთი წლის მანძილზე სხვადასხვა კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალი შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების მითითებით. სტრატეგიით ასევე გათვალისწინებულია ყოველი კალანდარული წლის ბოლოს შემდეგ წლის მანძილზე განსახორციელებელი ერთლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაც.

სტრატეგიის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ისეთი საკითხების გათვალისწინება, როგორებიცაა მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა. დოკუმენტით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ მოახდენს მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ ჯგუფთა საგანმანათლებლო და სამართლებრივი საჭიროებების დაკმაყოფილებას, ასევე ამ ჯგუფების ენების სწავლების დანერგვას სასწავლო დაწესებულებებში. სტრატეგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა გენდერული ასპექტების გათვალისწინება, კერძოდ სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებულ ქალთა უფლებების დაცვა, ასევე მათი საჭიროებებისა და ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

ეთნიკურ უმცირესობათა მონაწილეობის პოლიტიკურ შემადგენელს რაც შეეხება სამოქალაქო ჩართულობისაგან განსხვავებულ მდგომარეობას ვაწყდებით. მართალია აღნიშნული საკითხი ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელებული, თუმცა რეალურ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრირება ადეკვატური ხარისხით არ არის რეალიზებული. იმ ქვეყნების უმეტესობაში, რომლებიც მულტიკულტურალიზმს აღიარებენ უმცირესობათა

ჩართულობის უზრუნველყოფელი მთელი რიგი პრაქტიკული მექანიზმები არის დანერგილი, რომელთაც ხშირ შემთხვევაში პოზიტიური დისკრიმინაციის ხასიათი გააჩნია, კერძოდ ასეთ ღონისძიებებს შორის მოიაზრება ეთნიკურ უმცირესობათა ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური პარტიების არსებობა, როგორც პარლამენტში, ასევე ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში ეთნიკურ უმცირესობათა გარანტირებული წარმომადგენლობის არსებობა კვოტირების პრაქტიკის დანერგვით, პოლიტიკური პარტიებისათვის წამახალისებელი შეღავათების დაწესება ეთნიკურ უმცირესობათა საარჩევნო სიებში წამოყენების სანაცვლოდ და სხვა.

საქართველოში არსებული სამართლებრივი და პოლიტიკური პრაქტიკა უკანასკნელი წლების მანძილზე არ არის ორიენტირებული მსგავსი საშეღავათო ქმედებების ინიცირებისაკენ, შესაბამისად ეთნიკურ უმცირესობათა მონაწილეობა და ჩართულობა ზოგადსახელმწიფოებრივ პოლიტიკურ პროცესებში დამოკიდებულია არა დამკვიდრებულ ინსტიტუციურ მექანიზმებზე და საშეღავათო პოლიტიკაზე არამედ პოლიტიკურ პარტიათა და სხვადასხვა პოლიტიკურ ლიდერთა გადაწყვეტილებაზე, რაც მათ კეთილ ნებას უკავშირდება. პოლიტიკურ არენაზე ეთნიკურ უმცირესობათა არსებობას რომ გადავავლოთ თვალი აღმოჩნდება, რომ მხოლოდ პოლიტიკური ნების არსებობა არასაკმარისია უმცირესობათა პოლიტიკური ინტერესების სხვადასხვა სახელისუფლებო შტოებში ასახვის თვალსაზრისით.

ეთნიკური უმცირესობები ყოველი მოწვევის საქართველოს პარლამენტში არიან წარმოდგენილები, თუმცა მათი რაოდენობა და პროცენტულობა მუდმივად მერყეობს. 2004–2008 წლებში მათი საქართველოს პარლამენტში მათი რაოდენობა იყო – 12, 2008–2012 წლებში – 6, 2012–2016 წლებში – 8. ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობის საერთო რაოდენობის გათვალისწინებით ყველაზე ადეკვატური და პროპორციული წარმომადგენლობა 2016 წელს არჩეულ საქართველოს პარლამენტშია, სადაც ეთნიკური უმცირესობები 11 პარლამენტის წევრით არიან წარმოდგენილები, რაც დეპუტატთა საერთო რაოდენობის 7.3 პროცენტს შეადგენს. (იხ: ცხრილი #1, გვ 165).

საინტერესოა აგრეთვე 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად სხვადასხვა საკრებულოებში არჩეული ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებული დეპუტატების მონაცემების სურათიც. (იხ: ცხრილი #2. გვ 166).

აღსანიშნავია აგრეთვე პოლიტიკური პარტიების სიებიც. პრაქტიკა აჩვენებს, რომ წამყვანი პოლიტიკური პარტიები ნაკლებად არიან ორიენტირებულები პარტიულ საქმიანობაში ეთნიკური უმცირესობების მოზიდვით, რაც შემდგომში აისახება კიდევ

პარტიულ საარჩევნო სიებში ეთნიკურ უმცირესობათა სიმცირეში. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის „ქართულ ოცნებას“ პროპორციულ სიაში ეთნიკური უმცირესობის 7 წარმომადგენელი ჰყავდა, მათგან პირველი მე-19 ადგილზე, ხოლო „ნაციონალურ მოძრაობას“ – 13, აქედან პირველი რიგით 26-ე ადგილზე.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაში ვკითხულობთ, რომ ყურადღება მიექცევა პოლიტიკურ პარტიებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მოზიდვის საკითხს. აქვე ვკითხულობთ, რომ ამ მიზნის მიღწევისათვის დაგეგმილია მიზანმიმართული პოლიტიკის გატარება პოლიტიკური პარტიების მიმართ, რამაც უნდა უზრუნველყოს პარტიულ სიებში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართვის გაზრდით დაინტერესება. აღნიშნულის მიუხედავად, ამ ეტაპისათვის მსგავსი მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა.

2016 წლის მანძილზე პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერების მიმართულებით განხორციელებული ნაბიჯებიდან, შეიძლება გამოიყოს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობა. კომისია უმცირესობებისათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნას, მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაზრდასა და საარჩევნო ადმინისტრაციის წევრი ეთნიკური უმცირესობების მომზადებას ისახავდა მიზნად.

2016 წელს ჩატარებული არჩევნების დროს მნიშვნელოვანი იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა არჩევნებში თანასწორი მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გაატარა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ამომრჩევლებისათვის ითარგმნა და დაიბეჭდა შემდეგი სახის დოკუმენტაცია: საარჩევნო ბიულეტენი, ამომრჩეველთა სამახსოვრო, ბიულეტენის შევსების წესი, ამომრჩეველთა ერთიანი სია, ასევე საუბნო საარჩევნო კომისიაში კედელზე გასაკრავი ხმის მიცემის პროცედურების ამსახველი პოსტერი.

სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა და დაიბეჭდა შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაცია: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია, კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია, ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს, ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები, საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების

ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები და გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრის ფუნქციები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შეთავაზებული ახალი სერვისი ერთიან სიაში საკუთარი თავის მონაცემების გადამოწმებასთან დაკავშირებით სარგებლობა შეეძლოთ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც.

გარდა ამისა, ცესკომ უზრუნველყო სომხურენოვან გაზეთ „ვრასტანსა“ და აზერბაიჯანულენოვან გაზეთ „გურჯისტანში“ ხელმისაწვდომი სერვისებისა და კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა ხმის მიცემის პროცედურების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.

2017 წელს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიასთან არსებულმა სასწავლო ცენტრმა განახორციელა რამდენიმე საგანმანათლებლო პროექტი, როგორებიცაა: „საარჩევნო განვითარების სკოლა“, რომელიც მინად ისახავდა ახალგაზრდებში არჩევნების პოპულარიზაციას და სამოქალაქო ჩართულობის გაზრდას. პროექტი პირველად განხორციელდა ახმეტაში, პანკისის ხეობაში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის. რომელშიც მონაწილეობა მიიღო 18-24 წლამდე 453-მა ახალგაზრდამ. (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, www.smr.gov.ge; 2018 წლის 22 იანვარი).

2000-იანი წლებიდან დღემდე უმცირესობების ინსტიტუციური მართვის პოლიტიკაში არაერთი ცვლილება განხორციელდა. სახეზე გვაქვს ინსტიტუციური მდგრადობისკენ და ეფექტურობისაკენ ორიენტირებული ტენდენცია და გამოკვეთილი სამთავრობო ხედვა, რაც ასახულია შესაბამის საკანონმდებლო და სამართლებრივ რეგულაციებში. ასევე მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია უწყებათაშორისო კოორდინაცია და თანამშრომლობა. თუმცა პოლიტიკის ეფექტურობაზე გავლენას ახდენს მთავრობის მხრიდან შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებაში შეზღუდული ფინანსური უზრუნველყოფა. ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის გაცხადებული პრიორიტეტიზაცია ასახული არ არის საბიუჯეტო დონეზე ფინანსურ უზრუნველყოფაში. ისე როგორც წინა წლებშიც ამჟამადაც არაერთი სამთავრობო ვალდებულების და პასუხისმგებლობის შესრულება დამოკიდებულია საერთაშორისო მხარდაჭერაზე.

საინტერესოა 2017 წლის ადგილობრივი არჩევნები, სადაც ვხედავთ შემდეგ სურათს: 64 მუნიციპალიტეტიდან, სადაც მოხდა მერის არჩევა, მხოლოდ ცხრა

მუნიციპალიტეტში იყო მინიმუმ ერთი კანდიდატი არაქართული გვარით.

(საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია; (www.cesko.ge; 2018 წლის 21 იანვარი).

ეთნიკურ უმცირესობათა მონაწილეობის პოლიტიკურ შემადგენელს რაც შეეხება სამოქალაქო ჩართულობისაგან განსხვავებულ მდგომარეობას ვაწყდებით. თუ ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ორგანიზაციებს გააჩნიათ სამოქალაქო აქტივობის განხორციელებისათვის საჭირო მექანიზმები ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური ინტერესები და მათი მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვნად ლიმიტირებულია. მართალია აღნიშნული საკითხი ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებადაა დასახელებული, თუმცა რეალურ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრირება ადეკვატური ხარისხით არ არის რეალიზებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საქართველოს მიერ არჩეული პოლიტიკა ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის და ინტეგრაციის მიმართულებით ხასიათდება მულტიკულტურალიზმის კონცეფციის გაზიარებით, თუმცა პოლიტიკური ჩართულობის კონტექსტში იგივე მიდგომა მხოლოდ ფრაგმენტულად არის გაზიარებული. იმ ქვეყნების უმეტესობაში, რომლებიც მულტიკულტურალიზმს აღიარებენ უმცირესობათა ჩართულობის უზრუნველყოფელი მთელი რიგი პრაქტიკული მექანიზმები არის დანერგილი, რომელთაც ხშირ შემთხვევაში პოზიტიური დისკრიმინაციის ხასიათი გააჩნია, კერძოდ ასეთ ღონისძიებებს შორის მოიაზრება ეთნიკურ უმცირესობათა ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური პარტიების არსებობა, როგორც პარლამენტში, ასევე ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში ეთნიკურ უმცირესობათა გარანტირებული წარმომადგენლობის არსებობა კვოტირების პრაქტიკის დანერგვით, პოლიტიკური პარტიებისათვის წამახალისებელი შეღავათების დაწესება ეთნიკურ უმცირესობათა საარჩევნო სიებში წამოყენების სანაცვლოდ და სხვა.

საქართველოში არსებული სამართლებრივი და პოლიტიკური პრაქტიკა უკანასკნელი წლების მანძილზე არ არის ორიენტირებული მსგავსი საშეღავათო ქმედებების ინიცირებისაკენ, შესაბამისად ეთნიკურ უმცირესობათა მონაწილეობა და ჩართულობა ზოგადსახელმწიფოებრივ პოლიტიკურ პროცესებში დამოკიდებულია არა დამკვიდრებულ ინსტიტუციურ მექანიზმებზე და საშეღავათო პოლიტიკაზე არამედ პოლიტიკურ პარტიათა და სხვადასხვა პოლიტიკურ ლიდერთა გადაწყვეტილებაზე,

რაც მათ კეთილ ნებას უკავშირდება. პოლიტიკურ არენაზე ეთნიკურ უმცირესობათა არსებობას რომ გადავავლოთ თვალი აღმოჩნდება, რომ მხოლოდ პოლიტიკური ნების არსებობა არასაკმარისია უმცირესობათა პოლიტიკური ინტერესების სხვადასხვა სახელისუფლებო შტოებში ასახვის თვალსაზრისით რაც ზემოთმოყვანილ ცხრილებშიც ნათლად ჩანს.

5.2 ორენოვანი (ბილინგვური) განათლების დაფინანსება

კულტურულად და ლინგვისტურად მრავალფეროვან საზოგადოებაში მულტილინგვური განათლების პრაქტიკა, მათ შორის ბილინგვური განათლების პრინციპების დანერგვა აპრობირებული მეთოდია და დანერგილია მრავალი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში. არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტის მოსაზრებით ბილინგვური განათლება შესაძლებელია ერთ-ერთ ეფექტურ ინსტრუმენტად იქცეს საქართველოში ეთნიკური უმცირესობებისათვის ხარისხიანი და ადვილად აღსაქმელი განათლების გავრცელებისათვის. თუმცა ამ გაზიარებული მოსაზრების მიუხედავად ბილინგვური განათლების დანერგვის პროცესი საქართველოში მთელი რიგი ხარვეზებით მიმდინარეობს. მთავარი ხარვეზი ექსპერტთა შეფასებით მდგომარეობს სახელმძღვანელოების გაუმართაობაში, რომლებიც არ ეფუძნება კარგად გათვლილ მეთოდოლოგიურ პრინციპებს და რეალურ საჭიროებებს, ასევე რეფორმის პროცესში არ იქნა სათანადო ინვესტირება ჩადებული ბილინგვური განათლების პედაგოგთა მოსამზადებლად. პედაგოგების უმეტესობა ვერ ფლობს სახელმწიფო ენას, შესაბამისად მათთვის გაუგებარი რჩება სახელმძღვანელოებში ქართულ ენაზე დატოვებული 30 პროცენტის შინაარსი.

ბილინგვური განათლების კონცეფცია გულისხმობს პოლიკულტურულ აღზრდას. ბილინგვური განათლების მიღების დროს, მოსწავლე მეორე ენასთან ერთად, უცხო, მისი მშობლიური კულტურისგან განსხვავებულ კულტურასაც ეუფლება და მალღდება მისი ინტერკულტურული კომპეტენცია. ამ ტიპის განათლების პირობებში იგი ტოლერანტული ხდება სხვა კულტურების მიმართ. ფართოვდება ასევე მისი კულტურული სივრცე და ეს მას ეხმარება გამოიმუშაოს მრავალკულტურულ საზოგადოებაში დამკვიდრებისა და სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან კონსტრუქციული თანაცხოვრების ჩვევები. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს არ უხდებათ

კულტურული ორიენტაციის შეცვლა უმრავლესობასთან სრული ინტეგრაციისათვის. ბილინგვური განათლება აძლევს მათ შანსს, რომ შეინარჩუნონ, დაიცვან მშობლიური ენა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში ეთნიკურმა მობილიზებამ და იდენტობის პოლიტიზირებამ, ენის საკითხი პოლიტიკური დებატების დღის წესრიგში წინა პლანზე დააყენა, რაც ქვეყნის მრავალეთნიკური და მრავალენოვანი შემადგენლობით არის გამოწვეული. საქართველოს მრავალი ეთნიკური უმცირესობისათვის არის სამშობლო, რომელთა გარკვეული ნაწილი საქართველოს საზოგადოებიდან იზოლირებული იყო, რადგან არ იცოდა ქართული, სახელმწიფო ენა. საბჭოთა დროს რუსული ენა ეთნოსებს შორის კომუნიკაციის ძირითადი საშუალება იყო და ეთნიკურ უმცირესობათა დიდი ნაწილი განათლებას რუსულენოვან სკოლებში იღებდა, თუმცა არსებობდა სომხური და აზერბაიჯანული სკოლები როგორც რეგიონებში, ისე თბილისში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქართულმა ენამ თანდათან ჩაანაცვლა რუსული და ეთნოსებს შორის კომუნიკაციის ძირითადი ენა გახდა. სამცხე-ჯავახეთის ჯავახურ ნაწილში კვლავ დომინანტურ პოზიციას ინარჩუნებდა სომხური და რუსული, ხოლო ქვემო ქართლში კი აზერბაიჯანული და რუსული. საქართველოს სხვა კუთხეებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები არაკომპაქტურად არიან დასახლებულნი, მაგალითად – თბილისში, ეთნიკური უმცირესობები კარგად იყვნენ ინტეგრირებულნი ქართულ საზოგადოებაში, რადგან მათ იცოდნენ ქართული ენა.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების მიერ საქართველოს უფრო ფართო საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობების გამოყენებას ყველაზე მეტად ენის არასათანადო ცოდნა უშლის ხელს. ამავდროულად იგი არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სამოქალაქო და პოლიტიკური ცხოვრებიდან მათ გამორიცხვას განაპირობებს. ამრიგად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ და სხვა სუბიექტებმა განახორციელონ ღონისძიებები ეთნიკური უმცირესობის ჯგუფების წევრთა შორის ქართული ენის ცოდნის დონის ასამაღლებლად.

ეროვნული უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს განათლების სისტემა. ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციისათვის საჭიროა სახელმწიფო ენის ცოდნა და მათი ლინგვისტური და კულტურული იდენტობის დაცვა. განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ზოგადსახელმწიფოებრივი ღირებულებების შესწავლა და მიღება, ასევე ეროვნულ უმცირესობათა კულტურული იდენტურობის დაცვა და ინტერკულტურული განათლება.

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველო უმწვავესი გამოწვევის წინაშე დგას, მოახერხოს ხარისხიანი განათლების შეთავაზება ეთნიკური უმცირესობებისათვის, ხელი შეუწყოს სახელმწიფო ენის გავრცელებას უმცირესობათა შორის და ამავდროულად იზრუნოს ეთნიკურ უმცირესობათა ლინგვისტური თავისებურებების შენარჩუნება-განვითარებისათვის.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლში ვკითხულობთ: *"საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ."* (საქართველოს კონსტიტუცია, 2018 წელი).

აღსანიშნავია აგრეთვე საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომლის მიხედვითაც საქართველოში აკრძალულია ყველა სახის დისკრიმინაცია.

დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელიც წელიწადში ერთხელ შეიმუშავებს და აქვეყნებს სპეციალურ ანგარიშს ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილების და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ. როგორც კანონში წერია: *„საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში უნდა შეიცავდეს ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილების და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ ზოგად შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, აგრეთვე გამოვლენილი მნიშვნელოვანი დარღვევებისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას.“* (საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, 2014 წელი).

კულტურულად და ლინგვისტურად მრავალფეროვან საზოგადოებაში მულტილინგვური განათლების პრაქტიკა, მათ შორის ბილინგვური განათლების პრინციპების დანერგვა აპრობირებული მეთოდია და დანერგილია მრავალი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში. ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციისათვის საჭიროა ასევე სახელმწიფო ენის ცოდნა და მათი ლინგვისტური და კულტურული იდენტობის დაცვა.

2003 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო პროექტები, რომლითაც ეროვნულ უმცირესობებს ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესებაში დაეხმარებოდა. აღნიშნული პროექტები ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა საკითხებზე უმაღლესი კომისრის ოფისის დახმარებით ხორციელდებოდა. ეს კი უმცირესობებს საქართველოს საზოგადოებაში სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის საშუალებას მისცემდა.

ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში საგანმანათლებლო სისტემაში განხორციელდა ეს არის სწორედ ბილინგვური განათლების პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა.

როგორც ინტერვიუს დროს, განათლების სამინისტროში ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების ხელმძღვანელმა ქ–ნმა თამარ ჯაყელმა განაცხადა: „ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც 2018–2024 წლებზე გათვლილი, საქართველოში მულტილინგვური განათლების დანერგვის აუცილებლობას კიდევ ერთხელ უსმევს ხაზს: თუკი წინა სასწავლო გეგმებში განათლების მიღების ენები მოიცავდა ქართულს და აფხაზურს როგორც სახელმწიფო ენებს და ასევე უცხო ენებს, ახალ სასწავლო გეგმაში გაჩნდა ჩანაწერი „ეთნიკურ უმცირესობათა ენები“. ასევე მისი თქმით, აღსანიშნავია ამავე დოკუმენტის მეშვიდე მუხლი, სადაც ზოგადი განათლების სწავლა–სწავლების ძირითად მიზნებს შორის დასახელებულია „ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების გააზრებისა და დაფასების უნარი; საკუთარი და განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან/ჯგუფებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი“¹

აღსანიშნავია აგრეთვე „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონი, რომლის თანახმად „დაწესებულება უფლებამოსილია ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელ ბავშვებს ენობრივი საჭიროებების გათვალისწინებით შესთავაზოს ამ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი პროგრამები და რესურსები როგორც სახელმწიფო, ისე მათ მშობლიურ ენაზე“. ასევე, „დაწესებულება უფლებამოსილია ბავშვებს მიაწოდოს სააღმზრდელო და საგანმანათლებლო მომსახურება მათ მშობლიურ ან/და არასახელმწიფო ენაზე და გამოიყენოს ამ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების

¹ ჩადრმავებული ინტერვიუ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების ხელმძღვანელთან ქ–ნ თამარ ჯაყელთან

შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები და რესურსები.” (საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, 2017 წ.).

ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ჩართულობასა და ინტეგრაციასთან დაკავშირებული სხვა სფეროებისაგან განსხვავებით განათლების სფეროში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საშეღავათო პრაქტიკას და ეგრეთ წოდებულ პოზიტიურ დისკრიმინაციას აქტიურად მიმართავს. საშეღავათო პოლიტიკის ნაწილია 2012 წლიდან დანერგილი უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული აბიტურიენტების ჩარიცხვის პრაქტიკა, რაც ითვალისწინებს უმცირესობათა ენებზე მხოლოდ უნარ-ჩვევების ჩაბარებას, რის საფუძველზეც აბიტურიენტი ირიცხება სახელმწიფო ენის ერთწლიანი მომზადების კურსზე, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ კი მას საშუალება აქვს ქართულ ენაზე მიიღოს სრული საბაკალავრო განათლება ქართულ უმაღლეს სასწავლებელში. 2010 წლიდან უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული უმცირესობების რაოდენობას და შესაბამის დინამიკას თუ გადავავლებთ თვალს აშკარად სახეზე გვაქვს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში უმცირესობათა რაოდენობის მკვეთრი მატება. საინტერესოა თუ როგორი სტატისტიკაა ამ მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში. (იხ: ცხრილი #3, #4, #5, გვ. 167-168-169).

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვოტირებით გამოყოფილ და ათვისებულ ადგილებს შორის არის დისბალანსი. (იხ: ცხრილი #5, გვ 170). არსებულ დისბალანს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს. გამოცდებისა და შეფასების ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავების შედეგად, გამოიკვეთა ზოგადი უნარების გამოცდებზე აზერბაიჯანულ- და სომხურენოვანი ტესტებით გამოცდაჩაბარებული აბიტურიენტების დაბალი მაჩვენებელი ქართულენოვან აბიტურიენტებთან შედარებით. ზოგადი უნარების გამოცდებზე დაბალი მაჩვენებელი და ჩაჭრის მაღალი პროცენტი გახლავთ კვოტირების სისტემით ასათვისებელი ადგილების დიდი რაოდენობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი. თუკი 2010-2015 წლების სტატისტიკურ მონაცემებს გავანალიზებთ, ნათელია, რომ ზოგადი უნარების გამოცდაზე საშუალოდ სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების 30%-ი იჭრება. ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია ვიდრე ქართულენოვანი აბიტურიენტების მაჩვენებელი და ეს მაჩვენებელი განაპირობებს ჩარიცხულ აბიტურიენტთა დაბალ კომპეტენციას ზოგადად.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ შემუშავებულ იქნა განათლების ხელმისაწვდომობის ერთიანი სტრატეგიული დოკუმენტი „განათლების პოლიტიკა საზოგადოების

ინტეგრაციისთვის”, რომელშიც ყურადღება ეთმობა არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებასა და ეთნიკური უმცირესობებისათვის სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერებას.

გარდა კანონებში, სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში გაწერილი ვალდებულებებისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს ორენოვანი განათლების მხარდაჭერისათვის.

ამ კონკრეტული სტრატეგიული დოკუმენტით – „განათლების პოლიტიკა საზოგადოების ინტეგრაციისთვის” აღებული ვალდებულება გამოიხატა სახელმწიფოს მიერ გადადგმულ ქმედით ნაბიჯში, როდესაც 2015 წლიდან დაიწყო მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევის თარგმნა და ბეჭდვა აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე. როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განაცხადეს ამ ეტაპისათვის პროგრამის ბენეფიციარია 3301 აზერბაიჯანულენოვანი, 2933 სომხურენოვანი და 1208 რუსულენოვანი პედაგოგი. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, www.mes.gov.ge; 2017 წლის 22 ოქტომბერი).

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ასევე დაამტკიცა ყველა საგანში 1–6 საფეხურის სახელმძღვანელო და თარგმნა სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. სახელმძღვანელოები დაურიგდა არაქართულენოვან სკოლებს.

სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებით არის შემდეგი: მულტილინგვური განათლების საპილოტე პროგრამაში რამდენიმე სკოლის ჩართვა, კერძოდ: ვახტანგისის N1, თაზაქენდის, აქთაქლიისა და ყარაჯალის სკოლები. ყველა აღნიშნულ სკოლაში დარიგდა „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა” სახელმძღვანელო. ასევე საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში ბილინგვური სწავლების კოორდინატორი ეტაპობრივად ატარებდა ტრენინგებსა და შეხვედრებს, რომელიც ეხება ბილინგვური სწავლების ახალ მეთოდებსა და მიდგომებს („ენობრივი კომპეტენციის შეფასება და ტესტირება”, „კითხვითი კომპეტენციების განვითარება „კითხვის კიბის” მეშვეობით”, „ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების მეთოდები”).

2008 წლიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელა რამდენიმე პროექტი, რომლითაც მოხდებოდა უმცირესობების აბიტურიენტთა ხელშეწყობა.

ცვლილებები შევიდა ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულებაში და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მიეცათ უფლება, ზოგადი უნარების

გამოცდა ჩაებარებინათ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც. შესაბამისად, უნარების მშობლიურ ენაზე ჩაბარების პოლიტიკის მიზეზით გაიზარდა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩამბარებელთა რაოდენობაც.

2010 წელს საქართველოს განათლების სამინისტროს ინიციატივით დაიწყო ე.წ. კვოტირების სისტემა, პროგრამა "1+4", ანუ „ეთნიკური უმცირესობებისათვის უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საშეღვათო პოლიტიკა“. ესაა ინიციატივა, რომელიც ეთნიკურ უმცირესობათა სტუდენტებს საქართველოს უნივერსიტეტებში ჩარიცხვის საშუალებას აძლევს. დღესდღეობით ეთნიკურ უმცირესობათა კვოტა შეადგენს უნივერსიტეტებში არსებული ადგილების 12%, აქედან 5% სომხებისა და აზერბაიჯანელებისათვის (თითოეულს) და 1% ოსებისა და აფხაზებისათვის (თითოეულს). პროგრამაში ჩარიცხვამდე ამ სტუდენტებმა უნდა ჩააბარონ ზოგადი უნარების ტესტი თავიანთ უმცირესობის ენაზე. ამ ტესტების ჩაბარების შემდეგ, მოცემული სტუდენტები გადიან ქართული ენის ერთწლიან ინტენსიურ კურსს, რომლის დროსაც ისინი ემზადებიან უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად და მომდევნო ოთხწლიანი ბაკალავრიატის საფეხურზე ჩასარიცხად.

აღნიშნულ კვოტირების სისტემის ანალიზისას, ექსპერტთა უმრავლესობა თანხმდება, რომ მისი დადებითი მხარე არის სტატისტიკა, რომელიც გვიჩვენებს არაქართულენოვანი სტუდენტების ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის სიხშირე. თუმცა ექსპერტთა ნაწილი გამოყოფს კვოტირების სისტემაში არსებულ ხარვეზებსაც. მაგალითად, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ხელმძღვანელი შალვა ტაბატაძე თვლის, რომ პროგრამა დახვეწას საჭიროებს. სტუდენტთა უმრავლესობა საბაკალავრო პროგრამაზე აგრძელებს სწავლას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი მზად არიან ამ პროგრამაზე სასწავლებლად, როგორც ენობრივი ისე სტუდენტური ინტეგრაციის თვალსაზრისით.

სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების ზოგადი უნარების გამოცდების შედეგები და მათი შედარება ქართულენოვანი და რუსულენოვანი აბიტურიენტების შედეგებთან ასევე კარგ სურათს იძლევა ანალიზისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი უნარების გამოცდა ტარდება აბიტურიენტთა მშობლიურ ენაზე, მათი საერთო შეფასებები გაცილებით დაბალია ქართულენოვან და რუსულენოვან აბიტურიენტთა შეფასებებზე, რაც ნათლად მიუთითებს ზოგადი განათლების საფეხურზე სწავლების ხარისხთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

2009 წელს სამინისტრომ ასევე შეიმუშავა მულტილინგვური განათლების პოლიტიკა. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ასევე ჩართულნი ეუთოს ექსპერტების გუნდი. ამავე წელს მოხდა დოკუმენტის დამტკიცებაც.

აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში 2010 წელს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო მულტილინგვური განათლების საპილოტე პროგრამა, რომელიც შესაბამის რეგიონებზე იყო ორიენტირებული. პროგრამაში სულ ორმოცი სკოლა მონაწილეობდა. ამ პილოტური პროგრამის ფარგლებში, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ერთობლივი ძალისხმევით, ბილინგვური განათლების რამდენიმე მოდელიც შემუშავდა. ინტერვიუს დროს, განათლების სამინისტროში ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების ხელმძღვანელმა ქ-ნმა თამარ ჯაყელმა განაცხადა: „მთავარი პრობლემა ამ პროგრამის ფარგლებში იყო საკადრო მიმართულებით. მასწავლებელთა უმეტესობა არ ფლობდა ქართულ ენას A2 დონეზე. ის ენის კურსები, რომლებიც მასწავლებლებისათვის იყო შერჩეული კი ვერ უზრუნველყოფდა მათი ენობრივი ცოდნის ამაღლებას შესაბამის დონეზე, რადგან ენის სწავლას სჭირდება დრო. შესაბამისად პროგრამის ვადებიდან და რესურსიდან გამომდინარე ამ შედეგის მიღწევა თითქმის შეუძლებელი იყო“. საინტერესოა ასევე აღნიშნული საკითხის შეფასება შალვა ტაბატაძის მიერ, რომელიც კვლევის შედეგად ფიქრობს, რომ საპილოტე სკოლების უმრავლესობაში განაცხადეს, რომ ბილინგვური განათლების ინიციატივა არ ყოფილა თემიდან, ანუ ქვემოდან წამოსული რეფორმა. უბრალოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აცნობა სკოლების ადმინისტრაციებს, რომ ისინი შეირჩნენ საპილოტე სკოლებად ამ პროგრამის განსახორციელებლად. შესაბამისად სკოლების უმეტესობა მზად არ აღმოჩნდა მსგავსი პროგრამისათვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც ბილინგვური განათლების სისტემასთან დაკავშირებით გამოიკვეთა, ესაა ბილინგვურ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული საკითხი. უმცირესობათა ენებზე სახელმძღვანელოების თარგმნა 2005 წელს დაიწყო. ეს სახელმძღვანელოები I-IV კლასებისთვის ითარგმნა და არ გავრცელებულა უფრო მაღალ კლასებზე. 2011 წელს შეიცვალა სახელმძღვანელოების თარგმნის პროცესი და უმცირესობათა ენებზე მათი მხოლოდ 70% ითარგმნა. დარჩენილი პროცენტული ოდენობა იყო ქართულად და შესაბამისად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ მრავალ მასწავლებელს მათი გაგება არ შეეძლო. აქედან გამომდინარე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მასწავლებლების გარკვეულმა ნაწილმა

უბრალოდ გამოტოვა სახელმძღვანელოთა ქართული სექციები, რადგან მათი შინაარსი არ იცოდნენ.

2013 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო სახელმძღვანელოების შემუშავება და პასუხისმგებლობა აიღო საავტორო უფლებებსა და გამოცემაზე. ამ ფუნქციას მანამდე ითავსებდა ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრი.

ზოგადი განათლების სისტემაში სახელმძღვანელოთა შემუშავებასთან დაკავშირებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იყენებს გრიფირების პროცესს, რათა ამოარჩიოს სახელმძღვანელოები, რომლებიც სკოლებში იქნება გამოყენებული. 2012 წლიდან აღარ მომხდარა ახალი სახელმძღვანელოების გრიფირება. ჩვეულებრივ, ავტორებისთვის ცხადდება ღია კონკურსი, რომლებმაც გამოსაცემად უნდა წარადგინონ სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლებმაც შეფასების პროცესი უნდა გაიარონ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, რომ სახელმძღვანელოთა შემფასებლების პოვნა ძნელია და მათი მონიტორინგი არ ხდება. ამ სახელმძღვანელოთა შეფასებისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იყენებს მასწავლებლებს, დარგის სპეციალისტებსა და მეცნიერებს. შექმნილია დამტკიცებულ სახელმძღვანელოთა ჩამონათვალი და სკოლების საგნობრივი დეპარტამენტების წარმომადგენლები ირჩევენ სახელმძღვანელოს სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელოების ნუსხიდან. ამის შემდეგ ხდება სახელმძღვანელოს გამოცემა და სკოლებში დარიგება, რომელიც შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში გამოიყენება.

რაც შეეხება ბილინგვურ სახელმძღვანელოებს, მასწავლებელთა განვითარების ცენტრი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელოთა ნუსხიდან არჩევს სახელმძღვანელოებს, რომლებიც უნდა ითარგმნოს. ეთნიკურ უმცირესობათა სკოლებს არ აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ ბილინგვური სახელმძღვანელო, რომელსაც სასწავლო პროცესში გამოიყენებენ, რადგან სახელმძღვანელო ჯერ ქართულად არია დაწერილი და შემდეგ არის ნათარგმნი. ნათარგმნი სახელმძღვანელოები გათვალისწინებულია ქართულისთვის, როგორც მეორე ენისთვის და შემუშავებულია I-VI კლასებისთვის. ბილინგვური სახელმძღვანელოები არსებობს შემდეგი საგნებისთვის: მათემატიკა, ბუნება, ხელოვნება, მუსიკა, ჩვენი საქართველი, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება და საინფორმაციო ტექნოლოგია. 2011–2012 წლებში, მეოთხე და მეათე კლასებისათვის რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა შემდეგი სახის სახელმძღვანელოები: მათემატიკა, მეცნიერება და ხელოვნება. სხვა საგნები მშობლიურ ენაზე ისწავლებოდა. როგორც

დოქტორ ტერეზა უიგლესვორთ–ბეიეკერის მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, მასწავლებელთა და დირექტორთა უმეტესობა უკმაყოფილოა ბილინგვური სახელმძღვანელოებით, რადგან მათი შემუშავების დროს განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ქართულს, როგორც მეორე ენას და არასაკმარისად ვითარდება სხვა საგნები. ამის მიზეზად მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ ბილინგვური სახელმძღვანელოები საგნის გამოცდილ პედაგოგებს სათანადოდ არ განუხილავთ.

რაც შეეხება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებს, დღეისათვის საქართველოში უმცირესობათა ენებზე სახელმძღვანელოები შემუშავებული არ არის. განათლების სამინისტროში ქ–მა თამარ ჯაყელმაც მსგავსი ინფორმაცია მოგვაწოდა, რომ უმცირესობათა ენებზე გამოცემული სახელმძღვანელოები, რომლებსაც დღეს სკოლები იყენებენ, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან შემოდის. ეს სახელმძღვანელოები შესაბამისი ქვეყნების სასწავლო გეგმების მიხედვით არის შედგენილი და არა საქართველოში. ეს პრობლემას უქმნის ეროვნულ უმცირესობებს საქართველოში სასკოლო გამოსაშვები გამოცდების დროს, რადგან მოსწავლეებს არ აქვთ საგნის სათანადო ცოდნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რაც ზოგადი უნარების გამოცდების ჩასაბარებლად მოითხოვებოდა. მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოებს სკოლები მასწავლებელთა რესურს ცენტრებიდან იღებენ, რომლებსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამარაგებს.

2006–2007 წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა აზერბაიჯანული და სომხური (როგორც მშობლიური ენები) სწავლების სტანდარტი. ამ პროცესში ცართლუნი იყვნენ ეუთოსა და ადგილობრივი ექსპერტები. 2008 წლის შემდეგ, ეს პროექტი აღარ გაგრძელდა, რადგან არ მოხდა სამინისტროს მიერ ახალი სტანდარტის დამტკიცება.

ინტეგრაციის გაძლიერების მიზნით ასევე მნიშვნელოვანია გამოიყოს ეუთო ეუუკ–ის მიერ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამა „არგონავტი“. პროგრამის ძირითადი მიზანი იყო დახმარება გაეწიათ ეთნიკური უმცირესობების სკოლის მოსწავლეებისათვის ქართული ენის შესწავლაში და ხელი შეეწყოს ქართულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისათვის. ამ გაცვლითმა პროგრამამ გაზარდა ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეების მოტივაცია შეესწავლათ ქართული ენა. ასევე სხვადასხვა ეთნიკური წარმომობის ბავშვები დამეგობრდნენ და ეზიარნენ სხვადასხვა კულტურას.

საქართველოში მულტილინგვური განათლების შეჯამებისათვის საინტერესოა ის შენიშვნები და პრობლემები რაც საერთაშორისო ექსპერტებს აქვთ გამოთქმული.

მაგალითად, ექსპერტი დოქტორი ტერეზა უიგლესვორთ–ბეიკერის მოსაზრებები, რომელმაც 2015 წელს საქართველოში ჩაატარა კვლევა მულტილინგვური განათლების შესახებ. ის თავის დასკვნაში წერს შემდეგ ხარვეზებს, რომლებიც უნდა აღმოიფხვრას, რათა გაუმჯობესდეს მულტილინგვური განათლების დანერგვის პროცესი, რომ საჭიროა მეტი თანმიმდევრულობა და კოორდინაცია სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შორის, როგორცაა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების ცენტრს შორის. საგანმანათლებლო სისტემის ყველა მონაწილემ უნდა იმუშაოს ერთად და აიღოს პასუხისმგებლობა განათლების განვითარებისათვის. ასევე მისივე მოსაზრებით, საჭიროა მულტილინგვური განათლების საკოორდინაციო ერთეულის არსებობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის იურიდიულ პირებთან ურთიერთობის უზრუნველსაყოფად.

ასევე მნიშვნელოვანია გამოიყოს ის პროექტები თუ პროგრამები, რომლებიც ამ მიმართულებით ამჟამად მიმდინარეობს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ხორციელდება „ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების პროგრამა“. პროგრამა სრულდება ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის სამმართველოსთან თანამშრომლობითა და ზოგადევროპული ენობრივი კომპეტენციის გათვალისწინებით. პროგრამის მიზანია მსმენელებისა და მასწავლებლებისათვის ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლა/სწავლების პროგრამის შეთავაზება. ამ პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ქართულის, როგორც უცხო ენის სტანდარტი – ქართული ენის ფლობის დონეების (A1-A2, B1-B2) აღწერილობა. ეს სტანდარტი ხელს უწყობს ქართულის, როგორც უცხო ენის, დამოუკიდებელ სასწავლო მიმართულებად ჩამოყალიბებას და მის შემდგომ განვითარებას. ამ სტანდარტული აღწერილობის საფუძველზე იქმნება მრავალფეროვანი სასწავლო თუ მეთოდური ლიტერატურა. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ უკვე დასრულდა მუშაობა ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდის სახელმძღვანელო კრებულზე.

2016 წლიდან მოქმედებს მასწავლებელთა განვითარების პროგრამა, რომელიც დანერგილია არაქართულენოვან სკოლებში. აღნიშნული პროგრამა მოიცავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გასულ წლებში განხორციელებულ პროგრამებს, – „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ (2009–2015) და „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ (2011–2015). ახალი პროგრამის

ფარგლებში ერთ–ერთ მიმართულებად განისაზღვრა ადგილობრივი მასწავლებლებისთვის სახელმწიფო ენის კურსის შეთავაზება. პროგრამის მიზანს წარმოადგენს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია და არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად პროგრამის ფარგლებში ორი ძირითადი მიმართულებაა: პედაგოგების გაგზავნა არაქართულენოვან სკოლებში და სასწავლო რესურსების შექმნა. 2013 წელს პროგრამის ფარგლებში დასაქმებული იყო 274 ადამიანი. 2014 წლის მდგომარეობით, პროგრამაში ჩართული იყო 210 დამხმარე პედაგოგი. 2015–2016 სასწავლო წლის განმავლობაში გაიგზავნა 105 ქართულის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ–მასწავლებელი, ქართულის, ისტორიისა და გეოგრაფიის 135 დამხმარე მასწავლებელი. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, www.mes.gov.ge; 2017 წლის 23 დეკემბერი).

2013–2015 წლების პროგრამის „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ მონაწილეთა 53% ჩართული იყო გაცვლითი პროგრამების დაგეგმვაში და განხორციელებაში. სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი სკოლები დამეგობრდნენ სხვადასხვა რეგიონის ქართულენოვან სკოლებთან. ტრენერ–მასწავლებლებმა მოიძიეს პარტნიორი სკოლები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში (თბილისი, გურჯაანი, გორი, გარდაბანი, საგარეჯო, ჩაქვი, ზესტაფონი, ხაშური და სხვ.) და მოაწყვეს გაცვლითი ღონისძიებები: ერთმანეთთან ვიზიტი და თანაცხოვრება 1 კვირის განმავლობაში; გაკვეთილებზე დასწრება; საერთო კონცერტი/სპექტაკლის მომზადება; სხვადასხვა კერძების გაცნობა; ქართული მართლმადიდებლური, სომხური სამოციქულო ეკლესიების, მეჩეთებისა და სხვა კულტურული ძეგლების დათვალიერება.

დღესდღეობით ქართული ენის პოპულარიზაციისა და უცხოელებისათვის ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედებს სპეციალური პროგრამა „ირბახი,“ რომელიც ქართულის, როგორც უცხო ენის სასწავლო–მეთოდურ თუ, დამხმარე მასალას სთავაზობს ენის სწავლის მსურველებს.

5.3 მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში

სამოქალაქო ინტეგრაციის მნიშვნელოვანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, როგორც სახელმწიფო ისე მშობლიურ ენებზე. სამოქმედო გეგმით ამ

მხრივ გათვალისწინებული ღონისძიებები მიმართულია ისეთი ამოცანების შესრულებისაკენ, როგორცაა: ეროვნული სასწავლო გეგმისა და სახელმძღვანელოების დახვეწისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა; არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; სკოლის ადმინისტრაციის პროფესიული განვითარებისა და ორენოვანი განათლების რეფორმის ხელშეწყობა; სახელმწიფო ენის სწავლების გაუმჯობესების ხელშეწყობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის; ასევე, მათი მშობლიური ენის შენარჩუნების უზრუნველყოფა.

„საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“, „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, ეს ის კანონებია, რომლებიც ეროვნულ დონეზე არეგულირებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მართვასა და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს.

როგორც კვლევის პერიოდში ჩატარებული ინტერვიუს დროს საქართველოს განათლების სამინისტროში განაცხადეს, საქართველოს განათლების სისტემაში იკვეთება მულტიკულტურალიზმის კონცეფცია და ეს კარგად ჩანს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში. მთავრობის ეს დადგენილება 2004 წელს იქნა დამტკიცებული და მასში რვა ძირითადი მიზანია ჩამოყალიბებული, რომელთაგანაც ერთ-ერთი მიზანი უშუალოდ ამ საკითხს ეძღვნება: „საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს: იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე; დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურ და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშავოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.“

ასევე განათლების სამინისტროს შესაბამისი მიმართულების სპეციალისტებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს არაერთხელ იქნა ხაზგასმული ის ფაქტიც, რომ საქართველოს განათლების სისტემა ყოველთვის ორიენტირებული იყო უმცირესობათა ინტეგრაციისაკენ და არა ასამილაციისაკენ.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები მოიცავს რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას. განხორციელებული აქტივობების მიხედვით სამინისტროს

პრიორიტეტებად იკვეთება მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება, ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია 2015 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული და დაამტკიცებული ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერის პროგრამა, რომელმაც უკვე ათასობით აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და რუსულენოვანი მასწავლებელი მოამზადა.

რაც შეეხება უშუალოდ ინტერკულტურული განათლებისა და სამოქალაქო ცნობიერების გამომხატველ პუნქტებს, მათში აღნიშნულია, რომ „საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება. სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა”.

საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ” განმარტებულია ზოგადი განათლების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები. კერძოდ ერთ–ერთი საყურადღებო მიზანი, რომელიც მიმართულია მოსწავლეებში ტოლერანტული, სამოქალაქო და სხვა ღირებულებებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებისკენ არის შემდეგი: „მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ–ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ–დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება–მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა”.

ამავე კანონის მეორე თავი ეხება მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში იკრძალება სასწავლო პროცესის პოლიტიზება; საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება”.

საყურადღებოა ასევე კანონის ის ნაწილი, სადაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ერთ–ერთ ძირითად ვალდებულებად გაცხადებულია: „ა) მოსწავლეებს,

მშობლებს და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრების ხელშეწყობა, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა; ბ) უმცირესობების წევრების ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებების განუხრელი დაცვა. ეს ნიშნავს მათი ფუნდამენტური უფლების – თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება – ხელშეუხებლობას”.

მნიშვნელოვანი დოკუმენტია აგრეთვე 2011–2016 წლის „ეროვნული სასწავლო გეგმა“. ის ზოგადი განათლების საფეხურების მიხედვით, განსაზღვრავს აუცილებელ საგნობრივ ჯგუფებს, საგნების მიხედვით საათების განაწილებასა და რაოდენობას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს. ეროვნული სასწავლო გეგმით განისაზღვრება იმ შედეგების ჩამონათვალი, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველ საგანში თუ საგნობრივ ჯგუფში კლასის ან საფეხურის დამთავრებისას.

ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარი ეხება სწავლა–სწავლების ძირითად პრინციპებს. მაში ნათლადაა განმარტებული, რომ სწავლა–სწავლების პროცესმა, ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას, ასევე, შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას სკოლის საზოგადოების წევრებისათვის.

ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა სწავლა–სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა. კანონის ეს მუხლი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს ავალდებულებს მოსწავლეებს მისცეს განვითარების თანაბარი შესაძლებლობები, რაც მიიღწევა სწავლა–სწავლების პროცესში მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით. გეგმაში ვკითხულობთ, რომ „სკოლის საერთო კულტურამ ხელი უნდა შეუწყოს მოზარდს იმის გააზრებაში, რომ ყოველი ადამიანი წარმოადგენს გარკვეული ენის, კულტურის, ტრადიციის მატარებელ ინდივიდს, რომელსაც თავისი უნიკალური წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნისა თუ საზოგადოების წინსვლაში. ეს სტიმულს მისცემს მოზარდის სრულფასოვან განვითარებას და დაეხმარება მას კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვაში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ”.

ეროვნული სასწავლო გეგმის მე–3 კარში საგნობრივი პროგრამები ხაზგასმულია სახელმწიფო ენის სწავლების მრავალმხრივი მნიშვნელობა საქართველოში მცხოვრები არაქართულენოვანი ჯგუფებისათვის. კერძოდ, მითითებულია რომ სამოქალაქო

ინტეგრაციის ერთ–ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევა არის – ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცდონა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამიტომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეროვნული სასწავლო გეგმა არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისათვის ითვალისწინებს სახელმწიფო ენის სწავლებას.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ჯგუფის პროგრამის შემდგენლები ისტორიის, სამოქალაქო განათლებისა და გეოგრაფიის სწავლების პროცესს უკავშირებენ საქართველოსთვის ისეთი პრობლემური საკითხის გადაჭრის პერსპექტივას, როგორც არის ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან ქვეყანაში ტოლერანტული, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა, რაც ეფუძნება საზოგადოების ყველა წევრის მიერ სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება–ვალდებულებების გაცნობიერებას, განსხვავებულ იდენტობებთან მშვიდობიან თანაარსებობას, ზოგადად მრავალფეროვნებისადმი სოლიდარულ განწყობასა და აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას.

სახელმწიფო ენის სწავლება მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სასკოლო განათლების მთავარი სახელმწიფო მიზნის განხორციელებას. ეს არის ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას და საკუთარი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში დეტალურადაა გაწერილი ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მიზნები. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა ის მიზნები, რომლებიც უშუალო კავშირშია ინტერკულტურული განათლების დონის გაუმჯობესებასთან შესაბამისი ცოდნის, ცნობიერების ამაღლებისა და ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესთან.

ინტერკულტურული განათლების თვალსაზრისით, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს საზოგადოებრივი მეცნიერებების ბლოკს „საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას. მიაწოდოს მოსწავლეს ინფორმაცია მშობლიური გარემოს შესახებ; დაეხმაროს მას, განსაზღვროს მშობლიური ქვეყნის ადგილი მსოფლიო ისტორიულ და გეოგრაფიულ პროცესებში; ჩამოაყალიბოს იგი პატრიოტ და ჰუმანურ ადამიანად. ამასთან, საზოგადოებრივი

მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების სწავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებების გამომუშავებისთვის.

საქართველოს მთავრობის მიერ განათლების სფეროში გატარებული პოლიტიკა ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში აშკარად თანხვედრაში მოდის მულტიკულტურალიზმის ზოგად კონცეფციასთან, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სასკოლო განათლების მხარდაჭერა. ამ პოლიტიკის ფარგლებში სახელმწიფო აგრძელებს არაქართულენოვანი სკოლებისა და არაქართულენოვანი სექტორების არსებობას. მართალია არაერთმა არაქართულენოვანმა სკოლამ ოპტიმიზაციის პროცესის შედეგად არსებობა შეწყვიტა, თუმცა იქ სადაც ამის მზარდი მოთხოვნა არსებობს სახელმწიფო ინარჩუნებს მსგავს სკოლებს. უკანასკნელი მონაცემებით საქართველოში 213 არაქართულენოვანი საჯარო სკოლა და 77 არაქართულენოვანი სექტორია. 217 არაქართულენოვანი საჯარო სკოლიდან უმეტესობა 117 სომხურენოვან სკოლას წარმოადგენს, 85 აზერბაიჯანულენოვანს, ხოლო 11 რუსულენოვანს. 77 არაქართულენოვანი სექტორიდან კი 31 არის ქართულ-რუსული, 28 ქართულ-აზერბაიჯანულენოვანი, 8 ქართულ-სომხური, 7 ქართულ-სომხურ-რუსული, 3 ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანულენოვანი. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საგანმანათლებლო დაწესებულებების კატალოგი, www.mes.gov.ge; 2018 წლის 23 თებერვალი).

2015 წლის ნოემბერში დამტკიცებულ იქნა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1255, რომლითაც განისაზღვრა სკოლები/კლასები, სადაც დაინერგა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების შემდეგი ენების შესწავლა: ოსური, ხუნძური, უდიური, ასურული, ქურთული. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2016 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში ვკითხულობთ: „განისაზღვრა სკოლები/კლასები, სადაც დაინერგა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების შემდეგი ენების შესწავლა: ოსური, ხუნძური, უდიური, ასურული, ქურთული. კერძოდ:

1. ოსური ენა - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. წიწკანაანთსერის საჯარო სკოლის I-IX, ლაგოდების მუნიციპალიტეტის სოფლების ფონისა და არეშფერანის საჯარო სკოლების I-XII კლასებში;
2. ხუნძური ენა - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლების თივის, ჩანტლისყურისა და სარუსოს საჯარო სკოლების I-IX კლასებში;

3. უდიური ენა - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. ზინობიანის საჯარო სკოლის I - VI კლასებში;
4. ასურული ენა - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ძველი ქანდის საჯარო სკოლის VI-XI კლასებში; 7
5. ქურთული - განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა ქ. თბილისის N79 საჯარო სკოლა.”

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ ბრძანებაში და 1-ელ პუნქტს დაემატა ქვეპუნქტი, რომლითაც განისაზღვრა ჩეჩნური ენის, როგორც არჩევითი საგნის სწავლება კვირაში ორსაათიანი დატვირთვით. ჩეჩნური ენის სწავლება განისაზღვრა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლების: დუისის, დუმასტურის, ბირკიანისა და ჯოყოლოს საჯარო სკოლების V-VI კლასებში.

ამის გარდა, 2017 წლიდან აფხაზური ენის კურსები (საკვირაო სკოლა) ფუნქციონირებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 14 საჯარო სკოლაში და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლაში. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1255, 2015 წ.).

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2016 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში ასევე ვკითხულობთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროგრამა თუ პროექტი. კერძოდ, ქვეპროგრამის „მულტიკულტურული საზაფხულო სკოლა“ ფარგლებში განხორციელდა აქტივობა: „მულტიკულტურული საზაფხულო სკოლა მასწავლებელთათვის“ და „მულტიკულტურული საზაფხულო სკოლა მოსწავლეებისთვის“. მათში მონაწილეობა მიიღო საქართველოს რეგიონების (კახეთი, ქვემო ქართლი, სამცხე ჯავახეთი) არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების 30 მასწავლებელმა და მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლების 20 მასწავლებელმა. პედაგოგებისთვის განხორციელდა 12 დღიანი საზაფხულო სკოლა ბაკურიანში, რომელიც მოიცავდა, როგორც კულტურათაშორის დიალოგის ხელშემწყობ ტრენინგებს, ასევე არააკადემიურ პროგრამებსაც. რაც შეეხება მოსწავლეების პროგრამას, მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ესეების კონკურსების საფუძველზე შერჩეული საქართველოს რეგიონების (კახეთი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი) არაქართულენოვანი სკოლების/სექტორები VIII, IX, X, და XI კლასების საუკეთესო შედეგების მქონე 30 მოსწავლემ და საქართველოს მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლების VIII,

IX, X, და XI კლასების საუკეთესო შედეგების მქონე 20 მოსწავლემ. საზაფხულო სკოლა ითვალისწინებდა კულტურათაშორისი დიალოგის განვითარებისათვის გამიზნული აქტივობების განხორციელებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზემოთჩამოთვლილ კანონებსა თუ დოკუმენტებში აქცენტი კეთდება მოსწავლეებში ინტერკულტურული განათლებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ღირებულებების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირებაზე, როგორცაა: ადამიანის სიცოცხლე, ღირსება, სხვისი უფლებების პატივისცემა, თანაგრძნობა, მზრუნველობა, თანასწორობა და ტოლერანტობა.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში ინტერკულტურული განათლების საკითხი მეტად აქტუალურია, რაც ბოლო წლებში საქართველოს მთავრობის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებიდანაც იკვეთება. საქართველოს მთავრობის მიერ განათლების სფეროში გატარებული პოლიტიკა ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში აშკარად თანხვედრაში მოდის მულტიკულტურალიზმის ზოგად კონცეფციასთან, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სასკოლო განათლების მხარდაჭერა.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ძირითად გამოწვევებად რჩება სამოქალაქო ინტეგრაციისა და სრულფასოვანი ჩართულობის ზოგადი პოლიტიკის მთელი რიგი მიმართულებების ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული განხორციელება. ზოგად ინტეგრაციულ პროცესს ხელს უშლის ეთნიკურ უმცირესობათა შორის სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე და განათლების ხელმისაწვდომობის ნაკლები შესაძლებლობები.

2000-იანი წლებიდან საქართველოში ინტერკულტურული განათლების პოლიტიკა მეტად თანმიმდევრული გახდა. საქართველო აღიარებს ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ დეკლარაციებსა თუ დოკუმენტებს, რომლებიც ინტერკულტურულ განათლებას ეხება და შესაბამისად საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ამ მიმართულებით ვალდებულებაც აქვს აღებული. საქართველოს კანონმდებლობაში გაჩნდა ჩანაწერები, რომელშიც იკვეთება მულტიკულტურალიზმის კონცეფცია. ამ მიმართულებით საჭიროა კიდევ ერთხელ გამოიყოს ზემოაღნიშნული დოკუმენტები: „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენცია, რომლის რატიფიცირებაც საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წელს მოხდა; „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმები და სხვ.

საინტერესოა ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტის რა ნაწილი ეთმობა ეთნიკური უმცირესობების საჭიროებების საკითხებს და რა მდგომარეობაა ამ მხრივ ბოლო წლებში. (იხ: ცხრილი #6, გვ. 171).

2018 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ბიუჯეტი შეადგენს 1,186, 215 ლარს. ბიუჯეტიდან 40,800.00 ლარი გამოყოფილია ზოგადად პროფესიული განათლების განვითარების ხელშესაწყობად, ხოლო ამ მიმართულებით გამოყოფილი თანხის დაახლოებით 5.6%, კერძოდ 2.300.0 ლარი უშუალოდ ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადებისთვისაა განკუთვნილი. (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, www.mof.gov.ge; 2018 წლის 22 ივნისი). ამ მიმართულებაზე მუშაობს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა.

5.4 ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად

კულტურის მიმართულებით სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამავე დროს აღნიშნული მემკვიდრეობის სრული ინტეგრირება ზოგად ქართულ კულტურულ სივრცეში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს 2016 წლის 1 ივლისს საქართველოს მთავრობის მიერ კულტურის სტრატეგიის დამტკიცება. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ აღნიშნული დოკუმენტი ფართო საზოგადოებისა და უწყებათაშორისი კომისიის ჩართულობით შეიმუშავა.

სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს: „კულტურული მრავალფეროვნება, სხვადასხვა კულტურის შეუზღუდავი თვითგამოხატვა და ურთიერთქმედება ამდიდრებს სახელმწიფოს და ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას. ამ მიზნის მისაღწევად კი სტრატეგიაში დასახულია რამდენიმე ამოცანა, კერძოდ:

1. „საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ქვეყნის განვითარებისა და დემოკრატიზაციისთვის კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობისა და მისი შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ. მაგალითად: განსხვავებულობის, სხვადასხვა კულტურათა აღიარება და მიმღებლობა და მათ მიმართ შემწყნარებლობა, სხვადასხვა კულტურის ტრადიციების მქონე ხელოვანთა და მულტიკულტურული გარემოს როლი და სხვა;

2. კულტურათაშორისი დიალოგის გადრმავეებისა და სოციალური ერთობის განმტკიცების მიზნით, სახელმწიფო, სამოქალაქო და კერძო სექტორის სხვადასხვა ინიციატივის მხარდაჭერა (მაგალითად: შემოქმედებითი პროექტი, არაფორმალური განათლების პროგრამები, ინტერკულტურული ბანაკები და ა.შ.);
3. მრავალფეროვანი შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების მიზნით, განსხვავებული კულტურული ტრადიციების მქონე ხელოვანებისა და აკადემიური კადრების გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა;
4. კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და განვითარების მიზნით, საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და აღდგენა (მაგალითად ძეგლების რეაბილიტაცია, სხვადასხვა ტრადიციული ცოდნისა და საშემსრულებლო ხელოვნების შენარჩუნება და სხვა);
5. კულტურისა და შემოქმედების ტრადიციული და თანამედროვე ფორმების ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების თანაარსებობის, კულტურაში სამთავრობო და არასამთავრობო, კერძო სექტორების, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მონაწილეობის თანაბარი ხელშეწყობა;
6. ენობრივი მრავალფეროვნების უმნიშვნელოვანესი ფაქტორის, განვითარების მხარდაჭერა.”

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2016 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში დეტალურადაა ჩამოთვლილი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობითა და უშუალო მონაწილეობით განხორციელებული სხვადასხვა პროგრამები/პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დაცვა-განვითარებასა და პოპულარიზაციას.

კულტურის პოლიტიკისათვის ძირითადი საკითხების განსაზღვრის და ხელისუფლების მიერ კულტურული მრავალფეროვნების კონცეპტუალური გააზრების გარდა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს მთელი რიგი პრაქტიკული პროექტების დაფინანსებას და განხორციელებას, რომლებიც მიმართულია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაზე. წინა წლების მსგავსად, კულტურის პოლიტიკის ახალ სტრატეგიაში

ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული დაწესებულებების დაფინანსებასა და მხარდაჭერაზე. კულტურული თვითგამოხატვის ხელშეწყობისა და ქართულ სივრცეში შემდგომი ინტეგრირების მიზნით გაგრძელდა საჯარო სამართლის იურიდიული პირების, კერძოდ: დავით ბაახოვის სახელობის ქართველ ებრაელთა და ქართულ–ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმის, მირზა–ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის, თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური, თბილისის ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული და ალექსანდრე გრიბოედოვის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრების საქმიანობის ხელშეწყობა.

ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსულმა პროფესიულმა დრამატულმა თეატრმა 2016 წელს განახორციელა რიგირ აქტივობები: გაიმართა 118 სპექტაკლი, მათ შორის 7 პრემიერა, 7 გასვლითი სპექტაკლი რეგიონებში, საზღვარგარეთ გაიმართა 2 გასტროლი. რაც შეეხება, თბილისის ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანულ და თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხურ პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრებს, აზერბაიჯანულმა თეატრმა გამართა 2 სპექტაკლი, შედგა 5 საპრემიერო სპექტაკლი, ხოლო სომხურ თეატრში გაიმართა 15 სპექტაკლი, მათ შორის 1 პრემიერა და განხორციელდა სხვადასხვა რეგიონში 7 გასტროლი.

გარდა თეატრების მხარდაჭერისა კულტურისა და სპორტის სამინისტრო აქტიურად უჭერს მხარს მუზეუმებს.

სსიპ დავით ბაახოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ–ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმმა 2016 წელს განახორციელა შემდეგი აქტივობები: სამეცნიერო კონფერენცია „თბილისი–იერუსალიმი“, მიზეუმის ფონდების ინვენტარიზაცია და ელექტრონული ვერსიის შექმნა, ბიბლიოთეკისა და მუზეუმის ინვენტარიზაცია.

სსიპ მირზა–ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმში გაიმართა 3 გამოფენა, 1 კლიპის პრეზენტაცია, 3 შეხვედრა/ლონისძიება. სსიპ სმირნოვების მუზეუმში კი დასრულდა ინვენტარიზაციის პროცესი.

აღსანიშნავია აგრეთვე ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციისათვის მიმართული აქტივობები. დასრულდა საქართველოში არსებული გერმანული კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია, კერძოდ: თეთრიწყაროს, წალკის, მარნეულისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში და ქ. თბილისის დიდუბის რაიონში. ინვენტარიზაციის შედეგად აღირიცხა 150–მდე ობიექტი.

კულტურული მემკვიდრეობის თითოეულ ობიექტზე მომზადდა საველე და საალიცხვო ბარათები. გარდა ამისა მომზადდა საქართველოს რუკა, რომელზედაც დატანილია ზემოაღნიშნული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი გერმანული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები. გამოვლენილი 150-მდე გერმანული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისათვის იგეგმება სტატუსის მინიჭების პროცედურები. 2016 წელს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა გერმანული კულტურული მემკვიდრეობის 40-მდე ობიექტს.

ასევე მომზადებულ იქნა დოკუმენტაცია ნორაშენის სომხური ტაძრის იატაკის მოსაწყობად. დასრულდა ნორაშენის ეკლესიის რეაბილიტაციის ეტაპი. 2016 წელს საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, განხორციელდა ნორაშენის ღვთისმშობლის ტაძრის რეაბილიტაციის ეტაპი.

ექსპერტთა შეფასებებით კულტურის სფეროში დიდწილად გრძელდებოდა უკვე ტრადიციად ქცეული პრაქტიკა, რაც ითვალისწინებს საბიუჯეტო სახსრების გამოყოფას სახელმწიფოს ბალანსზე მყოფი მსხვილი კულტურული დაწესებულებების მხარდასაჭერად, რაც თავის თავად პოზიტიური მოვლენაა, თუმცა ამის ფონზე ნაკლები ყურადღება ექცევა გაქრობის წინაშე მდგომი კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და ნაკლებად ცნობილი კულტურული ჯგუფების პოპულარიზაციასა და წახალისებას. ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ ისეთი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის აუცილებლობაზე, როგორებიცაა დუხობორთა და მალაკანთა კულტურული ნიმუშების დაცვა, საქართველოში არსებული მუსლიმური კულტურული ძეგლების შესწავლა და სახელმწიფო დაცვის ქვეშ აყვანა, მცირერიცხოვანი ეთნიკური და კულტურული ჯგუფების, მაგალითად ასურელების, უდიების, ავარების და სხვების კულტურული საჭიროებების დაკმაყოფილება და სხვა.

ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით პრიორიტეტის – „ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა“ – ფარგლებში გაგრძელდა კულტურის სფეროში მოღვაწე ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების შემოქმედების ამსახველი გამოფენების, გამოცემების, სპექტაკლების, საღამოების და სხვა კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.

კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „აზერბაიჯანული ხელით ნაქსოვი ხალიჩების ტრადიციების შენარჩუნება“ – პროექტი ითვალისწინებს ხელით ნაქსოვი ხალიჩების აზერბაიჯანული ტრადიციის შენარჩუნება–

განვითარებას, ხალიჩების ტექნოლოგიის შესწავლის მიზნით წრეების შექმნას, სადაც ხელსაქმის მცოდნეები ახალგაზრდებს შეასწავლიან ხალიჩებისა და გობელენების ქსოვას.

კულტურათაშორისი დიალოგის განვითარების მიზნით კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განხორციელდა არაერთი პროექტი.

პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“ – ითვალისწინებდა კულტურული ღონისძიებების გამართვას მარნეულში, ახალქალაქში, ნინოწმინდასა და ბოლნისში. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირების ხელშეწყობას, ახალგაზრდების ინფორმირებულობისა და სახელოვნებო განათლების დონის ამაღლებას. პროექტის ფარგლებში გაიმართა კულტურული ღონისძიებები ბოლნისში, ნინოწმინდაში, მარნეულსა და ახალქალაქში.

პროექტი „ყველა კულტურა განსხვავებული, მაგრამ თანასწორია“ – ფარგლებში ქ. მარნეულსა და ქ. ნინოწმინდაში გაიმართა სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა ფოლკლორული ანსამბლების კონცერტები და კონკურსები ხატვაში. თბილისში მოეწყო კონკურსებისა და კონცერტების ამსახველი ფოტოგამოფენა.

საინტერესოა აგრეთვე პროექტი „სერგო ფარჯანოვის თბილისი“ – სერგო ფარჯანოვის შემოქმედების ამსახველი კატალოგის გამოცემა. წიგნში წარმოდგენილია მხატვრებისა და ხელოვნებათმცოდნეების ხედვა ცნობილი რეჟისორისა და მხატვრის შემოქმედებისა და მისი ცხოვრების შესახებ. გაიმართა ასევე კატალოგის პრეზენტაცია.

პროექტი „ქართველთა და ოსთა მეგობრობა“ – საერთაშორისო საზოგადოებამ კავკასიური მოზაიკა“ განახორციელა პროექტი „გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლის მოსახლეობისათვის გამოფენის მოწყობა და კულტურული ღონისძიების ჩატარება“, რომლის ფარგლებშიც ერგენტში მოეწყო ქართულ–ოსური ურთიერთობების ამსახველი ფოტო–გამოფენა, ასევე ქართველი და ოსი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა და კონცერტი.

განსაკუთებული მნიშვნელობა აქვს ასევე კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ პანკისის ხეობაში განხორციელებულ ღონისძიებებს.

1. „ჩვენი ხალხი–ვანახები“ პროექტის ფარგლებში ორგანიზატორებისმიერ პანკისსა და ჯოყოლოში შერჩეული შემოქმედებითი ჯგუფების მიერ, თბილისში კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა გამოფენა და კონცერტი;
2. „კავკასიური კულტურის ფესტივალი პანკისში“ – პროექტი მიზნად ისახავდა ვანახური კულტურის პოპულარიზაციასა და მხარდაჭერას;

3. „ეროვნულ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია“ – თუშეთსა და პანკისის ხეობაში მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტის ხელშეწყობა, ვაინახური კულტურის პოპულარიზაცია, გაიმართა ერთობლივი ფოლკლორული კონცერტი თუშებისა და ვაინახების მონაწილეობით;
4. „პანკისის ხეობა და ქისტური ცეკვის ამაგდარი“ – აღნიშნული სახელმწიფოებით გამოიცა ალბომი, რომელიც ადგილობრივი ცეკვის, ტრადიციების შენარჩუნებას, წარმოჩენასა და პოპულარიზაციას ემსახურება;
5. ალბომის „ვაინახური ხელოვნება“ – კატალოგში თავმოყრილია ინფორმაცია ვაინახური ხელოვნების ნიმუშების, ვაინახური ტრადიციული კულტურის, უძველესი რეწვის ტექნოლოგიებისა და ოსტატების შესახებ;
6. გაიმართა სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის გასტროლი პანკისის სოფლებში (დუისი, ომალო, ჯოყოლო).

აღსანიშნავია აგრეთვე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციის საქმიანობა. ადმინისტრაცია აქტიურადაა ჩართული იმ ღონისძიებების ორგანიზებაში, რომლებიც ხელს უწყობენ ეთნიკური უმცირესობების კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ფუნქციონირებს საკლუბო დაწესებულებები, სადაც შექმნილია სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები. ამასთანავე, კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა და კულტურული ღონისძიებების დაფინანსება.

კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ბიუჯეტიდან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში დაფინანსდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები: პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის დამატებულ იქნა 15 სამუზეუმო ექსპონატი; ახმეტის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო–შემეცნებითი სკოლის ბაზაზე სოფელ ჯოყოლოში გახსნილია სახელოვნებო–შემეცნებითი სკოლა; პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში ფუნქციონირებს ერთი სამუსიკო სკოლა.

ინტერვიუს დროს, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის თანამშრომელმა ქ-ნმა ირინა საგანელიძემ ისაუბრა საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა კულტურის, შემოქმედების,

განვითარებისა და ხელშეწყობის პრიორიტეტებზე, პროგრამებსა და სამინისტროს მიღწევებზე. მისი დეპარტამენტი სამინისტროში უშუალოდაა პასუხისმგებელი ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში არსებული პროგრამების მათი პოპულარიზაციისა და მონიტორინგის საკითხებზე. როგორც მან ინტერვიუს დროს განაცხადა, კულტურულ სივრცეში ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული. კერძოდ, მან გამოყო 2016 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული კულტურის ტრატეგია. „სტრატეგია ინიცირებულ იქნა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ და საკონსულტაციო პროცესში ჩართულნი იყვნენ საზოგადოების სხვადასხვა წრეები, მათ შორის ეროვნულ უმცირესობათა თემებისა და მათი კულტურული უფლებების დამცველი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ სტრატეგიით სახელმწიფომ აიღო ვალდებულება ხელი შეუწყოს და განავითაროს ყველა განსხვავებული ჯგუფის, თუ ეროვნული უმცირესობის კულტურული მემკვიდრეობა. კულტურისა და სპორტის სამინისტროს შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია შესასრულებელი ამოცანები და ასევე ყოველწლიური შესრულებელი ამოცანების შესახებ ანგარიში. ზოგადად, მულტიკულტურალიზმის პოლიტიკას ემსახურება საქართველოს მთავრობის ხედვა, შიდა პოლიტიკური საკითხების უწყებათაშორისი სტრატეგიები და პროგრამები. ინტენსიურად ცხადდება ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობის და შემოქმედების ამსახველი ალბომების გამოფენები და სხვადასხვა კონკურსები. 2008 წლიდან მოყოლებული სამინისტრო ყოველწლიურად ატარებს ფესტივალს „ერთი ცის ქვეშ“, რომელშიც მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანები, სადაც საკუთარი კულტურისათვის დამახასიათებელ ნომრებს წარმოადგენენ. წლიდან წლამდე კი ფესტივალისადმი ინტერესი იზრდება და ფართოვდება. 2016 წლამდე გამოცხადებული კონკურსები, რომელშიც მონაწილეობას ეთნიკური უმცირესობები იღებდნენ მონაწილეთა შერჩევა საკონკურსო წესით ხდებოდა, ხოლო მომდევნო წლებიდან სამინისტრო გეგმას ამ პროცესში პროფესიული წრეების ჩართვას, რადგან ამგვარ კონკურსებს უნდა ქონდეს არაერთჯერადი და სტრატეგიული მნიშვნელობა. სამინისტრო ასევე გეგმავს ყოველწლიურად 21 მაისს, აღნიშნოს მრავალფეროვნების დღე, რომელშიც მონაწილეობას ყველა ეთნიკური ჯგუფი მიიღებს. სამინისტროში ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა კი ზოგადად დაგეგმილი ღონისძიებების პრიორიტეტული მიმართულებაა და შესაბამისად ამ ღონისძიებათა დასაფინანსებლად ცალკე ბიუჯეტია გამოყოფილი.

საინტერესოა თუ ბიუჯეტის რა ნაწილს ხარჯავს კულტურის სამინისტრო ეთნიკური უმცირესობების კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად.

2012 წელს ხელოვნების განვითარების ღონისძიებებისათვის გამოყოფილი იყო 54,581.8 ლარი, აქედან:

1. ალექსანდრე გრიობოედოვის სახელობის რუსულული სახელმწიფო დრამატული თეატრისათვის 1,085.9 ლარი;
2. სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრისათვის 135.0 ლარი;
3. სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატური თეატრისათვის 402,3 ლარი;
4. სსიპ დავით ბაზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმისათვის 75.0 ლარი;
5. სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმისათვის 30.0 ლარი;
6. აღსანიშნავია აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც ცალკე პუნქტად არის გამოყოფილი 100.0 ლარი.

2013 წელს ხელოვნების განვითარების ღონისძიებებისათვის გამოყოფილი იყო 36,576.2 ლარი, აქედან:

1. ალექსანდრე გრიობოედოვის სახელობის რუსულული სახელმწიფო დრამატული თეატრისათვის 1,100.0 ლარი;
2. სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრისათვის 135,0 ლარი;
3. სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატური თეატრისათვის 402.3 ლარი;
4. სსიპ დავით ბაზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმისათვის 75.0 ლარი;
5. სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმისათვის 30.0 ლარი;
6. აღსანიშნავია 2013 წელსაც ეროვნულ უმცირესობათა ხელშეწყობის პროგრამა ცალკე პუნქტად არის გამოყოფილი, ბიუჯეტით 100.0 ლარი.

2014 წელს ხელოვნების განვითარების ღონისძიებებისათვის გამოყოფილი იყო 40,589.0 ლარი, აქედან:

1. ალექსანდრე გრიობოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრისათვის 1,200.0 ლარი;
2. სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრისათვის 160,0 ლარი;
3. სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატური თეატრისათვის 440.0 ლარი;
4. სსიპ დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმისათვის 80.0 ლარი;
5. სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმისათვის 35.0 ლარი;
6. აღსანიშნავია 2014 წელსაც ეროვნულ უმცირესობათა ხელშეწყობის პროგრამა ცალკე პუნქტად არის გამოყოფილი, ბიუჯეტით 100.0 ლარი.

2015 წელს ხელოვნების განვითარების ღონისძიებებისათვის გამოყოფილი იყო 39.702.0 ლარი, აქედან:

1. ალექსანდრე გრიობოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრისათვის 1,200.0 ლარი;
2. სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრისათვის 160.0 ლარი;
3. სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატური თეატრისათვის 440.0 ლარი;
4. სსიპ დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმისათვის 80.0 ლარი;
5. სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმისათვის 35.0 ლარი;
6. აღსანიშნავია 2015 წელს ეროვნულ უმცირესობათა ხელშეწყობის პროგრამა აღარ ფინანსდება.

2016 წელს ხელოვნების განვითარების ღონისძიებებისათვის გამოყოფილი იყო 39.664.0 ლარი, აქედან:

1. ალექსანდრე გრიობოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრისათვის 1,210.0 ლარი;
2. სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრისათვის 160.0 ლარი;

3. სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატური თეატრისათვის 440.0 ლარი;
4. სსიპ დავით ბაზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმისათვის 128.0 ლარი;
5. სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმისათვის 35.0 ლარი;
6. სსიპ სმირონოვების მუზეუმი 68.0 ლარი.

2017 წელს ხელოვნების განვითარების ღონისძიებებისათვის გამოყოფილი იყო 45.004.0 ლარი, აქედან:

1. ალექსანდრე გრიობოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრისათვის 1,140.0 ლარი;
2. სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრისათვის 405.0 ლარი;
3. სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატური თეატრისათვის 145.0 ლარი;
4. სსიპ დავით ბაზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმისათვის 120.0 ლარი;
5. სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმისათვის 35.0 ლარი;
6. სსიპ სმირონოვების მუზეუმი 65.0 ლარი.

5.5 ეთნიკური წარმომადგენლობების ჩართვა მედია ლიცენზირებაში

მასმედიის მიმართულებით სახელმწიფოს ძირითადი გამოწვევები ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის კონტექსტში უკანასკნელი წლების მანძილზე იგივე რჩება. მთავარ პრობლემას წარმოადგენს ეთნიკურ უმცირესობათა ინფორმირების ეფექტური და შეუზღუდავი შესაძლებლობების არარსებობა, ამავე დროს მნიშვნელოვანია ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე სამაუწყებლო პროგრამების და ბეჭდვითი მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მედია საშუალებების მიერ კულტურული მრავალფეროვნების და პლურალიზმის ადეკვატურად ასახვა და მედიაში ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მიმართულებები უკანასკნელი წლების მანძილზე სახელმწიფოს პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც ასახულია კიდევ როგორც მაუწყებლობის შესახებ კანონში, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსში თუ ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის 2009 და 2015 წლების კონცეფციებსა და შესაბამის სამოქმედო გეგმებში. საქართველოს ასევე რატიფიცირებული აქვს „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენცია, რომლის მე-9 მუხლში ვკითხულობთ: „მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ აღიარონ თითოეული იმ პირის გამოხატვის თავისუფლების უფლება, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, ასევე მოიცავს ჰქონდეს მოსაზრებები და მიიღოს და გასცეს ინფორმაცია და იდეები უმცირესობის ენაზე სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. მხარეები, მათი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში უზრუნველყოფენ, რომ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები არ განიცდიდნენ დისკრიმინაციას მასმედიის მათთვის ხელმისაწვდომობის მხრივ. 1-ლი პუნქტი არ შეუშლის ხელს მხარეებს, დისკრიმინაციის გარეშე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, მოითხოვონ ხმოვანი რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზირება. მხარეები არ შეუშლიან ხელს იმ პირების მიერ ბეჭდვითი მასმედიის საშუალებების შექმნას და გამოყენებას, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს. ხმოვანი რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის სამართლებრივ ჩარჩოებში და 1-ლი პუნქტის გათვალისწინებით, ისინი მაქსიმალურად უზრუნველყოფენ, რომ იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მინიჭებული ჰქონდეთ მათი მასმედიის საშუალებების შექმნისა და გამოყენების უფლება.“

საქართველოში მაუწყებლობის განხორციელების წესს განსაზღვრას საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, რომელიც 2004 წელს იქნა მიღებული. საინტერესოა ამ კანონის რამდენიმე მუხლი, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებისათვის ინფორმაციის მიწოდებას ეხება.

ზემოაღნიშნული კანონის მიხედვით საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება. ასევე ის ვალდებულია ხელის შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის და კულტურული მრავალფეროვნების განვითარება და სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე,

უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები.

(საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, 2004).

როგორც „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში წერია ადგილობრივი და ეროვნული მაუწყებლობა ეწოდება მაუწყებლობას, რომელიც ხელმისაწვდომია ლიცენზიით/ავტორიზაციით განსაზღვრული მომსახურების ზონის მოსახლეობის არანაკლებ 90%-სთვის. ასევე მასში წერია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია ყოველწლიურად შექმნას ერთი ან ერთზე მეტი რეგულარული პროგრამული პროდუქტი არანაკლებ 4 ენაზე, მათ შორის აფხაზურ და ოსურ ენებზე.

საქართველოს მთავრობის 2015-2020 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებზე ორიენტირებული სტრატეგიების ნაკრებს წარმოადგენს, ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობებისთვის მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. (პირველი მიზნის - თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში“ - ქვემიზანი 1.5).

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს კანონი „საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ“ საზოგადოებრივ მაუწყებელს აკისრებს ვალდებულებას, პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება. იგივე კანონის მიხედვით იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის.

უნდა გამოიყოს ასევე სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის მასმედიისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით სახავს სამ ძირითად ამოცანას: ეთნიკური უმცირესობების თემატიკის გაშუქება და უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; მედიაში ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის ხელშეწყობა.

ეთნიკური უმცირესობების მათ საკუთარ ენებზე ინფორმირების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე საინფორმაციო გადაცემა „მოამბის“ ტრანსლირების პრაქტიკა აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. ასევე აღსანიშნავია საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ რეგიონული ტელევიზიების საეთერო დროის შექმნა, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სომხურენოვანი,

აზერბაიჯანულენოვანი და აფხაზურენოვანი „მომბის“ გადაცემა პარტნიორი რეგიონული ტელევიზიების მეშვეობით. ეს ტელევიზიებია: ბოლნისის ტელეარხი „ბოლნელი“, ნინოწმინდის ტელევიზია „ფარვანა“, ახალქალაქის ტელევიზია „ATV12“ და ზუგდიდის ტელევიზია „ოდიში“. საზოგადოებრივი მაუწყებელი რადიო ეთერს იყენებდა ასევე მოკლე საინფორმაციო კოლაჟისათვის აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ და ქურთულ ენებზე.

მშობლიურ ენაზე ინფორმაციის გავრცელების პოლიტიკას ემსახურება ასევე სახელმწიფოს მხრიდან ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე პერიოდული ბეჭდვითი ორგანოების გამოცემის მხარდაჭერა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია სომხურენოვანი „ვრასტანი“ (წელიწადში იბეჭდება 52 ნომერი, ტირაჟი 4000 ცალი) და აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანი“ (წელიწადში იბეჭდება 53 ნომერი, ტირაჟი 2000 ცალი) ტრადიციული დაფინანსება.

ეთნიკურ უმცირესობათა შესახებ და ზოგადად კულტურული მრავალფეროვნების და პლურალიზმის ასახვის თვალსაზრისით აღსანიშნავია საზოგადოებრივი მაუწყებლის როგორც სატელევიზიო, ასევე რადიო გადაცემები, თუმცა ამ გადაცემებს სტაბილური ეთერი არ გააჩნიათ და ხშირ შემთხვევაში მათი ეთერში გაშვება დამოკიდებულია სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების საგრანტო პროექტებზე. ასეთ გადაცემებს შორის უნდა აღინიშნოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოველკვირეული თოქ-შოუ „ჩვენი ეზო“ და ყოველკვირეული რადიო გადაცემა „ჩვენი საქართველო“. 2016 წლისათვის ეთერში გადის მხოლოდ რადიო გადაცემა „ჩვენი საქართველო“, რომელიც აშუქებს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების დღასაწაულებს, კულტურულ ტავისებურებებს, ტრადიციებს, გამოწვევებს, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დარღვევის ფაქტებსა და სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით არსებულ სირთულეებს. 2016 წლიდან ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მომბე“ 18:00 და 20:00 საათზე, გადაიცემა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენის მატარებელი ხმოვანი ბილიკების თანხლებით. აღნიშნული პროექტი „გასაგებ ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობებისათვის“ - რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი ინიციატივაა, რომელიც ხორციელდება აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით.

2016 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის მნიშვნელოვანი წამოწყება იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის ხუთენოვანი ვებ-გვერდის ამოქმედება

(<http://multitolerant.gpb.ge/>), სადაც უახლესი ინფორმაცია, ასევე ტელევიზიის ფონდებში დაცული სხვადასხვა მასალები ხელმისაწვდომია სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ, ოსურ და აფხაზურ ენებზე. პარალელურად საზოგადოებრივი მაუწყებლის სოციალურ ქსელში ასევე შექმნილია ხუთი სხვადასხვაენოვანი გვერდი.

რადიომაუწყებლობას რაც შეეხება, 2017 წლის განმავლობაში ეთერში გადიოდა ყოველკვირეული რადიო-გადაცემა „ჩვენი საქართველო“ (ქრონომეტრაჟი - 40 წუთი). აღნიშნული გადაცემის თემატიკა მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა შემდეგ საკითხებს: საქართველოს ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება, სხვადასხვა ეთნოსების კულტურა, არსებული გამოწვევები, ტრადიციები და თავისებურებები.

საინტერესოა ასევე ელექტრონულ/ბეჭდვით მედიაში არსებული მდგომარეობა. 2015 წლიდან ქვემო ქართლის რეგიონში გამოიცემა გაზეთი „ბოლნისი“ ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე; ასევე ფუნქციონირებს ინტერნეტ-პორტალი (www.bolnisi.ge). წალკაში გამოდის გაზეთი „თრიალეთის ექსპრესი“, ხოლო თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ყოველთვიური გაზეთი „დიდგორელები“.

2017 წლის სექტემბრიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ქოლგის ქვეშ ამოქმედდა შვიდენოვანი (ქართული, აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული, ინგლისური და რუსული) ვებ-პორტალი - www.1tv.ge, რომლის მეშვეობით მომხარებელს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს შესაბამის ენაზე მომზადებულ მისთვის საინტერესო ინფორმაციას, უყუროს რეპორტაჟებსა და სიუჟეტებს.

მედიისა და ინფორმაციის სფეროში არსებული აღნიშნული აქტივობების მიუხედავად ინფორმაციის ხელმისაწვდომობა კვლავ რჩება ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის გზაზე. ექსპერტული შეხედულებებით ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით დადებითი როლი ითამაშა მაუწყებლობის ციფრულ ფორმატზე გადასვლამ, თუმცა ეს ცვლილება რეგიონებზე ნეგატიურად აისახა, რადგან ტექნიკური ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო რეგიონებში მაუწყებლის ხელმისაწვდომობა გაუარესდა.

5.6 პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლში წერია, რომ აკრძალულია ყოველგვარი დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური

კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ჩართულობასა და ინტეგრაციასთან დაკავშირებული სხვა სფეროებისაგან განსხვავებით განათლების სფეროში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საშეღავათო პრაქტიკას და ეგრეთ წოდებულ პოზიტიურ დისკრიმინაციას აქტიურად მიმართავს. საშეღავათო პოლიტიკის ნაწილია 2012 წლიდან დანერგილი უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნილებული აბიტურიენტების ჩარიცხვის პრაქტიკა, რაც ითვალისწინებს უმცირესობათა ენებზე მხოლოდ უნარ-ჩვევების ჩაბარებას, რის საფუძველზეც აბიტურიენტი ირიცხება სახელმწიფო ენის ერთწლიანი მომზადების კურსზე, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ კი მას საშუალება აქვს ქართულ ენაზე მიიღოს სრული საბაკალავრო განათლება ქართულ უმაღლეს სასწავლებელში. 2012 წლიდან უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული უმცირესობების რაოდენობას და შესაბამის დინამიკას თუ გადავავლებთ თვალს აშკარად სახეზე გვაქვს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში უმცირესობათა რაოდენობის მკვეთრი მატება. მაგალითისათვის, 2015 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა - აზერბაიჯანულენოვანი ტესტების საფუძველზე 522-მა აბიტურიენტმა, ხოლო სომხურენოვანი ტესტების საფუძველზე 219-მა აბიტურიენტმა. 2016 წელს კი აზერბაიჯანულენოვანი ტესტების საფუძველზე ჩარიცხულთა რაოდენობა 660-მდე გაიზარდა, სომხურენოვანისა კი 300 აბიტურიენტამდე. თუმცა, ამის მიუხედავად ექსპერტების მოსაზრებებით აღნიშნულ საშეღავათო პრაქტიკას ხარვეზებიც გააჩნია, კერძოდ ნაკლოვანებებს შორის სახელდება ის, რომ ერთწლიანი მოსამზადებელი კურსი ქართული ენის სრულფასოვნად შესწავლისათვის და საუნივერსიტეტო პროგრამის ქართულ ენაზე დაძლევისათვის საკმარისი არ არის, ასევე კრიტიკის საფუძველი ხდება ის გარემო, რომელშიც ეთნიკური უმცირესობები ხვდებიან აღნიშნული ერთწლიანი კურსის ფარგლებში, კერძოდ პროგრამა ვერ უზრუნველყოფს აბიტურიენტთა ინტერაქციას ქართველ სტუდენტებთან და გარესაზოგადოებასთან.

საქართველოში არსებობს გარკვეული მიდგომა საჯარო მოხელეებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირებისათვის სახელმწიფო ენის სწავლების და მათი ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიმართულებით.

მიმდინარე პროექტებს შორის უპირველესად აღსანიშნავია ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ფუნქციონირება 2006 წლიდან სკოლის მიზანია საქართველოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ და მაღალმთიან რეგიონებში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების გზით საჯარო სამსახურში კვალიფიციური კადრების დეფიციტის დაძლევა, ასევე საჯარო მოხელეთათვის სახელმწიფო ენის სწავლება. ზემოხსენებული მიზნების მიღწევისათვის სკოლას აქვს შემდეგი პროგრამები: პირველი, ესაა სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის (სწავლება ხორციელდება სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრსა და 67 სოფელში გახსნილ მობილურ ჯგუფებში). მეორე კი არის საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამა, რომელიც ხორციელდება მუნიციპალიტეტების საჯარო მოსამსახურეების, მუნიციპალიტეტების საწარმოთა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიულ პირთა თანამშრომლების, აგრეთვე სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის, განათლების სამინისტროს რესურს-ცენტრებისა და საჯარო სკოლის თანამშრომლებისათვის.

გარდა ამისა, სკოლამ 2016 წელს განახორციელა საქმისწარმოებისა და ელექტრონული მმართველობის ტრენინგ-კურსი.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არსებობს საკონსულტაციო საბჭოები, რომლებიც უშუალოდ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის არის შექმნილი. სახალხო დამცველის ოფისთან დანერგილი საკონსულტაციო სტრუქტურა სახელწოდებით ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო, რომელიც 2005 წლიდან ფუნქციონირებს როგორც ხელისუფლებასა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის საკომუნიკაციო და საკონსულტაციო არხი. საბჭო აერთიანებს 100-ზე მეტ ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებრივ გაერთიანებას განურჩევლად მათი წევრების რაოდენობისა და გეოგრაფიული მდებარეობისა. საბჭო ასევე უფლებამოსილია გააუქმოს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა და შეიმუშაოს პოლიტიკური რეკომენდაციები. საბჭოს დანიშნულება და მანდატი საკმაოდ ფართოა და ის აღჭურვილია მონიტორინგის და შეფასების ფუნქციებით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბჭოს ყოველწლიური ჩართულობა სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიის შესრულების მონიტორინგის განხორციელებაში.

მნიშვნელოვანი საკონსულტაციო მექანიზმია ასევე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ჩართულობაზე

ორიენტირებული სტრუქტურა - „მეგობრობის სახლი“, რომელიც ქალაქ ბათუმის მერიის მიერ იქნა დაარსებული 2006 წელს და აერთიანებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ ყველა ეთნიკურ გაერთიანებას. ის ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და ღონისძიებების ძირითადი ნაწილი მიმართულია აჭარის ეთნიკური მრავალფეროვნების წარმოჩენასა და კულტურული თვითმყოფადობის დაცვაზე.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლი ახალგაზრდების დასაქმების პერსპექტივის გაუმჯობესებისა და საბოლოო ჯამში, მათი ჩართულობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, საქართველოს გაეროს ასოციაციასთან თანამშრომლობით, განახორციელა სტაჟირების საპილოტე პროგრამა „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო (1+4) პროგრამით“ მოსარგებლე პირებისათვის. პროგრამის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები კონკურსის საფუძველზე ჩაერთვნენ სტაჟირების პროცესში. სპეციალურად შექმნილმა კომისიამ უზრუნველყო სტაჟირების შერჩევა შეფასების დადგენილი კრიტერიუმებით. როგორც სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში ვკითხულობთ ამ პროგრამით 65-მა წარმატებულმა აპლიკანტმა სამთვინიანი სტაჟირება გაიარა 20 უწყებაში, მათ შორის საჯარო სტრუქტურებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში. აღნიშნულ პროგრამაში ჩართული იყო შემდეგი სამინისტროები: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გასაძლიერებლად სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში შექმნილია მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური ჯგუფების პრობლემების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებსა და ღონისძიებებს. მაგალითად, ბომბების მხარდაჭერის და სამოქალაქო ინტეგრაციის

ხელშეწყობის მიზნით სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის (2015-2020) სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში შემუშავდა სპეციალური მიდგომები და პროგრამები. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აქტიურად ატარებს საქართველოში მცხოვრები ბოშების რეგისტრაციის პროცესს. სამინისტრომ ასევე გაატარა შესაბამისი პროცედურები დაბადების რეგისტრაციასთან, მოქალაქეობასთან და ასევე, პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების მიზნით. კერძოდ, პროექტის „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირება და მოქალაქეობის არქონის პრევენცია საქართველოში“ ფარგლებში ბოშათა თემის წარმომადგენლისათვის უზრუნველყოფილ იქნა საიდენტიფიკაციო მონაცემების მოწესრიგება და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემა. აღნიშნული პროექტი ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაცია „ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი“-ს მიერ გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის (UNHCR) ფინანსური მხარდაჭერითა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან“ თანამშრომლობით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რამდენიმე წელია ცდილობს ეთნიკური უმცირესობებისა და მათ შორის ბოშა მოზარდების საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვას. სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესებისა და თანატოლებთან სოციალიზაციის მიზნით, შემუშავებულია „სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს სკოლაში, თავისუფალ დროს, ინკლუზიის პრინციპებზე დაფუძნებული აქტივობების განხორციელებას. ეს აქტივობები (კითხვისა და თატრის კლუბები, სათემო შეხვედრები, კონფერენციები) საერთო ინტერესის ფარგლებში იზიდავს ბენეფიციარებსა (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდები, მათ შორის განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის მესხი, ქისტი და ბოშა მოზარდები) და მოხალისე თანატოლებს.

ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა რიგი აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავდა ბოშათა მიმართ კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას და სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას. საინტერესოა აგრეთვე ბოლო წლების ბოშათა რეგისტრაციის მონაცემები. (იხ: ცხრილი # 7, გვ. 172).

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არსებობს საკონსულტაციო საბჭოები, რომლებიც შესაბამის კონსულტაციასა და დახმარებას უწევენ მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობებს.

მაგალითად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაციაში და მუნიციპალიტეტებში მოქმედებს „ერთი ფანჯრის პრინციპი“, ანუ საჭიროების შემთხვევაში ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები ხვდებიან შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებს. ადმინისტრაციაში ასევე ფუნქციონირებს სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის და რეკომენდაციებს წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავ/მომრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოქალაქეებს ინფორმაცია მიეწოდებოდათ მათთვის გასაგებ ენებზე.

აღსანიშნავია, რომ ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემატიკის შესახებ სათათბირო საბჭოები არსებობს საქართველოს კიდევ რამდენიმე რეგიონში, კერძოდ: ქვემო ქართლში, კახეთსა და თბილისში. პერიოდულად საბჭოები მართავენ სხდომებს, სადაც განიხილება რეგიონში ეთნიკური უმცირესობების გარშემო არსებული სხვადასხვა გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები.

5.7 ორმაგი მოქალაქეობის დაშვება

2018 წლის ზაფხულამდე საქართველოში დადგენილი იყო ერთიანი მოქალაქეობა. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება ყოფილიყო სხვა ქვეყნის მოქალაქე, გარდა "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" კანონის მე-17 მუხლის გათვალისწინებული შემთხვევისა. ახალი კანონმდებლობით დასაშვებია ორმაგი მოქალაქეობა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის არ ვრცელდება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, რომელთაც სურთ რომ გახდნენ საქართველოს მოქალაქეები.

სხვა ქვეყნის მოქალაქეს უფლება აქვს, მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით. სხვა ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, გარდა საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებისა, ძალაში შედის საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ ამ პირის სხვა ქვეყნის მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებისთანავე.

პარლამენტმა საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებით ცვლილებები 2018 წლის საგაზაფხულო სესიაზე მესამე მოსმენით დაამტკიცა. ინიციატივის მომზადება

კი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებმა განაპირობა, რომლის მიხედვითაც, ორმაგი მოქალაქეობა დასაშვებია ხდება.

კანონით სიახლე დროებითი უფლება დაინერგა, რომლის გათვალისწინებით, საქართველოს ყოფილ მოქალაქეს, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო დაკარგა, უფლება აქვს, 2020 წლის 31 დეკემბრამდე სააგენტოს საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით მიმართოს.

კანონის მიხედვით, პირს მოქალაქეობა აღუდგება, თუ რამდენიმე მოთხოვნას დააკმაყოფილებს, მათ შორის: დადგენილ ფარგლებში უნდა ფლობდეს საქართველოს სახელმწიფო ენას, ასევე თუ არ მიმდინარეობს მისი ძებნა ან მის მიმართ არ ხორციელდება საექსტრადიციო ან გამეგების პროცედურები.

ამასთან, კანონით კონკრეტდება, რომ პირისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭების შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეობა მის არასრულწლოვან შვილსაც მიენიჭება.

საინტერესოა ასევე ისიც, რომ ჩვეულებრივი წესით მოქალაქეობის მინიჭებისას 5-წლიანი ცხოვრების ცენზი, რომელიც ძველი კანონმდებლობით იყო სავალდებულო გაიზარდა 10 წლამდე და გამარტივებული წესით მოქალაქეობის მინიჭებისას 2-წლიანი ცხოვრების ცენზი კი 5 წლამდე.

საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით შეიძლება მიანიჭოს სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს ან რომლისთვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს. კანონში ვკითხულობთ, რომ ზემოაღნიშნული გამონაკლისი წესი მოქმედებს შემდეგ შემთხვევებში: სხვა ქვეყნის მოქალაქეს საქართველო საკუთარ სამშობლოდ მიაჩნია და იგი ან მისი წინაპარი არის:

ა.ა) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ან ამ ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი;

ა.ბ) სხვადასხვა დროს პოლიტიკური მოსაზრებით ან მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ემიგრაციაში წასული პირი;

ბ) სხვა ქვეყნის მოქალაქე საქართველოში ახორციელებს ისეთ ინვესტიციას ან მან საქართველოში განახორციელა ისეთი ინვესტიცია, რომლითაც სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ან შეიტანა;

გ) სხვა ქვეყნის მოქალაქე წარმატებულია სპორტის, მეცნიერების ან/და ხელოვნების სფეროში და მას სურს მოღვაწეობა საქართველოს სახელით განაგრძოს. (საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“. 2018).

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული პუნქტებით გათვალისწინებულმა პირმა საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭებისათვის დადგენილ ფარგლებში უნდა იცოდეს: საქართველოს სახელმწიფო ენა; საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები.

რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციის წესით მოპოვებასა და საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების საკითხს, მათ განიხილავს შესაბამისი სააგენტო კომისიის დახმარებით. კომისია უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მსურველ პირთა მიერ საქართველოს სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნის დონის შემოწმებას. საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციით მოპოვების შესახებ განცხადებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პირს უფლება აქვს, იმავე საფუძვლით მიმართოს სააგენტოს ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 წლის შემდეგ.

5.8 გათავისუფლება რელიგიური სამოსის ტარების შეზღუდვებისაგან

აღნიშნულ საკითხზე საქართველოში აქტიური დებატები და განხილვა არ მიმდინარეობს. თუმცა უნდა აღინიშნოს ბოლო პერიოდში ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ ინიცირებული კანონპროექტი, რომლითაც შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“. როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათში წერია, მისი მომზადების მიზეზია საქართველოში ბოლო პერიოდში გახშირებული ჩადრით, ნიქაბითა და ბურკით ტურისტების სიარული. აღნიშნული სამოსელი არ იძლევა პიროვნების იდენტიფიცირების საშუალებას, გარდა ამისა შეიცავს საფრთხეებს ტერორიზმის კუთხით. პროექტის მიხედვით, სკვერში, პარკში, ყველა საზის საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში ჩადრით, ნიქაბითა და ბურკით სიარული გამოწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება განმეორებით გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის

ოდენობით. საკანონმდებლო ინიციატივით, აკრძალვა არ გავრცელდება საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის თანამშრომლებზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

ზოგადად ნებისმიერ კვლევაზე მუშაობისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია საჭირო და სათანადო მასალების მოძიება და მათი დამუშავება. ეს პროცესი კვლევის პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს და ნაშრომზე მუშაობის დაწყებიდან მის დამთავრებამდე ხდება ახალ-ახალი ინფორმაციის დამუშავება და კვლევის გამდიდრება.

ამ შემთხვევაში, ლიტერატურისა და დამხმარე მასალების მოძიება პირობითად დაყოფილია ორ კატეგორიად. პირველ კატეგორიას მიეკუთვნებასაერთაშორისო ხელშეკრულებები და ასევე ის ოფიციალური დოკუმენტაცია, რაც შემუშავებულია საქართველოს მიერ მულტიკულტურალიზმის ხელშეწყობის მიმართულეებით, ხოლო მეორე კატეგორიაში შევა ყველა ის სამეცნიერო ნაშრომი, სტატია, წიგნი და ინტერვიუ, რომელიც ეხება აღნიშნულ საკითხს და რომელსაც ჩავთვლი რომ გამოსადეგი იქნება კვლევის პროცესში.

ოფიციალური დოკუმენტაციის ნაწილიდან შეიძლება გამოიყოს: საქართველოს 2005 წლის შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია; საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №40/ნ 2016 წლის; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1255 2015 წლის, 20 ნოემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, ა №123/ნ „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“, 2017 წლის 2 აგვისტო საქართველოს მთავრობის დადგენილება №84 2004 წლის 18 ოქტომბერი, „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ“; საქართველოს მთავრობის განკარგულება №1740, 2015 წლის 17 აგვისტო, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ; შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია; საქართველოს კულტურის სტრატეგია 2025; საქართველოს მესამე ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, 2017 წლის 30 მარტი; „ეროვნულ უმცირესობათა შესახებ“ ევროპულ ჩარჩოკონვენციას; კანადის ოფიციალური ენების 1969 წლის აქტს; კანადის მულტიკულტურალიზმის აქტი, რომელიც 1988 წელს იქნა მიღებული; კანადის უფლებათა და თავისუფლებათა 1982 წლის ქარტია; ახალი ზელანდიის ადამიანის უფლებათა 1993 წლის აქტი; და სხვა.

საინტერესო სტატია აქვს ცნობილ ბრიტანელ მკვლევარსა და პროფესორს ტედ კანტლის (Cantle/კანტლი. Interculturalism. The New Era of Cohesion and Diversity. 2012), რომელიც

ემდევნება მულტიკულტურალიზმისა და ინტერკულტურალიზმის პარადიგმების შედარებასა და ანალიზს. სტატია დაიწერა 2012 წელს

საკვლევი თემის ფარგლებში დიდი ყურადღება დავუთმე მულტიკულტურალიზმის ერთ-ერთი მთავარი სპეციალისტის, კანადელი მკვლევარის უილ კიმლიკას ნაშრომებს, სადაც ის დეტალურად აღწერს მულტიკულტურალიზმის თეორიის მნიშვნელოვან ასპექტებს. იმ წიგნებიდან, რომელსაც გავეცანი განსაკუთრებით გამოვყოფდი უილ კიმლიკას ცნობილ ნაშრომს „The Rights of Minority Cultures” (1992). აღნიშნულ წიგნში უილ კიმლიკა განასხვავებს ორი სახის მულტიკულტურალიზმს: მრავალეროვან სახელმწიფოებს, ესაა სახელმწიფოები, სადაც ეროვნული უმცირესობები ცხოვრობენ. ეს უმცირესობა განსხვავებული ეროვნული ჯგუფია, საკუთარი ენით, კულტურითა და ტერიტორიით. მეორე ესაა „პოლიეთნიკური სახელმწიფოები”, ანუ ქვეყნები, რომლებიც განიცდიან იმიგრაციას. ეს იმიგრანტები არიან ეთნიკური და არა ეროვნული ჯგუფები, რადგან მათ აქვთ ენა და კულტურა, მაგრამ არ გააჩნიათ განსაზღვრული ტერიტორია და არც აქვთ ამ საკითხზე პრეტენზია. ეთნიკური ჯგუფები როგორც წესი ინტეგრირდებიან ფართო საზოგადოებაში და ეს ინტეგრაცია ხდება მათი სურვილის შესაბამისად. ბევრი სახელმწიფო ერთდროულად მრავალეროვანიცაა და პოლიეთნიკურიც, როგორცაა მაგალითად: კანადა – ფრანგი და ინლისელი იმიგრანტებითა და ინუიტი ეროვნული ჯგუფით. როგორც წესი ამგვარ ჯგუფებს აქვთ განსხვავებული მოთხოვნები. მაგალითად: ეროვნულ ჯგუფებს ხშირად აქვთ თვითგამორკვევისა და ავტონომიის პრეტენზია. ეთნიკურ ჯგუფებს აქვთ საკუთარი ენისა და კულტურის დაცვის პრეტენზია, ისე რომ დიდ კულტურაში ინტეგრაციამ ზიანი არ მიაყენოს ზემოთხსენებულ მოთხოვნებს. თუმცა ორივე ჯგუფმა შეიძლება მოითხოვოს სპეციალური წარმომადგენლობა ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში, რათა უკეთ დაიცვან საკუთარი უფლებები. კიმლიკა როგორც ყველა ლიბერალი ხაზს უსვამს უნივერსალური ფასეულობების მნიშვნელობას, როგორებიცაა: ადამიანის უფლებები, შეზღუდული მთავრობა, თანასწორობა და კერძო საკუთრება. კიმლიკა მომხრეა სახელმწიფოს მხრიდან უმცირესობათა კულტურების დაცვის როლის გაზრდისა. ტრადიციული ლიბერალური პოლიტიკისგან განსხვავებით, რომელიც პასიურ ტოლერანტობას ემხრობა, კიმლიკა ხაზს უსვამს აქტიური პოლიტიკის მნიშვნელობას, რაც სახელმწიფოს მხრიდან უმცირესობათა კულტურული ჯგუფების აღიარებასა და მათთვის დახმარების გაწევას გულისხმობს.

ტრადიციული ლიბერალიზმი, თვით მისი ეგალიტარული მიმართულებაც ნეგატიურადაა განწყობილი კულტურული ჯგუფების განსხვავებულად მოპყრობისადმი და ამ ყველაფერს ორი მიზეზით ხსნიან.

პირველი, ლიბერალები ჯგუფურ უფლებებს აიგივებენ კოლექტიურ უფლებებთან, რაც საფრთხეს უქმნის ინდივიდუალურ უფლებებს.

მეორეს მხრივ, ლიბერალური ტრადიცია სიფრთხილითაა განწყობილი კულტურული და ეთნიკური განსხვავებულობის პოლიტიკურ თემად გარდაქმნის, რადგან ეს ხშირად დაკავშირებულია არარაციონალურ და არასამართლიან დისკრიმინაციასთან, როგორცაა რასობრივი სეგრეგაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამხრეთ ამერიკაში და სახმრეთ აფრიკაში. კიმლიკა ამტკიცებს, რომ ჯგუფი ან საზოგადოება ფასეულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი მას სარგებელი მოაქვს მისი წევრებისათვის. ჯგუფს, როგორც ასეთი არ აქვს უფლებები, ესაა მისი შემადგენელი ინდივიდები, რომელთაც გააჩნიათ ეს უფლებები. კიმლიკასთვის ჯგუფის უფლებები იგივეა, რაც ინდივიდთა უფლებები და ამრიგად შეთავსებადია ტრადიციულ ლიბერალურ მოსაზრებებთან.

კიდევ ერთი ფუნდამენტური ლიბერალური მოსაზრება, რომელსაც კიმლიკა უკეთებს ინტერპრეტაციას ესაა ინდივიდუალური თავისუფლება. ლიბერალური ეგალიტარიანიზმი თავისუფლების ეკონომიკურ პირობებს ამტკიცებს, ხოლო კიმლიკა განსაკუთრებულ ყურადღებას თავისუფლების კულტურულ პირობებს უთმობს. მისთვის ინდივიდუალური თავისუფლება უმეტესად ნიშნავს ინდივიდის მიერ საკუთარი ცხოვრების წესის არჩევის თავისუფლებას. ესაა თავისუფლების უძლიერესი შეგრძნება, რომელსაც „პირადი ავტონომია“ შეგვიძლია ვუწოდოთ. ამგვარ ინდივიდებს შეუძლიათ ამოირჩიონ ის ცხოვრების წესი, რაც მათ სწორად მიაჩნიათ ან თუნდაც კრიტიკულად განეწყონ მის მიმართ და შემდგომში შეცვალონ კიდევ. რატომ არის ამგვარი თავისუფლება უფრო ფასეული? კიმლიკა თვლის, რომ ინდივიდებისათვის საჭიროა თვლიდნენ, რომ ისინი სწორად ცხოვრობენ, ეს ცხოვრების წესი კი მათი შინაგანი გადაწყვეტილებაა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ექვემდებარება გადახედვას, რადგანერთხელ შეიძლება დავუშვათ შეცდომა, მაგრამ, შეგვიძლია მისი გამოსწორება განსხვავებული ცხოვრების წესის არჩევით. იმისათვის, რომ კარგად ვიცხოვროთ ჩვენ გვჭირდება თავისუფლება. თავისუფლება იმგვარი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავაკეთოთ არჩევანი ან/და გადავხედოთ ჩვენს არჩევანს და სურვილის შემთხვევაში შევცვალოთ ის.

აღსანიშნავია ასევე, რომ კიმლიკა დიდად არ ემხრობა ლიბერალი მულტიკულტურალისტების არგუმენტს, რომ მრავალი კულტურის არსებობა ერთ საზოგადოებაში არის უდიდესი ფასეულობა და ზოგადად კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენს ფასეულობას. ამგვარი მოსაზრება განპირობებულია შემდეგი ფაქტით, რომ მრავალი კულტურის არსებობა ერთ საზოგადოებაში საშუალებას გვაძლევს გავამდიდროთ ჩვენი ცხოვრება თითოეული მათგანისგან გადმოღებული წეს-ჩვეულებებით. თუმცა კიმლიკას მოსაზრებით „კულტურა არ უნდა აღვიქვათ, როგორც ბაზარსა თუ მაღაზიაში შეძენილი ნივთების ერთობლიობა, რომელთაგანაც შეგვიძლია ჩვენი სურვილისამებრ შევარჩიოთ ჩვენთვის მოსაწონი ნივთი“. ის ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გაკვეული სიმართლის მარცვალი კულტურული მრავალფეროვნების ფასეულობად აღქმის მოსაზრებაში, მაინც შეცდომაა თუკი ამ მოსაზრებას მივანიჭებდით დიდ მნიშვნელობას.

სტანდარტული ეგალიტარულ-ლიბერალური მოსაზრებით, სახელმწიფოს აქვს მოვალეობა რომ შექმნას შესაფერისი ეკონომიკური პირობები რეალური ინდივიდუალური თავისუფლების უზრუნველსაყოფად. კიმლიკა კი თვლის, რომ ეკონომიკური პირობების გარდა აუცილებელია კულტურული პირობების შექმნაც. დაუშვებელია სახელმწიფომ დაუცველი დატოვოს ხალხი და მისცეს ნება მიიღონ გადაწყვეტილებები თავიანთი შეხედულებებისამებრ. ეს მიდგომა საზიანოა პირველ რიგში კულტურული უმცირესობებისათვის, როგორებიცაა ვთქვათ ადგილობრივი/მკვიდრი მოსახლეობა. უსამართლობა იქნებოდა არ მოხდეს მათი სხვა ჯგუფებთან შედარებით არამომგებიან პირობებში არსებობის გათვალისწინება. დომინანტი კულტურის წევრები ბუნებრივად და თავისთავად იღებენ თავიანთი კულტურას, რომელიც დომინანტურ პოზიციაშია. მკვიდრი მოსახლეობის არაუპირატეს პოზიციაში არსებობა არის არა მათი არჩევანის შედეგი, არამედ იმ გარემო პირობებისა, რომელიც თავად არ აურჩევიათ. რა სახის დახმარება შეიძლება გაუწიოს ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მათ პირდაპირ არის დაკავშირებული იმ პირობებთან, რა პირობებშიც იმყოფება კონკრეტული უმცირესობათა ჯგუფი. ეს შეიძლება იყოს ფულადი კომპენსაცია, ენობრივი უფლებების მინიჭება, ტერიტორიული ავტონომია, გარანტირებული წარმომადგენლობა ცენტრალურ ინსტიტუტებში და სხვა.

მნიშვნელოვანი გარდატეხა და განვითარება კიმლიკას მოსაზრებებში მოხდა 1995 წელს, როდესაც გამოსცა ახალი წიგნი „Multicultural Citizenship: A Liberal Theory of Minority Rights“ (1995). წინა ნაშრომებში კიმლიკა თვლიდა, რომ ყველა კულტურული

უმცირესობა ერთი და იმავე პირობებში იყო და შედეგად ყველას მსგავსი უფლებები უნდა ჰქონოდა. თუმცა მისი ეს პოზიცია ხშირად იყო კრიტიკის ობიექტი, რადგან სწორად ვერ ითვალისწინებდა უმცირესობაში მყოფი ადგილობრივი-მკვიდრი მოსახლეობის უფლებებს, იმიგრანტი ჯგუფების უფლებებთან შედარებით. შედეგად მის შემდგომ ნაშრომებში ის წარმოგვიდგენს განსხვავებას ორი ტიპის კულტურულ უმცირესობას შორის, ესენია ეთნიკური და ეროვნული უმცირესობები. ეროვნული უმცირესობები მოიცავს ადგილობრივ/მკვიდრ მოსახლეობას და რეგიონალურ ჯგუფებს როგორებიცაა მაგალითად კვებკელები ან ბასკები. ამგვარი უმცირესობები გაერთიანდნენ თანამედროვე სახელმწიფოებში დაპყრობის და კოლონიზაციის შედეგად. ისინი იბრძოდნენ რათა შეენარჩუნებინათ თავიანთი განსხვავებული მყოფადობა. მათგან განსხვავებით ეთნიკური უმცირესობები ესაა იმიგრანტთა ჯგუფები რომელთა წევრებმაც თავად აარჩიეს რომ გამხდარიყვნენ ახალი საზოგადოების წევრები. ამ პროცესში მათ მოაქვთ საკუთარი რწმენა, ფასეულობები, ტრადიციები და სხვა.

ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს სხვადასხვა ტიპის უფლებები აქვთ. ეროვნულ უმცირესობების ანუ მკვიდრი მოსახლეობის უფლებები გაცილებით ძლიერია, ეს გულისხმობს კულტურის და წეს-ჩვეულებების შენარჩუნებას, ასევე ხშირად მოიცავს თვითგამორკვევის უფლებებსაც.

ეთნიკური უმცირესობებს ანუ იმიგრანტთა ჯგუფებს გაცილებით სუსტი უფლებები აქვთ, როგორც მათ კიმლიკა უწოდებს ე.წ. „პოლიეთნიკური უფლებები“. ესაა უფლებები, რომლებიც მათ ეხმარება ინტეგრაციაში. ეს უფლებები არ არის უმნიშვნელო, რადგან მოიცავს ანტი-დისკრიმინაციულ ზომებს, ტოლერანტობისათვის და ასევე კანონისთვის თავის არიდებაზე (მაგ: ებრაელთათვის და მუსულმანთათვის ე.წ. „ლურჯი კანონი“, როდესაც მათ კვირა დღე წმინდად აქვთ გამოცხადებული.) მხარის დაჭერას, განათლების მიღებას საკუთარ მშობლიურ ენაზე და სხვა. თუმცა კიმლიკას „პოლიეთნიკური უფლებები“ მაინც სხვა რამეა, ვიდრე თვითგამორკვევის უფლებები.

ინტერკულტურული განათლების შესახებ საკმაოდ საინტერესო ნაშრომი აქვს ჯეიმს ბენქსს, რომელიც ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელია, რომელიც მულტიკულტურული განათლების მიმართულებით მუშაობს.

თავის ნაშრომში „Approaches to Multicultural Curriculum Reform“ (1989). ნაშრომში ის სწავლების პროცესში მულტიკულტურული განათლების ასახვის 4 განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს: კონტრიბუციულს, დამატებითს, ტრანსფორმაციულსა და სოციალური ქმედების.

კონტრიბუციული მიდგომა ესაა, როდესაც სასწავლო გეგმაში ჩართულია უმცირესობათა დღესასწაულების, მათი გმირების ისტორიები. ამით მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ განსხვავებული კულტურის შესახებ მიიღონ ინფორმაცია.

მეორე დონე გულისხმობს მეტი ინფორმაციის მიწოდებას და ფაქტიურად ეს მიდგომა ავსებს პირველს.

მესამე ანუ ტრანსფორმაციული მიდგომა შედარებით განსხვავებულია. ამ მიდგომისას მოსწავლეს საშუალება ეძლევა საკითხს სხვადასხვა კულტურული პერსპექტივიდან შეხედოს. და ბოლოს ესაა სოციალური ქმედების ეტაპი, რომელიც მოიცავს ტრანსფორმაციული მიდგომის ყველა კომპონენტს და დამატებით გულისხმობს მოსწავლის მიერ გადაწყვეტილების მიღებას და შესაბამის მოქმედებას.

საინტერესო ნაშრომი აქვს ასევე ინტერკულტურული დარგის სპეციალისტს კენეტ კუშნერს – “International Respective on Intercultural Education”. წიგნში განხილულია 13 ქვეყნის მაგალითი, რომლებიც ინტერკულტურული განათლების მეშვეობით სცემენ პასუხს იმ გამოწვევებს, რომლებიც არსებობს კულტურული მრავალფეროვნების საკითხის მიმართ.

კუშნერი ასკვნის, რომ ამ გამოწვევების წარმატებული გადაჭრის საშუალება შეიძლება იყოს სხვადასხვა მეთოდის გამოყენება მასწავლებლებთან მიმართებაში, კერძოდ: მათი დასაქმების დროს და ასევე მათთვის სპეციალური ტრენინგების ჩატარების მიზნით. ამ ტრენინგების საშუალებით უნდა მოხდეს მასწავლებელთა სპეციალური მომზადება, რათა სწავლების პროცესში მათი პრიორიტეტი იყოს ინტერკულტურულ განათლებაზე აქცენტის გაკეთება.

ინტერკულტურული განათლების შესახებ ასევე საინტერესო წიგნი აქვს კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორს ოფელია გარსიას, – “Bilingual Education in the 21st Century: A Global Perspective”. ავტორი საკმაოდ საინტერესოდ აღწერს ბილინგვური განათლების ფენომენს, როგორც ნაშრომში ვკითხულობთ, ბილინგვური განათლება ხშირად არასწორადაა აღქმული, რამეთუ მას ხშირად აიგივებენ იმგვარ განათლებასთან, როდესაც სტუდენტებს იმ ენებთან ერთად რასაც თავად ფლობენ, ასწავლიან დამატებით სხვა უცხო ენას ან ენებსაც. ზოგიერთი სტუდენტი, რომელიც ამ დამატებით უცხო ენას სწავლობს, შეიძლება იყოს იმიგრანტი, ლტოლვილი, ადგილობრივი თემის წარმომადგენელი, უმცირესობათა ან თუნდაც უმრავლესობათა ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც სკოლაში დომინანტურ ენასთან ერთად სწავლობს განსხვავებულ ენას. ავტორის თქმით ბილინგვური განათლების შესახებ არასწორი აღქმაა

ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც საზოგადოების უმეტეს ნაწილს ჰგონია, რომ ინგლისური ენის სწავლება სკოლებში ესაა ბილინგვური განათლება. ბილინგვური განათლება კი ესაა, როდესაც მეორე უცხო ენა გამოიყენება როგორც სწავლების საშუალება, როდესაც ხდება ამ ენაზე სხვადასხვა საგნის შესწავლა.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში მულტიკულტურალიზმის საკითხი მეტად აქტუალურია, რაც ბოლო წლებში საქართველოს მთავრობის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებიდანაც იკვეთება.

2000-იანი წლებიდან საქართველოში ამი მიმართულებით გატარებული პოლიტიკა მეტად თანმიმდევრული გახდა. საქართველო აღიარებს ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ დეკლარაციებსა თუ დოკუმენტებს, რომლებიც ინტერკულტურულ განათლებას ეხება და შესაბამისად საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ამ მიმართულებით ვალდებულებაც აქვს აღებული. საქართველოს კანონმდებლობაში გაჩნდა ჩანაწერები, რომელშიც ასახულია მულტიკულტურალიზმის მნიშვნელობა და საჭიროება. თუმცა ფორმალურად ის არ წარმოადგენს მულტიკულტურალიზმის პოლიტიკას და არ არის მორგებული მულტიკულტურალიზმის ზოგად კონცეფციას.

უკანასკნელი წლების მანძილზე ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის და ინტეგრაციის პოლიტიკის მიმდინარეობაში უმნიშვნელოვანესი წყალგამყოფი თარიღი იყო 2005 წელი, როდესაც საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა უმცირესობათა დაცვის ევროპულ ჩარჩო კონვენციას და საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო დონეზე აიღო ვალდებულება გაატაროს ღონისძიებები და მიიღოს ზომები ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების დაცვისა და ამავე დროს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციისათვის. ჩარჩო კონვენციის რატიფიცირებამ ბიძგი მისცა საქართველოს ხელისუფლებას დაეწყო ოპტიმალური მიდგომების და პროგრამების ძიება ეთნიკურ უმცირესობათა მართვის პოლიტიკაში. არაერთი სამთავრობო და ინსტიტუციური ცვლილების შედეგად დღეის მდგომარეობით საქართველოს მთავრობაში ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით ერთიანი ინსტიტუციური მართვის მექანიზმი არსებობს, რომელიც კონცენტრირებულია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელში. ეს უწყება წარმოადგენს მთავარ სახელმწიფო ინსტიტუტს რომელიც პასუხისმგებელია ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში ყველა ადგილობრივი და საერთაშორისო ვალდებულების შესრულებასა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაზე. მთავრობის მხრიდან კი მთავარი სახელმძღვანელო პრინციპი, რომელიც არეგულირებს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს არის ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული სტრატეგია. ეს დოკუმენტი

თავდაპირველად საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა 2009 წელს, განახლებული რედაქციით კი დამტკიცებულ იქნა 2015 წელს, შესაბამისი ხუთწლიანი სამოქმედო გეგმით.

ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის ჩარჩო-მექანიზმის გამართვის პარალელურად სხვადასხვა სამთავრობო უწყებები ჩართული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციაზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელებაზე, რომელიც ძირითადად ფოკუსირებულია სამოქალაქო და პოლიტიკუს ჩართულობაზე, განათლებაზე და სახელმწიფო ენის სწავლებაზე, კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და მედია ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე.

ის მიმდინარე პოლიტიკა, რასაც საქართველოში ადგილი აქვს უკანასკნელი წლების მანძილზე ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის, სამოქალაქო ინტეგრაციის და ზოგადად კულტურული მრავალფეროვნების მართვის სფეროში ხასიათდება ლიბერალური მიდგომით, ეთნიკურ უმცირესობებს მიიჩნევს საზოგადოების სრულფასოვან წევრებად, რომელთა ინტეგრირება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო თუ ეკონომიკურ სივრცეში აღიქმება როგორც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა. ამავე დროს, ინტეგრაციისათვის გამიზნული ქმედებები და პროგრამები თავისი არსით უახლოვდება საერთაშორისო დონეზე აპრობირებულ მულტიკულტურალიზმის კონცეფციას, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან აქტიურ ჩარევაზე, მათ შორის ფინანსური შემწეობის მექანიზმებით ინტერვენციაზეა ორიენტირებული. სახელმწიფო ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი კონცენტრირებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსებაზე, კერძოდ ეთნიკურ უმცირესობათა საჯარო სკოლების ფუნქციონირება, შესაბამისი პედაგოგების მომზადება, სტანდარტიზაციის შექმნა, საპილოტე პროგრამების დაფინანსება და ასე შემდეგ. მნიშვნელოვანი საბიუჯეტო რესურსი მიმართულია ასევე კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერასა და უმცირესობათა მედია საშუალებების მხარდაჭერაზე.

ამავე დროს ძირითად გამოწვევებად რჩება სამოქალაქო ინტეგრაციისა და სრულფასოვანი ჩართულობის ზოგადი პოლიტიკის მთელი რიგი მიმართულებების ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული განხორციელება. უკანასკნელი წლების მანძილზე მიმდინარე პროგრამებმა და ცალკეულმა ინტერვენციებმა ჯერ-ჯერობით სრულფასოვნად ვერ უზრუნველყვეს ეთნიკური პლურალიზმი საზოგადოებრივ და

პოლიტიკურ სფეროში, რაც აისახება უმცირესობათა არასაკმარის მონაწილეობაში გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, ასევე დაბალი მდგრადობით გამოირჩევა უმცირესობათა ინტერესების გამომხატველი საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომელთაც არ შესწევთ უნარი განახორციელონ ეფექტური ადვოკატირება და უფლებების დაცვა. ზოგად ინტეგრაციულ პროცესს ხელს უშლის ასევე ეთნიკურ უმცირესობათა შორის სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე და განათლების ხელმისაწვდომობის ნაკლები შესაძლებლობები. მთელი რიგი პოზიტიური ქმედებების მიუხედავად, აღნიშნული მიმართულებებით ხელშესახები გარღვევა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. ხელისუფლების და საზოგადოების საერთო გამოწვევად და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშემშლელ ფაქტორად უნდა დასახელდეს აგრეთვე ქართულ საზოგადოებაში ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების საკითხების მიმართ დაბალი ცნობიერება, რაც თავის ნეგატიურ გამოვლინებას ჰპოვებს ხოლმე ჰომოფობიურ და ქსენოფობიურ ტენდენციებში, რაც განსაკუთრებით აისახება ცალკეული მედია საშუალებების და სხვადასხვა პოლიტიკური დატვირთვის მქონე ორგანიზაციების ზოგად რიტორიკაში.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვის საქმეში, ქვეყანამ ვერ შეძლო იმ საინფორმაციო ვაკუუმის ამოვსება, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებსა და უმრავლესობას შორის არის წარმოქმნილი. საქართველოს ეთნიკური უმცირესობები, რომლებმაც ქართული ცუდად იციან, ახალ ამბებსა და ინფორმაციას მცირე რაოდენობის ადგილობრივი ეთნიკური მედია საშუალებებიდან იღებენ.

2000-იანი წლებიდან დღემდე უმცირესობების ინსტიტუციური მართვის პოლიტიკაში არაერთი ცვლილება განხორციელდა. სახეზე გვაქვს ინსტიტუციური მდგრადობისკენ და ეფექტურობისაკენ ორიენტირებული ტენდენცია და გამოკვეთილი სამთავრობო ხედვა, რაც ასახულია შესაბამის საკანონმდებლო და სამართლებრივ რეგულაციებში. ასევე მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია უწყებათაშორისო კოორდინაცია და თანამშრომლობა. თუმცა პოლიტიკის ეფექტურობაზე გავლენას ახდენს მთავრობის მხრიდან შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებაში შეზღუდული ფინანსური უზრუნველყოფა. ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის გაცხადებული პრიორიტეტიზაცია ასახული არ არის საბიუჯეტო დონეზე ფინანსურ უზრუნველყოფაში. ისე როგორც წინა წლებშიც ამჟამადაც


არაერთი სამთავრობო ვალდებულების და პასუხისმგებლობის შესრულება დამოკიდებულია საერთაშორისო მხარდაჭერაზე.

არსებული რეალობის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში გატარებული პოლიტიკა არის სპონტანური და არ ითვალისწინებს პოზიტიურ გამოცდილებას, ამგვარი დასკვნის გასაკეთებლად ნათელი მაგალითია თუნდაც ბილინგვური განათლების პროგრამა, რომელმაც ვერ მოიტანა კონკრეტული შედეგები. ამ პოლიტიკით დასახული მიზნების მიღწევა დროისა და ფინანსური რესურსის ნაკლებობის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა. ერთადერთი დადებითი რაც შეიძლება დავინახოთ ბილინგვური განათლების პოლიტიკის წამოწყებაში იყო ის, რომ გაიზარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს შორის ქართული ენის შესწავლის მოტივაცია, რამაც გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა დადებითი შედეგებიც მოიტანოს.

უილ კიმლიკას მიერ შესწავლილ 21 ქვეყნის შკალაზე და მულტიკულტურალიზმის ინდექსით ჩამოყალიბებული 8 ინდიკატორის გაზომვის შედეგად საქართველო არც თუ ისე ცუდ შედეგს წარმოაჩენს. თითოეული ინდიკატორით მინიჭებული ქულების ჯამი შეადგენს 3,5. (იხ: ცხრილი # 8, გვ.173; თითოეული ინდიკატორით გაზომილი და მინიჭებული ქულების ჯამი).


ამ კვლევის შედეგად საქართველო წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს როგორებიცაა: ირლანდია, გერმანია, საბერძნეთი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, ავსტრია, იტალია, შვეიცარია, დანია, იაპონია. (იხ: ცხრილი #9, გვ. 174 და რუკა # 2, გვ. 176).

დიაგრამა # 1 საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის დინამიკა
(მომზადებულია ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის მიერ)



წყარო: www.csem.org

დიაგრამა #2 ეროვნული უმცირესობების წილი საქართველოს პარლამენტში



წყარო: ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი
Center for the Studies Ethnicity and Multiculturalism

http://csem.ge/wp-content/uploads/2017/01/Infographics_minorities-in-parliament_Geo.pdf

ცხრილი #1 2017 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგად სხვადასხვა
საკრებულებოში არჩეული უმცირესობა დეპუტატების მონაცემები

მუნიციპალიტეტის დასახელება	საკრებულოს წევრთა საერთო რაოდენობა	უმცირესობათა რაოდენობა
საგარეჯო	36	4
სიღნაღი	28	1
დედოფლისწყარო	27	1
ლაგოდეხი	30	3
ყვარელი	26	1
თელავი	33	1
ახმეტა	30	2
გარდაბანი	36	15
მარნეული	35	18
ბოლნისი	28	13
დმანისი	31	11
წალკა	45	19
თეთრი წყარო	35	2
მცხეთა	29	2
გორი	40	1
ქარელი	33	1
ბორჯომი	28	4
ახალციხე	33	8
ასპინძა	27	2
ახალქალაქი	38	31
ნინოწმინდა	26	25

წყარო: ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი

Center for the Studies of Ethnicity and Multiculturalism (CSEM)

<http://csem.ge/projects/>

ცხრილი #2 ჩარიცხულ სტუდენტთა და ათვისებული კვოტების რაოდენობა

წელი	კვოტირებული ადგილების რაოდენობა	ჩარიცხულთა რაოდენობა	ათვისებული კვოტების %
2010	2602	301	11.55%
2011	2100	431	20.52%
2012	2242	584	26.04%
2013	3900	928	23.79%
2014	4500	698	15.5%
2015	4200	800	19.04%
2016	4300	741	17.23%
2017	4500	1046	23.24%
სულ	19544	3742	19,1%

წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

<http://www.naec.ge>

ცხრილი # 3 - სომხურენოვანი აბიტურიენტების რეგისტრაციის, გამოცდაზე გასვლის და გამოცდების ჩაბარების სტატისტიკა (2010-2013 წწ)

წელი	რეგისტრაცია	გამოვიდა გამოცდაზე	გადალახა ზღვარი ზოგად უნარებში
2010	253	188	137
2011	254	216	172
2012	290	262	207
2013	271	249	191

წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

<http://www.naec.ge>

ცხრილი # 4 აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების რეგისტრაციის, გამოცდაზე
გასვლის და გამოცდების ჩაბარების სტატისტიკა
(2010-2013 წწ)

წელი	რეგისტრაცია	გამოვიდა გამოცდაზე	გადალახა ზღვარი ზოგად უნარებში
2010	335	303	194
2011	320	301	222
2012	579	541	407
2013	1189	1083	737

წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

<http://www.naec.ge>

ცხრილი # 5 ზოგადი სტატისტიკა რეგისტრირებული და გამოცდაჩაბარებული
სტუდენტების შესახებ:
(2010-2015წწ)

წელი	რეგისტრირებულია	გამოვიდა გამოცდაზე	გადალახა ზღვარი ზოგად უნარებში	ჩაიჭრა	ჩაჭრილთა პროცენტული მაჩვენებელი %
2010	558	491	331	160	32.59
2011	574	517	394	123	23.79
2012	869	803	614	189	23.54
2013	1460	1332	928	404	30.33
2014	1179	1049	698	351	33.46
2015	1608	1243	800	443	35.63
სულ:	6278	5435	3765	1670	30.72

წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

<http://www.naec.ge>

ცხრილი # 6 ეროვნულ უმცირესობათა პროფესიული განათლებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ოდენობა წლების მიხედვით (2012-2018წწ)

წელი	პროფესიული განათლებისათვის გამოყოფილი თანხა ლარებში	ეროვნულ უმცირესობათა პროფესიული გადამზადებისათვის გამოყოფილი თანხა ლარებში	პროცენტული თანაფარდობა %
2012	15,971.9	684.9	4.2%
2013	19,793.0	688.0	3.4%
2014	37,318.0	688.0	1.8%
2015	31,620.3	1,643.3	5.1%
2016	35,838.0	2,407.0	6.7%
2017	29,580.0	2,180.0	7.3%
2018	40,800.00	2,300.0	5.6%

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

<http://www.mof.gov.ge>

ცხრილი # 7 ბოშათა რეგისტრაცია 2011-2017 წლები

საქმისწარმოების კატეგორია	2011-2017 წწ
საქართველოს მოქალაქეობის მიღება	1
საქართველოს მოქალაქეობის დადგენა (ID ბარათი)	16
მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენა	17
დაბადების ფაქტის დადგენა/რეგისტრაცია	39
ჯამი	73

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

<http://www.justice.gov.ge>

ცხრილი #8 მულტიკულტურალიზმის ინდექსი


ინდიკატორები	მინიჭებული ქულა
ავსტრალია	8
კანადა	7.5
შვედეთი	7.0
ფინეთი	6.0
ახალი ზელანდია	5.5
დიდი ბრიტანეთი	5.5
ბელგია	5.5
საქართველო	3.5
ესპანეთი	3.5
ნორვეგია	3.5
პორტუგალია	3.5
ესპანეთი	3.5
აშშ	3.5
ირლანდია	3.0
გერმანია	2.5
საბერძნეთი	2.5
ნიდერლანდები	2
საფრანგეთი	2
ავსტრია	1.5

იტალია	1
შვეიცარია	1
დანია	0
იაპონია	0

ცხრილი # 9 მულტიკულტურალიზმის ინდექსი - საქართველო


ინდიკატორი	ქულათა რაოდენობა
მულტიკულტურალიზმის კონსტიტუციური და საკანონმდებლო განმტკიცება ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე	0
ორენოვანი (ბილინგვური) განათლება	0
მულტიკულტურალიზმის მიღება სკოლის სასწავლო გეგმაში	1
ეთნიკური ჯგუფების ორგანიზაციების დაფინანსება კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად	1
ეთნიკური უმცირესობების ჩართვა მედია ლიცენზირების საქმეში	0.5
პოზიტიური ქმედებები დაუცველი იმიგრაციული ჯგუფებისადმი	0.5
ორმაგი მოქალაქეობის დაშვება	0
განთავისუფლება რელიგიური სამოსის შეზღუდვებისგან	0.5
ჯამი	3.5

რუკა #1 ეთნიკური უმცირესობების განსახლების რუკა საქართველოში (მომზადებულია ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის მიერ)



წყარო: www.csem.ge

რუკა # 2 მულტიკულტურალიზმის ინდექსი



გამოყენებული ლიტერატურა:

საგანმანათლებლო დაწესებულებების კატალოგი Retrieved from May 20, 2018 from

http://catalog.edu.ge/index.php?module=school_info&page=region_list

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ Retrieved from September 20, 2016 from

<https://emis.ge/acts/zogadi%20ganatlebis%20shesxeb.pdf>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №40/ნ 2016 წლის 18 მაისი Retrieved 10 August, 2017 from

<http://ncp.ge/files/ESG/2016-2021/esg%202018023%20-%20adgministraciuli%20nawili%20-%201.pdf>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1255 2015 წლის, 20 ნოემბერი, Retrieved December 9, 2017 from

<http://mes.gov.ge/old/upload/editor/file/Brdzanebebi/2015/noemberi/1255.pdf>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, ა №123/ნ

„ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“, 2017 წლის 2 აგვისტო Retrieved 20 January, 2018 from

<http://ncp.ge/files/ESG/NC%202018-2024/40.%E1%83%9C%20-%20%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98.pdf>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017–2021.

Retrieved 20 January, 2018 from

<http://www.mes.gov.ge/uploads/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf>

საქართველოს მესამე ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, 2017 წლის 30 მარტი Retrieved 11 May, 2017 from

<https://rm.coe.int/third-report-submitted-by-georgia-pursuant-to-article-25-paragraph-2-o/168073295c>

საქართველოს მთავრობის დადგენილება №84 2004 წლის 18 ოქტომბერი, „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ” Retrieved 14 May, 2017 from <http://www.mes.gov.ge/uploads/griphireba/4%20%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%90%E1%83%92%E1%83%93%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A.%20%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf>

საქართველოს მთავრობის განკარგულება №1740, 2015 წლის 17 აგვისტო, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ Retrieved 14 May, 2017 from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2958879>

საქართველოს კულტურის სტრატეგია 2025 Retrieved 10 August, 2017 from <http://culturepolicy.gov.ge/getfile/c6ebf2e3-4510-4588-a062-29f438ac1d37/>.aspx>

„შემოქმედებითი საქართველო მდგრადი განვითარებისთვის“ კულტურის სტრატეგია 2025-ის პირველი წლის (2017) ანგარიში Retrieved 19 January, 2018 from <http://culture.gov.ge/Annual-report.aspx>

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა Retrieved 10 December, 2017 from http://smr.gov.ge/Uploads/20152020_b9886b45.pdf

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2016 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში Retrieved 4 January, 2018 from http://smr.gov.ge/Uploads/Report_2016_c42e4c7a.pdf

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2016 წლის სამოქმედო გეგმა Retrieved 4 January, 2018 from http://smr.gov.ge/Uploads/2016_e8e32ec1.pdf

საქართველოს კონსტიტუცია, 2018 წელი.

საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, 2014 წელი. Available at <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication>

საქართველოს კანონის „მაუწყებლობის შესახებ“, 2004 წელი. Available at <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=49>

საქართველოს მთავრობის დადგენილება №410, 2014 წელი. Available at

<http://csb.gov.ge/uploads/stajirebiswesebi.pdf>

საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წლებისთვის“ დამტკიცების შესახებ. Retrieved 9 December, 2017 from

[http://gov.ge/files/428_51453_705840_Strategy-GEO\(1\).pdf](http://gov.ge/files/428_51453_705840_Strategy-GEO(1).pdf)

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია; Retrieved from September 20, 2016 from

http://www.tolerantoba.ge/failebi/nacional_concept_geo_doc173_18965.pdf

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები, (2010–2011 წლები); სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო. Retrieved from September 20, 2016 from

<http://www.ecmcaucasus.org/upload/cnm/UNDP-Publication-GEO-FINAL.pdf>

საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეობის შესახებ. 2014 წლის, 30 აპრილი. Retrieved 16 January, 2018, from

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2342552>

საარჩევნო სუბიექტების პარტიული სიები. საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ Retrieved 20 December, 2017 from

<https://partylists.cec.gov.ge/uploads/32/5.pdf>

საარჩევნო სუბიექტების პარტიული სიები. საარჩევნო ბლოკი „ქართული ოცნება“ Retrieved 20 December, 2017 from

<https://partylists.cec.gov.ge/?action=data&p=20&limit=20&lang=geo>

Abu-Laban, Yasmeeen. Y. (1994). The Politics of Race and Ethnicity: Multiculturalism as a Contested Arena: Broadview Press, pp. 463-86

<http://laws-lois.justice.gc.ca/eng/Const/page-15.html>

Canadian Attitudes Toward Immigrants Conflicted, Poll Says. CBS News. Canada. Retrieved 4 February, 2018 from

<http://www.cbc.ca/news/canada/canadian-attitudes-toward-immigrants-conflicted-poll-says-1.2826022>

Antonsich, M. (2015). Interculturalism Versus Multiculturalism. The Cattle-Modood Debate.

- Babacan, A. (2007). Multiculturalism In Australia. *The Journal of Industrial Relations and Human Resources* Vol: 9 No: 3 Retrieved 10 September, 2017 from <http://dergipark.gov.tr/download/article-file/235582>
- Bank, J. (1989). *Approaches to Multicultural Curriculum Reform*. University of Washington. Retrieved from October 4, 2017 from https://scholarworks.umb.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1099&context=trotter_review
- Banks, J. (1998). Multiculturalism's Five Dimensions. Retrieved from October 1, 2016 from
- Banks, J. A. (1999). *Multicultural education*. Allyn and Bacon, USA. <https://education.uw.edu/sites/default/files/20405019.pdf>
- Banting, K. and W. Kymlicka. (2006) *Multiculturalism and the Welfare State: Recognition and Redistribution in Contemporary Democracies*. Oxford: Oxford University Press.
- Barret, M. (2010). *Interculturalism And Multiculturalism: Similarities and Differences*. Council of Europe Publishing. Retrieved 21 February, 2018 from https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=MxSAwAAQBAJ&oi=fnd&pg=PT54&dq=multiculturalism+vs+interculturalism&ots=vETeisNS4j&sig=RIAp0uUUPahGt4NLdDsDrzPA_LA&redir_esc=y#v=onepage&q=multiculturalism%20vs%20interculturalism&f=false
- Barrett, M. (ed.) (2013), *Interculturalism and Multiculturalism: Similarities and Differences* Retrieved from October 31, 2017 from http://www.academia.edu/24946135/Interculturalism_and_Multiculturalism_Similarities_and_Differences
- Barry, B. (2002). *Culture and Equality. An Egalitarian Critique of Multiculturalism*. Harvard University Press. Cambridge, Massachusetts.
- Batelaan, P. & Coomans, F. (1999). *The international basis for intercultural education including anti-racist and human rights education*. 2nd edition, International Association for Intercultural Education (IAIE) in co-operation with UNESCO: International Bureau of Education (IBE) and the Council of Europe
- Bennett, M. J. (1993). *Towards ethnorelativism: A developmental model of intercultural sensitivity in Paige*. Yarmouth, Intercultural Press.

Bennett, J. M., Bennett, M. J., & Allen, W. (1999). Developing Intercultural Competence in the Language Classroom. In R. M. Paige, D. L. Lange, & Y. A. Yershova (Eds.), Culture as the Core: Integrating Culture into The Language Curriculum. CARLA Working Paper #15. Minneapolis, MN: University of Minnesota.

Berry, J. (2013). Research on Multiculturalism In Canada. International Journal of Intercultural Relations.

Bloemraad, I. & Wright, M. (2014). Utter Failure or Unity Out Of Diversity? Debating and Evaluating Policies Of Multiculturalism. University Of California Barkley. Retrieved 21 February, 2018 from

<https://pdfs.semanticscholar.org/e28b/9c36e5b41b2ea7bb477263e2ef336cd40111.pdf>

Bouchard, G., & Taylor, C. (2008). Building the Future: A Time for Reconciliation. Quebec: Government of Quebec. Retrieved 11 January, 2017 from

<http://www.accommodements.qc.ca/documentation/rapports/rapport-final-integral-en.pdf>

Bromel, D. (2008). Ethnicity, Identity and Public Policy. Institute of Policy Studies.

Bryan, A. (2010). Corporate Multiculturalism, Diversity, Management and Positive Interculturalism. Retrieved 21 February, 2018 from

http://doras.dcu.ie/21480/1/9_SCAN.pdf

Cameron, D. (2011). Speech At The Munich Conference, 5 February 2011. Retrieved 10 November, 2017 from

<https://www.gov.uk/government/speeches/pms-speech-at-munich-security-conference>

Cantle, T. (2008). Community Cohesion: A New Framework for Race and Diversity, Basingstoke: Palgrave Macmillan.

Cantle, T. (2012). Interculturalism. The New Era of Cohesion and Diversity. Palgrave Macmillan. UK. Retrieved 21 February, 2018 from

https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=GSUhAQAAQBAJ&oi=fnd&pg=PP1&dq=multiculturalism+vs+interculturalism&ots=O9CMLies_k&sig=keM2RyRWswCc8ZxXgG4gPLS9JVo&redir_e_sc=y#v=onepage&q=multiculturalism%20vs%20interculturalism&f=false

Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination (UN, 1965) Retrieved 11 January, 2017 from

<http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CERD.aspx>

Council of Europe (COE), Committee Of Ministers (2008). Living Together as equals in Dignity: White Paper on Intercultural Dialogue, Strasbourg: Council Of Europe. Retrieved 10 November, 2017 from

https://www.coe.int/t/dg4/intercultural/source/white%20paper_final_revised_en.pdf

Crowder, G. (2014). Theories of Multiculturalism, an Introduction. Polity Press.

Crowder, G. (2002). Liberalism and Value Pluralism. Continuum, London and New York.

Cushner, K. (1998). International Perspectives on Intercultural Education. Routledge Press.

Dworkin, R. (2000). Sovereign Virtue: The Theory and Practice of Equality. Harvard University Press, Cambridge, MA.

Ellingson, T. (2001). The Myth of the Noble Savage. University of California Press, Berkeley, CA.

Emerson, M. (2012). Interculturalism. Europe and its Muslims. In Search Of Sound Societal Models. Centre for European Policy Studies. Brussels. Retrieved 21, February, 2018 from

http://aei.pitt.edu/32656/1/79_Interculturalism.pdf

European Charter for Regional or Minority Languages. Retrieved 17 April, 2018 from

<https://www.coe.int/en/web/european-charter-regional-or-minority-languages/text-of-the-charter>

Framework Convention for the Protection of National Minorities (1995). Retrieved 20 May, 2018

<https://rm.coe.int/16800c10cf>

Galston, W. (2000). Liberal Pluralism: The Implications of Value Pluralism for Political Theory and Practice. Cambridge University Press, Cambridge.

Galston, W. (2005). The Practice of Liberal Pluralism. Cambridge University Press, Cambridge.

Galston, W. (2007). Must Value Pluralism and Religious Belief Collide? In George Crowder and Henry Hardy (eds), The One and the Man: Reading Isaiah Berlin. Prometheus Books, Amherst, NY

Garcia, O. (2008). Bilingual Education in the 21st Century. A Global Perspective.

Ghosh, R. & McDonough, K. (2011). Canadian Issues. Retrieved 25 February, 2018 from

file:///C:/Documents%20and%20Settings/nino/My%20Documents/Downloads/CanadianIssues_diversity-education-for-liberation-realities-possibilities-problems_pdf.pdf

Hobsbawm, E. (2012). Nations and Nationalism Since 1780: Programme, Myth, Reality, 2nd edn. Cambridge University Press, Cambridge.

International Organisation for Migration (IOM) (2018), World Migration Report 2018. Retrieved 20 May, 2018 from

https://publications.iom.int/system/files/pdf/wmr_2018_en.pdf

Joppke, C. (2007) "Immigrants and Civic Integration in Western Europe," in K. BANTING *et al.*, (eds.) *Belonging? Diversity, Recognition and Shared Citizenship in Canada*. Montreal: Institute for Research on Public Policy.

Katsiaficas, G., & Kiros, T. (ed.). (1998). *The Promise Of Multiculturalism, Education and Autonomy in 21st Century*. Routledge Press, New York. Retrieved 10 December, 2016 from https://books.google.ge/books?id=anQM9qHLUN8C&pg=PA89&lpg=PA89&dq=Tod+gitlin+multiculturalism&source=bl&ots=pnKZ_J2fpX&sig=qrZGG0JZeMlYRawt2to41jqLTI&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwioG7GSy8nSAhXF8RQKHeJqDYQ6AEIPzAF#v=onepage&q=Tod%20gitlin%20multiculturalism&f=false

Kaufmann, E., & Harris, G. (2014). *Mapping the White Response to Ethnic Change*, London, Demos.

Kekes, J. (1993). *The Morality of Pluralism*. Princeton University Press, Princeton.

Kellner, D. (2011). *Cultural Studies, Multiculturalism and Media Culture*. Retrieved 22 February, 2018 from

https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=kNu3KMA73nWC&oi=fnd&pg=PA7&dq=multiculturalism&ots=3bBRoLAjHX&sig=BM0BU-6D5zbfmMH6hDVZXrbMi60&redir_esc=y#v=onepage&q=multiculturalism&f=false

Kelly, P. (2005). *Liberalism*. Polity, Cambridge.

Keval, H. (2014). *New Diversities* Vol. 16, No. 2. Retrieved April 2, 2018 from

http://newdiversities.mmg.mpg.de/wp-content/uploads/2015/02/2014_16-02_09_Keval.pdf

Kivisto, P. (2002). *Multiculturalism in a Global Society*. Blackwell, Oxford.

Kukathas, Chandran (1997) *Liberalism, Multiculturalism and Oppression*, in Andrew Vincent (ed.), *Political Theory: Tradition and Diversity*. Cambridge University Press, Cambridge.

Kymlicka, W. (1989). *Liberalism, Community, and Culture*. Oxford University Press. Oxford.

Kymlicka, W. (1996). *Multicultural Citizenship*. Clarendon Press. Oxford

Kymlicka, W. & Norma, W. (2000). *Citizenship in Diverse Societies*. Oxford University Press.

Kymlicka, W. (2002). *Contemporary Political Philosophy: An Introduction*. Oxford University Press, Oxford.

Kymlicka, W. (2003). *Multicultural States and Intercultural Citizens, Theory and Research in Education*. Oxford University Press, Oxford.

- Kymlicka, W. (2010). Testing the Liberal Multiculturalist Hypothesis: Normative Theories and Social Science Evidence. *Journal of Political Science*, 43 (2).
- Kymlicka, W. (2010). The Current State of Multiculturalism in Canada and Research Themes on Canadian Multiculturalism 2008-2010. Citizenship and Immigration Canada
- Kymlicka, K. (2012). Is there Really a Backlash against Multiculturalism Policies? New Evidence from The Multiculturalism Policy Index. Retrieved February 7, 2018 from <http://sockom.helsinki.fi/recode/Network%20Papers/Banting%20and%20Kymlicka%20%20Backlash%20%20CEP.%20revised.pdf>
- Lawson, S. (2006). Culture and Context in World Politics. Palgrave Macmillan, Basingstoke. <https://web.archive.org/web/20120107004751/http://legacy.london.gov.uk/assembly/reports/7july/follow-up-report.pdf>
- Lukes, S. (2008). Moral Relativism. Picador, New York.
- Macedo, S. (ed.) (1999). Deliberative Politics: Essays on Democracy and Disagreement. Oxford University Press, New York.
- Marginson, S. & Sawir, E. (2011). Ideas for Intercultural Education. Palgrave Macmillan US.
- Margry, P. (2003). The Murder of Pim Fortuyn and Collective Emotions. Hype, Hysteria and Holiness in the Netherlands? Meertens Institute. Retrieved 18 February, 2018 from http://www.meertens.knaw.nl/meertensnet/file/edwinb/20050420/PF_webp_Engels_lang.pdf
- Mansouri, F. (ed). (2017). Interculturalism at The Crossroads. Comparative Perspectives on Concepts, Policies And Practices. Retrieved 4 February, 2018 from <https://gcedclearinghouse.org/sites/default/files/resources/170033eng.pdf#page=104>
- May, S. & Sleeter, C. (2010). Critical Multiculturalism. Theory And Praxis. Routledge. Taylor & Francis Group. London and New York
- Meer, N., & Modood, T., & Barrero-Zapata, R. (2016). Multiculturalism and Interculturalism. Debating the Dividing Lines. Edinburgh University Press.
- Meer, N., & Modood, T. (2012). How Does Interculturalism Contrast With Multiculturalism? *Journal Of Intercultural Studies*. Retrieved 10 November, 2017 from
- Modood, T. (2005). Multicultural Politics: Racism, Ethnicity and Muslims in Britain, Minneapolis: University of Minnesota Press.
- Modood, T. (2007). Multiculturalism. Polity, Cambridge.
- Modood, T. (2017). Must Interculturalists Misrepresent Multiculturalism? *Comparative Migration Studies*. Retrieved 25 May, 2018 from

- Modood, T. & Triandafyllidou, A. Zapata-Barrero, R. (2006). Routledge. Taylor & Francis Group. Retrieved 9 February, 2018 from http://ieas.unideb.hu/admin/file_9715.pdf
- Modood, T. & Meer, N. (2013). Interculturalism, Multiculturalism, or Both? European University Institute. Robert Schuman Centre for Advanced Studies. Policy Paper 2013/18. Retrieved 10 February, 2018 from http://cadmus.eui.eu/bitstream/handle/1814/28501/RSCAS_PP_2013_18.pdf?sequence=1
- Modood, T. (2011). Multiculturalism and Integration: Struggling with Confusions. University of Bristol. Retrieved 9 February, 2018 from <https://www.coe.int/t/dg4/cultureheritage/mars/source/resources/references/others/38%20-%20Multiculturalisme%20and%20Integration%20-%20Modood%202011.pdf>
- Moghadam, A. (2008). The Globalization of Martyrdom. The John Hopkins University Press. The United States of America. Retrieved 14 February, 2018 from <https://books.google.co.nz/books?id=RMeqBfA9-RUC&pg=PA199&lpg=PA199#v=onepage&q&f=false>
- Moore, M. (2001). The Ethics of Nationalism. Oxford University Press, Oxford.
- Murphy, M. (2012). Multiculturalism: A Critical Introduction. Routledge, London and New York.
- Parekh, B. (2006). Rethinking Multiculturalism. Cultural Diversity and Political Theory. Palgrave Macmillan.
- Parekh, B. (2008). A New Politics of Identity: Political Principles for an Interdependent World. Palgrave, London.
- Parekh, B. (2016). Afterword: Multiculturalism and Interculturalism – Critical Dialogue. Retrieved February 10, 2018 from <https://edinburghuniversitypress.com/book-multiculturalism-and-interculturalism.html>
- Phillips, A. (2007). Multiculturalism Without Culture. Princeton, University Press, Princeton.
- Ramadan, T. (2010). What I Believe. Oxford University Press, Oxford.
- Rattansi, A. (2011). Multiculturalism: A Very Short Introduction. Oxford University press, Oxford.
- Raz, J. (1995). Multiculturalism: A Liberal Perspective, in Ethics in the Public Domain. Clarendon Press, Oxford.
- Royal Commission on Bilingualism and Biculturalism Report of 1970. Retrieved 8 May, 2017 from

<http://epe.lac-bac.gc.ca/100/200/301/pco-bcp/commissions-ef/dunton1967-1970-ef/dunton1967-70-vol5-eng/dunton1967-70-vol5-part1-eng.pdf>

Scheffer, P. (2011). Immigrant Nations. Polity, Cambridge.

Scholte, Jan A. (2000). Globalization: A critical Introduction. Plagrave, Basingstoke.

Shohat, E. & Stam, R. (2014). Unthinking Eurocentrism. Multiculturalism and The Media. Routledge. Taylor & Francis Group. London and New York.

Shohat, E., & Stam, R. (2003). Multicultralism, Postcoloniality, And Transnational Media, Rutgers University Press, New Jersey And London. Retrieved 9 September, 2016 from <https://books.google.ge/books?id=qOADz1T4H4MC&pg=PA6&lpg=PA6&dq=Tod+gitlin+multiculturalism&source=bl&ots=V5qUsojNRu&sig=4KsIyleneGdmnaNzHWvpZdQALOM4&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwiog7GSy8nSAhXF8RQKHeJqDYQ6AEIJDAB#v=onepage&q=Tod%20gitlin%20multiculturalism&f=false>

Tabachnick D., & Bradshaw, L. (2017) Citizenship and Multiculturalism in Western Liberal Democracies. Lexington Books Press.

Taylor, C. (1994). Multiculturalism. Princeton University Press.

Taylor, C. (2012). Interculturalism or Multiculturalism? Philosophy and Social Criticism.

Tolley, E. (204). National Identity and the Canadian Way: Values, Connections and Culture, Canadian Diversity.

Tove Skutnabb, K. (1999). Bilingualism or Not. The Education of Minorities. Multilingual Matters publisher.

Tully, J. (1995). Strange Multiplicity: Constitutionalism in an Age of Diversity. Cambridge University Press, Cambridge

United Nations decade for Human Rights Education (UN, 1994). Retrieved 16 February, 2018 from

<http://www.un.org/documents/ga/res/49/a49r184.htm>

United Nations Declaration on the Rights of Persons Belonging to National or Ethnic, Religious and Linguistic Minorities. (1992). Available at

<http://www.un.org/documents/ga/res/47/a47r135.htm>

United Nations International Covenant on Civil and Political Right. (1966). Available at

<https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/ccpr.aspx>

UNESCO (2008). Investing In Cultural Diversity And Intercultural Dialogue: World Report On Cultural Diversity, Paris: UNESCO. Retrieved 11 November, 2017 from

<http://unesdoc.unesco.org/images/0018/001847/184755e.pdf>

Universal Declaration on Cultural Diversity, (UNESCO, 2001). Retrieved 17 January, 2018 from

<http://unesdoc.unesco.org/images/0012/001271/127160m.pdf>

Vertovec, S. & Wessendorf, S. (2010). The Multiculturalism Backlash. European Discourses, Policies And Practices. Retrieved 7 February, 2018 from

https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=WNeOAgAAQBAJ&oi=fnd&pg=PP1&dq=multiculturalism&ots=X7m1o6Kcvo&sig=aAQgP2gOISws8IcyR6GiEZ2a2UY&redir_esc=y#v=onepage&q=multiculturalism&f=false

Young, I. (2000). Inclusion and Democracy. Oxford University Press, Oxford.

Zachary, P. (2003). The Diversity Advantage: Multicultural Identity in the New World Economy
Boulder, Westview.

Zapata-Barrero, R. (ed). (2015). Interculturalism in Cities: Concept, Policy and Implementation.
Cheltenham: Edward Elgar.

<https://link.springer.com/content/pdf/10.1186%2Fs40878-017-0058-y.pdf>

Banks, J. (Sep., 1993). Multicultural Education. Development, Dimensions, and Challenges.

Retrieved from October 1, 2016 from

Barry, J. (2002, May 7). Assailant shoots gay who railed against Muslim immigrants: Rightist in
Dutch election is murdered. The New York Times. Retrieved February 21, 2018 from

<http://www.nytimes.com/2002/05/07/news/assailant-shoots-gay-who-railed-against-muslim-immigrants-rightist-in.html>

Simons, M. (2002, May 7). Rightist Candidate in Netherlands Is Slain, and the Nation Is Stunned.
The New York Times. Retrieved February 21, 2018 from

<http://www.nytimes.com/2002/05/07/world/rightist-candidate-in-netherlands-is-slain-and-the-nation-is-stunned.html>

Simons, M. (2002, May 7). Elections to Proceed in the Netherlands, Despite Killing. The New
York Times. Retrieved February 21, 2018 from

<http://www.nytimes.com/2002/05/08/world/elections-to-proceed-in-the-netherlands-despite-killing.html>

<http://www.tariqmodood.com/uploads/1/2/3/9/12392325/ethnicities-2015-antonsich-1468796815604558.pdf>

http://www.tariqmodood.com/uploads/1/2/3/9/12392325/interculturalism_multiculturalism_debate.pdf

Canadian Multiculturalism Act, 1988 Retrieved September 11, 2016 from

Official Languages Act of Canada, 1969. Retrieved 8 May, 2017 from

Retrieved August 27, 2017 from

<http://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/O-3.01/>

<https://www.learner.org/workshops/socialstudies/pdf/session3/3.Multiculturalism.pdf>

Canadian Charter of Rights And Freedoms, 1982. Retrieved 10 May, 2017 from

London Assembly, 7 July Committee Review. Vol: 4, Follow Report. Retrieved February 8, 2018

from

<http://laws-lois.justice.gc.ca/eng/acts/C-18.7/page-1.html>